

ინდივიდის ოპერაციული კოდი ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური რწმენების სისტემის გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე

ბესიკ ჯაჯანიძე

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო - ტექნიკური ცენტრი „დელტა“,
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

აბსტრაქტი

საერთაშორისო სისტემის სწრაფმა და დინამიკურმა ცვლილებებმა, გლობალიზაციამ და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოქმნა დამატებითი გამოწვევები, კრიტიკულ ფაზაში შევიდა მზარდი კონვენციური და ჰიბრიდული საფრთხეები. საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების უგულბელობა მუდმივად იწვევს ძალისმიერი მეთოდებით მშვიდობისა და უსაფრთხოების განმსაზღვრელი წესების ცვლილებებს, შესაბამისად, მიმდინარე პროცესები სულ უფრო ხშირად რჩება ყოველგვარი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ახსნის მიღმა.

კონცეპტუალურად, თანამედროვე საერთაშორისო გარემოს ანარქიულ სისტემას ყველაზე კარგად ჯერ კიდევ ნეოკლასიკური (ნეორეალიზმის) თეორიული პრინციპები ხსნის, რომელშიც მთავარი დამოუკიდებელი ცვლადის ფუნქციას მესამე დონის - სისტემური ცვლადები ასრულებენ, ხოლო პირველი და მეორე დონის ცვლადები - ინდივიდი და სახელმწიფო - შუალედური ცვლადებია. თუმცა გეოსტრატეგიული ვითარებიდან გამომდინარე, რეალპოლიტიკაში განვითარებულ მოვლენებზე მიღებული გადაწყვეტილებები მხოლოდ კლასიკური რეალიზმით ვეღარ აიხსნება.

მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღებთა ფსიქოლოგიური პორტრეტის სიღრმისეულად შესწავლა და გამოკვლევა ინდივიდის, ანუ გადაწყვეტილების მიმღების ოპერაციული კოდის (ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური რწმენები ხს ერთიანი სისტემა) გამოყენებით. ეს ერთიანი სისტემა განსაზღვრავს ინდივიდის ქცევას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ოპერაციული კოდის ძირითადი მიდგომები მიუთითებს ინდივიდებს შორის არსებულ განსხვავებებზე და მიიჩნევს, რომ სწორედ ეს განსხვავებები განაპირობებს პოლიტიკურ ხედვებსა და გადაწყვეტილებებს.

მიმდინარე პროცესების ახსნის კონტექსტში ოპერაციული კოდის ანალიზის მიზანია, რომ პოლიტიკური ფსიქოლოგიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის მეორე დონის - კოგნიტიური და მოტივაციური თეორიების დახმარებით დაადგინოს კოგნიტიური და აფექტური (ემოციური) ფაქტორების გავლენების თეორიული სინთეზი საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

პოლიტიკური ფსიქოლოგია, რომელიც მუდმივად განიცდის ხშირ და დრამატულ ცვლილებებს, ეხმარება ერებს საგარეო პოლიტიკური კურსის კონცეპტუალურ კვლევაში, გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტიკური დამოკიდებულებებისა და ქცევების, გადაწყვეტილების მიღების პროცესების, ინდივიდებისა და ჯგუფების შორის ურთიერთქმედებების პროცესების გასაგებად. პოლიტიკურ ფსიქოლოგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური ფენომენების ინდივიდუალურ დონეზე შესწავლისას. საერთაშორისო ურთიერთობებში ანალიზის პირველ, ინდივიდუალურ დონეზე კვლევისას, ლიდერების ფსიქოლოგიურ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოპერაციული კოდი მნიშვნელოვნად ემსგავსება ნეოკლასიკურ რეალიზმს. ისინი სხვადასხვა თეორიული სკოლის მიმდინარეობებია, თუმცა შესაძლებელია, რომ ეფექტურად შეავსონ ერთმანეთი ინდივიდის ქცევის ასახსნელად.

სტატიაში კვლევის ამოცანაა, ინდივიდის ოპერაციული კოდის თეორიული პოსტულატების დადგენა, შექმნის ისტორია და პრაქტიკაში გამოყენება, განსხვავებები და მსგავსებები სხვა თეორიებთან.

კვლევის მიზანს წარმოადგენს, ოპერაციული კოდის გამოყენებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების საფუძველზე გაიზომოს ინდივიდის ქცევის ზემოქმედება გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე, როგორც კონცეპტუალურად, ასევე პრაქტიკული ქეისების დახმარებით.

კვლევამ აჩვენა, რომ ოპერაციული კოდის სისტემა, რომელიც კონცენტრირებულია ინდივიდზე, ფსიქოლოგიური და კოგნიტიური მიდგომის გამოყენებით მკვლევარს ეხმარება ინდივიდის ქცევის ახსნაში პიროვნული გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებისას.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სისტემა, ოპერაციული კოდი, გეოპოლიტიკა, ნეოკლასიკური რეალიზმი, ანარქიული სისტემა.

THE INDIVIDUAL'S OPERATIONAL CODE INFLUENCE OF PSYCHOLOGICAL AND IDEOLOGICAL BELIEF SYSTEMS ON THE DECISION-MAKING PROCESS

Besik Jajanidze

Ministry of Defense of Georgia

State Military Scientific-Technical Center „DELTA“

Doctor of International Affairs

Abstract

Fast and dynamic changes in the International System, as well as globalization and the development of information technologies, has created additional challenges in terms of pushing increasing conventional and hybrid threats into a critical phase. Ignoring principles and norms of international law continuously causes changes in the rules defining peace and security with the means of coercion. Respectively, ongoing developments more often remain outside of any explanations provided by theories of international relations.

Conceptually, neoclassical (neorealism) theoretical principles are still the most prominent in terms of explaining modern anarchical system of international environment. Here the key independent variables are systemic variables of the third level, while variables of first and second level - individual and the state are intermediate variables. Though, considering geostrategic reality, decisions made concerning developments ongoing in realpolitik can't be explained only by realism anymore.

It is of utmost importance to examine the psychological portrait of decision-makers with the help of researching the operational code (system of psychological and ideological beliefs) of a decision-maker individual. This system defines the behavior of an individual in terms of the decision-making process. Basic approaches of operational code highlight the differences between individuals and argues that exactly those differences lead to particular political views and decisions.

The goal of the operational code in the context of explaining ongoing developments is to define the theoretical synthesis of the influence of cognitive and affective (emotional) factors over foreign policy decisions. This goal is achieved with the help of the cognitive and motivational theories (which are second-level theories of political psychology and political philosophy).

Political psychology, which is under permanent drastic changes, helps the nations to conceptually research foreign policy vectors. It plays a decisive role in terms of understanding the interaction between individuals and groups, political attitudes, behaviors and decision-making processes. The most important is to research political phenomena on the individual level. The psychological factor of leaders is of great importance in terms of decision-making on the intra-state level alongside with the consideration of public opinion, which also impacts formation of foreign policy.

Considering above-mentioned factors, operational code significantly resembles neoclassical realism. They are representatives of different theoretical schools, though it is possible those two filling one-another with the objective of explaining the behavior of individual.

The goal of a research is to define theoretical postulates of operational code of an individual, to examine the history of its creation and practical use of it, as well as differences and similarities with other theories.

The objective of the paper is to use operational code in order to measure the impact of an individual's behavior on the decision-making process, both conceptually and through examining practical cases, while identifying relevant challenges.

The research points out, that the system of operational code that concentrates on individual helps the researcher to explain individual's behavior with the help of psychological and cognitive approaches, while interpreting personal decisions,

Keywords: International System, Operational Code, Geopolitics, Neoclassical Realiz, Anarchic system.

შესავალი

პოლიტიკური რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, პოლიტიკა იმართება ობიექტური კანონებით, რომელთა ფესვებიც ადამიანის ბუნებაშია, ხოლო ინდივიდის ქცევა მხოლოდ მისსავე რწმენასა და აღქმებზეა დამოკიდებული.

კაცობრიობა ისე, როგორც არასდროს, დადგა რეალობის წინაშე, როდესაც მუდმივად ისმის კითხვები, თუ რის საფუძველზე ან როგორ ახდენენ პოლიტიკური ინდივიდები, სახელმწიფო ლიდერები პოლიტიკური გარემოს ინერპრეტირებას და როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს ისინი. თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში სახელმწიფოს ან ინდივიდის ქცევის ასახსნელად ნეოკლასიკური მიდგომა უნიკალურია და ყველაზე რეალურ სურათს გვაძლევს, ვინაიდან იგი ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვებს ანალიზის სამ დონეზე.

რეალპოლიტიკაში, მიღებული გადაწყვეტილებების მრავალფეროვნება და ბუნდოვანება, რომელსაც გადამწყვეტი, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გლობალურ პოლიტიკაზე, საჭიროებს სრულყოფილ შესწავლას დამატებითი, განსხვავებული თეორიული ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც შეავსებდა, სრულყოფდა ნეოკლასიკური კვლევიდან მიღებულ შედეგებს.

ოპერაციული კოდის კონცეფცია, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს, პოლიტიკის არსის, დინამიკისა და აქტორების კვლევის კოტექსტში, პოლიტიკურ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით, იძლევა საშუალებას, რომ გამოყენებულ იქნას დამატებით ინსტრუმენტად ინდივიდის გადაწყვეტილებების ახსნისას, თუ როგორ მოქმედებს ადამიანი პოლიტიკურ გარემოში.

მკვლევარი ადგენს კოდირების სისტემას, რისი დახმარებითაც იკვლევს და აანალიზებს ინდივიდის ქცევას, დამოკიდებულებას მოვლენებსა და პიროვნებებთან მიმართებაში. მიმდინარეობს შესასწავლი ობიექტის გამოსვლების ანალიზი და კოდირება, დამოკიდებულება საზოგადოებასთან, ეროვნულ უმცირესობებთან, ანალიზებს გამოსვლებს - თუ რამდენჯერ იყენებს სალანძღავ ან საქებაარ სიტყვებს, კეთდება ლინგვისტური, ჟესტიკულაციური, ხელნაწერების ანალიზი. მკვლევარი პოულობ მიზნობრივ კოდს, რომლითაც გაზომავს და შეაფასებს ინდივიდის/ლიდერის მოქმედების, ოპერირების გარემოს.

ოპერირების გარემოს შეფასებისას მკვლევარი თავად აფასებს, თუ რაზე დაკვირვებით უნდა გამოიყენოს ოპერაციული კოდი. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რითი და როგორ აფასებს, რას უყურებს, რა არის მკვლევარისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. შესაძლებელია, დაკვირვება აწარმოო ტერმინოლოგიაზე, ჩანაწერებზე, შეხვედრების დროს ჯდომის სტილზე, ხელის ჩამორთმევაზე, დგომაზე ოფიციალური ფოტოს გადაღების დროს, ან თუნდაც იმაზე, თუ რამდენჯერ გამოიყენა მეგალომანიაკმა სიტყვა „მე“.

საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დიდწილად გავლენას ახდენს რწმენები, ისევე როგორც სტრატეგიული ურთიერთქმედება აქტორებს შორის, რომელიც გამოწვეულია მათი გადაწყვეტილებებითა და მიღებული პოლიტიკური შედეგებით.

ოპერაციული კოდის კავშირი სხვა, მეორე დონის თეორიებთან (ფსიქოლოგია, ბინარული როლის თეორია, ორმაგი მემკვიდრეობის თეორია და სხვა) მნიშვნელოვნად სრულყოფს რწმენაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების აღქმას მსოფლიო პოლიტიკის შესწავლით დაინტერესებულ პრაქტიკოსებისა და თეორეტიკოსებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ოპერაციული კოდი“ პირველად გამოიყენა ამერიკელმა სოციოლოგმა რობერტ მერტონმა (1940 წელს), „ოპერაციული კოდის“ კონცეფციის შემოტანა პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში, როგორც თეორიის ძირითადი, სოციალური და ინტელექტუალური საწყისებისა, დაკავშირებულია ნათან ლეიტისის კვლევებთან:

„პოლიტიკურის ოპერაციული კოდი“ (1951) და „ბოლშევიზმის შესწავლა“ (1953).¹

ნათანი გვიჩვენებს ძირითად მიგნებებს ბოლშევიზმის პოლიტიკური სტრატეგიის შესახებ, გაანალიზებულია, ეყრდნობა ლენინისა და სტალინის შრომებს, გამოსვლებს, ჩანაწერებს.²

კვლევაში, კოდირების სისტემა წარმოადგენს გზამკვლევს არა მხოლოდ კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე, არამედ გაშიფრულად წარმოაჩენს საბჭოთა პროპაგანდის ძირითად მიმართულებებს.

ფსიქოლოგიაზე დაფუძნებული თეორიული მიმდინარეობის - ოპერაციული კოდირების სისტემისა და ანალიზის შემდგომმა განვითარებამ, პრაქტიკაში გამოყენებამ გამოკვეთა სხვადასხვა კოგნიტური, ემოციური და მოტივაციური მექანიზმები, როგორც ინტელექტუალური საზომი შიდა და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ახსნის მიმართულებებით.

საკვლევი კითხვა: რა ფაქტორები განაპირობებს ოპერაციული კოდის - ფსიქოლოგიური ქცევების სისტემის, როგორც დამატებითი ინსტრუმენტის გამოყენებას?

ჰიპოთეზა: ინდივიდზე/ლიდერზე კონცეტირებული ფსიქოლოგიური და ინდივიდუალური ქცევის სისტემა გამოხატული ოპერაციულ კოდში, როგორც დამატებითი ინსტრუმენტი, ფსიქოლოგიურ და კოგნიტურ მეცნიერებებზე დაყრდნობით ხსნის მიღებული გადაწყვეტილებების ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, რომელიც განსაზღვრავს შიდა პოლიტიკას და გავლენა აქვს საგარეო პოლიტიკაზე.

თეორიული ჩარჩო: ჰიპოთეზის ასახსნელად მნიშვნელოვანია მოიძებნოს რელევანტური თეორიული მიდგომა, რომელიც დაადგენს ფსიქოლოგიურ ბაზის ინდივიდების აღქმების, რწმენის, შეხედულებების კონტექსტში, რომელიც ზემოქმედებს გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პოლიტიკის ფორმირებაზე.

ვინაიდან ინტერესის საკითხს წარმოადგენს ინდივიდუალური დონე, ადამიანის აღქმები, რწმენა, შეხედულებები და მათ მიერ გაკეთებული არჩევანი/მოქმედებები - კვლევაში გამოვიყენებთ ოპერაციული კოდის თეორიას, როგორც ფსიქოლოგიურ საფუძვლებს და ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიას - ანალიზის პირველ დონეს. ნაჩვენები იქნება ამ ორი სხვადასხვა თეორიული მიდგომის მსგავსებები და განსხვავებები.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ გამოყენებულია სამი ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომა: ა) კონტენტ-ანალიზი; ბ) დისკურს-ანალიზი; გ) კონკრეტული შემთხვევის შესწავლის მეთოდი (Case-Study).

ოპერაციული კოდი კონტენტ-ანალიზისა და დისკურს-ანალიზის საშუალებით იყენებს დისტანციურ მეთოდს, ლიდერების საჯარო გამოსვლების კოდირებისას, „რწმენის“ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. დგინდება მიზეზობრივი კავშირი გამოსვლებში გამოთქმულ ლიდერების საგარეოპოლიტიკურ შეხედულებებსა და საგარეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შორის. მეთოდოლოგია ამარტივებს ფსიქოლოგიური გამოკვლევის პარადიგმას, რადგან მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინდივიდის/ლიდერების მიერ პოლიტიკური სამყაროს სწორი შეფასება - დიაგნოსტიკა და გადაწყვეტილების მიღება იდეოლოგიურ კონფლიქტში შესვლის ან პირიქით, თანამშრომლობის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, გაშიფრულად მოხდეს გადაწყვეტილების მიმღებების ოფიციალური ინტერვიუებისა და საჯარო გამოსვლების გაანალიზება, რომლებიც აქტიურ როლს თამაშობენ და გავლენას ახდენენ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე.

1 S.J. Walker, *The Evolution of Operational Code Analysis*. Classics in Political Psychology. International Society of Political Psychology, 1990, P.p. 3-4.

2 L Natan, *The Operational Code of the Politbiuro*. The RAND Corporation, 1951, P 11.

აქტუალობა და მნიშვნელობა: საკითხი საკმაოდ რელევანტური და საინტერესოა მსოფლიო პოლიტიკის მკვეთრად გამოხატული ტურბულენტური გარემოს გამო, როდესაც ინდივიდის/ლიდერის ხშირად არაპროგნოზირებადი პოლიტიკური და სოციალური ქცევა, დაფუძნებული მის ფსიქოლინამიკაზე, მნიშვნელოვნად განაპირობებს გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და უკუკავშირის შედეგებთან, ქცევის ახსნის ასპექტში, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდს/ლიდერს ქმნის, აყალიბებს მასში არსებული „ძლიერი ძალები“ ან „სუსტი ძალები“, რომლებიც ასევე ქცევის მოტივატორია.

ამასთანავე, ქართულ აკადემიურ სივრცეში პრაქტიკულად არ მოიპოვება შესაბამისი მიზანზე ორიენტირებული კვლევები ოპერაციულ კოდირებასთან მიმართებაში.

ოპერაციული კოდი პოლიტიკური ფსიქოლოგიის და პოლიტიკური ფილოსოფიის პერსპექტივიდან

პოლიტიკური ფსიქოლოგია ემპირიული კვლევების გამოყენებით ხსნის ფსიქოლოგიური ფაქტორების როლს ინდივიდის პოლიტიკური ქცევის რეგულაციის პროცესში, ასევე პოლიტიკური ფაქტორების გავლენას ინდივიდის ფსიქიკურ პროცესებზე, რომელსაც ისევ ქცევის რეგულაციასთან მივყავართ. სიღრმისეულად, პოლიტიკური ფსიქოლოგია წარმოადგენს ინდივიდების პოლიტიკური რწმენებისა და განწყობების ჩამოყალიბების თავისებურებებს, მრავალფეროვან პოლიტიკურ ვითარებებში ინდივიდთა ქცევების, ურთიერთობების ფსიქოლოგიურ-მორალურ ანალიზს.

მე-20 საუკუნის გამოჩენილი მკვლევარის ჰანს მორგენტაუსა და მეორე მხრივ, თუკიდიდეს, ჰობსისა და მაკიაველის შეხედულებები, მიუხედავად დიდი ეპოქალური სხვაობისა, ერთიანდება ძირითადი იდეის გარშემო - ისინი ადამიანს ხედავს პოლიტიკაში ამომავალ წერტილად, მთავარ აქტორად. მათი საერთო შეხედულებით, ლიდერი ანუ პიროვნება არის (უნდა იყოს) რაციონალური და იღებს (იღებდეს) გადაწყვეტილებებს მხოლოდ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ამრიგად, „პოლიტიკური რეალიზმის საზრუნავი ეხება ადამიანურ ბუნებას, რეალურად მიმდინარე ისტორიულ პროცესებს, ეწინააღმდეგება ეთიკურ და სამართლებრივ მსჯელობას, რომელიც არ ითვალისწინებს პოლიტიკურ რეალობას. მორგენტაუ განავითარებს იმ მოსაზრებას, რომელიც მან ადრე წამოაყენა, რომ პოლიტიკას მართავს ძალაუფლება, რომლის წინააღმდეგაც „მეცნიერი ადამიანის“ აბსტრაქტული პრინციპები უშედეგოა“.³

გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს „რწმენების სისტემა“ როგორც სტრატეგიული ურთიერთქმედება სხვადასხვა აქტორს შორის, რომელიც აისახება მიღებულ გადაწყვეტილებებსა და პოლიტიკურ შედეგებში. რწმენის სისტემის გავლენა თავისთავად ვერ იქნება დამოუკიდებელი ფენომენი, რადგან დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღების დროს არსებულ ვითარებასთან, რომელიც გრძელდება მართვის პროცესითა და უკუკავშირით.

ოპერაციული კოდი, თანამედროვე ფსიქოლოგიურ თეორიულ მიდგომებს იყენებს ინდივიდთა პიროვნული მახასიათებლების, ქცევებისა და გადაწყვეტილებების ასახსნელად. პროცესი მოდელირებულია „ოპერაციული კოდირების თეორიული ანალიზი“-ის სახით და კავშირშია სხვა თეორიულ მიმდინარეობებთან (ფსიქოლოგია, ბინარული როლის თეორია, ორმაგი მემკვიდრეობის და სხვა მსგავსი თეორიები). ოპერაციული კოდირების სხვა თეორიებთან ერთობლიობაში გამოყენება, საშუალებას იძლევა გაიშიფროს რწმენაზე,

3 J. W. Nobel, *Morgenthau's Struggle with Power: The Theory of Power Politics and the Cold War*. Cambridge University Press, 1995, P 4.

აღქმებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

„ადამიანის ხასიათის სტრუქტურა არა მხოლოდ აზრებსა და გრძნობებს, არამედ ქცევასაც განსაზღვრავს. ნევროტული პიროვნებების შემთხვევაში აშკარაა, რომ აქტივობას ადამიანის ხასიათის სტრუქტურის წამყვანი მიდრეკილებები განაპირობებს. ხასიათის სტრუქტურაში, მას შემდგომ, რაც გარკვეული საჭიროებები ჩამოყალიბდება, ამ საჭიროებების შესაბამის ნებისმიერ ქცევას ფსიქოლოგიური კმაყოფილება და მატერიალური წარმატების თვალსაზრისით პრაქტიკული სარგებელი ახლავს თან“.⁴

პოლიტიკური ფილოსოფიის კონტექსტში მნიშვნელოვნად საკვანძო საკითხია რიგი პოლიტიკური მოვლენის, დამდგარი შედეგის შემქმნელის რწმენის, ხასიათის და მორალური პასუხისმგებლობის სწორად აღქმა. არსებითი კავშირია პოლიტიკურ ფილოსოფიას და მორალის ფილოსოფიას - მორალიზმს შორის, ვინაიდან ორივე ემყარება ინდივიდის აღქმას, შეხედულებებს, რწმენას ფასეულობებთან მიმართებაში და ცდილობს ჭეშმარიტების ახსნას. რა არის ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი, ინდივიდში შინაგანი სამყაროს ჰარმონია, რა გავლენა აქვს პირად მორალურ კოდექსს დასახელებულ პოლიტიკურ მოვლენებთან, დამდგარ შედეგთან, როგორ ექცევა ინდივიდის ქმედება სოციალური მიღებული ნორმების ფარგლებში.

პოლიტიკური ფსიქოლოგია და პოლიტიკური ფილოსოფია კონცეპტუალურად და პრაქტიკული ასპექტებით აერთიანებს პოლიტიკური პროცესებისა და ინდივიდის ქცევის ანალიზს, როგორც (როგორი უნდა იყოს) პოლიტიკა და როგორ მუშაობს ადამიანი პოლიტიკურ გარემოში, რა ძალები ან მორალურ-ეთიკური გარემოებები ზემოქმედებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე. პოლიტიკური თეორია აყალიბებს პრინციპებს, კონცეფციებს, იდეალებსა და ღირებულებებს მორალიზმთან მიმართებაში. პოლიტიკა გამოიხატება (ცდილობს) პოლიტიკურ ქმედებებში, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით დარწმუნებით, ძალაუფლების დემონსტრირება (და მსგავსი ქმედებები), რაც ოპერაციული კოდის თვისებიდან გამომდინარე განსხვავებს ინდივიდებს ერთმანეთისგან გადაწყვეტილების მიღებისას (აღქმები, ქცევები, იდეოლოგია).

რაც შეეხება იდეოლოგიას, ზოგადად იგი „უშუალო კავშირშია პოლიტიკასთან, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი მოდელის (სტრუქტურის) თეორიული დასაბუთება, რომელიც პოლიტიკაში რეალიზდება პოლიტიკური პროგრამებისა და დოქტრინების მეშვეობით. პოლიტიკური იდეოლოგიას წამყვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ შეგნებაში და წარმოადგენს პოლიტიკური ფსიქოლოგიის შეცვლისა და განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს“.⁵

პრაქტიკული

ასპექტები

ოპერაციული კოდირების სოციალური და ინტელექტუალური ანალიზისათვის წერტილი, სრულიად სამართლიანად უკავშირდება ნათან ლეიტსის ბოლშევიზმის და პოლიტიკურის წევრების ფსიქოლინამიკურ განზომილებების ანალიზის კვლევას. ავტორმა ნაშრომში პოლიტიკურის ოპერაციული კოდი გაანალიზა, როგორც კოგნიტური სტრატეგიების - ევრისტიკებისა და პიროვნული მახასიათებლების ნაზავი, რომელიც ზემოქმედებდა საბჭოთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე.

ნათან ლეიტსის მიზანს არ წარმოადგენდა ლენინიზმ - სტალინიზმის ძირითადი თეორიების

⁴ ერიხ ფრომი, თავისუფლებისაგან გაქცევა: ხასიათი და სოციალური პროცესი, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2020, 331-341.

⁵ გ. ჩაფიძე, პოლიტიკური იდეოლოგია. 2021. გვ. 57.

განხილვა-დისკუსია. პირიქით, მისი ჩანაფიქრი იყო, აღმოეჩინა ის ძირითადი მორალური კანონები, რისაც ბოლშევიკებს სწამდათ და სჯეროდა პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ნაშრომში ყურადღება ძირითადი გამხვილებულია ლიდერების ჩანაწერებზე, გამოსვლების ფრაზებსა და ცალკეულ სიტყვებზე.

ბოლშევიკური დოქტრინის მიხედვით, ხალხის მასები მოექცა პარტიული ხელმძღვანელობის დაქვემდებარებაში. შესაბამისად, ნებისმიერი საგარეო და საშინაო გადაწყვეტილება თუ მოვლენა მხოლოდ პარტიულ ჭრილში განიხილებოდა. ბოლშევიკური რწმენა იშვიათად ეყრდნობოდა ეთიკურ ნორმებს. ერთადერთი მორალური მიზანი მხოლოდ პარტიის გაძლიერება იყო, ხოლო პარტიული პოლიტიკა არ უნდა მოქცეულიყო გრძნობებისა და მორალური მოსაზრებების ზემოქმედების ქვეშ.

ლეიტისის კვლევის ანალიზს მივყავართ ლოგიკურ მსჯელობამდე: როდესაც ლენინურ-სტალინურ ქცევებზე, გადაწყვეტილებებზე, ზემოქმედების გარემო განპირობებულია მათი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული წარსულითა და განათლებით, ხოლო სხვაობებს განსაზღვრავდა სწორედ მათი ფსიქოლოგიური პორტრეტები. ბოლშევიკების ლიდერების, როგორც რადიკალების ქცევები და გამოსვლები თითქმის მათემატიკური სიზუსტით აისახებოდა დამდგარ შედეგებზე, მიუხედავად იმისა რომ, აბსოლუტური გათვლა არასდროს არ არსებობდა კონკრეტული ქცევისა და შედეგების უკუკავშირზე.

კვლევის მიხედვით, „ლენინი ემხრობოდა „მთავარი“ პოლიტიკური მტრის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას, სტალინი აფართოებდა მოწინააღმდეგეთა არეალს, მხარს უჭერდა მასებისა და პარტიის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს“, ლენინის დოქტრინა „არასდროს“ იყო მიმართული პარტიული, ბოლშევიკური ფრაქციის ვერბალური იერიშისკენ, ხოლო სტალინური დოქტრინა ხშირად ახალისებდა ანტიპარტიულ ღონისძიებებს. დაამკვიდრა ტერმინი „პოლიტიკა ომია“, რომელიც ბოლშევიზმის მსოფლმხედველობის მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენდა, მაგრამ სხვადასხვანაირად განვითარდა ლენინისა და სტალინის პიროვნებებში“.⁶

ბოლშევიზმის ორივე ლიდერის რწმენების სისტემის შეფასების შედეგად მარტივად ჩანს, თუ როგორ შეიცვალა მანამდე არსებული, არისტოკრატიული აზროვნება და ძალაუფლება „ბელადების“ ძალაუფლებით, რომელიც სრულიად მოკლებულია რეფლექციის, კრიტიკისა და მსჯელობის უნარებს.

„ყველაზე ხშირად ბელადებს წარმოადგენენ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანები, სანახევროდ შემლილები, რომლებიც სიგიჟის ზღვარზე დგანან. რა აოდენ უგუნურიც არ უნდა იყოს იდეა, რომელსაც ისინი იცავენ და მიზანი, რომლისაკენაც მიისწრაფიან, მათ შეხედულებებს გონების ვერანაირი საბუთით ვერ შეარყევთ. დევნა და სიმუღვილი მათზე არ ახდენენ შთაბეჭდილებას ან კიდევ უფრო აღაგზნებენ მათ. პირადი ინტერესი, ოჯახი - ყველაფერი მსხვერპლად არის მიტანილი. თვითშენარჩუნების ინსტიქტი მათში იმდენად ქრება, რომ ერთადერთი ჯილდო, რომლისაკენაც მიისწრაფიან, - ეს ტანჯვაა“.⁷

თხუთმეტი წლის შემდეგ, 1969 წელს, ამერიკელმა ფილოსოფოსმა ალექსანდრე ჯორჯმა მიმოიხილა ლეიტისის „ოპერაციული კოდის“ პირველადი კვლევები და იგი ფილოსოფიური და ინსტრუმენტული კუთხით დახვეწა. ჯორჯის ერთ-ერთ მიგნებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ კვლევის მიზანზე ორიენტირებული „რწმენის სისტემა“, პოლიტიკურ პროცესში, გავლენას ახდენს სიტუაციის, ვითარების განსაზღვრის პროცესზე, მოვლენების იდენტიფიცირებაზე,

6 L. Natan, The Operational Code of the Politbiuro. The RAND Corporation, 1951, P.p. 17-29.

7 გუსტავ ლე ბონი, მასების ფსიქოლოგია (თბილისი: გამომცემლობა „აქტი“ 2022), 97.

შეფასებაზე არჩევანის გადაწყვეტილების მიღებამდე.⁸

ოპერაციული კოდის, როგორც კონცეპტუალური მიდგომის საწყის ეტაპზე, ლეიტის-ჯორჯის ინდივიდის/ლიდერის პირველადი სისტემა აკეთებს შემდეგ მნიშვნელოვან დაშვებებს: ა) გადაწყვეტილების მიმღებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან არჩევანის მიდრეკილებით, რწმენითა და პიროვნული თვისებებით; ბ) ეს მახასიათებლები აყალიბებს გადაწყვეტილების მიმღების მიზნების დიაპაზონს და აყალიბებს გადაწყვეტილების მიმღების მიერ ალტერნატივების ანალიზს; გ) პოლიტიკის შემქმნელს, შესაძლებლობის ფარგლებში, აძლევს არჩევანის საშუალებას, რომელიც თავსებადია მის პრინციპებთან და წარმოადგენს რაციონალური ქცევის საზღვრებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁹

მკვლევრები გვთავაზობენ განსხვავებულ მეთოდებს ინდივიდის/ლიდერის შესაფასებლად, მისთვის „დიაგნოზის“ დასასმელად. მრავალი მათგანი უპირატესობას ანიჭებს ინდივიდის მიერ სიტუაციის განსაზღვრას, რომელიც ეფუძნება „სიტუაციმდელ“ ქცევას, საჯარო რიტორიკას, საარქივო და ბიოგრაფიულ წყაროებს.

ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორმა სტეფენ უოლქერმა სხვადასხვა კვლევის გათვალისწინებით (George (1969, 1979), Holsti (1970, 1977) შეიმუშავა ოპერაციული კოდის, როგორც „რწმენის სისტემის“ შემადგენელი ნაწილის მახასიათებლები და კითხვარი ფილოსოფიური და ინსტრუმენტული ინდექსების გამოყენებით.

ფილოსოფიური და ინსტრუმენტული მახასიათებლები საშუალებას აძლევს მკვლევარსა და ანალიტიკოსს, დაადგინოს ინდივიდის რწმენის სისტემაზე დაფუძნებული ფსიქოდინამიკური მახასიათებლები. ასევე ქცევის, მოქმედების ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

ფილოსოფიური კითხვარი: 1) პოლიტიკის ფუნდამენტური არსის, ბუნების აღქმა, რამდენად ჰარმონიული ან კონფლიქტურია სამყარო, როგორია პოლიტიკური მოწინააღმდეგის შეფასება (იმიჯის აღქმა); 2) ფუნდამენტური პოლიტიკური ღირებულებების განხორციელების (რეალიზების) პერსპექტივები; 3) პოლიტიკური მომავლის ფართო ხედვა, პროგნოზირება; 4) რამდენად შეუძლიათ პოლიტიკურ ლიდერებს გავლენა მოახდინონ ისტორიულ მოვლენებზე და გააკონტროლონ შედეგები; 5) შანსების და რისკების როლი საზოგადოების ისტორიულ განვითარებაში.

ინსტრუმენტული კითხვარი: 1) პოლიტიკური მოქმედების მიზნების განსაზღვრისას საუკეთესო სტრატეგიის შერჩევა; 2) ეფექტური ტაქტიკის შერჩევა მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად; 3) საუკეთესო მიდგომა პოლიტიკური მოქმედების რისკების გაანგარიშების, კონტროლისა და შეფასების დროს; 4) დროის გათვლა, რა არის მოქმედების საუკეთესო „დრო“ საკუთარი ინტერესების გასატარებლად; 5) სხვადასხვა საშუალებების გამოყენება მიზნის მისაღწევად.¹⁰

ორივე შემთხვევაში - როგორც ფილოსოფიური, ასევე ინსტრუმენტული კითხვარის შემუშავებისას, ცენტრალური ადგილი რწმენას უკავია. რწმენა არის იდეოლოგიური სტრუქტურის მთავარი განმსაზღვრელი, მისი ადვილად შეცვლა შეუძლებელია, შესაბამისად, მიდრეკილია, შეინარჩუნოს დროში სტაბილურობა და შინაგანი თანმიმდევრულობა.

ზემოაღნიშნული ოპერაციული კოდის ანალიზის შეფასების სისტემის სანდოობა და ვალიდობა დაიტესტა პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ოპერაციული კოდის გაზომვითა და

8 S.J. Walker, *The Evolution of Operational Code Analysis*. Classics in Political Psychology. International Society of Political Psychology, 1990, P.p. 4-6.

9 S.J. Walker, *The Evolution of Operational Code Analysis*. Classics in Political Psychology. International Society of Political Psychology, 1990, P 6.

10 S.J. Walker, *Systematic Procedures for Operational Code Analysis: Measuring and Modeling Jimmy Carter's Operational Code*, 2014, P.p 3-4.

მოდელირებით. 22-ე საჯარო გამოსვლის ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა მიზნობრივი ინდექსები ოპერაციული კოდის კონსტრუქციის ელემენტებისთვის. კარტერის შეხედულება პოლიტიკურ სამყაროზე და მიდგომა პოლიტიკური მოქმედებებისადმი თანმიმდევრულია კონკრეტული საკითხების მიმართ მისი პრეზიდენტობის პირველი სამი წლის განმავლობაში, რაც აისახა კონკრეტულ ქვეყნებსა და გადაწყვეტილებებზე: პანამის არხის ხელშეკრულება, ეგვიპტე-ისრაელის ომების ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა. კარტერის ოპერაციული კოდი ცვლილებას იწყებს ავღანეთში საბჭოთა ჯარის შეჭრის შემდეგ: ურთიერთობების გაუარესება რუსებთან, ბოიკოტი ოლიმპიადას, ბირთვული შეიარაღების მკვეთრი ზრდა, თუმცა კარტერი მტკიცედ რჩებოდა ადამიანის უფლებების მხარდამჭერად.¹¹

მიმდინარე გლობალური გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რეგიონალური მასშტაბი, როგორია რეგიონში არსებული მოკავშირე და ანტაგონისტური ქვეყნების ლიდერების ოპერაციული კოდები, როგორ მიმდინარეობს „რწმენის“ ცვლილება, რომელი შიდა და გარე ფაქტორები ზემოქმედებენ ცვლილებებზე.

თურქი მკვლევრის ეკინ ალფაის დაკვირვებით, „რწმენის როლის აღქმა უზარმაზარ, მრავალფეროვან და შედარებით შეუსწავლელ კვლევით ფენომენზე მიუთითებს. იმის გაგება, თუ რა ზეგავლენას ახდენენ ლიდერების, პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა „რწმენის“ სისტემები პრაქტიკაში, ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებზე დავის საგანს აღარ წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ისეთ ასპექტებზე, როგორ და როდის იცვლება ლიდერის რწმენა, რა შეიძლება იყოს ცვლილების გავლენა“.¹²

საინტერესოა ბილქენტის (ქ.ანკარა) უნივერსიტეტის სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებების მკვლევარის ეკინ ალფაის მიერ გამოკვლეული რეჟიმ თაიფ ერდოღანის ოპერაციული კოდი. მკვლევარი იყენებს ზემოთმოყვანილ ფილოსოფიურ - ინსტრუმენტულ კითხვარს და ერდოღანის საჯარო გამოსვლებს (2003-2021) ჰყოფს სამ პერიოდად.

ნეოკლასიკური რეალიზმის პირველი დონის ცვლადებით, ერდოღანის შემთხვევაში დომინირებს რწმენის ცვლილებების კოგნიტიური ფილოსოფიური მიდგომა, თუმცა მასში არსებული „ძირითადი რწმენის“ ბაზისი არის მთავარი ფილტრი რეალური მოვლენების აღქმის კუთხით - ნებისმიერი ინფორმაცია ვერ აიძულებდა, შეეცვალა რწმენა და მიდგომები, რაც კარგად ჩანს პოლიტიკის გატარების პრაქტიკულ ასპექტებში.

სტეფენ უოლქერის წარმოდგენილი ფსიქოლოგიური და ინსტრუმენტული კითხვარი იძლევა ნაწილობრივ პასუხებს ერდოღანის ოპერაციული კოდის შესახებ ფილოსოფიურ კონტექსტში:

პირველი კითხვა: (1) პოლიტიკის ფუნდამენტური არსის, ბუნების აღქმა, რამდენად ჰარმონიული ან კონფლიქტურია სამყარო, როგორია პოლიტიკური მოწინააღმდეგის შეფასება (იმიჯის აღქმა).

შეფასება - პასუხი: მნიშვნელოვნად უარყოფითი და კონფლიქტურია - ეროვნული ნარატივი, რომელიც წახალისებულია რელიგიური მოტივაციით, არა მხოლოდ რიტორიკის დონეზე, არამედ მოქმედებებში მუდმივად ეფუძნება თურქული იდენტობის, რეგიონალური და მუსლიმანური სამყაროს ლიდერობის აღდგენის იდეას, რაც ჰარმონიული ვერ იქნება და იმავდროულად კონფლიქტურია „სამყაროს“ პოლიტიკურ მოწყობასთან.

„გარდა მემკვიდრეობითობის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორისა, ერის ისტორიაზე გავლენა აქვს დოგმატურ იდეებს, რომლებსაც არაცნობიერში გამოვლენისას უდიდესი ძალა აქვს. რწმენის ერთადერთი მტერი სხვა რწმენაა. თავის წარმატებას კი ერი სრულიად უნდა

11 Ibid. Walker, S.J. P.p 3-14.

12 Alpay, E. *A Study of Belief Change and Stability with Operational Code Analysis: The case of Erdogan*, 2021. P 73.

უმადლოდეს ერთ მუჭა რჩეულ ადამიანებს, რომლებიც საუკუნეების მიერ მომზადებულ მოვლენებს ახორციელებენ.¹³

ინსტრუმენტული კითხვები: (3) საუკეთესო მიდგომა პოლიტიკური მოქმედების რისკების გაანგარიშების, კონტროლისა და შეფასების დროს. (5) სხვადასხვა საშუალებების გამოყენება მიზნის მისაღწევად.

შეფასება - პასუხი: ავტონომიის დაცვისა და სუვერენიტეტის გაფართოების მოტივით, ერდოლანითლიანადკონცეპტირებულიათურქეთისრეგიონალურიძალისდასაერთაშორისო ავტონომიის განმტკიცებაზე, რითიც მთლიანად ანეიტრალებს შიდა პოლიტიკურ გარემოს, ზემოქმედებს პოლიტიკურ ელიტაზე. ერდოლანის, როგორც პოლიტიკური ლიდერის შიშები, დაკარგოს არსებული პრივილეგიები და უპირატესობები, იწვევს ისეთ ქცევას, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მთლიანად სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ გარემოზე, პოლიტიკურ ელიტაზე, სახელმწიფოებრივ და არასახელმწიფოებრივ აქტორებზე. ეს საბოლოოდ აუცილებლად აისახება საგარეო ურთიერთობებზე. ძალაუფლების დაკარგვის შიში აიძულებს ლიდერებს, გაატარონ ღონისძიებები პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

„მთლიანობაში, ერდოლანის რწმენის ცვლილება სხვადასხვა ინდიკატორის ფონზე მიმდინარეობდა, ერთ-ერთ მათგანს მისი, როგორც ლიდერობის ტიპოლოგიის ცვლილება წარმოადგენდა, რომლის ფსიქოანალიტიკური პროფილის შეჯამებითაც ნათლად ჩანს, რომ გადაწყვეტილებები და ქმედებები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა სტრატეგიულ პარტნიორთან - დასავლეთის დემოკრატიულ სამყაროსთან თანამშრომლობის კონტექსტზე, განპირობებული იყო დიდ გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე, ანუ ინდიკატორებზე, სწორი და ზუსტი რეაქციით. ერდოლანის ფსიქო-ანალიტიკური სურათი სრულიად განსხვავდება მისი წინამორბედებისაგან - არ არის რომელიმეს მიმდევარი. მისი ლიდერობის მახასიათებლები პოლიტიკურ ველზე განაპირობა მენტალურ თავისებურებებზე დაფუძნებულმა ეროვნულ-ფსიქოლოგიურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მოცემულობამ, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა საგარეო პოლიტიკური ორიენტირები. პოლიტიკურმა მოცემულობამ და გარემოებებმა გაუადვილა ერდოლანს გადაწყვეტილებების არჩევანი, თუმცა მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც ძლიერი ლიდერის მის ქარიზმას უკავშირდება“.¹⁴

თეორიული ჩარჩო

პიროვნების/ინდივიდის შესახებ თეორიული მიდგომა, „ლიდერის თვისებების ანალიზი“, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია როგორც ოპერაციული კოდის ანალიზი ან ოპერაციული კოდის თეორია, რომელიც აერთიანებს მოტივების ანალიზსა და ლიდერთა ბიოგრაფიებს, გვთავაზობს მნიშვნელოვან შეხედულებებს მრავალი მნიშვნელოვანი მიმართულებით, ლიდერებს, პოლიტიკის შემქმნელებს, აძლევს რჩევებს, როგორ მოახდინონ გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე“.¹⁵

ოპერაციული კოდის თეორია განეკუთვნება კოგნიტურ, სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიების ჯგუფს, ფილოსოფიური და ინსტრუმენტალური რწმენების სისტემას, სტრატეგიებსა და ტაქტიკას, მისი მთავარი მახასიათებელი, ანალიზის ძირითადი ერთეული არის ადამიანის ინდივიდუალური ქცევა, რომელიც შეზღუდულია გადაწყვეტილების მიმღების რწმენის სისტემით.

კლასიკური რეალიზმის თეორიაში ცენტრალური აქცენტი ადამიანის ეგოისტურ და

¹³ გუსტავ ლე ბონი, ერების ფსიქოლოგია, თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2024, 7.

¹⁴ E. A Alpay, *Study of Belief Change and Stability with Operational Code Analysis: The case of Erdogan*, 2021. P.p.37-73.

¹⁵ J. Kaabro, *Personality and International Politics*. European Review of International Studies, 2017, P. 14.

კონფლიქტურ ბუნებაზე და მას საერთაშორისო პოლიტიკის კონფლიქტური ხასიათის მნიშვნელოვან განმაპირობებელ მოცემულობად აღიქვამს. ამავდროულად, კლასიკური რეალიზმისთვის ადამიანის ბუნების ეს მხარეები (ძალაუფლების მოხვეჭის სურვილი, ეგოიზმი) უნივერსალური მოცემულობაა, რომელიც ზოგადად ინდივიდს, როგორც ბიოლოგიურ არსებას გააჩნია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ განსხვავდებიან ინდივიდები სხვა ბიოლოგიური თუ შექმნილი მახასიათებლების მიხედვით. გამომდინარე აქედან, კლასიკური რეალიზმი ინდივიდების ქცევაში ძირითადად მსგავსებას ხედავს (რადგან ძალაუფლების მოხვეჭის სურვილი უნივერსალურია) და მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ლიდერი სწორედ რომ ძალაუფლების მოხვეჭის და ეგოისტური ინტერესების დაკმაყოფილების კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს საგარეო პოლიტიკაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი ოპერაციული კოდი. კლასიკური რეალიზმისგან განსხვავებით, ოპერაციული კოდის მიდგომები ინდივიდებს/ლიდერებს შორის არსებულ განსხვავებებზე აკეთებს აქცენტს და მიიჩნევს, რომ სწორედ ეს განსხვავებები განაპირობებს მათ პოლიტიკურ ხედვებსა და შესაბამის გადაწყვეტილებებს. რომ შევაჯამოთ, ის, რაც არაა ცვლადი კლასიკურ რეალიზმში, ცვლადია ოპერაციული კოდის კვლევებში.

ნეოკლასიკური რეალიზმი სახელმწიფოს დონეზე ხსნის ქცევას, ახდენს მის ინტერპრეტირებას, ხოლო ოპერაციული კოდის თეორიული მიდგომა კონცეპტირებულია ინდივიდზე, რომლის გადაწყვეტილებებიც მთლიანად ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ემყარება.

მიუხედავად დასახელებული სხვაობებისა და განსხვავებული თეორიული მიდგომებისა, ამ ორ თეორიულ სკოლას შორის მნიშვნელოვანი მსგავსებებია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთმანეთის დასაბალანსებლად და შესავსებად, ინდივიდის პოლიტიკური ქცევის ახსნის კონტექსტში.

ნეოკლასიკური რეალიზმისა და ოპერაციული კოდის თეორიები ინდივიდის ქცევის ახსნისას თანხმდებიან შემდეგ საკითხებში:

ა) ინდივიდის აღქმა, რწმენა, ინტერპრეტაცია მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ქცევის გასაგებად;

ბ) ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით, ინდივიდის/ლიდერის აღქმა და შიდა პოლიტიკა გავლენას ახდენს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ინტერპრეტირებაზე, ხოლო ოპერაციული კოდი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ახდენს ინდივიდი/ლიდერი ფსიქოლოგიურ გარემოებებზე დაყრდნობით პოლიტიკური გარემოს ინერპრეტირებას;

გ) ორივე თეორიული მიდგომა განმარტავს სახელმწიფოს და ინდივიდის/ლიდერის ქცევას ანარქიულ სისტემაში, რომელიც ეყრდნობა აღქმებს, რწმენასა და სხვა შიდა მახასიათებლებს.

დასკვნა - რეკომენდაცია

მოკლე შეჯამება: ინდივიდის/ლიდერის აღქმები, შეხედულებები, შიშები, პიროვნული ღირებულებები, პოლიტიკური წონა, რომელიც ემყარება ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური რწმენების სისტემას, განსაზღვრავს მათ ქცევას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და იზომება ოპერაციული კოდის თეორიული მიდგომით. ოპერაციული კოდი სიღრმისეულად იყენებს ფსიქოლოგიასა და სხვა კოგნიტურ მეცნიერებებს, მთლიანად კონცეპტირებულია ინდივიდის ფსიქოლოგიურ საფუძველზე, რომელიც პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისას გავლენას ახდენს შიდაპოლიტიკურ გარემოზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საბოლოოდ განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკას და ზემოქმედებს გლობალური (რეგიონული) უსაფრთხოების კონტექსტზე.

რეკომენდაცია: მკვლევრების ან პრაქტიკოსი თანამშრომლების (მიმართულების ოფიცერი, ანალიტიკოსი) მიერ თანამედროვე, ოპერაციული კოდის თეორიული მიდგომის გამოყენება, ინდივიდთა პიროვნული მახასიათებლების, ქცევების და გადაწყვეტილებების ასახსნელად, მნიშვნელოვნად სრულყოფს კვლევის პროცესს და ანალიტიკური ბარათების მომზადებას.

ბიბლიოგრაფია

- ბონი, გუსტავი. მასების ფსიქოლოგია. ქ. თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2022, 97.
- ბონი, გუსტავი. ერების ფსიქოლოგია. ქ. თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2024, 7.
- ჩაფიძე, გარი. პოლიტიკური იდეოლოგია. ქ. თბილისი: გამომცემლობა „კოლორი“, 2012.
- ფრომი, ერიხ. თავისუფლებისაგან გაქცევა. ქ. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2020, 331-341.
- Alpay, Izel. A Study of Belief Change and Stability with Operational Code Analysis: The case of Erdogan. Ankara: The Graduate School of Economics and Social Sciences of Ihsan Doğramacı Bilkent University, 2021.
- Kaabro, Juliet. Personality and International Politics. European Review of International Studies, Vol. 4, No. 2+3, 2017. <https://www.jstor.org/stable/26593792> (Last access 11.03.2025).
- Natan, Leithes. The Operational Code of The Politbiuro. Ney York: The RAND Corporation, 1951.
- Nobel, Jaap. Morgenthau's Struggle with Power: The Theory of Power Politics and the Cold War. Cambridge: Cambridge University Press, 1995. <https://www.jstor.org/stable/20097396> (last access 27.02.2025).
- Walker, Stephen. The Evolution of Operational Code Analys. Classics in Political Psychology. International Society of Political Psychology, 1990.
- Walker, Stephen. Systematic Procedures for Operational Code Analysis: Measuring and Modeling Jimmy Carter's Operational Code. Published by: Wiley on behalf of The International Studies Association, 2014. Stable URL: <http://www.jstor.org/stable/2600822> (Last access 11.03.2025).

პიროვნების ძირითადი მახასიათებლები და გავლენა სამუშაოს შესრულებაზე

ქეთევან ჭიაბრიშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

შალვა კვეზერელი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებული პიროვნების ძირითადი მახასიათებლებისა და გენეტიკის გავლენას სამუშაოს შესრულებაზე. კვლევის საფუძველს წარმოადგენს „დიდი ხუთეულის მოდელი“ (Big Five Model), სადაც ყურადღება მახვილდება ისეთ პიროვნულ მახასიათებლებზე, როგორიცაა: ექსტრავერსია, გულისხმიერება, კეთილსინდისიერება, გამოცდილებისადმი ღიაობა და ნეიროტიზმი.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია, როგორ აისახება აღნიშნული თვისებები თანამშრომლების ქცევაზე, გადაწყვეტილებების მიღებაზე და სამუშაო გარემოს ფორმირებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გენეტიკისა და გარემოს ურთიერთქმედებას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში. გენეტიკური ფაქტორები, როგორიცაა ტემპერამენტი, ინტელექტი და ფსიქიკური მიდრეკილებები, განაპირობებს ინდივიდის ბუნებრივ მიდრეკილებებსა და ქცევის სტილს. თუმცა, გარემო ფაქტორები (სოციალური, ეკონომიკური და კულტურული გარემო) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნული მახასიათებლების განვითარებასა და ტრანსფორმაციაზე.

კვლევა გვიჩვენებს, რომ ამ მოდელის გამოყენება ადამიანური რესურსების მართვასა და ორგანიზაციული პროცესების ოპტიმიზაციაში ზრდის სამუშაოს პროდუქტიულობას, გუნდურ ურთიერთობებს და ზოგადად, კომპანიის კონკურენტუნარიანობას.

საკვანძო სიტყვები: პიროვნება, ადამიანი, მახასიათებლები, ორგანიზაცია, დიდი ხუთეულის მოდელი, გენეტიკა, გარემო.

KEY PERSONALITY TRAITS AND THEIR IMPACT ON JOB PERFORMANCE

Ketevan Chiabrishvili
Professor of Bachelor's program in Management of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Economics

Rusudan Dalakishvili-Chichinadze
Associate Professor of Bachelor's program in Management of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Economics

Shalva Kvezereli
Associate Professor of Bachelor's program in Management of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Academic Doctor of Business Administration

Abstract

The paper describes and analyzes the impact of key personality traits and genetics on job performance. The study is based on the Big Five Model, which focuses on personality traits such as extraversion, agreeableness, conscientiousness, openness to experience, and neuroticism.

The paper also examines how these traits influence employee behavior, decision-making, and the formation of the work environment. Special attention is given to the interaction between genetics and the environment, which plays a crucial role in shaping an individual's personality. Genetic factors, such as temperament, intelligence, and psychological predispositions, determine an individual's natural tendencies and behavioral patterns. However, environmental factors (social, economic, and cultural environment) significantly impact the development and transformation of personality traits.

The study demonstrates that applying this model in human resource management and organizational process optimization enhances work productivity, team relationships, and overall company competitiveness.

Key words: Personality, human, characteristics, organization, Big Five model, genetics, environment.

შესავალი

ნებისმიერი საქმის კეთებისას, მნიშვნელოვანია საქმის შემსრულებლის პიროვნული მახასიათებლები, რადგან მისი ცოდნის საშუალებით შესაძლებელია წინასწარ ჩამოყალიბდეს სწორი მოლოდინები დავალების შემსრულებელი პიროვნების ქცევისა და საქმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ადამიანს, რომელსაც კარგად ვიცნობთ (ჩვენი ვიწრო საკომუნიკაციო გარემო: ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები), მის ქცევაზე ხშირად სწორი, ქვეცნობიერი, თუ ცნობიერი მოლოდინები გვაქვს; მაგრამ ორგანიზაციაში, სადაც ათეულობით უნიკალური ინდივიდი მიზნის მისაღწევად ერთდროულად მუშაობს, მათი ძირითადი პიროვნული მახასიათებლების განსაზღვრის და შეფასების გარეშე, რაც საბოლოოდ მათივე ქცევის წინაპირობაა. რთულია თანამშრომლობა და გუნდური ეფექტიც მეტნაკლებად მისაღწევია. პიროვნების ძირითადი მახასიათებლები მრავლისმთქმელია იმასთან დაკავშირებით თუ როგორ აზროვნებს ესა თუ ის პიროვნება, რა მოქმედებებია მისგან მოსალოდნელი, რამდენად მდგრადია მისი ემოციური ფონი. აღნიშნულის გაანალიზება გვეხმარება უკეთ გავიგოთ კონკრეტული პიროვნების დამოკიდებულებები და მისი რეაქციები სხვადასხვა მოცემულობებში. მეცნიერულად დამუშავებულია ადამიანის პიროვნების ძირითადი მახასიათებლები, რომელიც ცნობილია „პიროვნების ხუთი ძირითადი მახასიათებლის მოდელის“, იგივე რაც „დიდი ხუთის მოდელის“ სახით (Big five personality traits). აღნიშნული მოდელი მეტად პრაქტიკული დანიშნულებისაა და იძლევა იმის ცოდნას თუ, როგორ განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისაგან, რა გავლენას ახდენს მათი ძირითადი ადამიანური მახასიათებლები მათ ქცევაზე, გადაწყვეტილებებზე და ურთიერთობებზე. მოცემული მოდელის სწორად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება საკმაოდ მაღალი სიზუსტით განისაზღვროს თანამშრომლის შედეგიანობა, სწორედ მოხდეს მათთვის ფუნქციონირების გადამსწავლა და ორგანიზაციაში ეთიკური, შედეგზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. პიროვნების აღნიშნული მახასიათებლებია: ექსტროვერსია (Extraversion), გულისხმიერება (Agreeableness), კეთილსინდისიერება (Conscientiousness), გამოცდილებისადმი გახსნილობა (Openness to experience), მერყეობა/ნეიროტიზმი (Neuroticism). ქვემოთ განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

ძირითადი ნაწილი

დიდი ხუთიანის მოდელის თითოეული მახასიათებელი თავის მხრივ მოიცავს შემდეგ პიროვნულ მახასიათებლებს:

✓ პირველი - ექსტროვერსია (Extraversion)

იგი დაკავშირებულია პიროვნების ისეთ თვისებებთან, როგორიცაა: სოციალური ურთიერთობები, კომუნიკაბელობა და ენერგიულობა. ექსტროვერტებისთვის საზოგადოებრივი ურთიერთობები ძირითადი მოთხოვნილებაა; ისინი ღია და სიხარულით სავსე პიროვნებები არიან. მათი პიროვნების ძირითად თვისებურებებს წარმოადგენს:

- კომუნიკაბელობა - ექსტროვერტებს, როგორც წესი ადვილად შეუძლიათ კომუნიკაცია, უცხო ადამიანებთან ურთიერთობების მარტივად წამოწყება და პოზიტიური სოციალური გარემოს შექმნა. გარშემომყოფებისთვის მათთან დისკუსია, კომფორტული და პროდუქტიულია;

- სოციალური ურთიერთობები - როგორც წესი ექსტროვერტებს მეგობრული ურთიერთობები აქვთ, სამსახურში კოლეგებთან, სახლში - ოჯახის წევრებთან და ახლად გაცნობილ ადამიანებთან. მათ მოსწონთ ხალხმრავალ გარემოში ყოფნა;

- ენერგიულობა/აქტიურობა - ექსტროვერტები ცდილობენ აქტიურობი იყვნენ, მათი ენერგია უსაზღვროა. სამსახურსა, თუ პირად ცხოვრებაში, როგორც წესი მოქნილები, სხარტები, ინტერესიანები და ენერგიულები არიან;

- მეგობრული ურთიერთობები - მათ ახასიათებთ მეგობრული ურთიერთობები და როგორც წესი თავისუფლად აზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს, შეხედულებებს და ემოციებს.

ზემოთ განხილულის საფუძველზე, ექსტროვერტების გამოკვეთილი დადებითი მხარეა: მარტივი ურთიერთობების უნარი და გარკვეულწილად ლიდერული თვისებები, ძირითადად, ინიციატივების თავისუფლად გამოხატვაში ნიჭიერების ხარჯზე; ექსტროვერტების უარყოფითი მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ, ის, რომ როგორც წესი, სამუშაოს შესრულება მარტოს არ მოსწონთ და მუდმივად თანამონაწილეებს ეძებენ. საქმის დეტალებისადმი გადამეტებულად ჩაღრმავება, განხილვა და კონტროლი, ასევე მათ სუსტ მხარედ ითვლება, რადგან ამგვარი ენერგიული ურთიერთობების დროს „აღმაფრენაში მყოფი“ ექსტროვერტის ყურადღების მიღმა ხშირად რჩებიან მოსაუბრეები, რომელთა მოსაზრებები და შეხედულებები შესაძლოა ყურადღებამისაქცევი და გასათვალისწინებელი იყოს.

გუნდურ სამუშაო გარემოში, როგორც წესი ექსტროვერტი მეტად პროდუქტიულია; ისინი ორგანიზაციებს წარმატებულად ისეთ პოზიციებზე წარმოაჩენენ, რომლისთვისაც „ქსელური ურთიერთობებია დამახასიათებელი“. ექსტროვერტები მეტწილად შინაგან სტრესსაც ადვილად უმკლავდებიან და კომუნიკაბელური და მეგობრული თვისებებიდან გამომდინარე, გუნდის შიგნით წარმოქმნილ სტრესულ სიტუაციასაც მარტივად განმუხტავენ ხოლმე.

✓ მეორე - გულისხმიერება (Agreeableness)

აღნიშნული მახასიათებელი აღწერს, თუ რამდენად მზრუნველი და გულისხმიერია ადამიანი სხვების მიმართ; რამდენად და სადამდე ვრცელდება მისი ემოციური გრძნობები და დამოკიდებულებები. გულისხმიერი პიროვნების ძირითად თვისებურებებს წარმოადგენს:

- მზრუნველობა და თანადგომა/გახსნილი და მზრუნველია; თუ ამ პიროვნული თვისებების მქონე მენეჯერს შევხედავთ, ის ყოველთვის ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის და მზადაა, მოუსმინოს მათ. ის არა მხოლოდ სამუშაოს შესრულებაზე ზრუნავს, არამედ თვალ-ყურს ადევნებს, თანამშრომლების ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. მისთვის დამახასიათებელია, პოზიტიური განწყობა, დახმარება, მტკიცე თანაგრძნობა და ქმედითი თანადგომა/მხარდაჭერა ადამიანების მიმართ;

- კონფლიქტების მართვა, მათი განმუხტვა - ასეთი მახასიათებლის მქონე პიროვნებები პრაგმატულებიც არიან და რთული მდგომარეობიდან სწრაფად და მინიმალური ფსიქოლოგიური დანახარჯის გარეშე პოულობენ გამოსავალს. მათთვის უმნიშვნელოვანესი, მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობებია;


- სხვისი პოზიციის გათვალისწინება - ისინი საკითხების შეფასებას სხვისი პოზიციებიდან ცდილობენ, და ამ გზით მათი ინტერესებისა და საკუთარი პოზიციების დაახლოებას უზრუნველყოფენ.

გულისხმიერი პიროვნების გამოკვეთილ დადებით მხარეს წარმოადგენს: ჰარმონიული, პოზოტიური და სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარი; კონფლიქტური სიტუაციებიდან მარტივად გამოსვლის შესაძლებლობა; გუნდური სულისკვეთების შენარჩუნება და მზრუნველობა. მათი სუსტი მხარეებიდან აღსანიშნავია: თანხმობისთვის მზაობა - ადამიანის მიდრეკილება სხვებს დაემორჩილოს. ისინი თანამშრომლობისთვის მზად არიან და სიტბოს და ნდობას გამოხატავენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი ადამიანები, ხშირად, სხვებზე დამოკიდებულნი ხდებიან (მაგალითად სამსახურში ხელმძღვანელებზე); სხვების პოზიციების გათვალისწინება, ხშირად, მათში საკუთარი პოზიციისა და ინტერესის ერთგვარ დაკნინებას იწვევს. მათ, არ ახასიათებთ საკუთარი მოსაზრებების წინ წამოწევა და დაცვა, შესაბამისად მათგან სიახლეების მოსმენაც იშვიათადაა შესაძლებელი.

სამუშაო გარემოში გულისხმიერი ადამიანები, მკაფიო, თუმცა დამამშვიდებელ ენაზე საუბრობენ; მათი კომუნიკაცია ემპათიურია და ეფექტურად აღიქვამენ თანამშრომლების ხასიათს. ასეთი მენეჯერები, მუდმივად მუშობენ დაქვემდებარებულთა უნარების

მაქსიმალურად გამოვლენაზე. გულისხმიერი მენეჯერი აცნობიერებს, რომ ყველა თანამშრომელს განსხვავებული საჭიროებები და ძალები აქვს და მკაცრად იცავს მათთან ინდივიდუალურ მიდგომებს.

მათ გულწრფელი მხარდაჭერა და მოტივაცია შეუძლიათ. გულისხმიერი მენეჯერი ხშირად აქებს თანამშრომლებს და აღიარებს მათ მონდომებასა და შედეგებს, აშენებს გუნდურ ურთიერთობებს და თანამშრომლებს მოტივაციისა და პირადი მაგალითის მიცემით, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში ეხმარება. მენეჯერი, რომელიც ემპათიურია, ყოველთვის მზადაა გაუგოს და ახსნას. მან კარგად იცის, ადამიანების ცხოვრებაში რთული პერიოდების მნიშვნელობა და ცდილობს, გუნდის თითოეულ წევრს მაქსიმალურად დაეხმაროს ე.წ. „შავ ზოლზე“ გადაბიჯებაში.



თვალსაჩინოება: დიდი ხუთიანის მოდელი

✓ მესამე - კეთილსინდისიერება (Conscientiousness)

აღნიშნული პიროვნული მახასიათებელი, დიდწილად ადამიანის პასუხისმგებლობის ხარისხის განმსაზღვრელია. კეთილსინდისიერება, საქმის ორგანიზაციასა და მიზნის მიღწევაში სანდოობის საზომია. ეს პიროვნული თვისება, ადამიანის სამსახურეობრივ და პირად ცხოვრებაში, სტაბილურ და მყარ საფუძვლებს ქმნის. მის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს:

- პასუხისმგებლობა - კეთილსინდისიერების მაღალი გრძნობა, ადამიანებს, მოვალეობის პირნათლად შესრულებას აიძულებს;
- ორგანიზებულობა - ახასიათებთ ორგანიზებულობის მაღალი დონე, ადგენენ და მიჰყვებიან კონკრეტულ გეგმებს და დროსა და სივრცეში, პროცესების კონტროლის მაღალი უნარი აქვთ;
- მიზანზე ორიენტირება - მკაფიო მიზნები აქვთ და მიღწევის პროცესში, მეტად გაუმჯობესებას ცდილობენ;
- სიზუსტე საქმიანობაში - ყურადღებას დეტალებს აქცევენ, აკურატულები არიან და როგორც წესი მაღალი სიზუსტით/ხარისხით მუშაობენ;
- დისციპლინა - თვითდისციპლინის მაღალი დონით გამოირჩევიან, მეგობრულები არიან და ცდილობენ, სისტემურ მიდგომას რთული გამოწვევების დროსაც არ გადაუხვიონ.

კეთილსინდისიერი ადამიანების დადებით მხარეს წარმოადგენს: მაღალი პროდუქტიულობა და სამუშაო ეთიკა - სტაბილურად მაღალი ხარისხით შესრულებული სამუშაო, ხოლო უარყოფით მხარეებად მიიჩნევა: მორჩილების სინდრომით გამოწვეული თავისუფლებისა და პიროვნული თვითშეზღუდვა; ნაკლებად სტრესამტანობა მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება

გეგმის და დასახული მიზნების შესრულება, ან შესრულების ხარისხი არასათანადოა.

როგორც აღვნიშნეთ, კეთილსინდისიერ ადამიანებს განსაკუთრებით კარგად გამოსდით, სამუშაო პროცესებისა და ხარისხის დეტალური კონტროლი. ასევე აღსანიშნავია, საქმიანობების მაღალ დონეზე დაგეგმვისა (მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე) და გუნდური პროდუქტიულობის ზრდის უნარი. მათ, თვითდისციპლინის მაღალი დონიდან გამომდინარე, დროზე ადრე შეუძლიათ სამუშაოების შესრულება.

✓ მეოთხე - გამოცდილებისადმი ღიაობა (Openness to experience)

სიახლისაკენ სწრაფვა, ავტორიტეტების იგნორირება, ინტერესთა მრავალფეროვნება, შემოქმედებითობა, ცნობისმოყვარეობა, ხელოვნების აღქმის უნარი, - ეს ამ კატეგორიის ადამიანების მახასიათებლებია.

- შემოქმედებითობა - სიახლეებისადმი ღიაობა ხელს უწყობს შემოქმედებითობას, ახალი მოსაზრებების, იდეების წარმოქმნას და ჩამოყალიბებას;

- ცნობისმოყვარეობა - ახალი სფეროებით დაინტერესება, უცხო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მნიშვნელოვნად ზრდის პიროვნების ინტელექტუალურ და პროფესიულ შესაძლებლობებს;

- მრავალმხრივი განვითარება - როგორც წესი, ასეთ ადამიანებს მოსწონთ ახალი კულტურების, გარემოებების, ადამიანების, სფეროების და მიმართულებების აღმოჩენა;

- ცვლილებების მიმდებლობა - მზად არიან ცვლილებებისთვის, რეორგანიზაციისთვის და რესტრუქტურულიზაციისთვის და ადვილად ადაპტირდებიან განსხვავებული ხელმძღვანელობის, მიდგომებისა და თანამშრომლობის პროცესში;

- ფანტაზიის უნარი - ახასიათებთ წარმოსახვითი და აბსტრაქტული აზროვნება.

გამოცდილებისადმი ღიაობით გამორჩეული თანამშრომლების დადებით მხარედ, ითვლება: შემოქმედების უნარი და მრავალფეროვნება, აბსტრაქტული აზროვნება და სიახლეებისადმი ღიაობა. რაც შეეხება მათ უარყოფთ მხარეს - ერთგვაროვან და ერთფეროვან გარემოში მელანქოლიურები ხდებიან და სამუშაო პროცესის ნაყოფიერად გაგრძელებითვის ნებისყოფა სჭირდებათ. ისინი მეოცნებეები და ნაკლებად პრაგმატულები არიან.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი თვისებების მქონე ადამიანებს უადვილდებათ ურთიერთობები, ახასიათებთ მრავალმხრივი გამოცდილება და პროფესიული მრავალფეროვნება; მოსწონთ სოციალური აქტივობები, არიან შემოქმედებითები და ზომიერად ემოციურები.

✓ მეხუთე - მერყეობა/ნეიროტიზმი (Neuroticism)

მერყევი ადამიანები, როგორც წესი ემოციური არასტაბილურობით ხასიათდებიან, გააჩნიათ უარყოფითი ემოციები, შინაგანი შფოთი. მაღალი ნეიროტიზმის მქონე ადამიანებს ახასიათებთ:

- უარყოფითი ემოციები - მათ, როგორც წესი ახასიათებთ უარყოფითი ემოციები, შფოთვა, წყენა, სიბრაზე; ხშირად დამაბულები არიან და დეპრესიული პერიოდები აქვთ;

- მომატებული მგრძნობელობა - ნეიროტისტები, განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან სტრესულ გარემოში, რაც მათ ემოციურ რეაგირებაშიც გამოიხატება;

- ემოციური არასტაბილურობა და შიშები - ამ პიროვნული მახასიათებლის მქონე ადამიანებს, უჭირთ ემოციების კონტროლი, რადგან ემოციური ინტელექტის დეფიციტი მათ ხასიათს მერყეობას სძენს.

დადებით მხარედ რომელიმე თვისების აღიარება საკმაოდ რთულია; დაბალი ნეიროტიზმის შემთხვევაში ადამიანები შედარებით თავდაჯერებულები არიან და სიმშვიდითა და ოპტიმიზმით ხასიათდებიან. უარყოფითი მხარე: მაღალი ნეიროტიზმის დროს პირიქით, მაღალია შფოთვის დონე, სჭარბობს პესიმიზმი და უარყოფითი ემოციური მღელვარება.

აღსანიშნავია, რომ ნეიროტიზმის მაღალ დონეს, უარყოფითი გავლენა აქვს ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, რაც სამუშაო ურთიერთობებში კოლეგებთან

და შესრულებული სამუშაოს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე აისახება. ასეთ თანამშრომლებს ესაჭიროებათ პირველ რიგში ფსიქოლოგიური თანადგომა და დახმარება. მაღალი ნეიროტიზმის დამლევს შემდეგ, ისინი გაცილებით თავდაჯერებულები, ხალისიანები და პროდუქტიულები ხდებიან.¹

ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა, როგორ ყალიბდება პიროვნების ძირითადი მახასიათებლები? რა ახდენს გავლენას მათ ჩამოყალიბებაზე და ცვალებადია თუ არა აღნიშნული მახასიათებლები? მრავალი კვლევის შედეგებით პიროვნების ძირითადი მახასიათებლების ჩამოყალიბებაში მონაწილეობს ორი ძირითადი ფაქტორი, ესენია:

- გენეტიკა და
- გარემო

აღნიშნული ორი ფაქტორი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და პიროვნების აზროვნების, ემოციური განწყობების და ქცევის განმსაზღვრელია.

1. გენეტიკა, იგივე რაც გენი:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გენეტიკა თანდაყოლილია და თითოეული ადამიანი უნიკალური გენის მატარებელია. გენეტიკა არსებით როლს თამაშობს ადამიანის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში, იგი განსაზღვრავს მის ბიოლოგიურ და „შინაგან სამყაროს“, მის ისეთ პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა:

1.1 ტემპერამენტი - როგორც ინტელექტია ადამიანის აზროვნების საფუძველი და განმსაზღვრელი, ასევე წარმოადგენს ტემპერამენტი, ინდივიდების ემოციური ცხოვრების საფუძველს. ეს არის ადამიანის ბუნებრივი ქცევითი და ემოციური მახასიათებელი, რომელიც ასახავს თუ, როგორ ახდენს პიროვნება ზოგად გარემოსა და ურთიერთობებზე რეაგირებას. ადამიანის ტემპერამენტი მცირე ასაკშივე ვლინდება და როგორც წესი სტაბილურად ნარჩუნდება ცხოვრების მანძილზე, თუმცა გარემო ცვალებადია და დროთა განმავლობაში ადამიანი აგროვებს გამოცდილებებს, იძენს ძირითად ღირებულებებსა და ფასეულობებს რაც მას ტემპერამენტის მართვასა და ცვლილებებში ეხმარება.

ტემპერამენტს, როგორც წესი ახასიათებს:

- აქტიურობის დონე - ზოგიერთი ადამიანი მშვიდია, ზოგი მოუსვენარი და ენერგიული;
- რეგულარობა - რამდენად თანმიმდევრულია ადამიანი და რამდენად სტაბილურია მისი ყოველდღიური რეჟიმი - კვების სიხშირე, დასვენება, ძილი და სამუშაო;
- ადაპტაცია - რამდენად მარტივად და სწრაფად ეგუება ადამიანი ცვლილებებს და სიახლეებს;
- მგრძნობელობა - რამდენად მგრძნობიარეა ადამიანი ტემპერატურაზე, სინათლეზე, ხმაურზე;
- ემოციურობა - რამდენად ხშირად და მძაფრად გამოხატავს ადამიანი სიხარულს, გაბრაზებას, წყენასა თუ ბედნიერებას;
- რეაგირება - რამდენად დადებითად, ან უარყოფითად რეაგირებს ადამიანი ახალ სიტუაციებზე, ადამიანებზე, მოვლენებსა და პროცესებზე;

რათქმაუნდა ტემპერამენტის დონეები განსხვავებულია და ცვალებადია გარემოსა და კონკრეტული ინდივიდის გამოცდილებიდან გამომდინარე. ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების ქცევებზე, სტრესთან გამკლავებასა და სიტუაციურ გამოწვევებზე. ტემპერამენტის მართვა ან, კორექტირება, მთელი ცხოვრების მანძილზეა საჭირო.

1.2 ინტელექტი, იგივე რაც ჭკუა - ეს არის პიროვნების კოგნიტური შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, მეხსიერების, შემოქმედობითობის, სწავლის, ინფორმაციის ათვისების, შემეცნების უნარებით გამოი-

1 Jeronimus BF, Ormel J, Aleman A, Penninx BW, Riese H., „[Negative and positive life events are associated with small but lasting change in neuroticism](#)“. *Psychological Medicine*. 43 11): 2403–15, November 2013.

ხატება. საყურადღებოა, რომ ინტელექტი არ არის მხოლოდ აკადემიური საზომი, ის მოიცავს პრაქტიკულ და ემოციურ ინტელექტსაც. ინტელექტი აერთიანებს ისეთ ძირითად განსაღვრებებს, როგორიცაა:

- ლოგიკური აზროვნება - ანალიტიკური აზროვნება, სირთულეების გადალახვის გზების ძიება;
- მეხსიერება - ინფორმაცია, სიახლეების დამახსოვრება და მისი გამოყენების უნარი;
- შემოქმედობითობა - სიახლეების მიგნებისა და მისი გამოყენების უნარი;
- სოციალური ინტელექტი - უნარი, რომლითაც ადამიანს შეუძლია გარშემომყოფთა ემოციებისა და ქცევების გაგება;
- ემოციური ინტელექტი - ადამიანის უნარი მართოს საკუთარი ემოციები, განწყობები და გარშემომყოფთა მიმართ ჰქონდეს ემპათია;
- პრაქტიკული ინტელექტი - პიროვნების უნარი, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და მოძებნოს მისი პრაქტიკული დანიშნულება.

გენეტიკა, ადამიანის ინტელექტის ჩამოყალიბებაზეც არსებით გავლენას ახდენს. თანამედროვე კვლევების მიხედვით, პიროვნების ინტელექტის 50-80%-ი გენეტიკითაა განპირობებული. ინტელექტის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, დიდ როლს ასრულებს გარემო, - ოჯახი, სამსახური, საზოგადოებრივი კულტურა, განათლება, გამოცდილება, კითხვა, ახალი უნარების შეძენა-გამომუშავება და სწავლა. გასათვალისწინებელია, პიროვნების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობაც, რომელიც ასევე, არსებით გავლენას ახდენს ინტელექტის განვითარებაზე; შესაბამისად, სიახლეების გაცნობა, ფიზიკური ვარჯიში და ხელოვნებასთან ზიარება მნიშვნელოვანი საზრდოა ინტელექტისთვის. ადამიანის ინტელექტი არ არის მხოლოდ აკადემიური ცოდნის საზომი, ის მოიცავს მის ემოციურ და პრაქტიკულ უნარებსაც. როგორც ტემპერამენტს, ასევე ინტელექტს ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში ავითარებს.²

1.3 ფსიქიკა, ფსიქიკური მიდრეკილებები - ეს არის ადამიანის უნარი განიცადოს სხვადასვა ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, როგორიცაა დეპრესია, შიზოფრენია, შფოთი, ან ბიპოლარული აშლილობები. ამგვარი ფსიქიკური მიდრეკილებები გენეტიკით და გარემო ფაქტორებითაა განპირობებული. ფსიქიკური არამდგრადობის და აშლილობების მაგალითებია:

- დეპრესია - რომელიც გამოიხატება ხანგრძლივ სევდით, ზოგადი ინტერესის დაკარგვით, უენერგიოობითა და უხალისობით;
- შიზოფრენია - ეს არის ჰალუცინაციები, დელუზიები და ჯანსაღი აზროვნების რღვევა;
- ბიპოლარული აშლილობა - განწყობის მკვეთრი ცვლილება, დეპრესია და სხვადასხვა მანიები და ფობიები;
- შფოთვითი აშლილობა - გამოხატავს ადამიანის გადაჭარბებულ შიშებს (მაგალითად თვითმფრინავით მგზავრობის მიმართ), ასევე ურთიერთობებში შექმნილ მკვეთრ სირთულეებს;
- პოსტ-ტრავმული აშლილობები - შეიძლება განვითარდეს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმის შემდგომ.

ფსიქიკური პრობლემები ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ გენეტიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური ან გარემოებითი ფაქტორებიდან გამომდინარე. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ფსიქოლოგიური ფაქტორები ვერ იცვლება და საჭიროა სწორი, ჯანსაღი ცხოვრების წესითა და პროფესიონალური თანადგომით მოხდეს ხელშეწყობა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ფსიქოლოგიური და სომატური საფრთხეები. პიროვნულ თუ ორგანიზაციულ კრილში შედეგიანია ფსიქოლოგიური მხარდაჭრა - ე.წ. კონსულტაციები და ფსიქოთერაპია;

2 T. Dwan, T.Ownsworth, „The Big Five personality factors and psychological well-being following stroke: a systematic review“. Disability and Rehabilitation. 41 (10): 1119–30. 2019.

ჯანსაღი ცხოვრების წესი - სწორი და სისტემატური ვარჯიშები, სწორი კვება და ძილი; სოციალური მხარდაჭერა - ასეთ დროს ადამიანმა უაღრესად მნიშვნელოვანია ოჯახის წევრების, მეგობრებისა და კოლეგების მხრიდან ემოციური და ქმედითი მხარდაჭერა იგრძნოს; სტრესის მართვა - დიდწილად მომდინარეობს პიროვნების მიერ თვითორწმენის გაძლიერებით, დროის სწორად მართვით, რელაქსაციით; და ბოლოს პროფესიონალური დახმარება - ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის დახმარება.

ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ კარგი და წარმატებული მენეჯერი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ორგანიზაციის ფსიქოლოგიური ასპექტების ცოდნის აუცილებლობას.

2. გარემო

გარემოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები, ის მნიშვნელოვანი პირობებია, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, - აზროვნების, ფსიქიკისა და ქცევის გათვალისწინებით. მის (გარემოს) მიმართ შესაძლოა გვექონდეს დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, რაც ინდივიდის განწყობასა და ქცევაზე აისახება. არსებობს შემდეგი გარემოებები:

2.1 ფიზიკური გარემო - მასში იგულისხმება გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და ხარისხი, ურბანული/ხმაურიანი, ან სასოფლო-სამეურნეო/მშვიდი საცხოვრებელი პირობები, სისუფთავე და უსაფრთხოება, ასევე მნიშვნელოვანია; ეკოლოგიური ფაქტორები, - ჰაერის და წყლის სისუფთავე/დაბინძურება, მწვანე/რეკრეაციული სივრცეები და ა.შ;

2.2 სოციალური გარემო - მოიცავს ოჯახს, მასში არსებულ და გაზიარებულ ღირებულებებსა და ფასეულობებს, მშობლების აღზრდის მეთოდებს, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებს; ინდივიდის სოციალური საკუთრებაა მეგობრები, თანატოლები, ახლობლები - მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებები და ღირებულებეთა სისტემა. სოციალური გარემოა საზოგადოება, რომელშიც ინდივიდი იზრდება და ყალიბდება, სადაც მნიშვნელოვანია ის ძირითადი ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები და ნორმები, რომელიც ამ საზოგადოებამ აღიარა.

2.3 კულტურული გარემო - მოიცავს ისეთ ფუნდამენტურ ფაქტორებს, როგორიცაა: კულტურული ღირებულებები - რელიგია, ტრადიციები, საყოველთაოდ აღიარებული მორალური ნორმები; განათლება, - განსაკუთრებით სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების გარემო, სასწავლო პროგრამები და მათი შინაარსი, პედაგოგებისა და ლექტორების როლი და მათ მიერ მიწოდებული, როგორც სასწავლო, ასევე ღირებულებითი სახის ინფორმაცია; არსებული მედია და ტექნოლოგიური გარემო - მედია განწყობები, ტექნოლოგიური განვითარების დონე, სოციალური ქსელები;

2.4 ეკონომიკური გარემო - მოიცავს ფინანსურ მდგრადობას, შემოსავლების დონესა და სტაბილურობას, სიმდიდრისა და სიღარიბის თანაფარდობას არსებულ გარემოში; სამუშაო გარემოს, - ხელმძღვანელებთან და კოლეგებთან ურთიერთობის დონეს, ორგანიზაციაში არსებულ ღირებულებებს, სტრესის დონეს; ეკონომიკური პოლიტიკა, - სახელმწიფოში მიმდინარე ეკონომიკური მოქმედებები, სოციალური დახმარებები.

როგორც აღვნიშნეთ, გარემოსთვის დამახასიათებელი ფაქტორები არსებით გავლენას ახდენს ინდივიდებზე და მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების დონეზე. დადებითი, ჯანსაღი გარემო ხელს უწყობს ემოციურად მდგრადი, მაღალი თვითშეფასებისა და წარმატებული ადამიანების ჩამოყალიბებას. უარყოფითი გარემო კი ამძაფრებს სტრესის დონეს, ფსიქიკურ აშლილობებსა და ფსიქო-ემოციურ ტრავმებს. შესაბამისად, გარემო ფაქტორები მნიშვნელოვნად მოქმედებს ადამიანების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე. ზოგადი განათლების მაღალი დონე ხელს უწყობს ინტელექტუალურ განვითარებას, დაბალი კი აფერხებს მათი კოგნიტური უნარების გაფართოვებას.

გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდების ჩამოყალიბებაში, თუმცა, ის ყოველთვის ურთიერთქმედებს ზემოთ განხილულ გენეტიკურ ფაქტორებთან. გენეტიკურად მგრძნობიარე ადამიანები, უფრო მეტად ითრგუნებიან უარყოფით გარემოში, ხოლო ჯანსაღ გარემოში, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს წარმოაჩენენ.

ამგვარად, ორგანიზაციებში ჯანსაღი გარემოს შექმნა თანამშრომლებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენაში ეხმარება; არაჯანსაღი გარემო კი მათთვის დამთრგუნველი ხდება და პირდაპირ პროპორციულად აისახება ნაკლებ პროდუქტიულობაში. არაჯანსაღი ორგანიზაციული გარემო შესაძლოა ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ფსიქოგიური და ფიზიკური ტრავმების მიზეზიც გახდეს.

დასკვნა

„დიდი ხუთიანის მოდელი“ ეფუძნება მეცნიერულ კვლევებს და დადასტურებულად წარმოადგენს პიროვნების შეფასების ქმედით ინსტრუმენტს. მისი გამოყენება რეკომენდირებულია, ორგანიზაციებში თანამშრომლების კარიერული ზრდა-განვითარების ეფექტურად დასაგეგმად და არსებული ვაკანტური პოზიციების, შესაბამისი კადრებით უზრუნველსაყოფად.

მოდელი გამოიყენება პიროვნული თვისებების შესწავლისა და შეფასებისთვის სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით ფსიქოლოგიაში, მენეჯმენტში, განათლებასა და ადამიანური რესურსების მართვაში. მას მრავალი კომპანია იყენებს თანამშრომლების შერჩევისა და მართვის პროცესში. მაგალითად, გუნდურობა (Conscientiousness) ხშირად ასოცირდება პროდუქტიულობასთან და მაღალი პასუხისმგებლობის უნართან, რაც სასურველია სამუშაოს თითქმის ყველა ტიპისთვის. ექსტრავერსია შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს გაყიდვებისა და მენეჯმენტური პოზიციებისთვის, სადაც კომუნიკაცია და ლიდერობა აუცილებელია.

თანამედროვე ტექნოლოგიებში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა მეცნიერება, დიდი ხუთეულის მოდელი გამოიყენება მომხმარებელთა ქცევის პროგნოზირებისთვის. სოციალური მედია და რეკლამის ალგორითმები ხშირად აფასებენ მომხმარებელთა პიროვნულ მახასიათებლებს, რათა უკეთ შეუსაბამონ რეკლამები და კონტენტი.

პიროვნული თვისებების კონტექსტში გენეტიკისა და გარემოს ძირითადი საკითხების გაანალიზება, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ორგანიზაციის მმართველ რგოლს, სიღრმისეულად გაითავისონ თანამშრომელთა ქცევა, დამოკიდებულებები და განცდები, რაც მათ ჯანსაღი სამუშაო გარემოს სწორად ფორმირებაში და პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში დაეხმარება. როგორც აღვნიშნეთ, პიროვნების მახასიათებლები განისაზღვრება, როგორც გენეტიკური, ისე გარემო ფაქტორების ურთიერთქმედებით. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ფაქტორი დომინანტური არ არის, მათი კომბინაცია დინამიური პროცესია, რომელშიც თითოეული, უნიკალური პიროვნება ყალიბდება.

ბიბლიოგრაფია

- სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯი. „ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები“; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009
- ს. რობინსი, მ. კოულტერი „მენეჯმენტი“, მე-14 გამოცემა, Pearson/Prentice Hall, 2018 წელი, ქართულ ენაზე
- შალვა კვეზერელი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“; რიდერი; დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია; სალექციო კურსი 2015
- Goldberg LR, Johnson JA, Eber HW, Hogan R, Ashton MC, Cloninger CR, Gough HG (February 2006). „The international personality item pool and the future of public-domain personality measures“. Journal of Research in Personality.
- Jeronimus BF, Ormel J, Aleman A, Penninx BW, Riese H (November 2013). [„Negative and positive life events are associated with small but lasting change in neuroticism“](#). Psychological Medicine.
- Dwan T, Ownsworth T (2019). „The Big Five personality factors and psychological well-being following stroke: a systematic review“. Disability and Rehabilitation.
- Musek, Janek (2017). The General Factor of Personality. London: Academic Press.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამხედრო დანიშნულებით

ლაშა ნოზაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ინფორმატიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი,
ინფორმატიკის დოქტორი

ლევან ჭოლიკიძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
ინფორმატიკის დოქტორი

აბსტრაქტი

ხელოვნური ინტელექტი რევოლუციას ახდენს სამხედრო სფეროში, გარდაქმნის ომის წარმოების სტრატეგიებსა და ტაქტიკას, ოპტიმიზაციას უწევს სამხედრო პროცესებს და წარმოქმნის ახალ ეთიკურ და სამართლებრივ დილემებს. თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მრავალმხრივია და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა უპილოტო საფრენი აპარატები (უსა), ავტონომიური იარაღის სისტემები, კიბერუსაფრთხოება, ლოგისტიკა, სამხედრო დაზვერვა, მონაცემთა ანალიზი, პერსონალის მომზადებას და სხვა. წინამდებარე სტატიაში განხილულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამხედრო სფეროში მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. გამოტანილია დასკვნები, რამაც შესაძლოა მკითხველი დააფიქროს ამ მეტად აქტუალურ და საჭირობო საკითხზე, რომელიც არა შორეული მომავალი ან ხვალის დღეა არამედ სწორედამ რომ დღევანდელია.

ბოლოდროინდელმა სამხედრო მოქმედებებმა აჩვენა, რომ უპილოტო საფრენი აპარატები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამხედრო ძალების ეფექტურობას, უზრუნველყოფს მაღალი სიზუსტის და რეალური დროის სადაზვერვო მონაცემებს, ზრდის მოქმედების მანევრულობას და ამცირებს ცოცხალი ძალის დაკარგვის რისკს. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია უპილოტო საფრენ აპარატებში აუმჯობესებს ნავიგაციას, სამიზნეების ამოცნობას და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც მტრის პოზიციების სწრაფ იდენტიფიკაციას და რეაგირებას უწყობს ხელს.

ავტონომიური იარაღის სისტემები ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე საკმათო მიმართულებაა. მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად იდენტიფიცირება, სამიზნის არჩევა და განადგურება ადამიანის ჩარევის გარეშე, რაც ახალ გამოწვევებს უქმნის საერთაშორისო სამართალსა და სამხედრო ეთიკას. უპასუხისმგებლო ან არასწორი გამოყენების შემთხვევაში, ასეთმა სისტემებმა შესაძლოა გამოიწვიოს მასობრივი და უკონტროლო განადგურება, შედეგად და საფრთხე შეუქმნას არაკომბადანტ ობიექტებს და ზოგადად მშვიდობიან მოსახლეობას.

ხელოვნური ინტელექტის როლი კიბერუსაფრთხოებაშიც მზარდია, რადგან ის ხელს უწყობს როგორც თავდაცვით, ასევე შეტევით ოპერაციებს. მას შეუძლია კიბერშეტევების

იდენტიფიკაცია და განეიტრალება, უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერება და ქსელური სისტემების მონიტორინგი რეალურ დროში. ამასთან, ხელოვნური ინტელექტი გამოყენებული შეიძლება იყოს მავნე კოდების შემუშავებისა და დახვეწილი კიბერშეტევების განსახორციელებლად, რაც ციფრულ ომს ახალ საფეხურზე გადაიყვანს.

ხელოვნური ინტელექტის დანერგვა სამხედრო ლოგისტიკაში ამცირებს ხარჯებს და ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას. მისი მეშვეობით შესაძლებელია ოპტიმიზებული მარაგების ოპტიმალურად მართვა, ტრანსპორტირების და ტექნიკური მომსახურების პროგნოზირება, ძირითადი და სათადარიგო მომარაგების მარშრუტების დაგეგმვა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საბრძოლო მზადყოფნას. სამხედრო დაზვერვის სფეროში ხელოვნურ ინტელექტს

შეუძლია მონაცემთა დიდი მასშტაბით დამუშავება, საფრთხეების იდენტიფიკაცია და ოპერატიული გარემოს ანალიზი, რაც სწრაფ და ზუსტ გადაწყვეტილებებს უზრუნველყოფს. იგი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამხედრო პერსონალის მომზადებაში. ვირტუალური ანდა გაძლიერებული რეალობის (augmented reality) და ხელოვნური ინტელექტის კომბინაცია ქმნის რეალისტურ სასწავლო სცენარებს, რომლებიც უკეთ ამზადებს სამხედრო პერსონალს რეალური საბრძოლო ოპერაციებისთვის. ამასთან, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ხელი შეუწყოს ახალი სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებას, როგორცაა უპილოტო წყალქვეშა ნავები, რობოტიზებული საბრძოლო პლატფორმები და მოწინავე სამიზნე-სამძებრო სისტემები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტის ფართომასშტაბიანი გამოყენება სამხედრო სფეროში ახალ ეთიკურ და სამართლებრივ გამოწვევებს ქმნის. შეიარაღების ავტონომიური სისტემების პასუხისმგებლობის განსაზღვრა, სამოქალაქო ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციების შემუშავება აუცილებელია იმისთვის, რომ ხელოვნური ინტელექტის სამხედრო გამოყენება იყოს რეგულირებული და პასუხისმგებლიანი. საერთაშორისო თანამეგობრობა და რიგი ორგანიზაციები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა შეიქმნას ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკურ-სამართლებრივი ჩარჩოები და უზრუნველყოფილი იყოს მისი კონტროლი სამხედრო ოპერაციებში გამოყენების პირობებში. ამისათვის, დღემდე ჩატარდა არაერთი საერთაშორისო დონის შეხვედრა, რაც მიზნად ისახავდა სწორედ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების რეგულაციებს და მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტის როლი სამხედრო სფეროში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ ტექნოლოგიების პასუხისმგებლიანი გამოყენება და რეგულაცია გადამწყვეტი ფაქტორია გლობალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ მის ტექნიკურ პოტენციალზე, არამედ მის ეთიკურ, სამართლებრივ და უსაფრთხოების ასპექტებზე.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები, უპილოტო საფრენი აპარატები, ავტონომიური იარაღის სისტემები, კიბერუსაფრთხოება, ლოგისტიკა, სამხედრო დაზვერვა, სამხედრო პერსონალის მომზადება, სამხედრო ტექნიკა, ეთიკა, სამართალი.

THE USE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE FOR MILITARY PURPOSES

Lasha Nozadze

Assistant-Professor, Bachelor's program in Informatics,
LEPL-David Agmashenebeli Georgian National Defense Academy
Doctor of Informatics

Levan Cholikidze

Associate Professor, Bachelor's Degree in Informatics,
LEPL-David Agmashenebeli Georgian National Defense Academy

Abstract

Artificial Intelligence is revolutionizing the military sector, transforming warfare strategies and tactics, optimizing military processes, and raising new ethical and legal dilemmas. The application of artificial intelligence in modern military operations is diverse, encompassing areas such as unmanned aerial vehicles (UAVs), autonomous weapons systems, cybersecurity, logistics, military intelligence, data analysis, personnel training, and more. This article examines the use of artificial intelligence in the military fields, highlighting both its advantages and disadvantages. Conclusions are drawn to encourage readers to reflect on this highly relevant and pressing issue, which is not a distant future or even tomorrow but rather today's reality.

Recent military conflicts have demonstrated that unmanned aerial vehicles significantly enhance the effectiveness of military forces, providing high-precision and real-time intelligence, increasing operational maneuverability, and reducing the risk of human casualties. The integration of artificial intelligence into UAVs improves navigation, target identification, and operational decision-making, facilitating the rapid identification and response to enemy positions.

Autonomous weapons systems represent one of the most controversial applications of artificial intelligence. These systems can independently identify, select, and eliminate targets without human intervention, posing new challenges to international law and military ethics. If used irresponsibly or incorrectly, such systems could lead to mass and uncontrolled destruction, endangering non-combatant entities and civilian populations.

Artificial intelligence also plays a growing role in cybersecurity, supporting both defensive and offensive operations. It can detect and neutralize cyberattacks, strengthen security policies, and monitor network systems in real time. At the same time, artificial intelligence can be exploited to develop malicious software and conduct sophisticated cyberattacks, escalating digital warfare to a new level.

The implementation of artificial intelligence in military logistics reduces costs and increases operational efficiency. It enables optimized inventory management, predictive maintenance, and strategic planning of supply routes, significantly improving combat readiness. In the field of military intelligence, AI can process vast amounts of data, identify threats, and analyze the operational environment, ensuring swift and accurate decision-making. Additionally, AI plays a crucial role in military personnel training.

It is essential to emphasize that the widespread use of artificial intelligence in the military sector presents new ethical and legal challenges. Defining accountability for autonomous weapons systems, ensuring the protection of civilian infrastructure, and developing international legal regulations are necessary to ensure that the military application of AI is regulated and responsible. The international community and various organizations are actively working to establish ethical and legal frameworks for AI usage and to maintain control over its military applications. Numerous international meetings have been held to discuss AI regulations and the necessity of close cooperation.

Ultimately, the role of artificial intelligence in the military field is becoming increasingly significant. The responsible use and regulation of these technologies are crucial for global security and stability. As artificial intelligence continues to evolve, it is essential to focus not only on its technical potential but also on its ethical, legal, and security implications.

Keywords: Artificial intelligence, modern military technologies, unmanned aerial vehicles, autonomous weapons systems, cybersecurity, logistics, military intelligence, military personnel training, military technology, ethics, law.

შესავალი

აღნიშნული სტატიის მიზანია სამხედრო სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიმდინარე ტენდენციების კვლევა და სამომავლო პროგნოზის გაკეთება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც სამხედრო და ზოგადად უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის - მათთვის ვინც დაინტერესებულია გაეცნოს ამ, მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ XXI საუკუნეში ტექნოლოგიები უპრეცედენტო ტემპით ვითარდება. პროგრესი განსაკუთრებით შესამჩნევია ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით. ჯერ ერთი დეკადა არ გასულა, რაც ხელოვნური ინტელექტის ე.წ. გენერაციული პლატფორმები - GPT (Generative Pre-trained Transformer) მოდელები ფართო საზოგადოებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, რამაც ადამიანების, სახელმწიფოს თუ ორგანიზაციის ყოველდღიურობა შეცვალა. ამ მოვლენას არც სამხედრო სფეროსთვის ჩაუვლია უკვალოდ. უნდა აღვნიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტი უკვე აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სამხედრო ოპერაციების გასაუმჯობესებლად, ეფექტურობის გასაზრდელად და ცოცხალი ძალის დაკარგვის რისკის შესამცირებლად.

ძირითად ნაწილში, უშუალოდ ხელოვნური ინტელექტის სამხედრო მიმართულებით გამოყენების ჩაღრმავებამდე, რამდენიმე სიტყვით შევხებით მის არსს და ისტორიას. ხელოვნური ინტელექტი ფაქტიურად ადამიანის ინტელექტუალური უნარების (სწავლა, გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების გადაჭრა, მეტყველების და გამოსახულების ამოცნობა და სხვა) იმიტაციაა კომპიუტერული სისტემების მიერ. ხელოვნური ინტელექტის ისტორია საკმაოდ ვრცელი და საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ მისი, როგორც ცალკე დარგის, ჩამოყალიბება მე-20 საუკუნის შუა წლებში მოხდა, მისი ფესვები ფილოსოფიასა და მათემატიკაში ბევრად უფრო ღრმაა. თუ გავიხსენებთ ანტიკურ ხანას, უკვე ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ვხვდებით ხელოვნური არსებების იდეას (მაგ: ტალოსი, ჰეფესტოსის მიერ შექმნილი ბრინჯაოს გიგანტი). ასევე შეიძლება ლაიბნიცის მექანიზაციაზე ფიქრის და უკვე XX საუკუნის დასაწყისში, ალან ტიურინგის ტესტის გახსენება, რომელიც განსაზღვრავს, შეუძლია თუ არა მანქანას ადამიანის ინტელექტის იმიტაცია. ხოლო უკვე 1950-იან წლებში ხდება ხელოვნური ინტელექტის, როგორც ცალკე დარგის, ჩამოყალიბება - დარტმუთის კონფერენცია (1956) ითვლება მისი დაბადების ოფიციალურ თარიღად. შემდეგი პერიოდი იყო "ხელოვნური ინტელექტის ზამთარი" (1960-1970-იანი წლები). უკვე 1980-იანი წლებიდან იწყება ექსპერტული სისტემების, ხოლო 1990-იანი წლებიდან მანქანური სწავლების განვითარება, რაც ხელოვნური ინტელექტის ფუძემდებლური მიმართულებებია. რაც შეეხება XXI საუკუნეს: აქ უკვე დაიწყო ხელოვნური ინტელექტის ფართოდ გამოყენება. ზემოთ აღნიშნული ენების მოდელებით დაწყებული გრაფიკაზე მომუშავე სისტემებით დამთავრებული. ფართო გამოყენება კი გულისხმობს მის ჩართულობას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ჯანდაცვაში, ფინანსებში, ტრანსპორტში, სამხედრო სფეროში და სხვა.

ძირითადი ნაწილი

დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოს, რომ სამხედრო სფეროში ხელოვნური ინტელექტის როლი განისაზღვრება საჯარისო დანაყოფების გვარეობებისა და სახეობების ფუნქციური საჭიროებების მიხედვით, საბრძოლო მოქმედებების ეფექტურობის ამაღლებისთვის. ხელოვნურ ინტელექტს ასევე შეუძლია ცალკეული შეიარაღების სისტემებისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებისთვის მუშაობის ხარისხის ამაღლება და გაუმჯობესება. სტატიის შესავალში აღნიშნული რამდენიმე წინადადებით გარკვეული წარმოდგენის შექმნა შეიძლება ხელოვნური ინტელექტის მიერ აქამდე განვლილ გზაზე. ძირითად ნაწილში ნათლადაა წარმოდგენილი ხელოვნური ინტელექტის კონკრეტული გამოყენების დეტალური განხილვა, ყურადღება გამახვილებულია კვლევის ძირითად მიმართულებაზე - ხელოვნური

ინტელექტის სამხედრო გამოყენების კონკრეტული შემთხვევები, ისეთი როგორიცაა: უპილოტო საფრენი აპარატები (უსა), ავტონომიური იარაღის სისტემები, კიბერუსაფრთხოება, ლოგისტიკა, სამხედრო დაზვერვა, სამხედრო პერსონალის მომზადება, ტექნიკის შექმნა და ეთიკურ-სამართლებრივი საკითხები.¹

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უპილოტო საფრენ აპარატებში - უპილოტო საფრენი აპარატები უკვე გახდა სამხედრო ოპერაციების განუყოფელი ნაწილი. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია კიდევ უფრო ზრდის უპილოტო საფრენი აპარატების შესაძლებლობებს და ეფექტურობას. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები მათ ეხმარება:

- ავტონომიურ ნავიგაციაში: რთული რელიეფის პირობებში ნავიგაცია, დაბრკოლებების თავიდან აცილება და წინასწარ განსაზღვრული მარშრუტების შესრულება ადამიანის ჩარევის გარეშე. მაგალითად, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია უზრუნველყოს უსა-ს ფრენა მთიან რეგიონში, ტყეში ან ურბანულ გარემოში, სადაც GPS სიგნალი შეიძლება იყოს სუსტი ან არ არსებობდეს. ეს მიიღწევა ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორიცაა კომპიუტერული ხედვა (კადრში დაფიქსირებული ობიექტების (რელიეფის ფორმები, სხვა საფრენი აპარატები და სხვა) ამოცნობა რეალურ დროში, LiDAR (Light Detection and Ranging) და სხვა სენსორები, რომლებიც უპილოტო საფრენ აპარატებს საშუალებას აძლევს «დაინახოს» გარემო და მიიღოს გადაწყვეტილებები ნავიგაციის შესახებ.

- სამიზნეების ამოცნობასა და თვალთვალში: სურათებისა და ვიდეოების ანალიზი რეალურ დროში, სამიზნეების ამოცნობა და კლასიფიკაცია (მაგ., ტანკები, საარტილერიო დანადგარები, ჯარისკაცები), მათი მოძრაობის პროგნოზირება. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა, რომ უსა-მ ავტომატურად ამოიცნოს და თვალყური ადევნოს სამიზნეებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ოპერატორის დატვირთვას. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს შეუძლიათ გააანალიზონ ვიზუალური მონაცემები და განასხვავონ სამიზნეები ფონისგან, რაც ზრდის სამიზნეების ამოცნობის სიზუსტეს და ამცირებს შეცდომების ალბათობას.

- ამოცანის ანალიზსა და სიტუაციის უკეთ გაცნობიერებაში: სენსორული მონაცემების შეგროვება და ანალიზი (მაგ., ვიდეო, ინფრაწითელი სურათები, რადარის მონაცემები), ოპერატორებისთვის რეალურ დროში სიტუაციური ცნობიერების უზრუნველყოფა. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გააანალიზოს ეს მონაცემები და მიაწოდოს ოპერატორებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა მტრის ძალების განლაგება, მოძრაობა და შესაძლო სამანევრო მიმართულებები. ეს ინფორმაცია დაეხმარება მეთაურებს უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებაში და ოპერაციების უფრო ეფექტურად დაგეგმვაში.

- დახმარება ერთობლივ ოპერაციებში: ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია უზრუნველყოს უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფის ეფექტური მართვა - ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობა რთული ამოცანების შესასრულებლად. მაგალითად, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია უზრუნველყოს, რომ ჯგუფმა ერთობლივად დაფაროს დიდი ტერიტორია მონიტორინგისთვის, განახორციელონ ძებნა-გადარჩენის ან დევნის ოპერაცია².

- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ავტონომიური იარაღის სისტემებში - ავტონომიური იარაღის სისტემები წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთ ყველაზე საკამათო გამოყენებას სამხედრო სფეროში. ამ სისტემებს, რომლებსაც ასევე უწოდებენ “მკვლელ რობოტებს”, შეუძლიათ სამიზნეების იდენტიფიკაცია და განადგურება ადამიანის ჩარევის გარეშე. მათი განვითარება იწვევს მრავალ ეთიკურ და სამართლებრივ კითხვას:

1 თ. ლეჟავა, “ავტონომიური იარაღის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები.” კავკასიის ტექნოლოგიების ჟურნალი, 7(2), 28-36. 2019წ.

2 ლ. ბერიძე, “უპილოტო საფრენი აპარატების (UAV) განვითარება და მისი გავლენა საქართველოს თავდაცვაზე.” სამხედრო და უსაფრთხოების კვლევების ცენტრის ბიულეტენი, 8(1), 55-72. 2020წ.

- **პასუხისმგებლობა:** ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნული სისტემების მიერ მიყენებულ ზიანზე? თუ მან მიიღო არასწორი გადაწყვეტილება და გაანადგურა არაკომბადანტი, ვინ აგებს პასუხს ამ ქმედებაზე? ეს რთული საკითხია. ოპერატორები ან მეთაურები შეიძლება არ იყვნენ პირდაპირ პასუხისმგებელნი სისტემის ქმედებებზე.

- **პროპორციულობა:** საინტერესოა ის თუ როგორ უზრუნველყოფენ ავტომატური სისტემები სამხედრო ძალის პროპორციულ გამოყენებას? როგორ შეიძლება მათი პროგრამირება ისე, რომ მან გამოიყენოს მხოლოდ აუცილებელი ძალა და თავიდან აიცილოს ზედმეტი ზიანის მიყენება? ეს საკითხი მოითხოვს რთული ალგორითმების შემუშავებას.

- **დისკრიმინაცია:** როგორ ავიცილოთ თავიდან შეიარაღების ავტონომიური სისტემის მიერ დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების მიღება? როგორ უნდა უზრუნველყოფილი იქნას, რომ მათ არ განასხვავონ ადამიანები რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის ან სხვა ნიშნების მიხედვით? ეს საკითხი სისტემებისთვის მოითხოვს ტრენინგისთვის მიუკერძოებელი მონაცემების გამოყენებას და ალგორითმების შემუშავებას, რომლებიც არ იქნება მიდრეკილი დისკრიმინაციისკენ.

- **კონტროლი:** როგორ შევინარჩუნოთ კონტროლი მსგავს სისტემებზე და თავიდან ავიცილოთ მათი არასასურველი გამოყენება? როგორ უნდა უზრუნველყოფილი იქნას, რომ ისინი არ მოხდნენ არასწორ ხელში და არ იქნან გამოყენებული ტერორისტული ან სხვა დანაშაულებრივი მიზნებისთვის? ეს საკითხი მოითხოვს უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებას და საერთაშორისო რეგულაციების შექმნას, რომლებიც შეზღუდავს სისტემების გავრცელებას და გამოყენებას.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კიბერუსაფრთხოებაში - ხელოვნური ინტელექტი უკვე აქტიურად გამოიყენება კიბერუსაფრთხოების სფეროში, როგორც თავდაცვის, ასევე შეტევების მიზნით³. მისი გამოყენება შესაძლებელია:

- **კიბერშეტევების აღმოჩენაში:** ქსელის ტრაფიკის ანალიზი, ანომალიების იდენტიფიკაცია და კიბერშეტევების ავტომატური აღმოჩენა. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გააანალიზოს ქსელის ტრაფიკი და ამოიცნოს უჩვეულო აქტივობები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს კიბერშეტევაზე.

- **სისუსტეების იდენტიფიკაციაში:** სისტემების სისუსტეების ავტომატური იდენტიფიკაცია და მათი გამოსწორების რეკომენდაციების მიცემა. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ავტომატურად შეამოწმოს სისტემები და აღმოაჩინოს სისუსტეები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ნულოვანი დღის ან სხვა ტიპის შეტევებისთვის.

- **ხელოვნურ ინტელექტს სამხედრო გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური და სამართლებრივი საკითხები წარმოადგენს მუდმივად მზარდ და მრავალგანზომილებიან დისკუსიის საგანს, სადაც შეიძლება წავაწყდეთ შემდეგ ძირითად გამოწვევებს:**

- **პასუხისმგებლობის განსაზღვრა:** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტონომიური სისტემის მიერ დაშვებული შეცდომების შემთხვევაში, ვინ უნდა აგოს პასუხი – სისტემის მწარმოებელმა, ოპერატორმა თუ სამხედრო მეთაურმა ან უწყებამ?

- **სამართლებრივი რეგულაციები:** საერთაშორისო სამხედრო სამართალი არეგულირებს ომის წარმოების წესებს და ცდილობს, დააბალანსოს სამხედრო საჭიროებები ჰუმანიტარული პრინციპებით. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება იწვევს ახალ გამოწვევებს, რომელთა დასარეგულირებლად არსებული სამართლებრივი ჩარჩო შესაძლოა არასაკმარისი იყოს. საერთაშორისო კანონმდებლობაში ცალსახად განსაზღვრული უნდა იყოს, როგორ უნდა მოხდეს მისი ინტეგრაცია სამხედრო ოპერაციებში და მათი გამოყენების

3 ნ. სუხიშვილი, «კიბერუსაფრთხოება და AI: გამოწვევები და შესაძლებლობები.» საქართველოს კიბერუსაფრთხოების ცენტრის გამოცემა, 10(4), 15-25. 2021წ.

ლიმიტაცია.

- პროგნოზირების პრობლემა: ავტონომიური იარაღის სისტემები შეიძლება შექმნან სიტუაციები, რომლებიც წინასწარ რთული საპროგნოზოა. ასეთი გაურკვევლობა მოითხოვს უფრო დეტალურ ტესტირებასა და რისკების მართვას.

აღნიშნული საკითხების სამართავად საჭიროა ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა, როგორც სახელმწიფო მესვეურების, ისე მეცნიერებისა და ტექნოლოგიური კომპანიების ჩართულობით. ეს დისკუსიები უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებების დაცვას და გლობალური უსაფრთხოების პრინციპებს. ხელოვნური ინტელექტის სამხედრო გამოყენება რთული და მრავალმხრივი საკითხია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულ მიდგომას ირჩევს საკითხის მიმართ. მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი და ეთიკური გამოყენება სამხედრო სფეროში.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სამხედრო სფეროში მნიშვნელოვნად ცვლის ტრადიციულ მიდგომებს და აჩენს ახალ შესაძლებლობებს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება თანმიმდევრულად განხორციელდეს ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით, რათა უზრუნველყოფილი იყოს გლობალური უსაფრთხოება და სტაბილურობა. თუმცა აქვე გულის ტკივილით შეიძლება აღინიშნოს, ის მწარე გამოცდილება რაც კაცობრიობას აქვს მნიშვნელოვანი აღმოჩენების სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების კუთხით. აქ იგულისხმება ლეტალური თუ არალეტალური საშუალებების გამოყენება მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოსაპოვებლად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. აქედან გამომდინარე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, მომავალში, ხელოვნური ინტელექტის სამხედრო გამოყენება კიდევ უფრო გაფართოვდება. მიმართულებები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

მიზან მიითითების ტექნოლოგიები: იგი უზრუნველყოფს სამიზნეების უფრო სიზუსტეს, რაც ამცირებს სამოქალაქო დანაკარგებს და გაუმჯობესებს სტრატეგიულ შედეგებს.

კიბერუსაფრთხოება და კიბერომეხობა: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კიბერშეტევების პროგნოზირებისთვის და პრევენციისთვის გახდება უფრო კრიტიკული. კიბერსივრცე იქნება კიდევ უფრო მიმზიდველი სამხედრო დაპირისპირების კუთხით, რადგან საინფორმაციო ველის უდიდეს ნაწილს, სადაც მიმდინარეობს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციები, სწორედ ის წარმოადგენს. კიბერსივრცით ხდება რესურსების და სისტემების მართვა და მონიტორინგი, რაც მას კიდევ უფრო მეტ დატვირთვას და მნიშვნელობას სძენს, შესაბამისად იგი მნიშვნელოვანი ასპარეზია ყველა სუბიექტისთვის. AI ითამაშებს მნიშვნელოვან როლს როგორც კიბერშეტევების, ასევე კიბერთავდაცვის სფეროში.

გლობალური რეგულაციები: სახელმწიფოები უფრო აქტიურად იმუშავენ საერთაშორისო სტანდარტებზე, რათა თავიდან აიცილონ ხელოვნურ ინტელექტს სამხედრო ზიანის არასწორი გამოყენება. მიმდინარე პერიოდამდე გაცხადებულად მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფოებრივ დოკუმენტებზე, სადაც უდიდესი ყურადღება სწორედ ხელოვნურ ინტელექტს და მის ადეკვატურ გამოყენებას ეთმობა.

ბიბლიოგრაფია

არველაძე, გ. (2020). “ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები სამხედრო სფეროში.”

სამხედრო მეცნიერების მიმოხილვა, 12(3), 45-62.

ბერიძე, ლ. (2020). “უპილოტო საფრენი აპარატების (UAV) განვითარება და მისი გავლენა საქართველოს თავდაცვაზე.” სამხედრო და უსაფრთხოების კვლევების ცენტრის

- ბიულეტენი, 8(1), 55-72.
- კვიციანი, დ. (2021). “ლოჯისტიკური პროცესების ოპტიმიზაცია სამხედრო ტექნოლოგიებით.” სამხედრო ლოჯისტიკის მიმოხილვა, 5(3), 32-41.
- ლეჟავა, თ. (2019). “ავტონომიური იარაღის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები.” კავკასიის ტექნოლოგიების ჟურნალი, 7(2), 28-36.
- ნადირაძე, ი. (2022). “სამხედრო დაზვერვის თანამედროვე ტენდენციები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.” სტრატეგიული კვლევების ჟურნალი, 14(2), 19-30.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (2021). “ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საქართველოს სამხედრო სფეროში.” სამინისტროს ყოველწლიური ანგარიში, 2021.
- სუბიშვილი, ნ. (2021). “კიბერუსაფრთხოება და AI: გამოწვევები და შესაძლებლობები.” საქართველოს კიბერუსაფრთხოების ცენტრის გამოცემა, 10(4), 15-25.
- Binnendijk, H., & Kugler, R. (2018). “Envisioning Strategic AI Applications for Military Operations.” *Journal of Defense Modeling and Simulation*, 15(2), 127-137.
- Bryson, J. J., & Winfield, A. F. T. (2017). “Standardizing Ethical Design for Artificial Intelligence and Autonomous Systems.” *Computer*, 50(5), 116-119.
- Russell, S., & Norvig, P. (2020). *Artificial Intelligence: A Modern Approach*. Pearson.
- Scharre, P. (2018). *Army of None: Autonomous Weapons and the Future of War*. W. W. Norton & Company.
- UNIDIR (2021). *The Weaponization of Increasingly Autonomous Technologies: Artificial Intelligence, Lethal Autonomous Weapons Systems, and Peace*. United Nations Institute for Disarmament Research.

ტექნოლოგიური განვითარების გავლენა სამხედრო ოპერაციებზე, დრონები და ხელოვნური ინტელექტი

გიორგი ჯინჭარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტექნოლოგიური განვითარების, როგორცაა: უპილოტო საფრენი აპარატები, დრონები და მათში ჩაშენებული ხელოვნური ინტელექტი, გავლენა სამხედრო ოპერაციებზე. სტატიაში აღნიშნულია, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა დრონების გამოყენება სამხედრო ოპერაციებში, მოყვანილია მაგალითები მიმდინარე უახლესი ისტორიიდან, თუ როგორ შეცვალა უპილოტო საფრენმა აპარატებმა სამხედრო ოპერაციების ხასიათი. აღსანიშნავია, რომ დრონების გამოყენებით შესაძლებელია ომის ყველა დონის (სტრატეგიული, ოპერატიული, ტაქტიკური) მიზნების მიღწევა, რომლის მაგალითადაც მოყვანილია ყარაბაღის ბოლო ომის გამოცდილება. სტატიაში ასევე ძირითადი ყურადღება გამახვილებულია რუსეთ-უკრაინის საომარ მოქმედებებსა და დრონების როლზე სამხედრო ოპერაციებში.

საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან ორივე დაპირისპირებულმა მხარემ გაზარდა სამხედრო დანიშნულების დრონების წარმოება, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხელოვნური ინტელექტის ჩაშენებამ დრონებში საგრძნობლად შეცვალა სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობის სურათი. სხვადასხვა სამხედრო სიახლესა და სამხედრო ხასიათის სტატიებზე დაყრდნობით, განხილულია რუსეთის ფედერაციის მიერ ეგრეთ წოდებული „კამიკაძე“ დრონების წარმოების გაზრდა და მისი შესაძლებლობები ხელოვნურ ინტელექტთან ერთად. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ხელოვნური ინტელექტის მქონე დრონების დამოუკიდებელ მოქმედებებზე საომარ სიტუაციებში, მისი მოქმედების თავისებურებებსა და რადიოელექტონული დაცვის უნარზე.

სტატიაში ხაზგასმით არის განხილული ხელოვნური ინტელექტის მქონე დრონების უარყოფითი მხარეები. უარყოფით კონტექსტში გამოყვანილია უნარი, რომ ტექნოლოგიამ შეიძლება აირჩიოს და გაანადგუროს სამიზნე, მიიღოს გადაწყვეტილება ადამიანური ჩარევის გარეშე, რაც იწვევს როგორც მორალურ, ეთიკურ, ასევე სამართლებრივ შეუსაბამობებს. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად მოყვანილია მაგალითები, სადაც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მოჰყვა შემთხვევითი სამოქალაქო საზოგადოების მსხვერპლი, რამაც გამოიწვია დიდი კრიტიკა. ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მთავარ პრობლემას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის ის უნარი, რომელსაც შეუძლია მიიღოს სიკვდილ-სიცოცხლის გადაწყვეტილება ადამიანის ჩარევის გარეშე. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება ტრადიციულ მორალურ ჩარჩოებს.

ასევე, სტატიაში განხილულია სამართლებრივი პრობლემა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რომელიც დაფუძნებულია განსხვავებულობისა და პროპორციულობის პრინციპებზე, ავალდებულებს საომარ მოქმედებებში ჩართულ მხარეებს, განასხვავონ სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეები და თავიდან აიცილონ ძალის გადაჭარბება. ხელოვნური ინტელექტის მქონე იარაღის სისტემებს გაუჭირდებათ ამ პრინციპების დაცვა.

საკვანძო სიტყვები: უპილოტო საფრენი აპარატი, დრონი, კამიკაძე დრონი. ხელოვნური ინტელექტი, სამართლებრივი შედეგები. მორალური ჩარჩო.

THE IMPACT OF TECHNOLOGICAL DEVELOPMENTS ON MILITARY OPERATIONS DRONES AND ARTIFICIAL INTELLIGENCE

Georgi Jintcharadze

PHD student of the Faculty of Construction
of Georgian Technical University

Abstract

In the present paper discusses technological development, such as UAVs, drones and drones with integrated AI having effect on military operations. In the article it is mentioned that in the last period utilizing drones is significantly increased in military operations, giving examples from the latest history how is changed battle theater by UAVs. It is worth to mention that using drones makes possibilities to accomplish missions on three levels of warfare – operational, strategic and tactical; the great example is latest war in Karabakh and bringing up some examples; the main focus of the articles is military actions of Russia and Ukraine and role of drones in military operations. From the very beginning of the war, opposing countries have significantly increased producing of military purpose drones and integration of AI in the drones has changed either battles or whole theater of war. Based on various military news articles of military nature, the increase in the production of so-called “kamikadze” drones by the Russian Federation and its possibilities with AI are discussed. Article emphasis on the drones integrated with AI how independently operating in war, peculiarity and radio interference.

There is discussion about disadvantages and negative aspects of AI integrated drones. In the negative context, there are facts and assumptions of the ability for technology to select and destroy target, making dissections without human interventions and makes lack of legal consistency, negative impact on morale. In order to support the mentioned opinion, examples are given where the use of artificial intelligence resulted in victims of civil society, which caused a lot of criticism. The main problem is the ability of AI in the decision-making process, which can make life-death decisions without human intervention. The legal problem is also discussed in the article, International humanitarian law; based on the principles of distinction and proportionality, obliges belligerents to distinguish between military and civilian targets and avoiding the use of force excess. AI weapon systems have no abilities adhering to those principles.

Key words: UAV, Drone, FPV, AI, Legal consequences, moral framework.

შესავალი

მოწინავე უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებამ სამხედრო ოპერაციებში ხელახლა განსაზღვრა თანამედროვე ომი. ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებამ, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია ფართო მასებისთვის და ძირითადად სამოქალაქო დანიშნულება აქვს, შეცვალა სამხედრო ოპერაციების ხასიათი. უპილოტო საფრენი აპარატები, საყოველთაოდ ცნობილია, როგორც დრონების წარმოება და გამოყენება, საგრძნობლად გაზრდილია ბოლო დროს განვითარებულ საომარ მოქმედებებში. ამის ნათელი მაგალითია რუსეთ-უკრაინის ომია. დრონები, ხელოვნურ ინტელექტთან ერთად, გადამწყვეტი გახდა თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებში. ეს ტექნოლოგიები გვთავაზობს უპრეცედენტო უპირატესობებს მეთვალყურეობის, ზუსტი დარტყმებისა და ოპერატიული ეფექტურობის თვალსაზრისით, თუმცა მათი გამოყენება ასევე იწვევს კრიტიკულ დამოკიდებულებას, ეთიკურ იურიდიულ და უსაფრთხოების შეშფოთებას, რაც მოითხოვს ყოვლისმომცველ ანალიზსა და პროაქტიურ ზომებს.


ძირითადი ნაწილი

დრონების და ხელოვნური ინტელექტის ევოლუცია სამხედრო ოპერაციებში

უპილოტო საჰაერო სისტემების გამოყენება და კონცეფცია თარიღდება მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, მისი თავდაპირველი გამოყენება ორიენტირებული იყო სადაზვერვო მისიებზე. გლობალურმა ტექნოლოგიურმა წინსვლამ გააფართოვა დრონების გამოყენების სპექტრი და მოიცვა საბრძოლო ოპერაციებში დარტყმითი, დაზვერვითი და ლოჯისტიკური მხარდაჭერის შესაძლებლობები.

ბოლო დროს განვითარებულმა საომარმა მოქმედებებმა გვიჩვენა, რომ უპილოტო საფრენი აპარატებს, დრონებს შეუძლიათ შეასრულონ ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული დონის ამოცანები, ან ერთი მოქმედებით ყველა დონის დავალება ერთდროულად (სქემა1), რის კარგ მაგალითსაც წარმოადგენს ყარაბახის ომში არზერბაიჯანის მიერ დრონების გამოყენების ეფექტი. საბრძოლო ოპერაციების მსვლელობის დროს, დრონების დარტყმებმა აზერბაიჯანულ მხარეს მოუტანა ტაქტიკური უპიტარესობა - მათ დაამყარეს ოპერატიული კონტროლი მოწინააღმდეგის მიერ გამაგრებულ სიმაღლეებზე.

საინფორმაციო საშუალებებით დრონის დარტყმების გაშუქებამ გამოიწვია მოწინააღმდეგის მორალური დაცემა და ერთიანი პანიკა, რითაც მიღწეულ იქნა სტრატეგიული მიზანი.



სქემა 1

ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს სამხედრო დანიშნულების დრონების წარმოება მაგალითად, უკრაინა გამოჩნდა, როგორც დრონების წამყვანი მწარმოებელი, რომელიც აწარმოებს როგორც ტაქტიკურ, ასევე სტრატეგიული დონის უპილოტო საფრენ აპარატებს. 2024 წელს 1,3 მილიონზე მეტი დრონი გადაეცა წინა ხაზზე ჯარისკაცებს, ხოლო 2025 წელს წარმოების შემდგომი გაზრდა იგეგმება.

უკრაინამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შიდა დრონების წარმოებაში. 2024 წლისთვის ქვეყანა გახდა სამხედრო დრონების წამყვანი მწარმოებელი, რომელიც აწარმოებს 1.3 მილიონზე მეტ ერთეულს ფრონტის ხაზზე ოპერაციებისთვის. ეს თვითმფრინავები ინსტრუმენტულ როლს ასრულებენ სადაზვერვო და საბრძოლო მისიებში. გავრცელებული ინფორმაციით, მათ მიერ რუსული სამხედრო სისტემებისთვის მიყენებული ზიანი 60-70%-ს შეადგენს. უკრაინის მთავრობა გეგმავს წარმოების შემდგომ გაზრდას 2025 წელს, ხაზს უსვამს უპილოტო საფრენი აპარატების სტრატეგიულ მნიშვნელობას თავდაცვის სტრატეგიაში.¹

ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაციამ უპილოტო საფრენ აპარატებში კიდევ უფრო გააძლიერა ამ სისტემების ავტონომია და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვანი ცვლილებაა სამხედრო ტაქტიკასა და სტრატეგიაში.

უპილოტო საფრენი აპარატებში AI-ის ჩაშენებამ შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიური რევოლუცია მოახდინა მათ ოპერატიულ ეფექტურობაში:

1. გაძლიერებული სამიზნე ამოცნობა: ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები საშუალებას აძლევს დრონებს, ზუსტად ამოიცნონ და დაახარისხონ სამიზნეები, რაც ამცირებს აცილების ალბათობას და ზრდის მისიის წარმატების მაჩვენებელს.
2. ავტონომიური ნავიგაცია: ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს ფრენის მართვის მოწინავე სისტემებს, რაც საშუალებას აძლევს დრონებს, თავიდან აიცილონ დაბრკოლებები ადამიანის ჩარევის გარეშე.
3. რადიოელექტრონული ბრძოლა: AI-ზე მომუშავე სისტემებს შეუძლიათ ადაპტირება და წინააღმდეგობა გაუწიონ ელექტრონულ ჩარევას, შეინარჩუნონ ოპერაციული მთლიანობა მტრულ ელექტრომაგნიტურ გარემოში.

მოკლედ, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა ხაზი გაუსვა დრონების ტრანსფორმაციულ გავლენას თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში. გამოყენებული უპილოტო საფრენი აპარატების მრავალფეროვნებამ, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის მიღწევებთან ერთად, არა მხოლოდ გააძლიერა ორივე ქვეყნის ტაქტიკური შესაძლებლობები, არამედ შექმნა ახალი პრეცედენტები მომავალი ომის სტრატეგიებისთვის.

რუსეთ-უკრაინის ომის მსვლელობიდან მოყოლებული რუსეთმა გამოაცხადა ეგრეთ წოდებული კამიკაძე დრონების (FPV) თვითმფრინავების განვითარება, რომლებიც აღჭურვილია ხელოვნური ინტელექტით და გამოიყენება სამხედრო ოპერაციებში. რუსული კომპანიის მიერ შემუშავებული «ვეტერის» (Wind) დრონები ახლა აქტიურად გამოიყენება სპეციალურ ოპერაციებში. ამ თვითმფრინავებს აქვთ მოწინავე AI შესაძლებლობები, რაც მათ საშუალებას აძლევს, დაარტყან სამიზნეებზე ადამიანის პირდაპირი ჩარევის გარეშე, ავტომატურად.

მწარმოებლის პრესრელიზის თანახმად,² «ვეტერის» თვითმფრინავების AI საშუალებას აძლევს მათ ავტომატურად იმოძრაონ და შეტევა მოახდინონ სამიზნეებზე ოპერატორის დამატებითი შეყვანის გარეშე. მას შემდეგ, რაც სამიზნე გამოვლინდება, დრონი ჩაკეტავს მასზე რაიმე ზემოქმედების შესაძლებლობას და ავტონომიურად იფრენს სამიზნის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს სიზუსტეს ელექტრონული ომის საწინააღმდეგო საშუალებების მქონე გარემოშიც კი. ეს შესაძლებლობა საფუძვლიანად იქნა გამოცდილი და დამოწმებული რუსეთის სამხედროების მიერ, რაც ადასტურებს თვითმფრინავის ეფექტურობას რეალურ საბრძოლო სცენარებში.

აღნიშნული კომპანია მზად არის თვეში აწარმოოს 3,000 FPV დრონი, რომელიც იქნება

1 Thibault Spirlet 2025. „Ukraine says it’s taken the top spot in the race to make combat drones“. [Business Insider](#)

2 Global defense news, Russia Deploys AI-Equipped FPV Drones in Military Operations. (<https://shortlink.uk/Uqv1>) 2024.

აღჭურვილი AI-ით. FPV დრონები Veter-8, Veter-10 და Veter-13 გადაეცა რუსეთის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფს საომარი მოქმედების ზონაში. ეს კამიკაძე დრონები უკვე აქტიურად გამოიყენება ფრონტის ხაზზე, როგორც რუსული შეიარაღების არხი იუწყება. კომპანიის წარმოების მოცულობა საშუალებას იძლევა თვეში 3,000-მდე თვითმფრინავის დამზადებას, ხოლო საბრძოლო ოპერაციებში უკვე გამოყენებულია 6,000-ზე მეტი ვეტერის თვითმფრინავი.³

AI ინტეგრაციის უარყოფითი ზემოქმედება და გლობალური გამოწვევები

AI-ის გამოყენება სამხედრო ოპერაციებში ბადებს ღრმა ეთიკურ კითხვებს. იარაღის ავტონომიური სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ სიკვდილ-სიცოცხლის გადაწყვეტილებები, ადამიანის ჩარევის გარეშე, ეწინააღმდეგება ტრადიციულ მორალურ ჩარჩოებს. ხელოვნური ინტელექტის მიერ სამიზნეების არასწორად შერჩევის შესაძლებლობა გამოიწვევს გაუთვალისწინებელ სამოქალაქო მსხვერპლს, აღნიშნული საკითხი ხაზს უსვამს მორალურ დილემას, რომელიც დაკავშირებულია მანქანებისთვის სასიკვდილო გადაწყვეტილების დელეგირებასთან. მაგალითად, ისრაელის მიერ ღზას სექტორში ხელოვნური ინტელექტის დახმარებით სამიზნეების განადგურებას მოჰყვა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის გაზრდა, რაც მრავალჯერ გახდა კრიტიკის საგანი⁴. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რაც მოხდა 2021 წლის 29 აგვისტოს ქაბულში: აშშ-ის მიერ უპილოტო საფრენი აპარატით დარტყმამ შეცდომით დააზიანა მანქანა, რომელიც, სავარაუდოდ, საფრთხეს წარმოადგენდა, რის შედეგადაც დაიღუპა 10 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის-შვიდი ბავშვი. ამ ინციდენტმა აჩვენა შეცდომების ალბათობა და დრონის ოპერაციებში არასწორი იდენტიფიკაციის მძიმე შედეგები.⁵

ასევე აღსანიშნავია, ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი დრონების გამოყენების სამართლებრივი შედეგები. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი დაფუძნებულია განსხვავებულობისა და პროპორციულობის პრინციპებზე, რომელიც ავალდებულებს საომარ მოქმედებებში ჩართულ მხარეებს, განასხვავონ სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეები და თავიდან აიცილონ ძალის გადაჭარბება. ხელოვნური ინტელექტის მქონე იარაღის სისტემებს შეიძლება გაუჭირდეთ ამ პრინციპების დაცვა, განსაკუთრებით რთულ გარემოში, სადაც მეზომოლების განსხვავება არამეზომოლებისგან რთულია. მკაფიო საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა, რომელიც მართავს AI-ის გამოყენებას ომში, კიდევ უფრო ართულებს ანგარიშვალდებულებას და არსებულ კანონებთან შესაბამისობას.

რაც შეეხება უსაფრთხოებასა და მასთან დაკავშირებულ რისკებს, აქ ხაზგასასმელია ერთი საკითხი, რომ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სამხედრო ტექნოლოგიების გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს შეიარაღების რბოლა, გლობალური უსაფრთხოების დესტაბილიზაცია. ქვეყნებმა შეიძლება იგრძნონ იძულება, განავითარონ ან შეიძინონ ასეთი ტექნოლოგიები სტრატეგიული პარიტეტის შესანარჩუნებლად, რაც გაზრდის კონფლიქტების ესკალაციის რისკს არასწორი გათვლების ან შემთხვევითი ჩართულობის გამო. გარდა ამისა, ამ სისტემების გატეხის ან გაუმართაობის პოტენციური წარმოადგენს უსაფრთხოების მნიშვნელოვან საფრთხეებს, რაც დასტურდება ინციდენტებით, როდესაც უპილოტო საფრენი აპარატები კომპრომეტირებული იყო კიბერუსაფრთხოების დაუცველობის გამო.

3 Ibid. Global defense news. 2024.

4 MICHAEL BIESECKER, SAM MEDNICK AND GARANCE BURKE. As Israel uses US-made AI models in war, concerns arise about tech's role in who lives and who dies. (<https://shortlink.uk/Xc5o>)

5 Schmitt, Eric 2021. [“A Botched Drone Strike in Kabul Started With the Wrong Car”](#). The New York Times. Retrieved 16 October 2021.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებამ შეცვალა საომარი მოქმედებების ხასიათი, დრონები იძლევა საშუალებას საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას დავაზიანოთ მოწინააღმდეგის მაღალი ღირებულების მიზნები, შევასრულოთ ტაქტიკური ამოცანები, მოვიპოვოთ ოპერატიული უპირატესობა და ამავდროულად მივაღწიოთ სტრატეგიულ მიზნებს. ხელოვნური ინტელექტის ჩაშენებამ დრონებში გახარდა მისი გამოყენების ეფექტი, AI დახმარებით შესაძლებელი გახდა ავტომატურ რეჟიმში დაკვირვების, სამიზნის აღმოჩენის და განადგურების ოპერაციების განხორციელება, ასევე ხელოვნური ინტელექტი იძლევა საშუალებას უპილოტო საფრენმა აპარატებმა თავი აარიდონ რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებს.

ამასთან მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ეთიკური, სამართლებრივი და უსაფრთხოების საკითხები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინება მოითხოვს საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივ ძალისხმევას, რათა შეიქმნას მყარი ჩარჩოები და გარანტიები. ტექნოლოგიური ინოვაციების დაბალანსება ჰუმანიტარულ მოსაზრებებთან აუცილებელია, რათა პასუხისმგებლობით მივუდგეთ თანამედროვე ომის სირთულეებს.

ბიბლიოგრაფია

Thibault Spirlet. 2025. „Ukraine says it’s taken the top spot in the race to make combat drones“. [Business Insider](#)

Global defense news. 2024. Russia Deploys AI-Equipped FPV Drones in Military Operations. (<https://shortlink.uk/UqvL>)

MICHAEL BIESECKER, SAM MEDNICK AND GARANCE BURKE. As Israel uses US-made AI models in war, concerns arise about tech’s role in who lives and who dies. (<https://shortlink.uk/Xc5R>)

Schmitt, Eric 2021. [“A Botched Drone Strike in Kabul Started With the Wrong Car”](#). The New York Times. Retrieved 16 October 2021.

Mary ‘Missy’ L. Cummings. Artificial Intelligence and the Future of Warfare. [Text2fa.ir-Artificial-Intelligence-and-the-future-of-warfare.pdf](#)

დიდი ენობრივი მოდელების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში, გამოწვევები და პერსპექტივები

სოფიკო ცხელიშვილი

გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის
კადეტთა სამხედრო ლიცეუმის
ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი,
ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის (AI), კერძოდ, დიდი ენობრივი მოდელების (LLM), განათლების სისტემაში ინტეგრაციის ყოვლისმომცველ მიმოხილვას. კვლევა ემყარება არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, კვლევების შედეგების, ექსპერტთა მოსაზრებებისა და პრაქტიკული მაგალითების ანალიზს. ნაშრომი იკვლევს AI-ის მრავალმხრივ გავლენას სწავლა-სწავლების პროცესზე, აფასებს მის პოტენციურ სარგებელს, არსებულ გამოწვევებს, ეთიკურ მოსაზრებებსა და სამომავლო პერსპექტივებს.

კვლევის ძირითადი მიმართულებები მოიცავს AI-ის მიერ ტრადიციული სასწავლო მეთოდების ტრანსფორმაციას, სწავლების პერსონალიზაციისა და ადაპტაციის შესაძლებლობებს, მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ზრდას, მასწავლებელთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. განხილულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ LLM-ების გამოყენების პრაქტიკა სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში, როგორცაა ინფორმაციის მოძიება, სასწავლო მასალების გენერირება, დავალებების შესრულება და შეფასება.

ნაშრომი ფოკუსირებულია AI-ის როლზე მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებაში, სასწავლო პროცესის მათ კოგნიტურ პროფილებზე მორგებაში. ასევე, განხილულია AI-ის გავლენა მასწავლებლის როლის ტრანსფორმაციაზე და იმ შესაძლებლობებზე, რომლებსაც AI სთავაზობს პედაგოგებს სასწავლო მასალების შექმნის, შეფასების ავტომატიზაციისა და მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგის კუთხით.

ცალკე განხილვის საგანია AI-ის გამოყენების სიხშირე და მიზნობრიობა სხვადასხვა სასწავლო საფეხურსა და საგნობრივ ჯგუფში, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების საფუძველზე.

ნაშრომი სიღრმისეულად აანალიზებს AI-ის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ეთიკურ საკითხებს: მონაცემთა კონფიდენციალურობას, ალგორითმულ მიკერძოებულობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები განათლებისპოლიტიკისშემქმნელებისთვის, პედაგოგებისთვის, ტექნოლოგიების დეველოპერებისთვის და მკვლევარებისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, ეთიკური გაიდლაინების შემუშავების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით. ნაშრომი ხაზს უსვამს, რომ AI-სა და ადამიანური რესურსის ჰარმონიული თანაარსებობა და თანამშრომლობა, ეთიკური პრინციპების დაცვა, წარმოადგენს სამომავლოდ განათლების წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობას. კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს AI-ის, როგორც ინსტრუმენტის, სწორად და ეფექტურად გამოყენებას განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, დიდი ენობრივი მოდელები, განათლება, პერსონალიზებული სწავლება, ეთიკა, შეფასება, ციფრული უნარები, ინკლუზიურობა, სასწავლო მასალები.

THE USAGE OF GREAT LINGUISTIC MODELS IN THE TEACHING-LEARNING PROCESS

Sopiko Tskhelishvili

Leading teacher of Georgian language and literature of
General Giorgi Kvinitadze Cadet Military Lyceum,
Master of History of Georgian Literature

Abstract

This paper presents a comprehensive review of the integration of Artificial Intelligence (AI), specifically Large Language Models (LLMs), into the education system. The research is based on an in-depth analysis of existing literature, including scientific articles, research findings, expert opinions, and practical examples. The paper examines the multifaceted aspects of AI application, assessing its potential benefits, current challenges, ethical considerations, and future prospects.

The study explores how AI is transforming traditional teaching methods, facilitating personalized learning, increasing student engagement, and enhancing teacher efficiency. It describes the practices of students and teachers using LLMs in various learning activities, such as information retrieval, learning material generation, task completion, and assessment.

Particular attention is given to the role of AI in addressing students' individual needs, adapting the learning process, and personalizing learning experiences. The paper demonstrates that AI-based systems analyze student data to create cognitive profiles and offer individualized learning pathways.

The paper also addresses the impact of AI on the teacher's role, transforming it from a traditional information provider to a facilitator of the learning process and a technology manager. It discusses how AI helps teachers create teaching materials, automate assessment processes, and monitor student.

A separate section is devoted to the frequency and purpose of AI use among students and teachers, at different educational levels (school, university) and in different subject groups (humanities, natural sciences), based on quantitative and qualitative data.

The paper thoroughly analyzes the ethical issues related to AI integration: data privacy, algorithmic bias, transparency, accountability, and the importance of the human factor in the teaching-learning process.

The concluding section summarizes the research findings and formulates recommendations for education policymakers, educators, technology developers, and researchers, emphasizing the need for teacher professional development, the development of ethical guidelines, infrastructure development, and interdisciplinary collaboration. The paper concludes that the harmonious coexistence and collaboration of AI and human intelligence, while adhering to ethical principles, is a key prerequisite for the success of future education. The aim of the research is to promote the appropriate and effective use of AI as a tool to improve the quality, accessibility, and inclusivity of education.

Keywords: Artificial Intelligence, Large Language Models, Education, Personalized Learning, Ethics, Assessment, Digital Skills, Inclusivity, Learning Materials.

შესავალი

თანამედროვე ეპოქა, რომელიც ხასიათდება ტექნოლოგიური პროგრესის უპრეცედენტო ტემპით, გლობალური ურთიერთდაკავშირებულობით, მზარდი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობით, კლიმატის ცვლილებით, დემოგრაფიული ძვრებითა და სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებით, წარმოშობს ფუნდამენტურად ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს კაცობრიობის წინაშე. ამ დინამიურ კონტექსტში, განათლების სისტემა, როგორც საზოგადოების განვითარების, პროგრესის, მდგრადობის, კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და ინდივიდის პიროვნული ზრდის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, დგას ტრანსფორმაციის აუცილებლობის წინაშე. ეს ტრანსფორმაცია გულისხმობს არა მხოლოდ სწავლების მეთოდების, შინაარსის, სასწავლო გარემოსა და შეფასების სისტემების განახლებას, არამედ განათლების ფილოსოფიის, მიზნებისა და ღირებულებების ფუნდამენტურ გადაზრებას, რათა მოერგოს 21-ე საუკუნის მოთხოვნებს და მოამზადოს მომავალი თაობები აუცილებელი უნარებით, ცოდნითა და კომპეტენციებით წარმატებული, სრულფასოვანი, აქტიური და პასუხისმგებლობით აღსავსე ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობისთვის სწრაფად ცვალებად გლობალურ სამყაროში. ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა ხელოვნური ინტელექტის (AI), კერძოდ კი დიდი ენობრივი მოდელების (LLM), ინტეგრაცია სასწავლო პროცესში.

ბოლო ათწლეულში ხელოვნური ინტელექტის აღმასვლა ექსპონენციალურია, რაც უკავშირდება გამოთვლითი სიმძლავრეების ზრდას, მონაცემთა ხელმისაწვდომობას, მანქანური სწავლების ალგორითმების დახვეწასა და ციფრული ტექნოლოგიების პროგრესს. LLM-ები, როგორიცაა ChatGPT, GPT-4, Gemini, Claude, LLaMA, წარმოადგენს AI-ის მნიშვნელოვან მიღწევას, რომელმაც რევოლუციური გავლენა მოახდინა სხვადასხვა სფეროზე: მეცნიერებაზე, ბიზნესზე, ხელოვნებაზე, კომუნიკაციაზე, ინფორმაციის დამუშავებაზე, პროგრამირებასა და განათლებაზე. LLM-ების უნარი, გაიგოს ადამიანის ენა, ხსნის ახალ შესაძლებლობებს სწავლა-სწავლების პროცესის პერსონალიზაციის, ინტერაქტიულობის გაზრდის, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაფართოების, შეფასების სისტემის ეფექტურობის ამაღლებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

თუმცა, AI-ის, და კონკრეტულად LLM-ების, ინტეგრაცია განათლებაში არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაცია, არამედ ღრმად არის დაკავშირებული თანამედროვეობის გამოწვევებთან, ეთიკურ დილემებთან და აპედაგოგიურ პრინციპებთან. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და უწყვეტი სწავლის აუცილებლობა: გლობალიზაცია, ტექნოლოგიური პროგრესი და ინფორმაციის ზრდა მოითხოვს მუდმივ ადაპტაციას და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას. ტრადიციული განათლების სისტემა ვეღარ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. LLM-ებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ უწყვეტი სწავლის კულტურის ჩამოყალიბებას, შექმნან პერსონალური სწავლის ეკოსისტემები და უზრუნველყონ მუდმივი წვდომა მრავალფეროვან სასწავლო რესურსებთან, პერსონალიზებულ უკუკავშირთან და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებთან.

ციფრული უთანასწორობა და განათლების ხელმისაწვდომობა: მსოფლიოში კვლავ არსებობს უთანასწორობა განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. LLM-ებს შეუძლიათ შეამცირონ ეს უთანასწორობა, დემოკრატიზაცია გაუწიონ განათლებას და უზრუნველყონ მაღალი ხარისხის სასწავლო რესურსები, პერსონალიზებული მხარდაჭერა და დისტანციური სწავლების შესაძლებლობები იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც შეზღუდული წვდომა აქვთ ტრადიციულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან.

კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება: ინფორმაციის გადაჭარბებული ნაკადი და პოსტ-სიმართლის ეპოქის გამოწვევები

მოითხოვს კრიტიკული აზროვნების უნარებს. LLM-ებს შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს ამ უნარების განვითარებაში ინტერაქტიული დიალოგის, დებატების სიმულაციის და შემოქმედებითი ამოცანების გზით.

მასწავლებლის როლის ტრანსფორმაცია და პროფესიული განვითარება: AI-ის ინტეგრაცია განათლებაში არ გულისხმობს მასწავლებლის, როგორც ცოდნის ერთადერთი წყაროს და გადამცემის, ჩანაცვლებას ტექნოლოგიით. პირიქით, ის ფუნდამენტურად ტრანსფორმირებს მასწავლებლის როლს, აქცევს მას სწავლის პროცესის ფასილიტატორად, მენტორად, კურატორად, კონსულტანტად, თანამშრომლობითი სწავლის ორგანიზატორად და ტექნოლოგიურ მენეჯერად, რომელიც იყენებს LLM-ებს, როგორც დამხმარე ინსტრუმენტებს, რათა შექმნას უფრო ეფექტური, პერსონალიზებული, ინტერაქტიული, ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო.¹ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები უნდა მოიცავდეს ინტენსიურ და მუდმივ ტრენინგებს AI-ის გამოყენების პედაგოგიურ, ეთიკურ, ტექნიკურ, სოციალურ და სამართლებრივ ასპექტებზე, რათა უზრუნველყოს ამ ტექნოლოგიის პასუხისმგებლობით, ეფექტურად, უსაფრთხოდ და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების შესაბამისად გამოყენება.

ინკლუზია: LLM-ს შეუძლია შექმნას პირობები, რომ ნებისმიერ მოსწავლეს, განურჩევლად მისი შესაძლებლობისა, საჭიროებებისა, შეზღუდვებისა, შეემდოს ხარისხიანი განათლების მიღება, ჰქონდეს წვდომა ადაპტირებულ სასწავლო მასალებთან, ინდივიდუალურ მხარდაჭერასთან და ისეთ სასწავლო გარემოსთან, რომელიც ითვალისწინებს მის უნიკალურ მახასიათებლებს.

მრავალენოვნება: ენობრივი ბარიერი ხშირად უშლის ხელს მოსწავლეს ხარისხიანი განათლების მიღებაში, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში. LLM-ებს შეუძლიათ თარგმნონ სასწავლო მასალები რეალურ დროში, მოახდინონ ტექსტის ადაპტირება სხვადასხვა ენობრივი დონისთვის, შესთავაზონ მულტილინგვური მხარდაჭერა და ხელი შეუწყონ ინტერკულტურულ კომუნიკაციას, რაც ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერი ენობრივი ჯგუფის მოსწავლეს აძლევს ცოდნის მიღების თანაბარ საშუალებას.²

LLM-ების მნიშვნელოვნება საგანმანათლებლო გარემოში განპირობებულია მათი მრავალფუნქციურობით, ადაპტირების უნარით, მასშტაბირებადობით, ინტერაქტიულობით, ხელმისაწვდომობით და პერსონალიზაციის მაღალი ხარისხით. AI-ის ინტეგრაცია განათლებაში არის სტრატეგიული აუცილებლობა, რომელიც მიზნად ისახავს განათლების სისტემის ხარისხის გაზრდას. თუმცა, ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის, აუცილებელია მრავალმხრივი მიდგომა, რომელიც მოიცავს ეთიკური ასპექტების გათვალისწინებას, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მომზადებას, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეგულაციების შემუშავებას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, წარმოადგინოს AI-ის, კერძოდ LLM-ების, ინტეგრაციის მიმოხილვა განათლების სისტემაში. კვლევა შეისწავლის AI-ის გავლენას სასწავლო მეთოდებსა და მოსწავლეთა შედეგებზე. გააანალიზებს, თუ როგორ ეხმარება AI მასწავლებლებს მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებაში და სასწავლო პროცესის პერსონალიზაციაში. ასევე, განხილული იქნება AI-ის როლი სასწავლო მასალების შექმნაში, შეფასების სისტემაში AI-ის გამოყენების ასპექტებში. ცალკე იქნება განხილული მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ LLM სისტემების გამოყენების მაგალითები.

1 J. Jeon, S. Lee., Large language models in education: A focus on the complementary relationship between human teachers and ChatGPT. Education 1 and Information Technologies, 28(12), 15873–15892. 2, 2023, <https://doi.org/10.1007/s10639-023-11777-4>

2 ნ. მიქაძე, (n.d.). ხელოვნური ინტელექტი და სასკოლო განათლება. განათლების E სახლი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა LLM-ების სამომავლო პერსპექტივებს განათლებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგია მუდმივად ვითარდება. იგი შეეცდება, უპასუხოს კითხვას, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს განათლების სისტემა AI-ის მზარდი ინტეგრაციის პირობებში. ასევე ყურადღება დაეთმობა AI-სთან დაკავშირებულ ეთიკურ და მარეგულირებელ საკითხებს.

ნაშრომის მიზანია, ხელი შეუწყოს AI-ის, როგორც ინსტრუმენტის, სწორ, გააზრებულ და პასუხისმგებლიან გამოყენებას, რათა გაიზარდოს განათლების ხარისხი, ეფექტურობა, ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა, მომზადდეს მოსწავლეები და მასწავლებლები მომავლის გამოწვევებისთვის და შეიქმნას ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება 21-ე საუკუნის მოთხოვნებს.

ძირითადი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფი განვითარება და, კერძოდ, დიდი ენობრივი მოდელების (LLM) გამოჩენა, განათლების სისტემას უნიკალურ, თვისობრივად ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. წინამდებარე ძირითადი ნაწილი მიზნად ისახავს, დეტალურად და კრიტიკულად განიხილოს AI-ის, კონკრეტულად კი LLM-ების, მრავალმხრივი გავლენა სასწავლო პროცესზე, ფოკუსირება მოახდინოს რა მოსწავლეთა და მასწავლებელთა პერსპექტივებზე, პრაქტიკული გამოყენების მაგალითებზე, მიღწეულ შედეგებზე, არსებულ გამოწვევებზე, ეთიკურ ასპექტებსა და სამომავლო პერსპექტივებზე.

ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია განათლებაში, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესის ფუნდამენტურ ცვლილებას, მის გადასვლას მასობრივ, უნიფიცირებულ მოდელზე პერსონალიზებულ, ადაპტირებულ და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე. ეს ტრანსფორმაცია შესაძლებელი ხდება AI-ის უნიკალური შესაძლებლობების წყალობით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია: მონაცემთა ანალიზი: AI-ს შეუძლია გააანალიზოს დიდი რაოდენობით მონაცემები მოსწავლის შესახებ (აკადემიური მოსწრება, სწავლის სტილი, ინტერესები, ქცევითი პატერნები, ონლაინ აქტივობა და ა.შ.) და გამოავლინოს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე.

ბუნებრივი ენის დამუშავება (NLP): LLM-ებს, როგორიცაა ChatGPT, GPT-4, და BERT, შეუძლიათ გაიგონ, დაამუშაონ და გენერირება გაუკეთონ ადამიანის ენას, რაც საშუალებას აძლევს მათ, ჩაერთონ მოსწავლეებთან ბუნებრივ დიალოგში, უპასუხონ კითხვებზე, მისცენ განმარტებები, შეაფასონ წერიტი ნამუშევრები და ა.შ.³

მანქანური სწავლება (ML): ML ალგორითმები საშუალებას აძლევს AI სისტემებს, ისწავლონ მონაცემებიდან, გამოავლინონ კანონზომიერებები, გააკეთონ პროგნოზები და მუდმივად გააუმჯობესონ საკუთარი მუშაობა მასწავლებლის ან პროგრამისტის უშუალო ჩარევის გარეშე. ამ შესაძლებლობების კომბინაცია საშუალებას აძლევს AI-ზე დაფუძნებულ სისტემებს, როგორიცაა ადაპტური სასწავლო პლატფორმები, ინტელექტუალური ტუტორინგის სისტემები და პერსონალიზებული სასწავლო ასისტენტები, შექმნან მართლაც ინდივიდუალური სასწავლო გამოცდილება თითოეული მოსწავლისთვის. ეს სისტემები არგებს სასწავლო მასალის სირთულეს. AI აფასებს მოსწავლის ცოდნის დონეს რეალურ დროში და სთავაზობს მას ისეთ დავალებებსა და სავარჯიშოებს, რომლებიც შეესაბამება მის შესაძლებლობებს. თუ მოსწავლე წარმატებით ართმევს თავს დავალებებს, სისტემა თანდათან ზრდის სირთულეს.

3 N. Xiao, Y. Pei, C. Yuan, Y. Bu, Z. Cai, Transforming Education with Artificial Intelligence: A Comprehensive Review of Applications, Challenges, and Future Directions. International Theory and Practice in Humanities and Social Sciences, 2(1), 337-356, 2024, <https://doi.org/10.70693/itphss.v2i1.211>

ხოლო თუ მოსწავლე სირთულეებს აწყდება, სისტემა სთავაზობს დამატებით დახმარებას, გამარტივებულ ახსნა-განმარტებებს, ან ალტერნატიულ სავარჯიშოებს.⁴

AI არა მხოლოდ აფასებს მოსწავლის ნამუშევარს, არამედ აწვდის მას დეტალურ, კონსტრუქციულ უკუკავშირს, სადაც მითითებულია კონკრეტული შეცდომები, მათი გამოსწორების გზები და დამატებითი რესურსები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის გაღრმავებაში.

დიდი ენობრივი მოდელების (LLM) ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და პერსპექტიული ფუნქცია განათლებაში არის მათი უნარი, მოახდინონ მოსწავლეთა შესახებ არსებული მრავალფეროვანი მონაცემების ღრმა ანალიზი, ინტერპრეტაცია და სინთეზი, და ამ ანალიზის საფუძველზე შექმნან მოსწავლის დეტალური, მუდმივად განახლებადი კოგნიტური, ქცევითი და ემოციური პროფილი. ეს პროფილი მოიცავს არა მხოლოდ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას სხვადასხვა საგანში (რაც ტრადიციული შეფასების სისტემის მთავარი ფოკუსია), არამედ მის ძლიერ და სუსტ მხარეებს კონკრეტულ თემებსა და უნარებში, მის სწავლის სტილს (ვიზუალური, აუდიალური, კინესთეტიკური, ვერბალური, ლოგიკური და ა.შ.), მის ინტერესებს, მოტივაციის დონეს (როგორც ზოგადად, ისე კონკრეტული დავალების ან საგნის მიმართ), მის ემოციურ მდგომარეობას (გარკვეულ ფარგლებში და ეთიკური ნორმების მკაცრი დაცვით), მის სწავლის ტემპს, ტიპურ შეცდომებს, დასმულ კითხვებს, ონლაინ პლატფორმებზე აქტივობას (მაგ., LMS - Learning Management System, ონლაინ ფორუმები, სოციალური ქსელები), ინტერაქციის თავისებურებებს (თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან, AI ასისტენტებთან) და სხვა მრავალ პარამეტრს.⁵

ამ მრავალმხრივი პროფილის საფუძველზე, AI სისტემას, განსაკუთრებით კი ადაპტურ სასწავლო პლატფორმას, შეუძლია შეარჩიოს ოპტიმალური სასწავლო მასალები (ტექსტები, ვიდეოები, აუდიო მასალები, ინტერაქტიული სავარჯიშოები, სიმულაციები), სავარჯიშოები, დამატებითი რესურსები, შესთავაზოს მოსწავლეს ინდივიდუალური რეკომენდაციები სწავლის სტრატეგიის შესახებ, წინასწარ განჭვრიტოს მოსწავლის შესაძლო სირთულეები კონკრეტულ თემასთან ან დავალებასთან დაკავშირებით და შესთავაზოს პრევენციული ზომები, მაგალითად, დამატებითი განმარტებები, გამარტივებული მაგალითები, ალტერნატიული მიდგომები, ვიზუალური მასალა, ან ეტაპობრივი ინსტრუქციები. AI-ს შეუძლია ასევე განსაზღვროს ოპტიმალური დრო, ფორმატი და ინტენსივობა უკუკავშირის მისაწოდებლად, რაც მაქსიმალურად გაზრდის მის ეფექტურობას, ხელს შეუწყობს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების (საკუთარი სწავლის პროცესის გაცნობიერება და მართვა) განვითარებას და გააძლიერებს მის თვითრეგულაციის უნარს.

მასწავლებლებისთვის AI, შესაბამისად, გარდაიქმნება ფასდაუდებელ ინსტრუმენტად, პროფესიონალ ასისტენტად და სტრატეგიულ პარტნიორად, რომელიც არა მხოლოდ აწვდის ობიექტურ, დეტალურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას მოსწავლეთა პროგრესის, საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ (რაც ხშირად სუბიექტური, ფრაგმენტული და დროში გაწელილია ტრადიციული შეფასებისას), არამედ ეხმარება მათ პროაქტიულად დაგეგმონ და მართონ სასწავლო პროცესი, მიიღონ მონაცემებზე დაფუძნებული პედაგოგიური გადაწყვეტილებები, შექმნან მაქსიმალურად ადაპტირებული, ინკლუზიური და ინტერაქტიული სასწავლო გარემო, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას, ხელს უწყობს მის ინტელექტუალურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას.⁶

4 M. Taylor, „What Teens Say They Do and Don't Use ChatGPT For“. Parents.com, 2025, January 23.

5 J. Yu, Z. Zhang, D. Zhang-li, S. Tu, Z. Hao, R. Li, M. Sun, „From MOOC to MAIC: Reshaping Online Teaching and Learning through LLM-driven Agents“. arXiv preprint arXiv: 2409.03512, 2024. <https://arxiv.org/abs/2409.03512>

6 Z. Zhang, D. Zhang-Li, J. Yu, L. Gong, J. Zhou, Z. Liu, J. Li, „Simulating Classroom Education with LLM-Empowered Agents.“ arXiv preprint arXiv:2406.19226, 2024. <https://arxiv.org/abs/2406.19226>

AI-ს შეუძლია გააანალიზოს მოსწავლეთა აქტივობა ონლაინ პლატფორმებზე, შეაფასოს მათი ნამუშევრები (როგორც ავტომატურად, AI-ის ალგორითმების გამოყენებით, ისე მასწავლებლის ჩართულობით, ჰიბრიდული მოდელის გამოყენებით), გამოავლინოს საერთო შეცდომები, გაუგებრობები და ტენდენციები კლასში, ჯგუფში ან ინდივიდუალურ დონეზე, შესთავაზოს მასწავლებელს მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები სასწავლო გეგმის კორექტირებისთვის (მაგ., რომელი თემების გამოორება ან გაღრმავებაა საჭირო), ინდივიდუალური, ჯგუფური და კლასობრივი დავალებების შესარჩევად, დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების გამოსაყენებლად (მაგ., მოსწავლეთა დაჯგუფება მათი საჭიროებების მიხედვით), დამატებითი რესურსების შესთავაზებლად და, ზოგადად, სწავლების პროცესის ოპტიმიზაციისა და პერსონალიზაციისთვის. ეს მონაცემებზე დაფუძნებული, მტკიცებულებებზე ორიენტირებული და ადაპტური მიდგომა საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, გაცილებით ეფექტურად მართონ სასწავლო პროცესი, დროულად უპასუხონ მოსწავლეთა ცვალებად საჭიროებებს, გაზარდონ მათი ჩართულობა და მოტივაცია, და, საბოლოო ჯამში, მიაღწიონ უკეთეს აკადემიურ შედეგებს და ხელი შეუწყონ მოსწავლეთა განვითარებას.

AI-ის შესაძლებლობები განათლებაში მნიშვნელოვნად სცდება პერსონალიზებული სწავლების მხარდაჭერას და ვრცელდება სასწავლო მასალების შექმნის, გამდიდრების, განახლებისა და გავრცელების სფეროზე. ეს ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე განათლების კონტექსტში, სადაც იზრდება მოთხოვნა მაღალი ხარისხის, მრავალფეროვან, დინამიურ და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო რესურსებზე. LLM-ები და სხვა AI ინსტრუმენტები მასწავლებლებს სთავაზობს უპრეცედენტო შესაძლებლობებს, ავტომატიზირონ და გააუმჯობესონ სასწავლო მასალების შექმნის პროცესი, დაზოგონ დრო და რესურსები, და, ამავდროულად, გაზარდონ ამ მასალების ეფექტურობა, მიმზიდველობა და ხელმისაწვდომობა.

მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ AI-ზე დაფუძნებული ინსტრუმენტები, რათა: შექმნან მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები: AI-ს შეუძლია ავტომატურად შექმნას სხვადასხვა ტიპის სასწავლო მასალა, მათ შორის:

ტექსტური მასალები: დიალოგები, მოთხრობები, სტატიები, რეფერატები, ლექსიკონები, ტერმინთა განმარტებები, ტექსტების შეჯამებები, სავარჯიშოების პირობები, ტესტის კითხვები (ღია და დახურული), ესეების თემები და გეგმები, დისკუსიის საკითხები და ა.შ.^{7, 8}.

ვიზუალური მასალები: პრეზენტაციები (მაგ., SlidesAI-ს გამოყენებით), ინფოგრაფიკა, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები, ანიმაციები, ვიდეო რგოლები (ტექსტის ვიდეოდ გარდაქმნის ფუნქციით).

აუდიო მასალები: აუდიო ლექციები, პოდკასტები, დიალოგების გახმოვანება, მუსიკალური ფრაგმენტები (ტექსტის აუდიოდ გარდაქმნის ფუნქციით).

ინტერაქტიული მასალები: სიმულაციები, ვირტუალური ლაბორატორიები, საგანმანათლებლო თამაშები, ქვიზები, ინტერაქტიული სავარჯიშოები, დიალოგზე დაფუძნებული სცენარები.

მოახდინონ არსებული მასალების ადაპტირება: AI-ს შეუძლია არსებული სასწავლო მასალების (მაგ., სახელმძღვანელოების, სტატიების) ადაპტირება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების, სწავლის სტილის, ენობრივი დონის და კულტურული ფონის გათვალისწინებით.

7 J.Jeon, S.Lee, „Large language models in education: A focus on the complementary relationship between human teachers and ChatGPT.“ Education 1 and Information Technologies, 28(12), 15873–15892. 2, 2023. <https://doi.org/10.1007/s10639-023-11777-4>

8 იქვე, ნ. მიქაძე.

მოიძიონ დამხმარე მასალები ინტერნეტში: AI-ზე დაფუძნებული საძიებო სისტემები, როგორიცაა researchrabbit , ეხმარება მასწავლებლებს, სწრაფად და ეფექტურად მოიძიონ შესაბამისი სამეცნიერო სტატიები, კვლევები, წიგნები, ვიდეო მასალები, პრეზენტაციები და სხვა რესურსები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სასწავლო მასალების გასამდიდრებლად.

AI-ის გამოყენება სასწავლო მასალების შექმნასა და განვითარებაში არა მხოლოდ ამცირებს მასწავლებლის მიერ ამ ამოცანებზე დახარჯულ დროსა და ძალისხმევას, არამედ ზრდის სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებას, ხარისხს, ხელმისაწვდომობას და შესაბამისობას მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებთან. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს სწავლის პროცესის პერსონალიზაციას, ინტერაქტიულობის გაზრდას, მოსწავლეთა ჩართულობის და მოტივაციის ამაღლებას და, საბოლოო ჯამში, აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.

AI-ს შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს შეფასების პროცესი შემდეგი ასპექტებით:

ავტომატიზაცია და ეფექტურობა: AI-ს შეუძლია ავტომატიზიროს შეფასების პროცესის მრავალი ასპექტი, განსაკუთრებით ისეთ დავალებებში, სადაც შესაძლებელია პასუხების ობიექტურად შეფასება (მაგ., მრავალჯერადი არჩევანის ტესტები, შეავსე გამოტოვებული ადგილები, სწორი/არასწორი დებულებები, მათემატიკური ამოცანები, პროგრამული კოდის შემოწმება). AI ალგორითმებს შეუძლიათ სწრაფად და ზუსტად შეაფასონ მოსწავლეთა ნამუშევრები, გამოავლინონ შეცდომები, დაადგინონ ცოდნის დონე და შესთავაზონ დეტალური უკუკავშირი.⁹ Gradescope-ის მსგავსი პლატფორმები ამის კარგი მაგალითია, რომლებიც ამარტივებს შეფასების პროცესს, ზოგავს მასწავლებლის დროს, ამცირებს სუბიექტურობის ფაქტორს და უზრუნველყოფს შეფასების ერთგვაროვნებასა და სანდოობას¹⁰

ობიექტურობა და მიუკერძოებლობა: ადამიანისგან განსხვავებით, AI ალგორითმები (თუ ისინი სწორად არის შემუშავებული და გაწვრთნილი) არ ექვემდებარება სუბიექტურ ფაქტორებს, როგორიცაა ემოციები, პირადი შეხედულებები, გენდერული, ეთნიკური ან სოციალურ-ეკონომიკური სტერეოტიპები. ეს ზრდის შეფასების ობიექტურობას და სამართლიანობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი რისკის მქონე შეფასებებში (მაგ., მისაღები გამოცდები, სერტიფიცირება). თუმცა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ AI სისტემები შეიძლება იყოს მიკერძოებული, თუ ისინი გაწვრთნილია მიკერძოებულ მონაცემებზე. ამიტომ, AI-ის მიერ გენერირებული შეფასებები ყოველთვის საჭიროებს ადამიანის მიერ გადამოწმებას და კრიტიკულ შეფასებას.

პერსონალიზებული უკუკავშირი: AI-ს შეუძლია არა მხოლოდ შეაფასოს მოსწავლის ნამუშევარი, არამედ უზრუნველყოს დეტალური, პერსონალიზებული და კონსტრუქციული უკუკავშირი, სადაც მითითებულია კონკრეტული შეცდომები, მათი გამოსწორების გზები, დამატებითი რესურსები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის გაღრმავებაში, და რეკომენდაციები შემდგომი ნაბიჯებისთვის.

ფორმატიული შეფასება: AI-ს შეუძლია უწყვეტად აკონტროლოს მოსწავლეთა პროგრესი, გააანალიზოს მათი ინტერაქცია სასწავლო მასალებთან, ამოიცნოს სწავლის სტილი, ძლიერი და სუსტი მხარეები და უზრუნველყოს დინამიური, ადაპტური უკუკავშირი, რომელიც მორგებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე.¹¹ ეს ფორმატიული შეფასების მიდგომა (შეფასება სწავლისთვის და არა მხოლოდ სწავლის შეფასება) საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, დროულად გამოავლინონ სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, გაიგონ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზონ მათ პროაქტიული და პერსონალიზებული მხარდაჭერა, რაც ხელს

9 Ibid. J.Jeon, S.Lee, 2023.

10 იქვე. ნ.მიქაძე.

11 Ibid. Z. Zhang, D. Zhang-Li, J.Yu, L.Gong, J. Zhou, Z. Liu, J.Li, 2024.

უწყობს სწავლის პროცესის ინდივიდუალიზაციას, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და, საბოლოო ჯამში, აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.

ადამიანური ფაქტორის როლი: AI-ს არ შეუძლია სრულად ჩაანაცვლოს მასწავლებლის ინტუიცია, გამოცდილება, ემპათია და კრიტიკული აზროვნება. შეფასება ხშირად მოითხოვს კონტექსტის გათვალისწინებას, მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლების გაგებას და შემოქმედებითი მიდგომის გამოყენებას, რასაც AI ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ ახერხებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია ჰიბრიდული მიდგომის გამოყენება, სადაც AI ასრულებს დამხმარე როლს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მასწავლებელი.

მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება: მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების შეგროვება და ანალიზი მოითხოვს მკაცრი ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვას. აუცილებელია მონაცემთა დაცვის საიმედო მექანიზმების დანერგვა და მოსწავლეთა ინფორმირებული თანხმობის მიღება.

ამ გამოწვევების მიუხედავად, AI-ის პოტენციალი შეფასების სისტემის გაუმჯობესებაში უდავოა. მნიშვნელოვანია, რომ AI-ის ინტეგრაცია შეფასებაში იყოს გააზრებულად, ეთიკურად და პედაგოგიურად გამართულად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

დიდი ენობრივი მოდელების (LLM) ინტეგრაცია თანამედროვე განათლების სისტემაში სულ უფრო მასშტაბურ და მრავალმხრივ ხასიათს იძენს. იმისათვის, რომ სრულყოფილად შევავსოთ ამ პროცესის სიღრმე და პერსპექტივები, აუცილებელია განვიხილოთ არა მხოლოდ

LLM-ების გამოყენების შესაძლებლობები, არამედ პრაქტიკული ასპექტები – თუ როგორ, რა სიხშირით, რა მიზნით და რა შედეგებით იყენებენ ამ ტექნოლოგიებს მოსწავლეები და მასწავლებლები რეალურ სასწავლო გარემოში.

კვლევები აჩვენებს, რომ LLM-ების გამოყენება, როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მიერ, მზარდი ტენდენციით ხასიათდება. Pew Research Center-ის მონაცემებით, 2024 წელს აშშ-ში მოზარდების 26%-მა გამოიყენა ChatGPT სასკოლო დავალებების შესასრულებლად, რაც თითქმის ორჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ეს სტატისტიკა ნათლად ასახავს LLM-ების მზარდ პოპულარობას და მათ აღქმას, როგორც სასარგებლო, ზოგჯერ კი აუცილებელ ინსტრუმენტს მოსწავლეთა ყოველდღიურ სასწავლო საქმიანობაში. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოყენების სიხშირე და ინტენსივობა მნიშვნელოვნად განსხვავდება დემოგრაფიული ჯგუფების, სასწავლო საფეხურების (სკოლა, უნივერსიტეტი, პროფესიული განათლება), საგნების (კუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური) და კონკრეტული ამოცანების მიხედვით.

მოსწავლეები LLM-ებს, უპირველეს ყოვლისა, იყენებენ ინფორმაციის სწრაფად მოსაძიებლად და რთული საკითხების გასაგებად მარტივ ენაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს ტერმინების განმარტებებს, ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიას, სამეცნიერო კონცეფციების ახსნას, ფორმულების განმარტებას და ა.შ.¹² გარდა ამისა, მოსწავლეები აქტიურად მიმართავენ LLM-ებს სასწავლო მასალების გენერირებისთვის – კონსპექტების, რეზიუმეების, პრეზენტაციების, ესეების გეგმების და სხვა ტექსტური მასალების შესაქმნელად. ეს არა მხოლოდ ზოგავს დროს, არამედ ეხმარება მათ მასალის სტრუქტურირებაში, ძირითადი იდეების გამოყოფასა და ინფორმაციის უკეთ დამახსოვრებაში. ასევე ენობრივი ბარიერების გადალახვა, ტექსტების თარგმნა და რედაქტირება ასევე წარმოადგენს LLM-ების გამოყენების მნიშვნელოვან სფეროს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია მულტილინგვური გარემოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

მასწავლებლებისთვის LLM-ები, თავის მხრივ, გვევლინება მრავალფუნქციურ ინსტრუმენტად, რომელიც ეხმარება მათ არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და

12 Ibid. M. Taylor, 2025, January 23.

წარმართვაში, არამედ პროფესიული განვითარების ხელშეწყობაშიც. მასწავლებლები იყენებენ LLM-ებს გაკვეთილის გეგმების შესაქმნელად, ტესტების, სავარჯიშოების, დიდაქტიკური მასალებისა და პრეზენტაციების მოსამზადებლად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მოსამზადებელ სამუშაოზე დახარჯულ დროსა და ძალისხმევას. LLM-ების ანალიტიკური შესაძლებლობები ეხმარება მასწავლებლებს, უკეთ გაიგონ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, სწავლის სტილი და პროგრესი, და ამის საფუძველზე მოახდინონ სწავლების მეთოდების ადაპტირება. შეფასების პროცესში LLM-ებს შეუძლიათ ავტომატურად შეაფასონ გარკვეული ტიპის დავალებები, რაც ზოგავს მასწავლებლის დროს და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, თუმცა, აუცილებელია ადამიანის მიერ კონტროლი და კრიტიკული შეფასება.

LLM სისტემების გამოყენების სიხშირე და ინტენსივობა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე. ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა, ციფრული კომპეტენციები, პედაგოგიური მიდგომები და ინსტიტუციური მხარდაჭერა გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ პროცესში. რაც უფრო მარტივია LLM-ებზე წვდომა (მაგ., უფასო ონლაინ პლატფორმების, ინტეგრირებული სასწავლო გარემოს მეშვეობით), რაც უფრო მაღალია მასწავლებელთა და მოსწავლეთა ციფრული უნარები, რაც უფრო მეტად არის ორიენტირებული პედაგოგიური პრაქტიკა ინოვაციებზე და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობაზე, და რაც უფრო ძლიერია სკოლის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა (ტრენინგები, ტექნიკური დახმარება, რესურსების გამოყოფა), მით უფრო მაღალია LLM-ების გამოყენების სიხშირე და ეფექტურობა.

რაც შეეხება LLM სისტემების გავლენას სასწავლო შედეგებზე, კვლევები, ზოგადად, დადებით ტენდენციას აჩვენებს. მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად და გააზრებულად იყენებენ LLM-ებს, უკეთ ითვისებენ სასწავლო მასალას, ავლენენ უფრო მაღალ აკადემიურ მოსწრებას, კრიტიკული აზროვნების უნარებს და გაზრდილ მოტივაციას. თუმცა, აუცილებელია ბალანსის დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ ზედაპირული სწავლა და LLM-ებზე გადაჭარბებული დამოკიდებულება. მასწავლებლის როლი კვლავ გადამწყვეტია – მან უნდა უხელმძღვანელოს მოსწავლეებს, ასწავლოს მათ LLM-ების კრიტიკულად და პასუხისმგებლობით გამოყენება და წაახალისოს მათი დამოუკიდებელი აზროვნება და შემოქმედებითობა.

მომავლის LLM-ებზე დაფუძნებული ვირტუალური ასისტენტები, ჩეთბოტები და პერსონალური ტუტორები გახდება გაცილებით უფრო “ადამიანური”, შეძლებენ ბუნებრივი ენის არა მხოლოდ გაგებას და გენერირებას, არამედ კონტექსტის, ქვეტექსტის, იუმორის, სარკაზმის, ემოციური ინტონაციის და სხვა ნიუანსების აღქმას და ადეკვატურად გამოყენებას. ისინი შეძლებენ მოსწავლეებთან არა მხოლოდ ინფორმაციულ, არამედ ემოციურ დონეზე ურთიერთობას, მხარდაჭერას, მოტივირებას და, გარკვეულწილად, მეგობრული ურთიერთობის დამყარებასაც კი, რაც, თავის მხრივ, შეიძლება დადებითად აისახოს მოსწავლეთა ჩართულობაზე, მოტივაციაზე და სწავლის შედეგებზე.

მომავლის LLM-ები შეძლებენ არა მხოლოდ ტექსტური ინფორმაციის, არამედ აუდიო, ვიდეო, გამოსახულებების, 3D მოდელების და სხვა ფორმატის მონაცემების დამუშავებას, ანალიზს, სინთეზს და გენერირებას, რაც შექმნის მულტიმედიური, მრავალსენსორული და იმერსიული სასწავლო გარემოს შექმნის უპრეცედენტო შესაძლებლობებს. მოსწავლეებს შეეძლებათ, შეისწავლონ რთული საკითხები სხვადასხვა პერსპექტივიდან, ჩაერთონ ინტერაქტიულ სიმულაციებში, ვირტუალურ ლაბორატორიებში, ვირტუალურ ექსკურსიებში და მიიღონ ცოდნა არა მხოლოდ აბსტრაქტული ფორმით, არამედ რეალურ სამყაროსთან მაქსიმალურად მიახლოებული გამოცდილების სახით.

LLM-ების ინტეგრაცია ვირტუალური (VR) და დამატებითი (AR) რეალობის ტექნოლოგიებთან, ტვინის კომპიუტერულ ინტერფეისებთან (BCI), ბიომეტრულ სენსორებთან, რობოტექნიკასთან და სხვა პერსპექტიულ ტექნოლოგიებთან საშუალებას მისცემს შევქმნათ

თვისობრივად ახალი, ადაპტური, ინტერაქტიული და იმერსიული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ ჩაერთონ რეალისტურ სიმულაციებში, ვირტუალურ ექსკურსიებში, ინტერაქტიულ ექსპერიმენტებში, ვირტუალურ ლაბორატორიებში, კონსტრუქციულ თამაშებში და სხვა აქტივობებში, რომლებიც გააღრმავებს მათ ცოდნას, გააძლიერებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და ხელს შეუწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ ხელოვნური ინტელექტის (AI), და კონკრეტულად, დიდი ენობრივი მოდელების (LLM) როლი განათლების სისტემაზე. კვლევა ეყრდნობოდა აკადემიური ლიტერატურის ანალიზს, ემპირიულ კვლევებს, ექსპერტთა მოსაზრებებსა და პრაქტიკულ მაგალითებს, და ცხადყოფს, რომ AI-ის ინტეგრაცია წარმოშობს როგორც შესაძლებლობებს, ისე გამოწვევებს, რომლებიც საჭიროებს დაბალანსებულ მიდგომას განათლების სფეროს ყველა მხარისგან.

ნაშრომში დეტალურად იქნა გაანალიზებული, თუ როგორ ცვლის AI ტრადიციულ სასწავლო მეთოდებს, ხელს უწყობს რა სწავლების პერსონალიზაციას, ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და აუმჯობესებს მასწავლებელთა მუშაობის ეფექტურობას. კვლევამ აჩვენა, რომ AI-ზე დაფუძნებული სისტემები მოსწავლეებს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო ტრაექტორიებს, მყისიერ უკუკავშირს, მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს და ინტერაქტიულ გარემოს, რაც დადებითად აისახება მათ მოტივაციაზე, აკადემიურ მიღწევებსა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო AI-ის როლს მასწავლებლის საქმიანობაში, მის ტრანსფორმაციას ინფორმაციის მიმწოდებლიდან სწავლის პროცესის ფასილიტატორად და ტექნოლოგიურ მენეჯერად. აღინიშნა, რომ AI ეხმარება მასწავლებლებს სასწავლო მასალების მომზადებაში, შეფასების პროცესის ავტომატიზაციაში, მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგსა და ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებაში.

ასევე, განხილულ იქნა მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ LLM სისტემების გამოყენების პრაქტიკული ასპექტები, მათი გამოყენების სიხშირე, მიზნობრიობა და ამ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მოლოდინები და გამოწვევები. კვლევამ აჩვენა, რომ AI-ის გამოყენება მზარდი ტენდენციით ხასიათდება და რომ მოსწავლეები მას აქტიურად იყენებენ ინფორმაციის მოსაძიებლად, სასწავლო მასალების შესაქმნელად და დავალებების შესასრულებლად.

ნაშრომში სიღრმისეულად იქნა განხილული AI-ის ინტეგრაციასთან დაკავშირებული ეთიკურისაკითხები. ხაზგასმით აღინიშნა მონაცემთა კონფიდენციალურობის, ალგორითმული მიკერძოებულობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ადამიანური ფაქტორის მნიშვნელობის საკითხები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი გვთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს, როგორც მასწავლებლებისათვის ასევე მოსწავლეებისათვის.

მასწავლებლებისთვის: აუცილებელია მუდმივი პროფესიული განვითარება, AI-ის პედაგოგიური ასპექტების შესწავლა და მისი, როგორც დამხმარე ინსტრუმენტის, კრიტიკული გამოყენება. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის წახალისება AI-თან ინტერაქციაში და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე ორიენტირება.

მოსწავლეებისთვის: AI-ის, როგორც სწავლის დამხმარე საშუალების გამოყენება, კრიტიკული მიდგომის შენარჩუნება, ინფორმაციის გადამოწმება და ეთიკური ნორმების დაცვა.

განათლების პოლიტიკის შემქმნელებისთვის: ეთიკური ჩარჩოს შემუშავება, თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა ტექნოლოგიებზე, მასწავლებელთა მხარდაჭერა და AI-ის

ინტეგრაციის გრძელვადიანი კვლევების წახალისება.

სამომავლოდ, მოსალოდნელია LLM ტექნოლოგიების განვითარება და ინტეგრაცია ვირტუალურ რეალობასთან, რაც ახალ შესაძლებლობებს შექმნის. აუცილებელია მუდმივი კვლევა, მონიტორინგი და ეთიკური ნორმების დაცვა. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ AI არ ჩაანაცვლებს ადამიანურ ინტერაქციას, მასწავლებლის გამოცდილებასა და მოსწავლის მოტივაციას. AI-სა და ადამიანის ინტელექტის თანაარსებობა, ეთიკური პრინციპების დაცვა, მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა და ინოვაციებისკენ სწრაფვა წარმოადგენს მომავლის განათლების საფუძველს.

ხელოვნური ინტელექტის განვითარების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგებს, მოსწავლეებსა და პოლიტიკის შემქმნელებს ჰქონდეთ წვდომა სანდო ინფორმაციაზე. ვიდეო მასალა ხშირად უფრო ეფექტურია კომპლექსური საკითხების გაგებისთვის. გთავაზობთ ვიდეო რესურსები AI-ის როლის შესახებ განათლებაში:

TED Talks on AI in Education: ვიდეოები ექსპერტებისგან AI-ის გამოყენების ასპექტებზე განათლებაში. ბმული: <https://www.ted.com/search?q=AI+in+education>

Khan Academy's videos on AI: ვიდეოები AI-ის პრინციპებისა და გამოყენების შესახებ განათლებაში. ბმული: <https://www.khanacademy.org/> (საკვანძო სიტყვები: “artificial intelligence”, “machine learning”).

Google for Education - AI for Education: ინფორმაცია Google-ის ინიციატივების შესახებ AI-ის განათლებაში. ბმული: https://edu.google.com/intl/ALL_us/why-google/ai-for-education/

Crash Course Artificial Intelligence: ვიდეოების ნაკრები AI-ის ასპექტებზე. ბმული: https://www.youtube.com/playlist?list=PL8dPuuaLjXtO65LeD2p4_Sb5XQ5paA9bn

AI in education. Is the future here? | DW Documentary: დოკუმენტური ფილმი AI-ის როლზე განათლებაში. ბმული: <https://www.youtube.com/watch?v=qDM91U9YSd4>

ბიბლიოგრაფია

მიქაძე, ნ. (n.d.). ხელოვნური ინტელექტი და სასკოლო განათლება. განათლების E სახლი.

Jeon, J., & Lee, S. (2023). Large language models in education: A focus on the complementary relationship between human teachers and ChatGPT. *Education 1 and Information Technologies*, 28(12), 15873–15892. 2 <https://doi.org/10.1007/s10639-023-11777-4>

Taylor, M. (2025, January 23). What Teens Say They Do and Don't Use ChatGPT For. *Parents.com*.

Xiao, N., Pei, Y., Yuan, C., Bu, Y., & Cai, Z. (2024). Transforming Education with Artificial Intelligence: A Comprehensive Review of Applications, Challenges, and Future Directions. *International Theory and Practice in Humanities and Social Sciences*, 2(1), 337–356. <https://doi.org/10.70693/itphss.v2i1.211>

Yu, J., Zhang, Z., Zhang-li, D., Tu, S., Hao, Z., Li, R., ... Sun, M. (2024). From MOOC to MAIC: Reshaping Online Teaching and Learning through LLM-driven Agents. *arXiv preprint arXiv:2409.03512*. <https://arxiv.org/abs/2409.03512>

Zhang, Z., Zhang-Li, D., Yu, J., Gong, L., Zhou, J., Liu, Z., ... Li, J. (2024). Simulating Classroom Education with LLM-Empowered Agents. *arXiv preprint arXiv:2406.19226*. <https://arxiv.org/abs/2406.19226>

საქართველოსა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და ეთნოპოლიტიკური მოწყობის ერთი რუსულ-ბოლშევიკური გეგმისა და ვერსიის შესახებ

არჩილ ჩაჩხიანი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის
მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის დოქტორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოსა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და ეთნოპოლიტიკური მოწყობის ერთი რუსულ-ბოლშევიკური ვერსიის მონახაზები, რასაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისთანავე, და მე-11 წითელი არმიის მიერ საქართველოს იძულებითი გასაბჭოების პირველ წლებში ჰქონდა ადგილი. ვერსიის ავტორი საქართველოში საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის სამხედრო ატაშე, მეფის არმიის ყოფილი გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი, შემდგომში საბჭოთა სამხედრო სადაზვერვო სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პაველ სიტინია. ამავე რაკურსშია წარმოდგენილი, ზოგადად, რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები და რუსული „მესამე რომის“ იდეოლოგიის ცალკეული შტრიხები. ამ იდეოლოგიის მიხედვით, მოსკოვის ახალი რელიგიური სტატუსი მას მთელი ქრისტიანული სამყაროს პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევას გულისხმობდა. სტატიაში განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია ამ პოლიტიკის ძირითადი ეტაპები.

რუსულმა შოვინისტურმა და იმპერიალისტურმა აზროვნებამ პიკს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიაღწია. ეს პერიოდი რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური „მოდერნიზაციის“ რთული პროცესების დასაწყისად იქცა, რაც საერთო ჯამში თვითმპყრობელობის ლიკვიდაციით დასრულდა 1917 წელს. იმ წინააღმდეგობებმა, რაც არსებობდა იმპერიაში და ვერ გადაიჭრა ევოლუციურად, საზოგადოება კრიზისამდე მიიყვანა, რისი გადაწყვეტაც საბოლოოდ რევოლუციის გზით მოხერხდა.

სამხედრო ხასიათის სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების გარდა, გამოცდილი სამხედრო მეთაური და გენშტაბისტი წმინდათ სამხედრო ხასიათის მოხსენებითი ბარათების გარდა, ანალიტიკური ხასიათის მოხსენებით ბარათებსაც ადგენდა. საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის მთავარ ამოცანას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებისა და შემდგომი მართვისათვის ხელსაყრელი წინაპირობების მომზადება შეადგენდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი აქცენტები საქართველოში შიდა ეთნო და კონფესიური კონფლიქტების ინსპირირებასა და ასეთი გზით ქართული სახელმწიფოს დასუსტებაზე კეთდებოდა. რუსეთის წარმომადგენლობის სამხედრო ატაშეს მიერ ასეთი სამიზნეობა, პირველ რიგში, აჭარა და აფხაზეთი, აგრეთვე სამეგრელო იქნა შერჩეული. უფრო დიდი მასშტაბებით კი, რუსეთის მიერ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მართვის გამარტივების მიზნით იგი სრულიად წარმოუდგენელი ეთნო და გეოპოლიტიკური რეფორმაციების ჩატარების რეკომენდაციებს იძლეოდა, რაც სრულიად შლიდა რეგიონის ისტორიულ და პოლიტიკურ ლანდშაფტს.

წინამდებარე სტატიაში სწორედ ეს საკითხებია განხილული და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: „მესამე რომი“, საბჭოთა რუსეთი, დაზვერვა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ამიერკავკასია, ეთნოკონფლიქტი, აჭარა, აფხაზეთი, სამეგრელო.

ON A ONE RUSSIAN-BOLSHEVIK PLAN AND VERSION OF THE ADMINISTRATIVE AND ETHNOPOLITICAL ARRANGEMENT OF GEORGIA AND TRANSCAUCASIA

Archil Chachkhiani

Associate Professor of Master's Program in Defence Analysis of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of History

Abstract

The article discusses the outlines of a Russian-Bolshevik version of the administrative and ethno-political arrangement of Georgia and Transcaucasia, which took place immediately after the establishment of diplomatic relations between the Democratic Republic of Georgia and Soviet Russia, and during the first years of the forced Sovietization of Georgia by the 11th Red Army. The author of the version is Pavel Sytin, the military attaché of the diplomatic mission of Soviet Russia in Georgia, a former major general of the General Staff of the Tsarist Army, and later one of the heads of the Soviet Military Intelligence Service. In this perspective, the main features of Russian expansionist policy and the individual strokes of the ideology of the Russian "Third Rome" are presented in general. According to this ideology, the new religious status of Moscow meant its transformation into the political center of the entire Christian world. The article defines and formulates the main stages of this policy.

Russian chauvinistic and imperialist thinking reached its peak in the second half of the XIX century. This period marked the beginning of the complex processes of Russia's socio-political "modernization", which ultimately ended with the liquidation of the autocracy in 1917. The contradictions that existed in the empire and could not be resolved evolutionary, led society to a crisis, which was finally resolved through revolution.

In addition to obtaining military intelligence, an experienced military commander and general staff officer also compiled analytical reports in addition to purely military reports. The main task of the diplomatic representation of Soviet Russia was to prepare favorable preconditions for the Sovietization and further management of the Democratic Republic of Georgia. In this regard, significant emphasis was placed on inspiring internal ethno-confessional conflicts in Georgia and thus weakening the Georgian state. The Russian military attaché first of all selected Adjara and Abkhazia, as well as Samegrelo, as such targets. On a larger scale, in order to simplify the state administration of the Transcaucasia by Russia, he gave recommendations for completely unimaginable ethno-geopolitical reforms, which completely destroyed the historical and political landscape of the region.

This article discusses these issues and draws relevant conclusions.

Key words: "Third Rome", Soviet Russia, Intelligence, Democratic Republic of Georgia, Transcaucasia, Ethnic conflict, Adjara, Abkhazia, Samegrelo.

შესავალი

რუსეთის ისტორიის დეტალური გაანალიზებით, ნათლად იკვეთება სახელმწიფოებრივი სტრატეგიების სამი ძირითადი პერიოდი. სამივე მათგანს მკაფიოდ შემოსაზღვრული მისია აქვს და ბრძოლებისა და არეულობების ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდება. პირველი „რუსული მიწებისათვის თავის მოყრას“ ეძღვნება, რაც მოსკოვის მთავრებმა ოქროს ურდოს მეთოდებით და ამავე ოქროს ურდოს მფარველობით შეასრულეს კიდეც. ეს პერიოდი ივანე მრისხანეს ტახტზე ასვლით დასრულდა, რასაც სისხლისმღვრელი რეჟიმის დამყარება და რუსი ერის უზედურება მოჰყვა შედეგად. მეორე პერიოდი, რომელიც ცარისტულ რეჟიმს მოიცავს, ლოკალურ დაპყრობით ომებს ეძღვნება. მესამე პერიოდში, დაპყრობითი ომების შემდეგ კი, დაიწყო ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის. შესაბამისად, ადგილობრივი სამხედრო კამპანიები მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტებში გადაიზარდა.¹ ეს პროცესები ე.წ. „რუსული სამყაროს“ გაფართოებისათვის მიმდინარეობდა, რაც არა მხოლოდ რუსეთის კულტურული და პოლიტიკური გავლენის სფეროების გაზრდას, არამედ რუსული მოსახლეობის გაერთიანებას ნიშნავდა ცივილიზაციური, გეოპოლიტიკური და რელიგიური ნიშნით. ტერმინ „რუსული სამყაროს“ გაგება კი, მოიცავს არა მხოლოდ თავად რუსულ მოსახლეობას, არამედ აგრეთვე რუსული კულტურის იდეოლოგიურ კონცეფციას და მის მისიას.²

რუსული სამყაროს გაფართოებისათვის წარმოებულ ომებს XVI საუკუნეში მოღვაწე ფსკოვის სპასო-ელეაზარის მონასტრის ბერის, ფილოფეის მიერ წამოყენებული „მესამე რომის“ იდეოლოგემა წარმართავდა. ამ კონცეფციის მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ რომაულ სამეფოს ამიერიდან რუსი ხელმწიფის სამეფო წარმოადგენდა და ეს სამეფო მთელი მსოფლიო იყო. „ორი რომი დაეცა, მესამე დგას და მეოთხე რომი აღარ იქნება“, ანუ – „პირველი რომი იყო რომი, მეორე რომი – კონსტანტინოპოლი, მესამე რომი მოსკოვია, და მეოთხე რომი აღარ იქნება“. პავლე მოციქულის მიხედვით კი, „რომი – მთელი მსოფლიოა“.³ ძალიან მალე კი, მოსკოველმა მეფეებმა ფილოფეის სიტყვებში რაღაც უფრო დიდძალ დაინახეს: მოსკოვის ახალი რელიგიური სტატუსი მას მთელი ქრისტიანული სამყაროს პოლიტიკურ ცენტრად აქცევდა.⁴

ძირითადი ნაწილი

XVIII საუკუნის დადგომასთან ერთად სახელმწიფო, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯად გადაქცევაზე, იმპერიად და ძლიერ „დერჟავად“ ყალიბდებოდა. რუსეთი, დაწყებული პეტრე დიდიდან და ცარისტული პერიოდიდან, დამთავრებული ბოლშევიკური ტოტალიტარიზმიდან თანამედროვე „რესპუბლიკამდე“, ყოველთვის ცდილობდა მოეპოვებინა ჰეგემონი სახელმწიფოს (Держава-гегемон) სტატუსი. შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისა და რეგიონში ფეხის მოკიდების შემდეგ მან მართლაც მოიპოვა დიდი ევროპული სახელმწიფოს (Держава) სტატუსი. ნებისმიერი მიმართულებით რუსული სახელმწიფოს ექსპანსიის ეს ისტორია მეზობლებთან უწყვეტი სამხედრო კონფლიქტებისა და ომების ისტორიაა.⁵ იმპერიულობის სახელმწიფოებრივი გაგება კი სულ სხვა პრინციპებს, პირველ რიგში, გეოსტრატეგიულ მიზნებს დაეფუძნა, რამაც დაპყრობითი ომების წარმოებაში ჰპოვა თავისი ასახვა. მთელი ცარისტული პერიოდის განმავლობაში

1 ივანე ნანუაშვილი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ. გვ. 140. თბილისი. 2012.

2 Andis Kudors. „Russian World” – Russia’s Soft Power Approach to Compatriots Policy. Russian analytical digest. Russian Public Relations Activities and Soft Power. 81/10. Pg. 2-4. Riga. 16 June 2010. https://www.files.ethz.ch/isn/117631/Russian_Analytical_Digest_81.pdf

3 Кирилл Юрьевич Резников, Филофей, старец. „Послание старца Филофея великому князю Василию.” Памятники литературы Древней Руси: Конец XV – первая половина XVI века. Т. 6. М.: Худож. Лит. Стр. 441., 1984.

4 Лидия Новикова. Ирина Сиземская. Идеи мессианизма в русской философии и истории. Российская цивилизация. 1995. http://ecsocman.hse.ru/data/310/863/1216/006_Novikova.pdf.

5 Райан Дессейн. Лапа Чантуридзе, „Realpolitik и война России с Грузией. Три года спустя.” Центральная Азия и Кавказ. Том 15. Стр. 138. Выпуск 1. 2012. <https://cyberleninka.ru/article/n/realpolitik-i-voyna-rossii-s-gruziei-tri-goda-spustya/viewer>

რუსული საზოგადოების ყველა ელემენტი ეთანხმებოდა ამ იდეას და თუ ლიდერი მის განსახორციელებლად ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამდა წინ, მას ყველა სისუსტე, შეცდომა თუ ცოდვა მიეტევებოდა.

რუსულმა შოვინისტურმა და იმპერიალისტურმა აზროვნებამ პიკს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიაღწია. ეს პერიოდი რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური „მოდერნიზაციის“ რთული პროცესების დასაწყისად იქცა, რაც საერთო ჯამში თვითმპყრობელობის ლიკვიდაციით დასრულდა 1917 წელს. იმ წინააღმდეგობებმა რაც არსებობდა იმპერიაში და ვერ გადაიჭრა ევოლუციურად, საზოგადოება კრიზისამდე მიიყვანა, რისი გადაწყვეტაც საბოლოოდ რევოლუციის გზით მოხერხდა. მას კი, 1917 წლის ბოლოს ბოლშევიკური გადატრიალება მოჰყვა. რუსი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, ნიკოლაი ბერდიაევი აღნიშნავდა: „როგორ გასაკვირადაც არ უნდა ჟღერდეს, ბოლშევიზმი რუსული ველიკოდერჟავობის, რუსული იმპერიალიზმის მესამე გამოვლინებაა. პირველ გამოვლინება მოსკოვის სამეფო იყო, მეორისა – პეტრეს იმპერია. ბოლშევიზმი – ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრედ გამოდის. მოხდა ნებისა და სოციალური სიმაღლის შეერთება ნებასა და სახელმწიფოებრივ ძლიერებასთან. მეორე ნება უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ბოლშევიზმი რუსეთის ცხოვრებაში როგორც უმაღლესი ხარისხის მილიტარიზებული ძალა, ისე შევიდა.⁶ და ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ მცირე ხანში, კარგად გათამაშებული მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდიის შემდეგ, ბოლშევიკები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. უკვე 1918 წლის 7 მარტს რკპ(ბ) VII საგანგებო ყრილობაზე გამოსვლისას ვლადიმირ ლენინი ცეკას მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ პოლიტიკური ანგარიშით წარსდგა: „რადგან ჩვენი რევოლუცია მოხდა ამ ბედნიერ მომენტში, როდესაც მტაცებელთა ვერც ერთმა გიგანტურმა ჯგუფმა ვერ შეძლო ვერც დაუყოვნებლივ დასხმოდა ერთმანეთს თავს და ვერც ჩვენს წინააღმდეგ მოახერხეს გაერთიანება – მხოლოდ ამ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მომენტით შეეძლო ესარგებლა და ისარგებლა კიდეც ჩვენმა რევოლუციამ, რათა განეხორციელებინა თავისი ბრწყინვალე ტრიუმფალური სვლა ევროპულ რუსეთში, გავრცელებულიყო ფინეთში, დაიწყოს კავკასიის, რუმინეთის დაპყრობა”.⁷ ზუსტად ეს სიტყვაა ნახმარი – „დაპყრობა“! (Завоевывать – ა. რ.).

რუსეთი ყოველთვის კარგად ინიღბებოდა და თავისი აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამართლებას რუსული „მესიანიზმის“ იდეით ცდილობდა. რუსეთის არმია ყოველთვის „ჩაგრულთა“, ანუ დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის მიერ უნდა ყოფილიყო მოხმობილი. ამ მანევრის გარეშე ძნელად იქნებოდა შესაძლებელი ფორმალური ომის შეცვლა „ცივი“ და სამოქალაქო ომით. ამიტომ არის, რომ რუსულ საოკუპაციო ჯარს, ჩვეულებრივ, თავის საფრონტო მარაგებთან ერთად, დაპყრობილი ქვეყნისათვის განკუთვნილი მთავრობაც დაჰყავს თან, რომლის ამოცანაც რუსეთის ნებისმიერი მოქმედების ლეგალიზება და გამართლება იქნება.⁸ რუსული ექსპანსიონიზმის სტრატეგია თითქმის ყოველთვის გამართულად მუშაობდა. დიახ, ორსახოვანი პოლიტიკის წარმოებით – „Кнута и Пряником“ შემოდიოდა მაშინაც, XIX საუკუნეში რუსული იმპერია ამიერკავკასიაში და შემოდის დღესაც, უკვე XXI საუკუნეში – მათრახითა და თაფლაკვერით, ტკბილი დაპირებებითა და იმედებით, ცეცხლითა და მახვილით, ფულითა და მოსყიდვებით, სისხლითა და ცრემლით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, სიძულვილითა და მტრობით... და ასე უსასრულოდ... ყოველივე ეს კი, მცოცავი ანექსია იყო მაშინაც და მცოცავი ანექსიაა დღესაც, სხვა არაფერი, რომელიც წარმატებით იქნა

6 Виктор Аксютин. Бердяев о «русском коммунизме». Ошибки гения. <http://www.apn.ru/publications/article 22426.htm>.

7 Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. Ленин. В. И. ПСС. Т. 36.

8 ივანე ნანუაშვილი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ. თბილისი. 2012. გვ. 120.

განხორციელებული XIX საუკუნეში და ჯერ-ჯერობით წარმატებით ხორციელდება დღესაც.⁹

XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს და 20-იანი წლების დასაწყისში ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებსა და ხალხებთან მიმართებაში ბოლშევიკებიც და მათთან დაპირისპირებული თეთრი მოძრაობის ლიდერებიც ერთი საერთო სტრატეგიული ხაზის გამტარებლები იყვნენ და მათი პოლიტიკური მიზნებიც პრაქტიკულად იდენტური იყო – დიდი და ერთიანი, განუყოფელი რუსეთის შექმნა.

ლენინი კვერს უკრავდა დენიკინის ლოზუნგს „ერთიანი და განუყოფელი დიდი რუსეთის“ შესახებ, მაგრამ ერთი დამატებით – „საბჭოთა რუსეთი“.¹⁰ ექსპანსიონისტურ იდეოლოგიაზე დამყარებული დაპყრობითი ომების რუსული მეთოდოლოგია კი, ოთხ საფეხურს მოიცავდა. პირველი – მთელი ძალისხმევა იქითკენ იყო მიმართული, რომ დასაპყრობი ქვეყანა გარე სამყაროსგან იზოლაციაში მოექცეოდა. მეორე – ღრმავდება შიდა დაპირისპირება, რომელსაც ხელს უწყობენ ამავე ქვეყნის მოქალაქეები, ე.წ. „სტავლენიკები“ (მეფე, პრეზიდენტი, ხანი, ამირა, გავლენიანი პოლიტიკური ლიდერი, მინისტრი და ა.შ.), რომელთაც რუსეთი დიდ დახმარებებს უწევს. მესამე – ახდენს ქვეყანაში დაპირისპირების ესკალაციას და ქვეყანას სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ხვევს. ამ დროს რუსეთი ერთ რომელიმე მხარეს კი არ უჭერს მხარს, არამედ დაპირისპირებულ მხარეებს შორის უფრო სუსტებს ეხმარება. ეს პროცესი მონაცვლეობით ხორციელდება, რათა ასე დაასუსტოს ორივე მხარე. მეოთხე საფეხურს კი, წარმოადგენს აღნიშნულ ქვეყანაში რუსული ჯარების ინტერვენცია, რომელიც საზღვართან ახლოს არის გაშლილი. როგორც წესი, ჯარების შეყვანა დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთმა უნდა ითხოვოს. ჯარების შეყვანის შემდეგ კი ხდება ქვეყნის ტერიტორიების ნაწილობრივი ან სრული ოკუპაცია, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ ქვეყნის სრული ანექსიით სრულდება. ასე იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაშიც, რომლის იძულებითი გასაბჭოებაც ძალისმიერი მეთოდებით და სამხედრო ინტერვენციის გზით განხორციელდა.

1920 წლის 28 აპრილს საბჭოთა რუსეთის კავკასიის ფრონტის მე-11 წითელი არმიის შენაერთებმა უმტკივნეულოდ მოახდინეს ბაქოს ოკუპაცია და შემდგომი სამხედრო ექსპანსიის ვექტორი საქართველოსკენ მიმართეს. საბჭოთა რუსეთ-საქართველოს პირველი ომი საქართველოს გამარჯვებით დასრულდა. მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ინტერვენტებმა სასწრაფოდ ითხოვეს ზავი. 1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც საბჭოთა რუსეთმა დე იურე სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, ქვეყნის მთავრობა და სახელმწიფო საზღვრები, რაც სამხედროსთან ერთად, ქართული მხარის დიდ დიპლომატიურ გამარჯვებას წარმოადგენდა.¹¹ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სახელმწიფო აღიარებდა თავისი ტერიტორიების ნაწილის დამოუკიდებლობას უფრო ადრე, ვიდრე ამას სხვა ქვეყნები გააკეთებდნენ.¹²

მართალია, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთმა სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თბილისში რუსეთის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენლობაც გაიხსნა, სამხედრო წარმომადგენლად კი, ბოლშევიკთა სამსახურში ჩამდგარი გამოცდილი ცარისტი ოფიცერი, ბოლშევიკთა სამხრეთის

9 არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში. (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. გვ. 24. თბილისი. 2014.

10 „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო.“ გაზეთი „სახალხო საქმე“. 1919 წ. შაბათი, მარტის 8. #475. გვ. 1.

11 ზავი საბჭოთა რუსეთთან. მთავრობის ოფიციალური ცნობა. საქართველოს რესპუბლიკა. 1920 წლის 11 მაისი. #103.

12 Г. Уратадзе. Общественное движение в Грузии в 1821-1921 гг., Париж, 1939, с. 179.

ფრონტის ყოფილი სარდალი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ – მაიორი პაველ სიტინი დაინიშნა. ამ წარმომადგენლობის დაარსებით თბილისში ფაქტობრივად ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო დაზვერვის რეზიდენტურა დაფუძნდა. საბჭოთა ატაშეს მთავარ ამოცანას მათზე გაპიროვნებულ ქვეყანაში აგენტურული ქსელის ორგანიზება, სამხედრო ხასიათის სანდო სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, შეკრება და ცენტრისათვის გადაცემა იყო.¹³

საერთო ჯამში, 1920 წლის 22 ივნისი – 31 დეკემბრამდე პერიოდში, სიტინმა სულ მცირე 277 მოხსენებითი ბარათი შეადგინა, ხოლო 1921 წლისათვის – 25. ასე რომ, მის მიერ 300-ზე მეტი მოხსენება იქნა შედგენილი. მათი მოცულობებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ სიტინი ინფორმაციას პრაქტიკულად ყოველდღიურად ადგენდა, ცალკეულ დღეებში რამდენჯერმეც კი. ეს მოხსენებები ძირითადად დანომრილია, თუმცა, გვხვდება დაუნომრავი მოხსენებითი ბარათებიც.¹⁴

სამხედრო ხასიათის სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების გარდა, გამოცდილი სამხედრო მეთაური და გენშტაბისტი ანალიტიკური ხასიათის მოხსენებით ბარათებსაც ადგენდა. საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის მთავარ ამოცანას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებისათვის ხელსაყრელი წინაპირობების მომზადება შეადგენდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი აქცენტები საქართველოში შიდა ეთნო და კონფესიური კონფლიქტების ინსპირირებასა და ასეთი გზით ქართული სახელმწიფოს დასუსტებაზე კეთდებოდა. რუსეთის წარმომადგენლობის სამხედრო ატაშეს მიერ ასეთ სამიზნეებად, პირველ რიგში, აჭარა და აფხაზეთი იქნა შერჩეული.

1918 წლის ბოლოდან ბათუმი და ბათუმის ოლქი ბრიტანული საოკუპაციო ჯარების მიერ იყო დაკავებული და იქ ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. ამავე დროს რეგიონში ძლიერი იყო პროოსმალური და პროისლამური განწყობები, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა კიდევ ერთი რუსული ძალა – გენერალ ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმია, რომელიც სათავისოდ ცდილობდა მის გამოყენებას. მოხალისეთა არმიისა და ე.წ. „სამხრეთ რუსეთის“ შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ივან რომანოვსკი, თავის 1919 წლის ივლისის საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა: „ოლქის მუსლიმანური მცხოვრებნი თითქმის სულ ქართველების ჩამომავალნი არიან, მაგრამ აქამდე თუ უმცირესობას არ მივიღებთ მხედველობაში, მცირედ გამოიწვევს, არამცთუ საქართველოსკენ არ იწევიან, არამედ პირიქით სძულთ თავიანთი მომძეები. ეს მტრობა აიხსნება როგორც სარწმუნოების სხვადასხვაობით, ისე წინანდელი სიძულვილით, რომელსაც ოსმალეთი მათში აღვივებდა თავისი ბატონობის დროს და სარგებლობდა აჭარლებით, როგორც საქრისტიანო საქართველოს საზღვარზე აღმართული კედლით. აჭარლებს ჰგონიათ, რომ ქართველებთან შეერთება დაასუსტებს მათ სარწმუნოებას, შემდეგ სულ მოსპობს მას და დაანგრევს მათ პატრიარქალურ ცხოვრებას. რუსეთის გავლენისა მათ არ ემინიათ და ამით უნდა ვისარგებლოთ“.¹⁵ აჭარაში არსებულ მძიმე მდგომარეობასა და ადგილობრივ შეიარაღებულ რაზმებსა და სამთავრობო ჯარებს შორის არსებულ სამხედრო დაპირისპირებაზე საუბრობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძეც. 1920 წელს განვითარებული მოვლენების შესახებ იგი წერდა: „ჩვენი ჯარი ჯერ კიდევ თებერვლის

13 არჩილ ჩაჩხიანი. ბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართველი მეთაურების შესახებ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „დიდი ძალების რეგიონალური პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები, გამოწვევები 2024 წლისათვის». გორი 2024. გვ. 32-42.

14 Ганин А. В. Советская военная разведка в Грузии в 1920–1921 годах. Миссия Павла Сытина. Государственное управление. Электронный вестник Выпуск №43. Апрель 2014 г. Стр. 208. <https://cyberleninka.ru/article/n/sovetskaya-voennaya-razvedka-v-gruzii-v-1920-1921-godah-missiya-pavla-sytina>

15 რომანოვსკის მოხსენება. „სახალხო საქმე“. საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. #574. 13. 07. 1919.

თვეში შევიდა ბათუმის ოლქში და არდანუჯი და ხულო დაიკავა... აჭარის მოსახლეობის უმეტესობა, განსაკუთრებით ჩრდილოელები, ჩვენს მიმართ მტრულად იყო განწყობილნი. მის გაღვივებას ხელს უწყობდნენ თურქი ემისრები, სასულიერო პირები, აგრეთვე ინგლისელი ხელისუფალნი, რომლებმაც აჭარის მთავარსარდლად ვინმე ქისქინ-ზადე (მუჰამედ ბეი ქესქინ-ზადე კიკნაძე – ა. ჩ.) დანიშნეს“.¹⁶

აჭარასთან მიმართებაში მტრულ დამოკიდებულებას ავლენდა საბჭოთა რუსეთიც. 1920 წლის 9 ივნისის გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გიორგი ჩიჩერინის ნოტა თურქეთის ახალი ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერის, გენერალ მუსტაფა ქემალისადმი (შემდგომში თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი მუსტაფა ქემალ ათათურქი), სადაც ჩამოყალიბებული იყო მხარეების საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ნოტაში იყო პუნქტი, სადაც ჩიჩერინი იზიარებდა ბათუმის ოლქის კუთვნილების საკითხის გადაჭრას რეფერენდუმის გზით. რა რა თქმა უნდა, ეს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უხეში დარღვევა იყო, რის შესახებაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭკორმა 1920 წლის 24 ივნისის N4974 ნოტით აცნობა ჩიჩერინს.¹⁷ მიუხედავად ყველაფრისა, საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორი საქართველოსთან მიმართებაში თავიდანვე დესტრუქციაზე დაფუძნებულ აგრესიას მოიცავდა. იგივე სურათი შენარჩუნდა აჭარის დანარჩენ საქართველოსთან შემოერთების პირველ თვეებშიც. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი (ყარიბი), რომელმაც 1920 წლის 10 ოქტომბერს მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას, ახლადშემოერთებული ბათუმის ოლქის შესახებ ვრცელი საიდუმლო მოხსენება წარუდგინა, აღნიშნავდა: „ჩემის ღრმა რწმენით აქ ქართველ მახმადიანებს ჩვენ ვძულვართ და ვეზიზღებით და სრულიად საკმარისია რაიმე უსიამოვნება მოგვიხდეს რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსთან, რომ ქართველი მახმადიანები გაყვენ პირველი ავანტიურისტის რჩევას და როგორც ერთი კაცი ისე გამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ...“¹⁸ სწორედ ამ განხეთქილებაზე მანიპულირების გზით იძლევა სიტინი რეკომენდაციებს საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევისა და დასუსტების შესახებ. თავის 1920 წლის ივლისში შედგენილ მოხსენებით ბარათში (თარიღისა და ნომრის გარეშე) სიტინი ახდენს ბათუმისა და აჭარის სტრატეგიულ მიმოხილვას და ოპერატიული ვითარების ანალიზს. იგი წერს, რომ თითქოს ქართველებმა შეძლეს აჭარლების მომხრობა და აქ პროქართული მუხტის გაძლიერება, რასაც აჭარის საქართველოსთან შეერთება უნდა მოჰყვეს, რაზეც დიდი თანხები იქნა დახარჯული. იგი ხაზს უსვამს მეჯლისის წევრების დიდი ნაწილის პოზიციებს და გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ პოზიციებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, იგი ხაზს უსვამს ბათუმის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას და იმას, რომ ოლქი რუსეთის კუთვნილება უნდა გახდეს. შემდეგ საუბრობს იმაზე, რომ ქართველები ყველანაირი გზებით ცდილობენ აჭარის ხელში ჩაგდებას. მათ შეიყვანეს ჯარები ხულოში, ართვინსა და სასაზღვრო ზოლში, რაზეც ინგლისელებმა რეაგირება არ მოახდინეს. პირიქით, მათ თავიანთი ჯარები გაიყვანეს. მაგრამ აჭარლები თავს დაესხნენ ქართველებს და საერთო ჯამში დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. ქართველთა მხრიდან 200 მოკლული და 500 დაჭრილია. აჭარლებმა ალაფად ხელში ჩაიგდეს 6 ტყვიამფრქვევი და 2 ქვემეხი. აჭარლებმა მათ მიერ დაკავებულ მიწებზე მოაწყვეს თვითმმართველობა და ჩააყენეს ჯარი. ინგლისელები სიმპათიით არიან აჭარლების მიმართ განწყობილები. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, რასაც

16 გიორგი კვინიტაძე. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. გვ. 243. „ლომისი“. თბილისი. 1998.

17 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. (შემდგომში სეა. ცსსა). ფონდი 1867, ანაწერი 2, საქმე 20, ფურცელი 69.

18 დავით ზვადაგანი. ქესქინ-ზადეს დიდი თამაში აჭარულ ცუგცვანგში. 2022. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1861 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობა), ანაწერი 2, საქმე 144. ჰტტპს://არქივი.გე/კა/ბლოგ

გუბერნატორი და გენერალი მილნიც ესწრებოდნენ, მათ თქვეს, რომ პლენისციტის ჩატარება ზედმეტია: იგი ხალხის ჭეშმარიტ სურვილს ხედავს. მიუხედავად ამისა, ინგლისელებმა ქართველები ქალაქში (ბათუმი – ა. ჩ.) და მთლიანად ოლქში დაუშვეს და ისინი ჯარითა და ფლოტით მიიღეს. აჭარლები მთებში გაიხიზნენ.

ამჯერად ბათუმში ქართველები იმყოფებიან. მათი ჯარებითაა დაკავებული აგრეთვე ქედა, ართვინი და ბორჩხა. სხვაგან შეიარაღებული აჭარლები და მათი სარდალი მუჰამედ ბეი ქესქინ-ზადეა. შემდეგ სიტინი იძლევა აჭარელი კაცის ზოგად დახასიათებას. იგი წერს: „შეიარაღებულია 10-დან 15 ათასამდე აჭარელი (35 ნომინალურად). არაორგანიზებულები არიან. არა ჰყავთ განსწავლული ოფიცრები. მამაცი მთიელები არიან, მაგრამ ჯარი სუსტი ჰყავთ, თუმცა, ქართველებთან შედარებით გაცილებით უკეთესები არიან. ინტელიგენცია არა ჰყავთ. არ გააჩნიათ არც ფული და არც საბრძოლო მასალა. შეიარაღება სხვადასხვა კალიბრის და მოძველებული აქვთ. მხურვალე პატრიოტები არიან. არ უყვართ ქართველები, მაინცდამაინც არ სურთ თურქები, მიდრეკილები არიან რუსეთისადმი და სძულთ ინგლისელები. ქედს იხრიან ძალის წინაშე. მოსყიდვას ექვემდებარებიან, თავმოყვარეები და დაბალკულტურულები არიან“. შემდეგ სიტინი იძლევა რუსეთის მხრიდან აჭარლებთან მოქმედებების რეცეპტს და სრული რუსიფიკაციის სქემას: „რუსეთის ინტერესებშია, რომ დაუყოვნებლივ იქნას გაწეული დახმარება აჭარლებისათვის. არ უნდა მივცეთ მათ სულიერად დაცემის, ქართველებთან შერიგებისა და თურქებისადმი დამორჩილების საშუალება. მათში მაღლა უნდა ავწიოთ რუსეთის პრესტიჟი. დახმარების გაწევის ტემპებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამისათვის საჭიროა:

1. დაუყოვნებლივ დავეხმაროთ ფულით, იარაღით (ვაზნები, შაშხანები, ტყვიამფრქვევები, ხელყუმბარები, სამთო ქვემეხები), პურით (იაფად ან უსასყიდლოთ);

2. ცხოვრებაში გავატაროთ აჭარისტანის დამოუკიდებლობა რუსი რეზიდენტით. რესპუბლიკა, პრეზიდენტი – ქესქინ-ზადე. საკანონმდებლო პალატა – აჭარულ-რუსული, ადმინისტრაცია – რუსული, მილიცია – აჭარული, სასაზღვრო ჯარები – რუსული, კანონები, ენა, სკოლები – რუსული.

3. დამოუკიდებელი აჭარისგან დიდი სარგებელი გვექნება – ევროპასთან ურთიერთობების დამყარება ნეიტრალური პორტის მეშვეობით, რომელიც იურიდიულად იქნება საერთაშორისო, ფაქტიურად კი, რუსული. მომავალში კი, ეს ტერიტორიები რუსული იქნება. შეიქმნება რუსული ბირთვი, რომლისკენაც მიიზიდებიან მომიჯნავე ნეიტრალური ტერიტორიები რუსებით დასასახლებლად“.¹⁹

როგორც ვხედავთ, ბოლშევიკი ემისარი პირდაპირ მოუწოდებდა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში სამხედრო ჩარევისა და აჭარაში რუსული რეჟიმის დამყარებისკენ. მუჰამედ ბეი ქესქინ-ზადე კიკნამეზეა საუბარი სიტინის მიერ 1920 წლის 7 სექტემბრის N86 საიდუმლო მოხსენებით ბარათშიც. სიტინი წერს, რომ „აჭარის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი“ ქესქინ-ზადე 1920 წლის ივლისის ბოლოს ჩაბარდა ქართველებს და იმჟამად იმყოფებოდა თბილისში. კარგი იქნებოდა თუ მას თავშესაფარს მისცემდა საბჭოთა რუსეთი და ამით შეინარჩუნებდა იმ ანტისამთავრობო განწყობებს აჭარაში, რაც აქამდე ასე თუ ისე იქ სუფევდა. სიტინის აზრით ქესქინ-ზადე კარგი მოთამაშე იყო, რომ შემდეგში იგი გამოეყენებინათ აჭარაში სიტუაციის ასარეგად და ამგვარად საქართველოს დასასუსტებლად.²⁰ სხვათა შორის, დენიკინის შემდეგ, მამედ ბეი ქესქინ-ზადესთან გარკვეული სამხედრო კავშირების დამყარებას თეთრგვარდიელთა ახალი ლიდერი, პიოტრ ვრანგელიც ცდილობდა, მაგრამ ქესქინ-ზადე მას არ ენდო. საქმე იმაშია, რომ

19 სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 6, ფურცელი (1-2უკ).

20 სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი (11-12უკ).

ქესქინ-ზადემ ადრე ვრანგელთან ფულიც კი გაატანა თავის ხალხს, რომ იარაღი და ნაღმოსანი შემოსულიყო ბათუმში, მაგრამ ვრანგელმა დანაპირები არ შეასრულა. ამიტომ ქესქინ-ზადეს ვრანგელის ნდობა უკვე აღარ ჰქონდა.²¹

წლის ბოლოს კი, რუსი ბოლშევიკები აჭარაში სიტუაციის არევისა და მისი დანარჩენი საქართველოდან ჩამოშორების რეალურ ძალად რუს ბოლშევიკებთან სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში შესულ ქემალისტებსა და მათ სამხედრო ძალას მიიჩნევდნენ. რსფსრ საგარეო უწყებაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 1920 წლის 8 დეკემბერს გაგზავნილ N10684 ნოტაში ვკითხულობთ:

„ჩვენს ხელთ არსებული დამაჯერებელი მონაცემებით, უკანასკნელ ხანს ტრაპიზონი-რიზეს რაიონში მიმდინარეობს გაძლიერებული პროპაგანდა აჭარის საქართველოდან გამოყოფის ლოზუნგით და დამოუკიდებელი აჭარის შექმნით. არსებული მონაცემებით ეს პროპაგანდა მიმდინარეობს იქ ჩასული რუსი კომუნისტების მიერ.

ამასთან ერთად, ტრაპიზონი-რიზეს რაიონში შეიმჩნევა საბჭოთა ძალების შემოღინება (Наплыв – а. ჩ.). ამ რაიონში ნოვოროსიისკიდან ჩამოდიან იარაღით დატვირთული გემები და იგზავნება ფულის დიდი რაოდენობა. არსებული მონაცემებით, ეს ძალები მიმართულია ბათუმის ოლქის საზღვრებისაკენ, რასაც ხელმძღვანელობენ ტრაპიზონში ჩასული რუსი კომუნისტები...

გთხოვთ სასწრაფოდ მაცნობოთ, მართლა აქვს თუ არა ადგილი ხსენებულ მოვლენებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში მაცნობეთ თუ რით არის ეს გამოწვეული და რას ისახავს იგი მიზნად.

მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგივრად კ. საბახტარიშვილი”.²²

პაველ სიტინმა რუსეთის წარმომადგენლობაში მუშაობა საქართველოს რუსული ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგაც გააგრძელა. თუ 1920 წლის განმავლობაში იგი ძირითადად სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოპოვებით იყო დაკავებული, 1921 წლისათვის იგი უკვე ანალიტიკური ხასიათის მოხსენებით ბარათებს ადგენდა. მისი ანალიტიკის ამოსავალი წერტილი უკვე გასაბჭოებული საქართველოსა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და ეთნოპოლიტიკური მოწყობის საკითხები იყო. ბოლშევიკი ემისარი რუსული შოვინიზმის სახელოვანი ტრადიციების ერთგული გამგრძელებელი აღმოჩნდა. საქართველოში რუსული ჰეგემონიის გასაძლიერებლად იგი ქართული ტერიტორიების დანაწევრება-დაქუცმაცების პრიმატს უსვამდა ხაზს.

საიდუმლო

თბილისი. 1921 წლის 22 აპრილი

მოხსენებითი ბარათი N14

1. საჭირო არის რსფსრ-ის წითელი არმიის საკმაოდ ძლიერი შენაერთების დატოვება საქართველოს საზღვრებში, განსაკუთრებით შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებთან და თურქეთის საზღვართან;

2. საქართველოს დასუსტებისათვის საჭიროა მისგან მოვახდინოთ აფხაზეთის ჩამოცილება. საჭიროა იმის აღიარება, რომ სომხურ საკითხში ჩვენ ვუშვებდით შეცდომას – არ ვითვალისწინებდით ქურთების ფაქტორს. ჩვენ შეგვეძლო თურქეთის სომხეთში რუსების მხარეს მოგვემხრო ქურთები. საჭიროა რსფსრ საზღვრის დაუყოვნებლივი გადაწევა მდ.

21 სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 46.

22 სეა. ცსსა. ფონდი 1867, ანაწერი 2, საქმე 20, ფურცელი 8.

ბზიფამდე, ხოლო დარჩენილ „აფხაზეთს“ უნდა მიენიჭოს ავტონომია;

3. აფხაზეთის კვალდაკვალ საჭირო იყო ყურადღების მიქცევა სამეგრელოსათვის. მეგრელები განსხვავდებიან ქართველებისაგან ენითა და ეროვნებით. მათი საცხოვრისი ენგურს გადაღმა და რიონის შესართავი წარმოადგენს სტრატეგიულ ტერიტორიას და იგი უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს რსფსრ-ს. ამიტომ აფხაზეთის მსგავსად მათაც უნდა მიეცეთ ავტონომია;²³

1921 წლის 26 აპრილს შედგენილ მოხსენებით ბარათში სიტინი აფართოებს საქართველოს ტერიტორიების სეპარატისტული დაქუცმაცების ფორმატს და „ამიერკავკასიის მმართველობის ორგანიზაციის“ შემდეგ სქემას გვთავაზობს.

საიდუმლო
თბილისი. 1921 წლის 26 აპრილი
მოხსენებითი ბარათი N18

რუსეთი მოვიდა და დადგა მომენტი, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მხარეში დავამყაროთ ის წყობილება, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნება მხარის მთელი მოსახლეობისათვის. თუ მოცემულ მომენტში ჯერ არ არის შესაძლებლობა, რომ სრულად აღდგეს მხარის პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიანობა, საჭიროა მივიღოთ ამიერკავკასიის მოწყობის ისეთი სქემა, რომელიც იქნება გარდამავალი საფეხური ასეთი ერთიანობის მისაღწევად. ამ სქემის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა, რაც დამყარებული იქნება ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის სწორ გამიჯვნაზე ეთნოგრაფიული პრინციპით და ეკონომიკური სარგებლის მიღებით. სიტინი აქვე იძლევა რეკომენდაციას, რომ:

- აფხაზეთი შეუერთდეს რუსეთის შავიზღვისპირეთის რეგიონს;
- ახალქალაქი უნდა გადაეცეს სომხეთს, რადგან 100 ათასი მოსახლეობიდან იქ მხოლოდ 9%-ია ქართველი;
- ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი, რომელიც თითქმის მთლიანად სომხებითაა დასახლებული და იქ არც ერთი ქართველი არ ცხოვრობს, ასევე უნდა გადაეცეს სომხეთს შულავერამდე;
- მთიანი ყარაბაღის სომხურ ნაწილს (შუშა და ელიზავეტპოლი) უნდა მიეცეს საშუალება თავად გადაწყვიტონ სად უნდათ ცხოვრება – სომხეთში თუ აზერბაიჯანში (ასეთია აზერბაიჯანის რევკომის გადაწყვეტილება).²⁴

აფხაზეთთან მიმართებაში თავისი რეკომენდაციების გასამაგრებლად სიტინს მოჰყავს სრულიად დეზინფორმაციული სტატისტიკური ცნობები აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. იგი წერს, რომ სოხუმის ოლქში აფხაზები 86%-ს შეადგენენ, მეგრელები – 5½%, ბერძნები – 3½%, რუსები – 2%, სომხები – 1½%, ხოლო ქართველები – 1%.(?)

სტატისტიკური მონაცემების სრულ ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, წარმოდგენილი რიცხვების ჯამი 100-ს არ შეადგენს, თავისი მოხსენებითი ბარათის ბოლოს კი, სიტინი თავად წერს, რომ აფხაზეთის 209 ათასიანი მოსახლეობიდან ქართველები მხოლოდ 50 ათასნი არიან. გამოდის, რომ ამ მონაცემებითაც კი, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა იმ მომენტისთვის 24%-ს შეადგენდა. აფხაზეთის მოსახლეობის რეალური ეთნიკური შემადგენლობის დინამიკას კი, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში შემდეგი სახე ჰქონდა:

1914 წლის მონაცემებით აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენდა 181382 ადამიანს, აქედან ქართველები შეადგენდნენ უმრავლესობას (38,5%), აფხაზები – 25%-ს, სხვადასხვა აზიური

23 სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 5.

24 სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 12უკ.

ხალხი – 11,1%-ს, რუსები – 9,9%-ს, სხვადასხვა ევროპელი ხალხი – 7,6%-ს, სომხები – 7,5%-ს, ებრაელები – 0,3%-ს.²⁵

1918 წლისთვის აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობა ასეთი იყო: ქართველები 42,1%, აფხაზები 21,4%, რუსები 11,7%, ბერძნები 11,7%, სომხები 10,2%, სხვა ხალხები 2,9%.²⁶

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში აფხაზების ხვედრითი წილის გაზრდის მიზნით, უხეში ადმინისტრაციული ზეწოლით, ქართველებს აიძულებდნენ აფხაზებად ჩაწერილიყვნენ. 1926 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობამ 201 016 შეადგინა. მათგან ქართველი – 67 494, აფხაზი – 55 918, რუსი – 12 553, ბერძენი – 14 045, სომეხი – 25 677 იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 9 ათასი აფხაზი მშობლიურ ენად ქართულს აღიარებდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ქართველად არ ჩაწერილა.²⁷

თავისი მოხსენებითი ბარათის ბოლოს სიტინი სთავაზობს რსფსრ-ის ადმინისტრაციას საქართველოსა და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური მოწყობის საკუთარ ვერსიას: იმდენად, რამდენადაც თბილისი ქართული ქალაქი არ არის და იგი ძირითადად რუსული განათლების, კულტურისა და მეცნიერების ქალაქია, ამავე დროს, როგორც ინტერნაციონალური ქალაქი, იგი არ უნდა იყოს საქართველოს დედაქალაქი. საჭიროა თბილისი ცალკე გამოიყოს როგორც „თავისუფალი ქალაქი“ (Вольный город) და დარჩეს იგი დამოუკიდებელ ერთეულად. საჭიროა მას შულავერის მხარეს შევუერთოთ სომხური ტერიტორიები, მცხეთის მხარეს – ქართული, ხოლო ყარაიაზის მხარეს – თათრული, მიახლოებითი რადიუსით – 25 კერსი. პლებისციტი აჩვენებს ასეთი გადაწყვეტილების სამართლიანობას.

ასეთივე რეცეპტს იძლევა რსფსრ-ის სამხედრო ატაშე ბაქოსა და ბათუმის შემთხვევაში, ესე იგი საჭიროა, ამიერკავკასიის სამი მთავარი ქალაქი იყოს არა ეროვნული, არამედ ე.წ. „თავისუფალი“. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი გადაწყდეს ამიერკავკასიაში ეროვნული და ტერიტორიული საკითხი და შეიქმნას კონფედერაცია ცენტრით თბილისში.²⁸ სიტინი ბოლოს ასკვნიდა: „სწორედ ეს გზა – საქართველოს რესპუბლიკის დანაწევრება რიგ ავტონომიურ ერთეულებად, მით უმეტეს რსფსრ-ის ზეგავლენის ქვეშ მოქცევით, იმსახურებს დიდ ყურადღებას. რაც უფრო მცირე იქნებიან ეს ერთეულები, მით უკეთესია“.²⁹

სიტინის გეგმის მიხედვით ვიღებთ კონფედერაციას და სამ ე.წ. „თავისუფალ ქალაქს“ – თბილისი, ბათუმი, ბაქო. ეს კონფედერაცია კი, „ორგანულად უნდა შეიკრას“ რუსული ხელისუფლებით. აქ სიტინი საუბრობს ე.წ. „თავისუფალ ქალაქებზე“, რაც ერთი შეხედვით საკმაოდ მომხიბვლელადაც კი ჟღერს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. „თავისუფალი ქალაქის“ ცნება და წარმოშობა გერმანულია. გერმანულ სამართალში თავისუფალი ქალაქი (Freistadt) დამოუკიდებელ ტერიტორიულ-პოლიტიკურ წარმონაქმნს აღნიშნავდა, რომელიც არ იყო დამოკიდებული იმ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან, რომლითაც იგი იყო გარშემორტყმული.³⁰ თავისუფალი ქალაქები საღვთო რომის იმპერიაში შემავალი განსხვავებული სტატუსის მქონე ქალაქები იყო, რომლებიც ვალდებულები არ იყვნენ გადასახადები ეხადათ და სამხედრო დახმარება გაეწიათ იმპერატორისთვის. სამხედრო სამსახური თავისუფალი ქალაქის მოქალაქეებს ევალებოდათ მხოლოდ თვითონ ქალაქის დაცვის ან ჯვაროსნული ლაშქრობების დროს. აქედან გამომდინარე, თავისუფალი ქალაქები

25 გამახარია ჯ. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 113. თბილისი. 1991.

26 Светлана Червоная. Абхазия – 1992: Посткоммунистическая вандея. Хроника основных событий в политической жизни Абхазии (1917-1992). Москва. Мосгорпечать. 1993. <http://www.conflicts.rem33.com/images/abkhazia/Czerwona.htm>.

27 ა. თოთაძე. აფხაზეთის მოსახლეობა. ისტორია და თანამედროვეობა. გვ. 88. თბილისი. 1995.

28 სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი (5უკ-6).

29 სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 5.

30 Вольные города. Большая советская энциклопедия: [в 30 т.] / гл. ред. А. М. Прохоров. 3-е изд. - М.: Советская энциклопедия, 1969-1978.

ფაქტობრივად ქალაქ-რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ. სინამდვილეში სიტინი საუბრობს თავისუფალ საიმპერიო ქალაქებზე (Freie Reichsstädte), რომლებიც უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდნენ. მოქალაქეები კი, გადასახადებს არა ადგილობრივ ფეოდალებს, არამედ სიუზერენს უხდიდნენ.

შემდეგ სიტინი აგრძელებს მსჯელობას ე.წ. „ამიერკავკასიის კონფედერაციაზე“, უფრო ზუსტად ამიერკავკასიის გამიჯვნის საკუთარ ვერსიაზე. იგი ამბობს, რომ ეს საკითხი არ ახალია, ძველია. ძველია იმდენად, რამდენადაც წარსულშიც ყოფილა ასეთი რამ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებიდან გამომდინარე. ამ საკითხის განხილვისას იგი რუსულ ფაქტორს, უფრო ზუსტად ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი ხალხის ფაქტორს იშველიებს. იგი ამბობს, რომ ამიერკავკასიაში ნახევარი მილიონი რუსი ცხოვრობს და იმ შემთხვევაში თუ თბილისი საქართველოს, ხოლო ბაქო აზერბაიჯანის დედაქალაქი იქნება, სად უნდა დაიკმაყოფილოს რუსმა მოსახლეობამ მოთხოვნა კულტურაზე, განათლებაზე, სულიერებაზე? სად უნდა იყო ასეთი ცენტრი? შემდეგ იგი უკვე ბოლომდე ხსნის თავისი ჩანაფიქრის არსს: „მე თავს ვარიდებდი ამიერკავკასიის პრობლემის განხილვას რუსულ ჭრილში, რომ იმპერიალიზმში არ დავედანაშაულებინე ვინმეს. მაგრამ დიადი ხალხი, რომელმაც მისი ხელისუფლების ქვეშ მყოფ ხალხებს მისცა თვითგამორკვევის უფლება, ვერ დაუშვებს, რომ ამიერკავკასია რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ნაციონალისტური სეპარატისტებისა და უცხოური ინტრიგების არენად იქცეს. რუსეთი ვერ დაუშვებს რომ ამიერკავკასია მეორე ბალკანეთად იქცეს. როგორ წარსულმა სამწლიანმა გამოცდილებამ გვაჩვენა, ამიერკავკასიის სრული დამოუკიდებლობა ნიშნავს მის დამოკიდებულებას სხვა დერჟავებზე. რუსეთმა უნდა იზრუნოს ამიერკავკასიაში თავისი კანონიერი გავლენების სხვა ფორმებით აღდგენაზე. ამიერკავკასიის გამიჯვნის ზემოთ წარმოდგენილი სქემა, თბილისის, ბაქოსა და ბათუმის რუსული ზეგავლენის ქვეშ დატოვებით, როგორც არასდროს გადაწყვეტს ამიერკავკასიის პრობლემას რუსული ინტერესების შესაბამისად“.³¹

სიტინის მიერ ჩატარებული სადაზვერვო სამუშაო სათანადოდ დაფასდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციისთანავე, 1921 წლის 26 მარტს, კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრის, სერგო ორჯონიკიძისა და მე-11 არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსის, იოსიფ პანკრატოვის ხელმოწერილ სპეციალურ მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა სიტინის მიერ გაწეული სამსახურის მნიშვნელობა.³² 1921 წლის 1 მაისს კი, პაველ სიტინი წითელი არმიის მთავარი შტაბის სადაზვერვო სამმართველოში მიავლინეს, საიდანაც მისი კარიერული წინსვლა დაიწყო. წითელი არმიის სტრუქტურებში მისი შემდგომი აღმასვლა კომბრიგიდან არმიის გენერლამდე, დიდი საბჭოური რეპრესიის წლებში დასრულდება. 1938 წლის 22 აგვისტოს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია მას სასჯელის უმაღლეს ზომას მიუსჯის.

საბოლოოდ ყველაფერი დასრულდა ისე, როგორც დასრულდა. ამიერკავკასიაში გაბატონებულმა რუსულმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა თავი დაანება სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალი ექსპერიმენტების ჩატარებას და ისევ გაკვალილი გზით სიარული არჩია. საუბარი არა ამიერკავკასიის კონფედერაციისა და თავისუფალი ქალაქი-რესპუბლიკების თუ თავისუფალი საიმპერიო ქალაქების, არამედ ფედერაციის შექმნას ეხება, რომელიც უკვე

31 სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი (13უკ-14უკ).

32 А. В. Ганин, Советская военная разведка в Грузии в 1920–1921 годах. Миссия Павла Сытина. Государственное управление. Электронный вестник Выпуск №43. Апрель 2014 г. Стр. 237. <https://cyberleninka.ru/article/n/sovetskaya-voennaya-razvedka-v-gruzii-v-1920-1921-godah-missiya-pavla-sytina>. Ганин Андрей Владиславович – кандидат исторических наук, редактор отдела военной истории российского исторического журнала «Родина»; старший научный сотрудник, Институт славяноведения РАН. (5 РГВА. Ф. 37976. Оп. 1. Д. 85. Л. 20.)

არსებობდა ამ რეგიონში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სახით 1918 წლის აპრილი-მაისის პერიოდში. საბჭოთა სოციალისტური ტიპის ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნაზე მუშაობა რუსმა ბოლშევიკებმა საქართველოს გასაბჭოებისთანავე დაიწყეს, რაც წარმატებით დასრულდა კიდეც 1922 წლის დეკემბერში. შემდეგ იყო საბჭოური მმართველობის 70 წლიანი ხანა. 1991 წლის 26 დეკემბერს კი, საბჭოთა კავშირი დაიშალა.

XXI საუკუნის დასაწყისიდან, განახლებულმა რუსულმა იმპერიამ ძალების მოკრება დაიწყო. უკვე დღეს, XXI საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში, რუსეთი ისევ ვერ თავისუფლდება კაცობრიობის წინამძღოლის ილუზიებისაგან, რუსული შოვინიზმის ძველი „მესიანური სული“ კი, ისევ იღვიძებს. რუსეთის იმპერია ისევ ძველებურად ატარებს „აქტიურ საგარეო პოლიტიკას“ და დაუფარავად ანხორციელებს მეზობელ ქვეყნებში ღია სამხედრო ინტერვენციას და ოკუპაციას. საუბარი მოლდოვაზე, საქართველოსა და უკრაინაზე... ყოველივე ეს კი, ისევ ჩაგრულთა და „ნაციონალურ უმცირესობათა“ შველის, კაცობრიობის გადარჩენისა და საყოველთაო სოციალური ჰარმონიის დამყარების მითებით ინიღბება: „რუსეთი ყოველთვის იყო სამართლიანობის მძლავრი ბასტიონი, რომელიც ყოვლადშემძლის მარჯვენა ხელს, მის ზვედრს წარმოადგენდა. ჩვენთვის არაა საკმარისი რომ მხოლოდ ჩვენი საკუთარი თავისათვის ვიარსებოთ, ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი სიტყვა ყველა ერსა და რასას მივაწვდინოთ და სოციალური ჰარმონიის უმაღლესი მაგალითი ვაჩვენოთ. ამასთან სიტყვა არა სწრაფმავალი ტანკებით, არამედ ყოვლადგამარჯვებული რუსული სულის საშუალებით უნდა მივიტანოთ, რომელიც ჩაგვრას უარყოფს და თავის ნებელობას აჩვენებს მათ. ჩვენ – მესიანური ერი ვართ და ჩვენი წილი ტვირთის ზიდვა უკუნისამდე გვაქვს მისჯილი, მაგრამ ამავე დროს, სრულიად ვემორჩილებით ღვთის ნებას. ამაშია რუსი კაცის, ღვთის უძლეველი არმიის მეომრის ნება და ძალა“.³³

ფაქტია, რომ მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში, და საერთოდ, მსოფლიოში დღეს განვითარებული მოვლენები ცალსახად აჩვენებენ, რომ რუსულ იმპერიას ისევ „სწრაფმავალი ტანკებით“ მიაქვს კაცობრიობამდე თავისი „მესიანურისიტყვა“ და არა „ყოვლადგამარჯვებული რუსული სულის საშუალებით“. დღევანდელი რუსული პოლიტიკური ელიტის აზრით: „Русским танкам визы не нужны“. ფაქტია, რომ სულ უკანასკნელ ხანს რუსეთში გაბატონებული იდეოლოგიური ტენდენციები და 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ „ნაციონალური ზეიდეით“ აღსავსე ეს „მესიანური ერი“ ისევ არმაგედონისაკენ მიაქანებს სამყაროს...³⁴

33 Ярослав Бутаков. Кандидат исторических наук, политический эксперт, публицист. Священная миссия России. „Нация“. Журнал новых правых. №1. 1995. <http://www.nationalism.org/rnsp/Nacia/Butakov1.htm>.

34 არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტჩადისტური ენიგმა (1920-1922). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2015. გვ. 464.

ბიბლიოგრაფია

- ნანუაშვილი ივანე. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ. თბილისი. 2012.
- Kudors Andis, "Russian World" – Russia's Soft Power Approach to Compatriots Policy. Russian analytical digest. Russian Public Relations Activites and Soft Power. 81/10. Riga. 16 June 2010. https://www.files.ethz.ch/isn/117631/Russian_Analytical_Digest_81.pdf
- Резников Кирилл Юрьевич. Филофей, старец. Послание старца Филофея великому князю Василию. Памятники литературы Древней Руси: Конец XV – первая половина XVI века. Т. 6. М.: Худож. Лит. 1984.
- Новикова Лидия, Ирина Сиземская. Идеи мессианизма в русской философии и истории. Российская цивилизация. 1995. http://ecsocman.hse.ru/data/310/863/1216/006_Novikova.pdf.
- Дессейн Райан, Лаша Чантуридзе. Realpolitik и война России с Грузией. Три года спустя. Центральная Азия и Кавказ. Том 15. Выпуск 1. 2012. <https://cyberleninka.ru/article/n/realpolitik-i-voyna-rossii-s-gruziei-tri-goda-spustya/viewer>
- Аксюшиц Виктор, Бердяев о «русском коммунизме». Ошибки гения. <http://www.apn.ru/publications/article/22426.htm>.
- Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999. ISBN 5-7838-0530-0. Ленин. В. И. ПСС. Т. 36.
- ჩაჩხიანი არჩილი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საზღვრული მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში. (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2014.
- გაზეთი „სახალხო საქმე“. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. 1919 წ. შაბათი, მარტის 8. #475.
- ზავი საბჭოთა რუსეთთან. მთავრობის ოფიციალური ცნობა. საქართველოს რესპუბლიკა. 1920 წლის 11 მაისი. #103.
- Уратадзе Г., Общественное движение в Грузии в 1821-1921 гг., Париж, 1939.
- ჩაჩხიანი არჩილ, საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართველი მეთაურების შესახებ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „დიდი ძალების რეგიონალური პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები, გამოწვევები 2024 წლისათვის“. გორი. 2024.
- გურული ვახტანგ, საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921). გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2013. გურამ შარაძე, გიორგი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი. 2001.
- Ганин А. В. Советская военная разведка в Грузии в 1920–1921 годах. Миссия Павла Сытина. Государственное управление. Электронный вестник Выпуск №43. Апрель 2014 г. <https://cyberleninka.ru/article/n/sovetskaya-voennaya-razvedka-v-gruzii-v-1920-1921-godah-missiya-pavla-sytina>. Ганин Андрей Владиславович – кандидат исторических наук, редактор отдела военной истории российского исторического журнала «Родина»; старший научный сотрудник, Институт славяноведения РАН. (8 ЦИАГ. Ф. 1874. Оп. 1. Д. 2. Л. 26об.-27об.)
- რომანოვსკის მოხსენება. „სახალხო საქმე“. საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. #574. 13. 07. 1919.
- კვინიტაძე გიორგი, მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. „ლომისი“. თბილისი. 1998.
- საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. (შემდგომში სეა. ცსსა.). ფონდი 1867, ანაწერი 2, საქმე 20.

ხვადაგიანი დავით, ქესქინ-ზადეს დიდი თამაში აჭარულ ცუგცვანგში. 2022. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1861 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობა). ანაწერი 2, საქმე 144. <https://archive.ge/ka/blog>

სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 6.

სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2.

სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 3.

სეა. ცსსა. ფონდი 1867, ანაწერი 2, საქმე 20.

სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4.

სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4.

გამახარია ჯ. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი. 1991

Червонная Светлана, Абхазия – 1992: Посткоммунистическая вандея. Хроника основных событий в политической жизни Абхазии (1917-1992). Москва. Мосгорпечать. 1993. [http:// www. conflicts. rem33.com/ images/abkhazia/ Czerwonna.htm](http://www.conflicts.rem33.com/images/abkhazia/Czerwonna.htm).

თოთაძე ა.. აფხაზეთის მოსახლეობა. ისტორია და თანამედროვეობა. თბილისი. 1995.

სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი (5უკ-6).

სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 5.

Вольные города. Большая советская энциклопедия: [в 30 т.] / гл. ред. А. М. Прохоров. 3-е изд. - М.: Советская энциклопедия, 1969-1978.

სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი (13უკ-14უკ).

Ганин А. В. Советская военная разведка в Грузии в 1920-1921 годах. Миссия Павла Сытина. Государственное управление. Электронный вестник Выпуск №43. Апрель 2014 г. [https:// cyberleninka.ru/ article/n/sovetskaya-voennaya-razvedka-v- gruzii-v-1920-1921- godah- missiya-pavla-sytina](https://cyberleninka.ru/article/n/sovetskaya-voennaya-razvedka-v-gruzii-v-1920-1921-godah-missiya-pavla-sytina). Ганин Андрей Владиславович - кандидат исторических наук, редактор отдела военной истории российского исторического журнала «Родина»; старший научный сотрудник, Институт славяноведения РАН. (5 РГВА. Ф. 37976. Оп. 1. Д. 85. Л. 20.)

Бутаков Ярослав, Кандидат исторических наук, политический эксперт, публицист. Священная миссия России. „Нация”. Журнал новых правых. №1. 1995. [http://www. nationalism.org/rnsp/Nacia/Butakov1. htm](http://www.nationalism.org/rnsp/Nacia/Butakov1.htm).

ჩაჩხიანი არჩილი, რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტჩადისტური ენიგმა (1920-1922). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2015.

კულტურისა და ინოვაციის ურთიერთქმედება ქართულ ბიზნესში

თინათინ ჟორჟოლიანი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
ORCID: 0000-0002-8274-9028

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომი იკვლევს კულტურისა და ინოვაციის გადაკვეთის წერტილს ქართული ბიზნესის კონტექსტში, განიხილავს, თუ როგორ თანაარსებობს ტრადიციული კულტურული ღირებულებები და თანამედროვე ინოვაციური პრაქტიკები და როგორ ახდენს ეს გავლენას ბიზნესის სტრატეგიებზე. კვლევის მთავარი მიზანია გაანალიზოს, თუ როგორ აერთიანებენ ქართული კომპანიები კულტურულ ნორმებს ინოვაციურ მიდგომებთან, რათა შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა გლობალურ ბაზარზე. კვლევის ამოცანები მოიცავს იმ ძირითადი კულტურული ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც აყალიბებენ ინოვაციურ პროცესებს, და მათი გავლენის შეფასებას ბიზნესის შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ დამახინჯებას ხშირად უარყოფის მსგავსი ანტისემიტური მიზნები აქვს, მის უკან მოტივების იდენტიფიცირება შეიძლება გაცილებით უფრო რთული იყოს, რადგან დამახინჯების ზოგიერთი ფორმა უცოდინრობიდან მომდინარეობს. თუმცა, მოტივის მიუხედავად, დამახინჯების ეფექტი ყოველთვის ანტისემიტურია და აძლიერებს შესაბამის მიკერძოებებს. ის კარს უდებს პირდაპირ ჰოლოკოსტის უარყოფას ან ანტისემიტიზმის სხვა მავნე, საშიშ და ძალადობრივ ფორმებს.

როგორ გამოიყურება ჰოლოკოსტის დამახინჯება?

„ჰოლოკოსტის დამახინჯება ყველა სახის ადგილას გვხვდება. ინტერნეტში დამახინჯებული ფაქტებიდან დაწყებული, პოლიტიკოსების განცხადებებით, მუზეუმებში შეცდომაში შემყვანი გამოფენებით და განცხადებებით დამთავრებული, როგორიცაა მაგალითად Extinction Rebellion-ის დამფუძნებლის, როჯერ ჰალამის განცხადება, რომელმაც ჰოლოკოსტი „უბრალოდ კიდევ ერთ უბედურებად ადამიანის ისტორიაში“ მოიხსენია. თითოეულ ამ ფორმას უნდა დაუპირისპირდეთ და უნდა შემუშავდეს მათთან ბრძოლის სტრატეგიები, რათა საზოგადოებებმა და ინდივიდებმა შეასრულონ თავიანთი პასუხისმგებლობა მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად“, - ამბობს IHRA-ს ყოფილი თავმჯდომარე ელჩი მიქაელა კიუხლერი.

IHRA-ს ექსპერტებმა ჰოლოკოსტის დამახინჯების ათი ძირითადი ფორმა გამოავლინეს:

- ჰოლოკოსტის ან მისი ელემენტების, მათ შორის ნაცისტური გერმანიის თანამზრახველებისა და მოკავშირეების როლების, გამართლების ან შემცირების მიზანმიმართული მცდელობები.
- მსხვერპლთა რაოდენობის უხეში შემცირება.
- ებრაელების დადანაშაულება ჰოლოკოსტში.
- ჰოლოკოსტის წარმოჩენა, როგორც დადებითი ისტორიული მოვლენა.
- ჰოლოკოსტის დანაშაულებზე პასუხისმგებლობის გაურკვევლობის მცდელობა.
- ებრაელების დადანაშაულება „ჰოლოკოსტის გამოყენებაში“ რაიმე სახის სარგებლისთვის.
- ტერმინი „ჰოლოკოსტის“ გამოყენება იმ მოვლენების ან ცნებების აღსანიშნავად, რომლებიც არ არის დაკავშირებული ნაცისტური გერმანიისა და მისი თანამზრახველების მიერ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ებრაელების გენოციდთან.
- სახელმწიფოს მიერ სპონსორირებული ჰოლოკოსტის ისტორიის მანიპულირება ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ პოლიტიკური უთანხმოების გასაღვივებლად.
- ჰოლოკოსტის დანაშაულებში თანამონაწილე ადამიანების ან ორგანიზაციების ისტორიული მემკვიდრეობის ტრივიალიზაცია ან პატივისცემა.
- ჰოლოკოსტთან დაკავშირებული გამოსახულებებისა და ენის გამოყენება პოლიტიკური, იდეოლოგიური ან კომერციული მიზნებისთვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული ამ ისტორიასთან ონლაინ და ოფლაინ ფორუმებზე.

პუნქტები აღებულია პუბლიკაციიდან „ჰოლოკოსტის დამახინჯების ამოცნობა და წინააღმდეგ ბრძოლა: რეკომენდაციები პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის“.

რა როლს ასრულებს სოციალური მედია ჰოლოკოსტის უარყოფისა და დამახინჯების გავრცელებაში? - აღსანიშნავია, რომ სოციალური მედიის პლატფორმები ჰოლოკოსტის უარყოფისა და დამახინჯების გავრცელების მნიშვნელოვან არხებს წარმოადგენენ. ალგორითმები ხშირად აძლიერებენ სენსაციურ ან საკამათო კონტენტს, რაც უარყოფის ნარატივებს ზედმეტ ხილვადობას ანიჭებს. ეს პლატფორმები ასევე საშუალებას აძლევს ჯგუფებს დაუკავშირდნენ ერთმანეთს და დეზინფორმაცია გლობალურ აუდიტორიამდე გავრცელონ. იუნესკოსა და გაეროს კვლევამ (2022) აჩვენა,² რომ მემები და “იუმორი” გამოიყენება ფაქტების

2 History under attack: Holocaust denial and distortion on social media, Коллективный автор:

დასამახინჯებლად და მომხმარებლების მავნე იდეებისადმი გასაუცხოებლად. ჰოლოკოსტის შესახებ კონტენტმა, რომელიც ფაქტებს უარყოფს ან ამახინჯებს, ტელეგრამზე 49%-ს მიაღწია,³ რომელიც კონტენტის მოდერაციის მოწოდებებს ეწინააღმდეგებოდა.

რატომ ერთვებიან ზოგიერთი ინდივიდი და ჯგუფი ჰოლოკოსტის უარყოფაში ან დამახინჯებაში?

ჰოლოკოსტის უარყოფა და დამახინჯება ხშირად შეთქმულების იმ მითიდან მომდინარეობს, რომ ებრაელები აზვიადებენ ან იგონებენ ჰოლოკოსტს ძალაუფლების ან თანაგრძნობის მოსაპოვებლად. უარყოფა და დამახინჯება გამოიყენება ნაცისტური იდეოლოგიის გასაწმენდად და თეთრი რასის უპირატესობის გასავრცელებლად. ზოგიერთ შემთხვევაში კი ჰოლოკოსტის დამახინჯება პოლიტიკურ დღის წესრიგს ემსახურება, როგორიცაა ნაცისტურ სისასტიკეში ადგილობრივი თანამონაწილეობის შემცირება ეროვნული სიამაყის შესანარჩუნებლად. ჰოლოკოსტის დამახინჯება ასევე შეიძლება წარმოიშვას უცოდინრობისგან ან ისტორიის რელატივიზაციის მცდარი მცდელობებისგან, ჰოლოკოსტის სხვა მოვლენებთან გათანაბრებით, რაც მის მნიშვნელობას აუფასურებს.

ეს ქმედებები მიზნად ისახავს ებრაული იდენტობის შელახვას, ისტორიის წაშლას და სიძულვილის გაღვივებას. ამ მოტივაციის გაგება გადამწყვეტია უარყოფისა და დამახინჯების აღმოსაფხვრელად, რადგან ის ავლენს ცრურწმენებსა და პოლიტიკურ მიზნებს, რომლებიც დეზინფორმაციის უკან დგას.

როგორ შეგვიძლია ჰოლოკოსტის დამახინჯებასთან ბრძოლა?

ამ პრობლემის გადაჭრა მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. იუნესკოს სახელმძღვანელო “ჰოლოკოსტის უარყოფისა და დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლა: სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის” გვთავაზობს რეკომენდაციებს ციფრული მედიაწიგნიერების პროგრამების გასაძლიერებლად, რაც ახალგაზრდებს ასწავლის, როგორ ამოიცნონ და უარყონ შეცდომაში შემყვანი კონტენტი.

ჩვენ ახლა უფრო მეტად აღჭურვილნი ვართ, ვიდრე ოდესმე, ჰოლოკოსტის დამახინჯების წინააღმდეგ. IHRA-მ გამოავლინა ოთხი სფერო, სადაც სასწრაფოდ საჭიროა მოქმედება:

- დამახინჯების მუდმივი მონიტორინგი და თვალყურის დევნება
- ჰოლოკოსტთან დაკავშირებული ინსტიტუტებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერის გაძლიერება, რომლებიც ჰოლოკოსტის დამახინჯების წინააღმდეგ ბურჯებად გვევლინებიან.
- დამახინჯების ონლაინ გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა.

როგორ შეუძლიათ მასწავლებლებს რეაგირება მოახდინონ ჰოლოკოსტის უარყოფასა და დამახინჯებაზე?

მასწავლებლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაში ჰოლოკოსტის დამახინჯებისა და უარყოფის შესახებ, ზუსტი ისტორიული ინფორმაციის მიწოდებითა და კრიტიკული აზროვნების განვითარებით. სანდო რესურსების გამოყენებით, როგორიცაა ჰოლოკოსტის დამახინჯების წინააღმდეგ (Against Holocaust Distortion) ხელმისაწვდომი რესურსები, პედაგოგებს შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს დეზინფორმაციის ამოცნობაში.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჰოლოკოსტის უარყოფისა და დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლაში, ფაქტობრივი გაგებისა და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობით. მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებს მისცენ საშუალება, გახდნენ ისტორიკოსები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მასალების გამოყენებით,

ЮНЕСКО, Организация Объединенных Наций, <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000382159>, <https://doi.org/10.54675/MLSL4494>, 2022.

³ Ibid.

როგორცაა გადარჩენილთა ჩვენებები, ფოტოები, ნაცისტური ჩანაწერები და მუზეუმებში ან მემორიალებში ვიზიტები. ამავე უნარების გამოყენებით სოციალურ პლატფორმებზე ნაპოვნი მედიის მიმართ, მასწავლებლებს შეუძლიათ წახალისონ მოსწავლეები, კრიტიკულად შეაფასონ წყაროები და ინფორმაცია და დაეხმარონ მათ დეზინფორმაციისა და მანიპულირებული ნარატივების ამოცნობაში.

იუნესკოს სახელმძღვანელო და გაკვეთილის აქტივობები მასწავლებლებს სთავაზობს ერთგვარ სტრატეგიებს, პირდაპირ მიმართონ ჰოლოკოსტის უარყოფასა და დამახინჯებას, მისი ფესვების, კომუნიკაციის სტრატეგიებისა და მის უკან მოტივაციის ახსნით, ცნობიერებისა და მდგრადობის ასამაღლებლად. მსხვერპლთა ისტორიების შესწავლას შეუძლია თანაგრძნობის გაღვივება და ისტორიასთან პირადი კავშირის დამყარება, რაც ხაზს უსვამს ისტორიული ჭეშმარიტების მნიშვნელობას სიძულვილთან ბრძოლასა და სამართლიანობის ხელშეწყობაში.

მასწავლებლებისასიცოცხლოროლსასრულებენჰოლოკოსტისუარყოფისადადამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით ციფრულ ეპოქაში, სადაც დეზინფორმაცია სწრაფად ვრცელდება. იუნესკოს სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის ჰოლოკოსტის დამახინჯების შესახებ, განსაკუთრებით 3.1 განყოფილება ციფრული მოქალაქეობის შესახებ, ხაზს უსვამს

მოსწავლეების კრიტიკული ციფრული წიგნიერების უნარებით აღჭურვის მნიშვნელობას.

პასუხისმგებელი ონლაინ ქცევის ხელშეწყობითა და ფაქტების გადამოწმების წახალისებით, პედაგოგებს შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს ფართო ციფრულ ლანდშაფტში ნავიგაციაში, სანდო წყაროებისა და შეცდომაში შემყვანი ნარატივების გარჩევაში.

ციფრული მოქალაქეობის ინტეგრირება ჰოლოკოსტის განათლებაში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, კრიტიკულად გაანალიზონ ონლაინ კონტენტი, ამოიცნონ მიკერძოებული ან მანიპულაციური ინფორმაცია და ჩაერთონ მნიშვნელოვან დისკუსიებში, რომლებიც გამოწვევას უქმნის უარყოფასა და დამახინჯებას. ეს მიდგომა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და სამოქალაქო ჩართულობას. ინტერაქტიული ინსტრუმენტებისა და რესურსების გამოყენებით, როგორცაა მედიაწიგნიერების სავარჯიშოები და ონლაინ ფაქტების გადამოწმების პლატფორმები, მასწავლებლებს შეუძლიათ წახალისონ მოსწავლეები, გახდნენ პასუხისმგებელი ციფრული მოქალაქეები, რომლებიც დეზინფორმაციის წინააღმდეგ დგანან.

გარდა ამისა, ციფრული პასუხისმგებლობის ხელშეწყობა შეიძლება თქვას, რომ საკლასო ოთახის ფარგლებს სცილდება. მოსწავლეების წახალისება, რომ ონლაინ სივრცეებში ისტორიულ ჭეშმარიტებას ადვოკატირება გაუწიონ - იქნება ეს სოციალური მედიის, ბლოგების თუ დისკუსიების საშუალებით - ხელს უწყობს ცნობიერების კულტურის შექმნას. როგორც იუნესკოს სახელმძღვანელოშია ხაზგასმული, ციფრული მოქალაქეობის ინტეგრირება ჰოლოკოსტის განათლებაში უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდები არა მხოლოდ ინფორმირებულნი იყვნენ, არამედ მზად იყვნენ დამახინჯებისა და უარყოფის წინააღმდეგ მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ეთიკური ონლაინ ჩართულობით.

იუნესკოს რესურსი “გაკვეთილები ჰოლოკოსტის დამახინჯების შესახებ” გვთავაზობს ღირებულ შეხედულებებს დეზინფორმაციის საფრთხეების და ჰოლოკოსტის უარყოფისა და დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო სტრატეგიების შესახებ. ის ხაზს უსვამს, თუ როგორ შეიძლება დამახინჯებამ სხვადასხვა ფორმა მიიღოს, ჰოლოკოსტის გავლენის შემცირებიდან დაწყებული პირდაპირ უარყოფამდე, ხშირად ციფრული პლატფორმების საშუალებით გავრცელებით. რესურსი ხაზს უსვამს განათლების მნიშვნელობას ამ გამოწვევების გადასაჭრელად, მოუწოდებს მასწავლებლებს თავიანთ გაკვეთილებში ისტორიული სიზუსტის, კრიტიკული აზროვნებისა და ეთიკური ონლაინ ჩართულობის ინტეგრირებისკენ. ამ რესურსის განხილვით პედაგოგებს შეუძლიათ უკეთ გაიგონ დამახინჯების მექანიზმები და შეიმუშაონ მიზანმიმართული სტრატეგიები მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დოკუმენტის მთავარი დასკვნა არის მედიაწიგნიერებისა და ციფრული პასუხისმგებლობის როლი დამახინჯებული ნარატივების გავრცელების პრევენციაში. დღევანდელ ციფრულ ეპოქაში მოსწავლეები მუდმივად ექვემდებარებიან ონლაინ კონტენტს, რომელიც შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი ან მანიპულირებული. რესურსი ხაზს უსვამს მოსწავლეებისთვის იმის სწავლების აუცილებლობას, თუ როგორ უნდა შეაფასონ წყაროები კრიტიკულად, ამოიცნონ მიკერძოებული რიტორიკა და გამოიწვიონ ყალბი ნარატივები ფაქტობრივი მტკიცებულებებით. ამ გაკვეთილების ჰოლოკოსტის განათლებაში ჩართვით, მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებს მისცენ საშუალება, გახდნენ ისტორიული ჭეშმარიტების შენარჩუნებაში და მავნე დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეები.

გარდა ამისა, იუნესკოს სახელმძღვანელო გვთავაზობს პრაქტიკულ სტრატეგიებს მოსწავლეების მნიშვნელოვან დისკუსიებსა და აქტივობებში ჩართვისთვის, რომლებიც გამოწვევას უქმნის დამახინჯებას. ის გვთავაზობს გადარჩენილთა ჩვენებების, ციფრული არქივებისა და ინტერაქტიული სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენებას თანაგრძნობისა და ისტორიული მოვლენების ღრმა გაგების გასავითარებლად. მოსწავლეების წახალისება, დაფიქრდნენ დამახინჯების შედეგებზე, არა მხოლოდ აძლიერებს მათ ისტორიულ ცოდნას, არამედ ხელს უწყობს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი უფრო ფართო ერთგულებას. ამ რესურსის ჰოლოკოსტის განათლების ფარგლებში განხილვა ქმნის მყარ საფუძველს საგანმანათლებლო სტრატეგიების შესამუშავებლად, რომლებიც ეფექტურად ებრძვის უარყოფასა და დამახინჯებას ციფრულ ეპოქაში.

დასკვნა

ჰოლოკოსტის უარყოფისა და დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მხოლოდ ისტორიული ფაქტების დაცვა; ეს არის დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და კრიტიკული აზროვნების მხარდაჭერა. ციფრულ ეპოქაში, სადაც დეზინფორმაცია სწრაფად ვრცელდება, აუცილებელია განათლებას გადამწყვეტი როლი მივანიჭოთ. თანამედროვე საგანმანათლებლო სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ტექნოლოგიების გამოყენებას, მედია წიგნიერებასა და ისტორიული ცნობიერების გაღრმავებას, ხელს უწყობს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, რათა მათ შეძლონ კრიტიკულად შეაფასონ ინფორმაცია და წინ აღუდგნენ სიცრუეს.

სოციალური პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ მასწავლებლებსა და ისტორიკოსებს, არამედ საზოგადოებას მთლიანობაში. ჰოლოკოსტის შესახებ ცოდნის შენარჩუნება და მისი გაკვეთილების გააზრება ხელს უწყობს სიძულვილისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. მხოლოდ განათლებული და კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოება შეძლებს ისტორიის მანიპულაციის წინააღმდეგ მოქმედებას, დეზინფორმაციის წინააღმდეგობის გაწევას და მეხსიერების დაცვის მეშვეობით უფრო სამართლიანი, ინკლუზიური და ჰუმანური მომავლის შექმნას.

- Amadeu Antonio Foundation. 2021. Antisemitism in the Digital Age. Online Antisemitic Hate, Holocaust Denial, Conspiracy Ideologies and Terrorism in Europe. Berlin. <https://www.amadeu-antonio-stiftung.de/en/publications/antisemitism-in-the-digital-age/>
- Bilewicz, M., Witkowska, M., Stubig, S., Beneda, M. and Imhoff, R. 2017. How to teach about the Holocaust? Psychological obstacles in historical education in Poland and Germany. In: C. Psaltis, M. Carretero, and S. Čehajić-Clancy (eds.) History education and conflict transformation, London: Palgrave, pp. 169–197
- Bricman. A. 2024. Narratives of Holocaust Glorification, Distortion and Trivialisation Following the Hamas Massacre of October 7. In The Fragility of Freedom. ISD/CCOA.
- Bruner, J., Benkert, V., Harris, L. M., Hutchinson, M., & Lundin, A. E. 2017. ‘Developing a critical comparative genocide method’. World History Connected, 14(2)
- Caulfield, M. and Wineburg, S. 2023. Verified. How to think straight, get duped less, and make better decisions about what to believe online. University of Chicago Press
- UNESCO, 2025 Countering Holocaust denial and distortion through education: a guide for teachers <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000392455>
- UNESCO, 2025, Countering Holocaust denial and distortion through education: lesson activities for secondary education <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000392479>
- UNESCO, 2022 History under attack: Holocaust denial and distortion on social media <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000382159>
- <https://holocaustremembrance.com/wp-content/uploads/2023/09/Understanding-Holocaust-Distortion-Contexts-Influences-and-Examples-IHRA.pdf>
- <https://training.againstholocaustdistortion.org/topics/unit-4-preventing-and-combating-holocaust-distortion-educators/>
- <https://www.againstholocaustdistortion.org/a-brief-history-of-holocaust-denial-and-distortion/>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების კონტექსტში

იოსებ გაბარაევი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბკალავრიატის სამართლის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი
სამართლის დოქტორი

აბსტრაქტი

პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა და სათანადო საკანონმდებლო გარანტიების შექმნა, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნული კი გულისხმობს სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას, სახელმწიფო ინტერესების დაცვისას, ადამიანის უფლებებში ჩარევა განახორციელოს თანაზომიერების პრინციპის დაცვით, სათანადო, კანონისმიერი წინაპირობების არსებობისას. ამისათვის კი თავისი მიდგომები და მეთოდები სახელმწიფომ ყოველთვის უნდა შეუსაბამოს როგორც მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებს, ისე სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტულ პრაქტიკას.

სწორედ, ამიტომ სტატიაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით (მერვე მუხლი). დამატებით ასევე წარმოგიდგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას შეეხება. ხსენებული უფლების ხელშეუხებლობის დაცვის კონტექსტში, მიმოხილულია ასევე, როგორც, ფარულ საგამომოებო მოქმედებების ჩატარებისას გასათვალისწინებელი მიდგომები, ისე პირის სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების დაცვისათვის საჭირო გარანტიები, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის თანდაყოლილი ღირსებიდან და დაკავშირებულია, კონსტიტუციით გარანტირებული აბსოლუტური ხასიათის უფლების ხელყოფასთან.

წარმოდგენილ სტატიაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გაანალიზების გზით, სქესობრივი თავისუფლება განხილულია, როგორც ქმედების თავისუფლების კონტექსტში, ისე პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შემადგენელი ნაწილის გამოხატულება. ახსნილია, ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების მოქმედი რედაქციის, როგორც პირის სქესობრივი თავისუფლების ხელმყოფი ჩანაწერის ხასიათი, რაც პირის მიერ სქესობრივი პარტნიორის თავისუფლად არჩევის შეზღუდვაში ვლინდება, რაც თავისთავად იწვევს ღირსების უფლების ხელყოფასაც.

საკვანძო სიტყვები: პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა, ადამიანის უფლებები, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, ღირსების უფლება, სქესობრივი თავისუფლება.

OVERVIEW OF GEORGIAN CONSTITUTIONAL COURT DECISIONS IN THE CONTEXT OF THE RIGHT TO RESPECT FOR PRIVATE AND FAMILY LIFE

Ioseb Gabaraevi

Associate Professor of Bachelor's Program in Law of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Law

Abstract

Ensuring the inviolability of private and family life and creating appropriate legislative guarantees is a positive obligation of the state. This implies the state's constant readiness to intervene in human rights while protecting state interests, while respecting the principle of proportionality, and when appropriate, legal prerequisites exist. To this end, the state must always align its approaches and methods with the requirements of applicable national and international norms, as well as with the precedential practice established by the court.

Therefore, the main issue focuses mainly on the right to respect for private and family life, protected by Article 8 of the European Convention on Human Rights, additionally, the practice of the Constitutional Court of Georgia regarding the right to respect for private and family life is presented and analyzed. In the context of the inviolability of private and family life, approaches to be taken into account when conducting covert investigative actions are also reviewed, As well as the guarantees necessary for the protection of a person's right to sexual freedom and inviolability, which stems from the inherent dignity of a person and is related to the infringement of an absolute right guaranteed by the Constitution.

In the presented article, through an analysis of the decisions of the Constitutional Court, sexual freedom is discussed both in the context of freedom of action and as an expression of the right to free development of the personality. The current version of the law on sexual crimes committed through violence is explained as a document that infringes on a person's sexual freedom, which is manifested in the restriction of a person's free choice of sexual partner, which in itself also leads to an infringement of the right to dignity.

Keywords: Inviolability of private and family life, human rights, positive obligation of the state, right to dignity, sexual freedom.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის (1991) და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყნის სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემა ფუნდამენტური ცვლილებების პირსიპირ აღმოჩნდა. დღის წესრიგში იდგა არსებული საკანონმდებლო ბაზის ცვლილება და ძირეული სამართლებრივი რეფორმების გატარება. ის ფაქტორი, რომ საბჭოთა საქართველოში ადამიანის პირადი ცხოვრება მკაცრად კონტროლდებოდა და სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელ, მნიშვნელოვან ჩარევას განიცდიდა, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის გზაზე მყოფი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის, სწრაფ და გადაუდებელ ცვლილებების საჭიროებას ქმნიდა.

ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების პროცესი, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში, მოიცავდა ადამიანის უფლებათა დაცვას, მათ შორის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას და სათანადო საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. ხსენებულის დასტურად შეიძლება აღინშნოს საქართველოს კონსტიტუციის მიღება 1995 წელს, ასევე საქართველოს გაწევრიანება 1999 წლის 27 აპრილს ევროსაბჭოში 41-ე წევრად, რამაც საქართველო ახალი სამართლებრივი რეალობის წინაშე დააყენა და ქვეყანა ვალდებული გახდა მოეხდინა დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება;

ასე მაგალითად, საქართველო ვალდებული გახდა დაეცვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ECHR) (შემდგომში - „ევროპული კონვენცია“) თავისი დამატებითი ოქმებით. ხსენებული კონვენცია სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ პოზიტიურ, არამედ „ნეგატიურ ვალდებულებას“¹, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც კონვენციითა და მის დამატებით ოქმებით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს არღვევს.²

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც დაცულია როგორც ეროვნული კანონდებლობით, ისე მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით და განმტკიცებულია უნივერსალური, ასევე რეგიონული ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, ადამიანის პირად და ოჯახურ ცხოვრებას ხელშეუხებლად აცხადებს. თუმცა, ამ უფლების შეზღუდვას, დასაშვებს ხდის მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.³ ამდენად, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და სათანადო სამართლებრივი საფუძვლებისას, კანონი უშვებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას.

რეგიონის დონეზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულების - „ევროპული კონვენციის“ მერვე მუხლი ადგენს, რომ „ყველას აქვს უფლება პატივი სცენ პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.“⁴ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება არ არის ამომწურავად განსაზღვრული, რაც

1 ლუციუს ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002 წელი, 59-60.

2 „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი, ოქტომბერი, 2017 წელი, 6-7;

3 დეტ. იხ. ნინო კაპანაძე, „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ეტაპზე“, სამაგისტრო ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, 10-15;

4 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, www.matsne.gov.ge, (ნანახია: 2025 წლის 10 მარტს)

ძირითადად განპირობებულია დაცული ურთიერთობათა სფეროს საკმაოდ ფართო არეალით. „ევროპული კონვენციის“ მერვე მუხლი მოიცავს მრავალ საკითხს, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობა, პატივი და ღირსება, სოციალური იდენტიფიცირება, პირის სქესობრივი ცხოვრება და სხვ. მერვე მუხლით დაცული სფერო მოიცავს ასევე პირის კომუნიკაციის საშუალებებზე მონიტორინგს, პირის ფოტო-ვიდეო მასალასთან, დნმ-სა და თითის ანაბეჭდებთან, მათ შორის ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას და შენახვის საკითხებს.

საქართველოს სამართლებრივი სისტემა სრულ შესაბამისობაშია ასევე, ისეთ უნივერსალური საერთაშორისო ხელშეკრულებასთან, როგორც არის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, რომლის მე17(1) მუხლით დადგენილია, რომ „არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას.“⁵

საქართველოში, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტს, უპირველესად, 1995 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს. სტატიის ძირითად ნაწილში მოხმობილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადამიანის ძირითად უფლებებზე საუბრისას, სასამართლო ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის როლის მნიშვნელოვნებაზე; რომ ადამიანი, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი და სხვა პირებთან თანასწორი სუბიექტი, წარმოადგენს სახელმწიფოს მთავარ ღირებულებას, მისი ფუნდამენტური უფლებებით სრულფასოვანი სარგებლობა კი განხილულია როგორც პიროვნების თავისუფლების, ღირსების ხელშეუვალობისა და თვითრეალიზაციის ურთიერთდაკავშირებული პროცესი.

ძირითადი ნაწილი

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა, ყველა ადამიანის თავისუფლების და უსფარტხოების გარანტიაა, რაც იცავს პიროვნებას სახელმწიფოს ან სხვა პირების მხრიდან ამ უფლებაში უკანონო ჩარევისაგან.

საქართველოს კონსტიტუციით, მართალია აღიარებულია ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების, ასევე პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების დაცვა,⁶ თუმცა არსებობს ხსენებულ უფლებებში არამართლზომიერი ჩარევის რისკი ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ეტაპზე, რომელიც კვლევის დამოუკიდებელ საკითხს წარმოადგენს და ძირითადად მკაცრი სასამართლო კონტროლის ქვეშ ხორციელდება. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკვე მიმდინარეობს გამოძიება ან/და დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა, რომელიც დაკავშირებულია განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან, ან სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულის ჩადენასთან.⁷

საქართველოში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტორად, საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, ის საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები გვევლინება, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს არამართლზომიერ ჩარევას დასახელებულ უფლებაში. აღსანიშნავია, „ევროპული კონვენციის“ მერვე მუხლის პირველი ნაწილი

5 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან, ხელისაწვდომია, www.matsne.gov.ge (ნანახია: 2025 წლის 20 თებერვალს)

6 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, (ნანახია 22.01.2025).

7 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1433 . ნაწილი 2, ქვეპუნქტი ა). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> , (ნანახია 22.01.2025).

განამტკიცებს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილით კი გათვალისწინებულია ის საგამონაკლისო შემთხვევები და წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშია სახელმწიფო უფლებამოსილია ჩაერიოს დაცულ უფლებაში მაშინ, როცა ასეთი ჩარევა დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარება უნდა ემსახურებოდეს ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, როგორიცაა ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან/და უწყსრიგობის, დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება.⁸

საქართველოს კონსტიტუციასა და ევროპული კონვენციის მოხმობილი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემული ნორმებით დაცული სფერო ზოგადად მოიცავს „ადამიანის პირად სფეროს“, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება და მოიცავს (1) ადამიანის პირადი ცხოვრებას, (2) მიმოწერის ხელშეუხებლობას და (3) საცხოვრებლის ხელშეუხებლობას.

ტერმინი „პირადი ცხოვრება“ - ერთგვარად ბუნდოვანი ტერმინია, რაც იწვევს კამათს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება გაივლოს ზღვარი ან რა მექანიზმებით შეიძლება პირადი და საჯარო სფეროს გამიჯვნა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პირადი ცხოვრების როგორც ტერმინის ზუსტი დეფინიცია, არსებობს გარკვეული „მითითებები“ სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკიდან „პირადი ცხოვრების“ განსაზღვრების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრება“ ფართო ცნებაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრას.⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მერვე მუხლის ფორმულირება, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ შეიცავს პირადი ცხოვრების ამომწურავ განმარტებას. მეტიც, ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სრულად განესაზღვა „პირადი ცხოვრების“ ცნება. სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების შეზღუდვა მხოლოდ „მიდა წრით“, რომელშიც ინდივიდი საკუთარი არჩევანით ცხოვრობს და გამორიცხავს გარე სამყაროს, არ არის სწორი, ვინაიდან პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ასევე გულისხმობს, გარკვეულ ფარგლებში, ადამიანის შესაძლებლობას დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები სხვა პირებთან.¹⁰

იურიდიულ მეცნიერებაში ადამიანის პირად ცხოვრებას მიაკუთვნებენ: (1) პირის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის დაცვას, (2) სახელმწიფოს მიერ პირადი მონაცემების შეგროვებისა და შენახვის წესების დადგენა-დაცვას, (3) პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებს, (4) სქესობრივი ცხოვრების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას და (5) სახელის უფლებას.¹¹

ფარული საგამომიებო მოქმედებები განსხვავდება სხვა საგამომიებო მოქმედებისაგან, რადგან მათი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულების შემთხვევაში. მაგალითად, ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა ნებადართულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებით, ასევე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ამგვარი მოქმედებებისას ჩარევა ადამიანის უფლებებში მიჩნეულია პროპორციულად, თუ დაცულია

8 გიორგი ხიდირბეგიშვილი, საგამომიებო მოქმედებები სისხლის სამართლის პროცესში (ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 2020, გვ: 42-43

9 იხ. საქმე „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, Georgian Muslim Relations and Others v. Georgia, No 24225/19, 30.11.2023, § 78.

10 იხ. საქმე „ნიმეტი გერმანიის წინააღმდეგ“, (Niemietz v. Germany), No 13710/88, 16.12.1992, § 29.

11 ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია. კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. თბილისი, 2005, გამომცემლმა «მერიდიანი», გვ. 123.

ბალანსი ინდივიდის უფლებებსა და საჯარო ან სხვა კანონიერ ინტერესებს შორის. ყოველ კონკრეტულ საქმეზე, პროკურორს აქვს მტკიცების ვალდებულება იმის შესახებ, რომ ფარული ხასიათის საგამოძიებო მოქმედება არის ერთადერთი საშუალება კონკრეტული ინფორმაციის მატარებელი მტკიცებულების მოპოვებისთვის. პროპორციულობა ასევე მოიაზრებს საკმარის გარანტიებს, რათა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოირიცხოს მისი ჩამტარებელის თვითნებობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.¹²

სასამართლოს მხრიდან ფარულ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის საკმარისი საფუძველი არ შეიძლება იყოს, მხოლოდ ზოგადი მითითება ფარული ხასიათის საგამოძიებო მოქმედების მეშვეობით საქმისთვის ღირებულებითი მნიშვნელობის მტკიცებულების მოპოვების, ან თუნდაც დანაშაულის პრევენციის შესახებ. მხარემ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, დამატებით უნდა დაასაბუთოს და ამტკიცოს, რომ სხვა უფრო ნაკლებად შემზღუდავი საგამოძიებო ან/და საპროცესო მოქმედების ჩატარებით, ამგვარი მტკიცებულების მოპოვება და ამგვარი მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება, ან/და მოითხოვს გაუმართლებელ ძალისხმევას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ფუნდამენტური უფლებების განმარტებისას, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა ადამიანის ღირსების უფლების, პიროვნული თავისუფლების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ურთიერთკავშირზე და განმარტა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ღირსებას. პიროვნების ღირსება და თავისუფლება სრულად ვლინდება მისი ძირითადი უფლებების დაცვასა და რეალიზებაში. შესაბამისად, როდესაც სახელმწიფო საამისოდ აუცილებელი ზომების გადამეტებით ერევს ამ უფლებებში, ის უხეშად არღვევს ადამიანის ღირსებას.¹³

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ღირსების უფლება, მჭიდრო კავშირშია სხვა უფლებებთან, ვინაიდან წარმოადგენს კონსტიტუციით დაცულ ფუნდამენტურ პრინციპს და ყველა სხვა ფუნდამენტური უფლებების საფუძველია.¹⁴

სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება, გამომდინარეობს რა ადამიანის ღირსებიდან,¹⁵ მათი ხელყოფა უკავშირდება ღირსების, როგორც კონსტიტუციით დაცული აბსოლიტური ხასიათის უფლების ხელყოფას. სახელმწიფო, ადამიანს განიხილავს როგორც პატივისცემის ობიექტს, მთავარ ფასეულობას, რაც გულისხმობს ადამიანის რესპექტირებას სახელმწიფოს მხრიდან, მისი ღირსების, როგორც თანდაყოლილი უფლების პატივისცემას და დაცვას, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს, მისი ჩამორთმევის ან ღირსების სხვაგვარად შეზღუდვის დაწესების გარეშე.¹⁶

სწორედ აღნიშნულს ეფუძნება, მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ აუცილებელია გაუპატიურების და ზოგადად, ძალადობით ჩადენილი სხვა სექსუალური ხასიათის ქმედების კანონისმიერ შემადგენლობაში სავალდებულო ელემენტად კანონმდებლის მიერ ასახულ

12 Koba Grialashvili, Ensure the inviolability of personal life in the conduct of police preventive activities, LAW AND WORLD (#15, December, 2020), <https://lawandworld.ge/index.php/law/issue/view/44/16>, (ნანახია 10.03.2025), 53-55.

13 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2. <https://imatsne.gov.ge/ka/document/view/1766900?publication=0>, (ნანახია 22.01.2025).

14 იხ. ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 87

15 იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, პრეამულა.

16 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II-30

იქნეს იმ პირის თანხმობა, რომლის სხეულშიც ხდება სექსუალურ ხასიათის შეღწევა ან რომლის მიმართაც ხორციელდება სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება.¹⁷ სისხლის სამართლის კოდექსის 137-138-ე მუხლების მოქმედ რედაქციაში აღნიშნულის შესახებ არ არის მითითება, რაც შიძლება ითქვას, რომ სხვა არაფერია თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უპატივცემლობის გამოვლინება. ძალადობით ჩადენილი დანაშაულების მოქმედი რედაქცია, უზღუდავს პირს სქესობრივი პარტნიორის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას, ძალადობრივი ხასიათის მიუხედავად, თავის შეხედულებისამებრ იქონიოს მისთვის სასურველ პირთან სექსუალური ხასიათის კონტაქტი, რაც სახელმწიფოს მხრიდან სხვა არაფერია თუ არა პირის სქესობრივი თავისუფლების უფლების შეზღუდვა და ამ გზით პიროვნების ღირსების უფლების ხელყოფაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის საზღვრების განმარტებისას ცალკეულ გადაწყვეტილებაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემადგენელ ცალკეულ კომპონენტებზე, ისე ამ უფლების ღირებულებით მნიშვნელობაზე მსჯელობას. სასამართლოს განმარტების მიხედვით, აღნიშნული უფლება სასიცოხლო მნიშვნელობის მატარებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისთვის. მისი სრულფასოვნად გამოყენების უზრუნველყოფა და დაცვა, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში.¹⁸ ხსენებულის მსგავსად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლება წარმოადგენს თითოეული პიროვნების დამოუკიდებელი განვითარების საფუძველს და მისი თავისუფლების არსებითი ელემენტია. ეს უფლება უზრუნველყოფს ადამიანს შესაძლებლობას, საკუთარი შეხედულებების შესაბამისად ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვებთან, განსაზღვროს თავისი ადგილი საზოგადოებაში და განსაზღვროს კავშირი გარე სამყაროსთან.¹⁹

პირადი ცხოვრება მოიცავს ადამიანის არსებობისა და განვითარების პირად სივრცეს (მაგ: საცხოვრებელი სახლი, ავტომობილი). პირადი ცხოვრების უფლება, ერთი მხრივ, გულისხმობს ადამიანის, როგორც ინდივიდის შესაძლებლობას, დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულების შესაბამისად მართოს და განავითაროს თავისი პირადი ცხოვრება. მეორე მხრივ, იგი უზრუნველყოფს კერძო სფეროს დაცვას სახელმწიფოსა და სხვა პირების ჩარევისგან. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ხელს უწყობს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რადგან მას შესაძლებლობას აძლევს, საზოგადოების ჩარევის გარეშე, პირად სივრცეში გაცვალოს და გააზიაროს ინფორმაცია, მოსაზრებები და შთაბეჭდილებები.²⁰

„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, როგორც ინდივიდის შესაძლებლობა და უნარი, საკუთარი შეხედულების შესაბამისად წარმართოს თავისი პირადი ცხოვრება და იყოს დაცული

17 იოსებ გაბარაევი, ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების კვალიფიკაციის საკითხები, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 105, 2022 წელი

18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჭეგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=562>, (ნანახია 22.01.2025).

19 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II, 4.

<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=404>, (ნანახია 24.01.2025).

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1996918?publication=0>, (ნანახია 22.01.2025).

მის კერძო/პირად სფეროში სახელმწიფოს ან/და სხვა პირების ჩარევისგან, იცავს ადამიანის არჩევანს, იარსებოს გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად, იყოს მარტო, ასევე თავისუფლად გადაწყვიტოს, რა პირობებში და მოცულობით ექნება ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებთან“.²¹

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით²² პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მრავალი კომპონენტისგან შედგება და თითოეულის დაცვა ერთმნიშვნელოვანია ამ უფლებით სრულყოფილად სარგებლობისთვის. საქართველოს კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლის (ძვ. რედ. მეოცე მუხლი) ფარგლებში პირებს დაცული აქვთ ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა, სახელის, პირადი მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის საიდუმლოება. სწორედ ხსენებული უფლებების განხორციელება განსაზღვრავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არსს, ამასთანავე თითოეული მათგანი დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება.²³

საქართველოს კონსტიტუციის მიზანი არის პირებს შორის კომუნიკაციისა და მიმოწერის თავისუფლების დაცვა ნებისმიერი საშუალებით. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს ქმნის საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი (ძვ. რედ. მე-16 მუხლი), რომლის მიხედვით, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“. ხსენებულთან დაკავშირებით, სასამართლო უთითებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცვა-რეალიზაცია, თუ რაოდენ შეუცვლელია მისი როლი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით სრულყოფილად დაცვისა და სარგებლობისათვის. ადამიანის თავისუფალი თვითრეალიზაცია, რაც გულისხმობს საკუთარი უნარების, შესაძლებლობების, სურვილების, გემოვნების და არჩევანის მიხედვით განვითარების პროცესს, წარმოადგენს პერსონალური ინდივიდუალიზმის მიმართულებას. ამგვარად, ეს არის გზა პლურალისტური და განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოების ფორმირებისაკენ. ადამიანს აქვს უფლება იყოს ისეთად, როგორც თავად სურს, შეუძლია და მოსწონს.“²⁴

იმავდროულად, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სხვა გადაწყვეტილებაში და მიუთითებს კონსტიტუციის მე-15 მუხლის (ძვ. რედაქცია მე-20 მუხლი) ამომწურავად განმარტების შეუძლებლობაზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მიზანია იმ სიკეთეების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფა, რომლებიც მასში არის ჩამოთვლილი. რაც შეეხება „პირადი ცხოვრების“ ცნებას, იგი გამოიყენება იმ ინტერესის გამოხატვისთვის, რომ

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=415> , (ნანახია 22.01.2025).

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1996918?publication=0> , (ნანახია 22.01.2025).

23 იქვე, II, 4.

24 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3263731?publication=0> , (ნანახია 22.01.2025).

პირადი მიმოწერის, საცხოვრებლის ან სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა არის დაცული. „იმ შემთხვევაში კი, თუკი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პაალეურად შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებელი იქნება, ეს ზოგადი ფრაზა ჩამონათვალს გახსნის და იმ მოვლენების დაცვის საშუალებას მისცემს სასამართლოს, რაც ნორმაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ არის“. ²⁵

და ბოლოს, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით (ახ. რედ. მე-12 მუხლი) დაცული სფეროს ფარგლებში, ადამიანის პრივატული სფეროს დაცვის გარანტიებზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის თუ როდენ გავლენას ახდენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცვის ხარისხი, ადამიანის პრივატულ სფეროს, პირადი სივრცის დაცვის ხარისხზე, რაც დაკავშირებულია და მოიცავს ადამიანის პირადი თავისუფლების ისეთ გამოხატულებებს, როგორც არის განმარტების უფლება, უფლება, თავად გადაწყვიტოს, როგორ და რა ფორმით დაუკავშირდეს გარესამყაროსა და საზოგადოებას, აირჩიოს დრო, ინტენსივობა ან/და გააკეთოს არჩევანი ნებისმიერ საკითხში, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია და პირადად ეხება. ²⁶

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულად დაცულია ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. პირადი ცხოვრების კონცეფცია, თავისი არსისა და მასში შემავალი მრავალფეროვანი ურთიერთობების გამო, მუდმივად საჭიროებს სასამართლოს მიერ განმარტებასა და განვითარებას. პრეცედენტული სამართალი, როგორც კონსტიტუციის და კონვენციური დებულებების განმარტების ყველაზე ავტორიტეტული წყარო, პერმანენტულად განიცდის პროგრესს რათა ის უფრო მეტად იყოს შესაბამისობაში თანამედროვე რეალობასთან. ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვის სულ უფრო და უფრო მაღალი სტანდარტების დადგენა ცხადყოფს, რომ კონკრეტული ურთიერთობები, რომლებიც 90-იანი წლების განმავლობაში არ ხვდებოდა პირადი ცხოვრების უფლების სფეროში, დღეს უკვე ერთმნიშვნელოვნად აღიარებულ იქნა პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად, რასაც ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, გარკვეულწილად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესიც განაპირობებს.

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტებების მოხმობის გარეშე, ცალსახად, რთულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ზოგადი ფორმულის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო უსფარტხოების ინეტერესების დაცვა ისე, რომ არ მოყვეს პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა. ამრიგად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები და სახელმწიფო უწყებები ვალდებული არიან მუდმივად განახლონ თავიანთი კანონმდებლობა და პრაქტიკა, რათა უზრუნველყონ მათი ქმედებების შესაბამისობა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ დადგენილ და გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულ სტანდარტებთან.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ფართო და მრავალმხრივი შინაარსის მქონე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა. იგი მოიცავს სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტებს, რომლებიც დაცულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის შესაბამისად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II, 17.

<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=404>, (ნანახია 24.01.2025).

²⁶ იქვე, II, 14.

ხელშეუხებელია, თუმცა თავის ხასიათით არ წარმოადგენს აბსოლუტიურ უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზმა ცხადყო, რომ ამ უფლების შეზღუდვას კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს, როდესაც ის ხდება თანაზომიერების პრინციპის დაცვით და მხოლოდ კანონის საფუძველზე. ხსენებული შეზღუდვის გამართლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება ან სხვა პირების უფლებების დაცვა.

ბიბლიოგრაფია

- საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 24.08.1995 წელი;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 09.10.2009 წელი;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04.11.1950 წელი;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, გაერო, 16.12.1966 წელი;
- ვილდჰაბერი ლუციუს, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002 წელი;
- იზორია ლევან, კორკელია კონსტანტინე, კუბლაშვილი კონსტანტინე, ხუბუა გიორგი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. თბილისი, 2005, გამომცემლობა «მერიდიანი»;
- ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013;
- „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი, ოქტომბერი, 2017 წელი;
- კაპანაძე ნინო, „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ეტაპზე“, სამაგისტრო ნაშორმი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019;
- ხიდირბეგიშვილი გიორგი, საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის პროცესში (ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 2020;
- Grialashvili Koba, Ensure the inviolability of personal life in the conduct of police preventive activities, LAW AND WORLD (#15, December, 2020);
- გაბარაევი იოსებ, ძალადობით ჩადენილი სექსობრივი დანაშაულების კვალიფიკაციის საკითხები, სადისერტაციო ნაშრომი, 2022 წელი;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე „ნიმიტცი გერმანიის წინააღმდეგ“, (Niemietz v. Germany), No 13710/88, 16.12.1992;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, Georgian Muslim Relations and Others v. Georgia, No 24225/19, 30.11.2023;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II-30;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II, 4;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 11;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 20;

ომის შემდგომი ევროპული უსაფრთხოების დისკუსიები

ლევან ნიკოლეიშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

აბსტრაქტი

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაიცვან ხალხთა თავისუფლებას, საერთო მემკვიდრეობასა და ცივილიზაციას, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიის, ინდივიდუალური თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე. ნატოს მიზანია უზრუნველყოს მისი წევრების თავისუფლება და უსაფრთხოება პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. ნატო შესაძლებლობას აძლევს მის ევროატლანტიკური გეოგრაფიის წევრ ქვეყნებს, გაიარონ კონსულტაციები და ითანამშრომლონ თავდაცვისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე პრობლემების გადასაჭრელად, ნდობის გასამყარებლად და გრძელვადიან პერსპექტივაში კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ნატოს, განსხვავებით ევროკავშირისაგან ძირითადი მიზანია მოკავშირეთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. მიუხედავად იმისა ევროპაში კვლავ მიმდინარეობს დისკუსიები, ნატო რჩება ტრანსატლანტიკური საზოგადოების უსაფრთხოების მთავარ ინსტრუმენტად და მისი საერთო დემოკრატიული ღირებულებების გამოხატულებად.

ნატოს გაწერილი აქვს არამარტო თავდაცვის ღონისძიებების, არამედ თავად ნატოს ფუნქციონირების ფინანსური ხარჯები. თუმცა როგორც ამჟამინდელ აშშ-ს პრეზიდენტს დონალდ ტრამპს და ნატოს გენერალურ მდივანს მარკ რუტეს მიაჩნია, ყველა ქვეყანა ამ ხარჯებში არც თუ ისე სამართლიან პროცენტს იხდის, შესაბამისად მათ ეს ხარჯები უნდა გაზარდონ. ეს იქნება სამართლიანი იმისათვის რომ ნატოს უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ შეფარებულმა ყველა ქვეყანამ თანაბრად გაიზიარონ ხარჯები. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ნატოს სამ ბირთვულ სახელმწიფოს საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, წამყვანი და ლიდერი პოზიცია სწორედ აშშ-ს უკავია. ამის ერთერთი თითქოს უმნიშვნელო ელემენტიც ემატება მის ლოგისტიკა და საჰაერო თუ საზღვაო გადაზიდვების თვალსაზრისით აშშ შესაძლებლობები ყველა წევრ ქვეყანაზე ერთად აღემატება უპირატესია.

საკვანძო სიტყვები: ევროპა, ნატო, ევროპული უსაფრთხოება, შანტაჟი, იდეა

POST-WAR EUROPEAN SECURITY DISCUSSION

Levan Nikoleishvili

Professor of Master's program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Political Science

Abstract

By signing the North Atlantic Treaty, the parties agreed to protect the freedom of peoples, their common heritage and their unity, based on the principles of democracy, individual liberty and rule of law. NATO's goal is to ensure the freedom and security of its members through political and military means. NATO provides members with the opportunity to consult and cooperate on defense and security-related issues to solve problems, build trust, and prevent conflict in the long term. NATO's fundamental purpose is to safeguard the freedom and security of its Allies by political and military means. NATO remains the principal security instrument of the transatlantic community and an expression of its shared democratic values.

NATO has a financial budget not only for defense measures, but also for the functioning itself. However, as current US president Donald Trump and NATO Secretary General Mark Rutte believe, all countries are not paying a fair share of these costs, so they should increase these costs by 2%. It would be fair for all countries under the NATO security umbrella to share the costs equally. Let's not forget that among the three nuclear powers of NATO-France, Great Britain and the United States –the US holds the leading position. On seemingly insignificant element to this is its logistics, and in terms of air and sea transportation, the US's capabilities are superior to those of all member countries combined.

Keywords: Europe, NATO, European Security, Blackmail, Idea

შესავალი

ნატო, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი განსხვავებით ევროკავშირისაგან, არის იმის გარანტი, რომ მისი წევრების უსაფრთხოება და თავდაცვა დაცული იყოს. თუკი რამეს ჰქვია აუტკივარი თავი, ეს გახლავთ სწორედ ის რასაც ევროპელი მაღალჩინოსნები კონტინენტის უსაფრთხოებისათვის აკეთებენ. რატომ და რისთვის სჭირდებათ ახალი ველოსიპედის გამოგონება, როდესაც ასეთი უკვე არსებობს. ამისათვის ნატოს მუხლები არსებობს, უმთავრესი კი მე-5-ე მუხლია, რომლის თანახმადაც მხარეები თანხმდებიან, რომ „ევროპის ან ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე, ერთ ან რამდენიმე მათგანზე თავდასხმა უნდა იქნას განხილული, როგორც თავდასხმა ყველა მათგანზე. შესაბამისად, ისინი თანხმდებიან, რომ ასეთი თავდასხმის შემთხვევაში, მხარეები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლებით სარგებლობის ფარგლებში, დაეხმარებიან თავდასხმის მსხვერპლ მხარეს ან მხარეებს, დაუყოვნებლივ, ინდივიდუალურად, და ასევე, სხვებთან კოორდინაციით, ისეთი ქმედებებით, როგორიც მიჩნეული იქნება საჭიროდ, მათ შორის, სამხედრო ძალის გამოყენებით, რათა აღდგენილი და შენარჩუნებული იქნას ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოება. ასეთი შეიარაღებული თავდასხმისა და საპასუხო ზომების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება უშიშროების საბჭოს. აღნიშნული ზომების განხორციელება შეწყდება უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით შესაბამისი ზომების მიღებისთანავე.“¹ რაც იმას ნიშნავს, მარტივად რომ განვმარტოთ ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა უნდა იქნას განხილული, როგორც თავდასხმა ყველა მათგანზე. შესაბამისად, ამოქმედდება სწორედ ის გეგმა, რომლიც დიდი ხნის წინაა შემუშავებული ნატოს თავდაცვისა და სამხედრო კომიტეტების მიერ, რომლის ადპტირება კი ყოველწლიურად ხდება შესაბამისი გამოწვევებისა და გარემოებებიდან გამომდინარე.

ძირითდი ნაწილი

ნატოს ასევე გაწერილი აქვს არამარტო თავდაცვის ღონისძიებების, არამედ თავად ნატოს ფუნქციონირების ფინანსური ხარჯები. თუმცა როგორც ამჟამინდელ აშშ-ს პრეზიდენტს დონალდ ტრამპს და ნატოს გენერალურ მდივანს მარკ რუტეს მიაჩნია, ყველა ქვეყანა ამ ხარჯებში არც თუ ისე სამართლიან პროცენტს იხდის, შესაბამისად მათ ეს ხარჯები უნდა გაზარდონ. ეს იქნება სამართლიანი იმისათვის რომ ნატოს უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ შეფარებულმა ყველა ქვეყანამ თანაბრად გაიზიარონ ხარჯები. არ დაგვავიწყდეს ისიც ნატოს სამ ბირთვულ სახელმწიფოს საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, წამყვანი და ლიდერი პოზიცია სწორედ აშშ-ს უკავია. ამის ერთერთი თითქოს უმნიშვნელო ელემენტიც ემატება მის ლოგისტიკა და საჰაერო თუ საზღვაო გადაზიდვების თვალსაზრისით აშშ-ში შესაძლებლობები ყველა წევრ ქვეყანაზე ერთად აღებულზე უპირატესია. ამ ფონზე ძალიან არასერიოზულად თუ არა ავანტურისტულად გამოიყურება ცალკეული ევროპელი პოლიტიკოსების მცდელობა იმის შესახებ, რომ აგერ უკვე მერამდენედ მათ საკუთარი ევროპული თავდაცვის სისტემის შექმნა სურთ. გასაგებია, რომ სხვადასხვა დროს ასეთი განცხადებების წინ წამოწევა სხვადასხვა გარემოებით იყო განპირობებული, მაგრამ მთავარი, მაინც ამერიკელებთან ვერ თუ არ დაღვებული პოლიტიკის შედეგი გახლდათ. ასეთი ვითარებაა დღესაც, ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა „ევროპის გადაიარაღების“ გეგმა წარადგინა,² რომლის მიზეზი ისევ ამერიკელებთან რუსეთ-

1 ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, https://www.nato.int/cps/ru/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

2 “ევროკომისიის პრეზიდენტმა ევროპის გადაიარაღების გეგმა წარადგინა - ევროპა მზად არის, მასიურად გაზარდოს თავდაცვის ხარჯები,“ 1 ტვ, 4 მარტი, 2025 წელი- <https://1tv.ge/news/evrokomisiis-prezidentma-evropis-ga->

უკრაინის ომის გაგრძელებისა თუ დამთვრების შესახებ უთანხმოება გახლავთ. ვინ ვინ თუ არა ქალბატონმ ურსულამ, რომელიც მანამდე გერმანიის თავდაცვის მინისტრი გახლდათ, კარგად უნდა იცოდეს, რომ ამ ომის დამთვრება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროპის უსაფრთხოებისათვის, მიუხედავად იმისა რომ დასრულების შემდეგ შესაძლოა განხვავებული უსაფრთხოების არქიტექტურა და გეოგრაფია მიიღოს. როგორც ჩანს, მიუხედავად ამისა, ქალბატონი ევროკომისარი თვლის, პირადი ეგო და ამბიციები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ევროპის უსაფრთხოების გარანტიად მყოფი ამერიკელებთან პოზიციების დალაგება. შესაძლოა სხვა უფრო სერიოზული ფინანსური ინტერესებიც იყოს რომლის შესახებ ექვებიც არაერთხელ გაჟღერებულა.

რა სახის უსაფრთხოების გამოწვევაზე მიდის საუბარი ცოტ არ იყოს გაუგებარია, თუმცა კონკრეტიკაც მოვისმინეთ. ურსულა ფონ დერ ლაიენმა მისი თქმით, ევროპელ ლიდერებს წერილი გაუგზავნა, რომელშიც „ევროპის გადაიარაღების“ გეგმის ხუთი პუნქტია აღწერილი:³

1. თავდაცვისთვის სახელმწიფო დაფინანსების გამოთავისუფლება;
2. ახალი ინსტრუმენტი, რომელიც თავდაცვაში ინვესტირების მიზნით წევრი ქვეყნებისთვის 150 მილიარდი ევროს ოდენობის სესხების გამოყოფას უზრუნველყოფს;
3. ევროკავშირის ბიუჯეტის შესაძლებლობების გამოყენება;
4. დანაზოგებისა და ინვესტიციების კავშირის მეშვეობით კერძო კაპიტალის მობილიზება;
5. ევროპის საინვესტიციო ბანკის მეშვეობით კერძო კაპიტალის მობილიზება.

ქალბატონი ურსულა ფიქრობს, რომ ევროპის თავდაცვითი და სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერების გეგმების მეშვეობით, შესაძლოა, 800 მილიარდი ევროს მობილიზება მოხდეს. თუმცა ამ ყველაფერში ყველაზე აბსურდულად 150 მილიარდიანი სესხი ჩანს, რატომ უნდა აიღონ ევროპელებმა სესხი, რომელსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ისედაც უზრუნველყოფს, უბრალოდ საუბარი უნდა იყოს ნატოს ხარჯების რაციონალურად და პროპორციულად გადანაწილება.

ასეთი არა რაციონალური მცდელობების დროს, ბევრჯერ აღმოჩენილა, რომ ევროკავშირის შიგნით უთანხმოებაა ასეთი სახის მოცულობებზე და ფორმატებზე, განსაკუთრებით არა ერთი ქვეყნის, სამხედრო და ფინანსური უწყებების წარმომდგენლის მხრიდან.

ურსულა ფონ დერ ლაიენს „იდეას“ „იდეათივე“ უპასუხეს ევროპის ლიდერებმა: მაგალითად დანიის ლიდერი, პრემიერ-მინისტრის, მეტე ფრედერიქსენი ფიქრობს, რომ „ბევრი დრო გვაქვს. ასე რომ, ჩვენ გვჭირდება ევროპის გადაიარაღება: დახარჯვა, დახარჯვა, დახარჯვა თავდაცვასა და შეკავებაზე“, ⁴ თუმცა საიდან მოაქვთ მათ ეს ხარჯები კვლავ ბუნდოვანია, ხოლო თუ ეს მოხდება შიდა ბიუჯეტის ხარჯზე, რა სახის ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებს გამოიწვევს თითოეულ ქვეყანაში, ესეც გაურკვეველია.

უფრო შორს წავიდა თავის ფიქრებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში, კაია კალასი, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის ევროკავშირის 27 ქვეყნის ლიდერის ერთობა ევროპული თავდაცვის ახალი სისტემის შესახებ არა აქვს, „ახალი ინიციატივის ფარგლებში“ ის მაინც განვიხილავს „მსურველთა კოალიციის შექმნის შესაძლებლობას, რათა ერთმა ქვეყანამ ყველა დანარჩენი ვერ დაბლოკოს.“⁵

daiaraghebis-gegma-waradgina-evropa-mzad-aris-masiurad-gazardos-tavdacvis-kharjebi/

3 “ევროკომისიის პრეზიდენტმა ევროპის გადაიარაღების გეგმა წარადგინა - ევროპა მზად არის, მასიურად გაზარდოს თავდაცვის ხარჯები,” 1 ტვ, 4 მარტი, 2025 წელი- <https://1tv.ge/news/evrokomisiis-prezidentma-evropis-ga-daiaraghebis-gegma-waradgina-evropa-mzad-aris-masiurad-gazardos-tavdacvis-kharjebi/>

4 “გვჭირდება ევროპის გადაიარაღება: დახარჯვა, დახარჯვა, დახარჯვა თავდაცვასა და შეკავებაზე” - დანიის პრემიერი, ტვ „რუსთავი2“, ოფიციალური გვერდი, 6 მარტი, 2025 წელი- <https://rustavi2.ge/ka/news/308056>

5 „კაია კალასი - ახალი ინიციატივის ფარგლებში, ჩვენ ასევე განვიხილავთ მსურველთა კოალიციის შექმნის

მაშინ ჩნდება მთავარი კითხვა ხომ არ იკარგება, ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონსენსუსის მთავარი პრინციპი?!

არანაკლებ პროვოკაციული და უპასუხისმგებლო აღმოჩნდა ლიეტუვის პრეზიდენტის, გიტანას ნაუსედას ევროპული საბჭოს სპეციალური შეხვედრის დაწყებამდე გაკეთებული განუცხადა, მისი თქმით, საჭიროა მოქნილი მიდგომა ფისკალური დეფიციტის წესებში თავდაცვის ხარჯების მიმართ და მეტი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ. საფრანგეთის ბირთვული ქოლგის გაფართოების შესახებ მაკრონის იდეის შესახებ კი, ნაუსედა ფიქრობს, ეს ძალიან სერიოზული შემთხვევითი საშუალება იქნება რუსეთის მიმართ.

საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონი საერთოდ უფრო შორს წავიდა, მისი აზრით, „საფრანგეთი მზად არის ფრანგული ბირთვული იარაღით ევროპელი მოკავშირეების დაცვის შესახებ დისკუსია დაიწყოს.“⁶ ამაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი ჩვეული სარკაზმით პასუხობს საფრანგეთის პრეზიდენტის, „თუ ის (მაკრონი) ევროპის ქვეყნებისა და დიდი ბრიტანეთის გენერალური შტაბის მეთაურების შეხვედრას იწვევს და ამბობს, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება აუცილებელია, რუსეთის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენებისთვის ემზადება, ეს, რა თქმა უნდა, საფრთხეა.“⁷ ასეთ საფრთხეებს, რუსეთი ხოლმე სულმოუთქმელი ელოდება, რომელიც მას საშუალებას აძლევს შანტაჟ-მუქარის შემთხვევებს, დაგეგმილი პროვოკაციული ქმედებებით უპასუხოს, რომელსაც ხან შესაბამისს არქმევს და ხანაც მათი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრებას. გავიხსენოთ, რომ ვინ თუ არა რუსეთმა ყველაზე კარგად იცოდა, რომ უკრაინა ნატოს წევრი ვერ გახდებოდა, თუმცა სწორედ უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესაძლო გაწევრიანება და ნატოს მის საზღვრებთან მოახლოება გახდა მისი უკრაინაში შეჭრის ერთერთ საბაზი.

ევროპა მზად არის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აიღოს და შეიარაღების რბოლაში რუსეთი დაამარცხოს. ამის შესახებ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა, დონალდ ტუსკმა ბრიუსელში ევროპული საბჭოს სამიტამდე ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა. „ზევრი დრო დავკარგეთ, როგორც ევროპამ, მაგრამ დღეს, ყველაფერი ნამდვილად შეიცვალა. ვსაუბრობ ევროკომისიის წინადადებაზე [თავდაცვაზე 800 მილიარდი ევროს მობილიზების შესახებ] და ყველა ჩემი თანამოსაუბრის ერთგულებაზე. მათ ეს დაადასტურეს პარიზსა და ლონდონში შეხვედრების დროს. ყველა მზად არის ეს გამოწვევა მიიღოს. ეჭვი არ არსებობს, რომ ომი უკრაინაში, ევროპისადმი ამერიკული ადმინისტრაციის ახალი მიდგომა და, ყველაფერზე მეტად, რუსეთის მიერ დაწყებული შეიარაღების რბოლა, სრულიად ახალ გამოწვევებს წარმოადგენს ჩვენთვის. ევროპა უნდა ჩაერთოს ამ შეიარაღების რბოლაში და მოიგოს ის. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი წააგებს არ რბოლას, როგორც საბჭოთა კავშირმა წააგო მსგავსი რბოლა 40 წლის წინ. და ეს უფრო დიდი მასშტაბის კონფლიქტის თავიდან არიდების ერთადერთი მეთოდია...ევროპა დღეს მზად არის უსაფრთხოებაზე სტარტისთვის, მზად არის უფრო სწრაფად, ჭკვიანურად და ეფექტურად შეიარაღდეს, ვიდრე რუსეთი... დღეს არ გვაქვს ზედმეტად ოპტიმისტურად ყოფნის საბაზები. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს გარდამტეხი მომენტია, როდესაც ევროპამ გაიაზრა, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრია მას“,⁸ -

შესაძლებლობას, რათა ერთმა ქვეყანამ ყველა დანარჩენი ვერ დაბლოკოს,“ ინტერპრესნიუსი, 6 მარტი, 2025 წელი-<https://www.interpressnews.ge/ka/article/832284-kaia-kalasi-axali-iniciativis-parglebshi-chven-aseve-ganvixilavt-msurvelta-koaliciis-shekmnis-shesazleblobas-rata-ertma-kveqanam-qvela-danarcheni-ver-dablokos/>

6 „მაკრონის თქმით, მოსაფიქრებელია, გავრცელდეს თუ არა საფრანგეთის ბირთვული ქოლგა ევროპელ პარტნიორებზე,“ რადიოთავისუფლება, 5 მარტი, 2025 წელი- <https://www.radiotavisupleba.ge/a/33337647.html>

7 „სერგეი ლავროვი - ემანუელ მაკრონის ბირთვული რიტორიკა რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს,“ ინტერპრესნიუსი, 6 მარტი 2025წელი-<https://www.interpressnews.ge/ka/article/832275-sergei-lavrovi-emanuel-makro-nis-birtvuli-ritorika-rusetistvis-saprtxes-caroadgens/>

8 „დონალდ ტუსკი - ევროპა მზად არის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აიღოს და შეიარაღების რბოლაში რუსეთი დაამარცხოს,“ ინტერპრესნიუსი, 6 მარტი 2025 წელი-<https://www.interpressnews.ge/ka/article/832292-donald-tuski-evropa-mzad-aris-usaprtxoebazepasuxismgebloba-aigos-da-sheiaragebis-rbolashi-ruseti-daamarcxos/>

განაცხადა ტუსკმა.

ამ ყველაფერს რატომ უნდა დიდი შნტაჟისა და პროვოკაციის სუნი უდის, უბრალოდ საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ის მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ ახალი ომის წამოწყების საბაზით თუ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, მათი ახალი პრეზიდენტის ე.წ. ახლი ევროპული პოლიტიკის გამო.

არა მგონია, რომ მოვლენები სიტყვებისა და ავტურისტული იდეებზე შორს წავიდეს, მით უფრო რომ ევროპას ახალი თავდაცვის სისტემის შექმნა კი არ ესაჭიროება, არამედ არსებულის ნატოს გაძლიერება. ჩრდილოატლანტიკური საბჭო (NAC) არის ნატოს ფარგლებში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო.⁹ ის ზედამხედველობს პოლიტიკურ და სამხედრო პროცესს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს მთელ ალიანსზე. იგი აერთიანებს თითოეული წევრი ქვეყნის წარმომადგენლებს, რათა განიხილონ პოლიტიკის ან ოპერატიული საკითხები, რომლებიც საჭიროებენ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებას, უზრუნველყოფს ფორუმს წევრებს შორის ფართო კონსულტაციებისთვის ყველა საკითხზე, რომელიც გავლენას ახდენს მათ მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. ცხადია ამ საბჭოში არიან, ნატოს წევრი ევროპული სახელმწიფოები, შესაბამისად მათ აბსოლუტური შესაძლებლობა აქვთ განიხილონ ნებისმიერი სახის საფრთხეებიც და შესაძლო გადაწყვეტილებებიც პრევენციის თუ პასუხის შესახებაც.

ნატოში მოქმედებს ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი, როგორც ალიანსის ბირთვული საკითხებზე უფროსი ორგანო და განიხილავს ბირთვულ ძალებთან დაკავშირებულ კონკრეტულ პოლიტიკის საკითხებს.¹⁰ ალიანსის ბირთვული პოლიტიკა მუდმივად განიხილება და იცვლება და ადაპტირებულია ახალი მოვლენების გათვალისწინებით. ამ ყველაფრმა შესაძლოა ევროპის უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაზე მოახდინოს გავლენა. მანამდე კი რუსეთ-უკრაინის ომში ჯერ ცეცხლის შეწყვეტა და მშვიდობის დამყარებაა საჭირო. ამ სიტუაციაში ცხადია ამერიკელებს აქვთ უპირატესი მდგომარეობა, თუმცა ევროპელების მიერ წაქეზებული პრეზიდენტი ზელენსკი ორმაგ ხანაც სამმაგ თამაშს თამაშობს. ასეთი სცენარის შემთხვევაში, უკრაინას უფრო მეტად დაზარალებდა, ტრამპის სცენარი კი ომის დასრულების, გარდა ნატოს იმ როლის გაძლიერებას გულისხმობს, რომელიც ერთმხრივ ევროპის კონტინენტის უსაფრთხოების გარანტი გახლავთ, მეორე მხრივ რუსეთის ამბიციების მოთოკვის საკმაოდ გამოცდილი და ადაპტირებული მექანიზმი.

ბიბლიოგრაფია

„ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულება

https://www.nato.int/cps/ru/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

“ევროკომისიის პრეზიდენტმა ევროპის გადაიარაღების გეგმა წარადგინა - ევროპა მზად არის, მასიურად გაზარდოს თავდაცვის ხარჯები,” 1ტვ, 4 მარტი, 2025 წელი- <https://1tv.ge/news/evrokomisiis-prezidentma-evropis-gadaiaraghebis-gegma-waradgina-evropa-mzad-aris-masi-urad-gazardos-tavdacvis-kharjebi/>

“ევროკომისიის პრეზიდენტმა ევროპის გადაიარაღების გეგმა წარადგინა - ევროპა მზად არის, მასიურად გაზარდოს თავდაცვის ხარჯები,” 1ტვ, 4 მარტი, 2025 წელი- <https://1tv.ge/news/evrokomisiis-prezidentma-evropis-gadaiaraghebis-gegma-waradgina-evropa-mzad-aris-masi-urad-gazardos-tavdacvis-kharjebi/>

“გვჭირდება ევროპის გადაიარაღება: დახარჯვა, დახარჯვა, დახარჯვა თავდაცვასა და შეკავებაზე”

9 „ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო,“ ნატოს ოფიციალური ვებ-საიტი, https://www.nato.int/cps/cn/natohq/topics_49763.htm

10 „ბირთვული დაგეგმარების ჯგუფი,“ ნატოს ოფიციალური ვებ-საიტი https://www.nato.int/cps/cn/natohq/topics_50069.htm

- დანიის პრემიერი, ტვ „რუსთავი2“, ოფიციალური გვერდი, 6 მარტი, 2025 წელი- <https://rustavi2.ge/ka/news/308056>

„კაია კალასი - ახალი ინიციატივის ფარგლებში, ჩვენ ასევე განვიხილავთ მსურველთა კოალიციის შექმნის შესაძლებლობას, რათა ერთმა ქვეყანამ ყველა დანარჩენი ვერ დაბლოკოს,“ ინტერპრესნიუსი, 6 მარტი, 2025 წელი-

<https://www.interpressnews.ge/ka/article/832284-kaia-kalasi-axali-iniciativis-parglebshi-chven-aseve-ganvixilavt-msurvelta-koaliciis-shekmnis-shesazleblobas-rata-ertma-kveqanam-qvela-danarcheni-ver-dablokos/>

„მაკრონის თქმით, მოსაფიქრებელია, გავრცელდეს თუ არა საფრანგეთის ბირთვული ქოლგა ევროპელ პარტნიორებზე,“ რადიოთავისუფლება, 5მარტი, 2025 წელი- <https://www.radiotavisupleba.ge/a/33337647.html>

„სერგეი ლავროვი - ემანუელ მაკრონის ბირთვული რიტორიკა რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს,“ ინტერპრესნიუსი, 6 მარტი 2025წელი-

<https://www.interpressnews.ge/ka/article/832275-sergei-lavrovi-emanuel-makronis-birtvuli-ritorika-rusetistvis-saprtxes-caroadgens/>

„დონალდ ტუსკი - ევროპა მზად არის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აიღოს და შეიარაღების რბოლაში რუსეთი დაამარცხოს,“ ინტერპრესნიუსი, 6 მარტი 2025 წელი-

<https://www.interpressnews.ge/ka/article/832292-donald-tuski-evropa-mzad-aris-usaprtxoebaze-pasuxismgebloba-aigos-da-sheiaragebis-rbolashi-ruseti-daamarcxos/>

„ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო,“ ნატოს ოფიციალური ვებ-საიტი,

https://www.nato.int/cps/cn/natohq/topics_49763.htm „ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო,“

ნატოს ოფიციალური ვებ-საიტი,

https://www.nato.int/cps/cn/natohq/topics_49763.htm

„ბირთვული დაგეგმარების ჯგუფი,“ ნატოს ოფიციალური ვებ-საიტი

https://www.nato.int/cps/cn/natohq/topics_50069.htm

ინდოეთის დიდი სტრატეგია

ლევან გეგეშიძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორანტი,
<https://orcid.org/0009-0000-3957-4472>

აბსტრაქტი

ინდოეთი მოსახლეობით ყველაზე მრავალრიცხოვანი დიდი სახელმწიფოა საერთაშორისო სისტემაში. ის მთლიანი შიდა პროდუქტით მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა. არსებული პროგნოზით ის მალე მესამე ადგილზე გადაინაცვლებს. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ინდოეთი მოიაზრება როგორც საკვანძო სახელმწიფო ჩინეთის გავლენის შეკავებისა და დაბალანსების მიზნით.

სტატიაში განხილულია თანამედროვე ინდოეთის დიდი სტრატეგია და მისი კულტურული და იდეოლოგიური საფუძვლები. ნაშრომი თავისი არსით წარმოადგენს მიმოხილვით სტატიას, რომელშიც მოყვანილია ინდოელი მეცნიერების მოსაზრებები დიდი სტრატეგიის და სტრატეგიული კულტურის შესახებ. თუ რა კავშირი აქვს თანამედროვე ინდოეთის სტრატეგიულ კულტურას ძველი ინდოეთის რელიგიურ და ფილოსოფიურ ტრადიციასთან. ზოგადად მიმოხილულია ინდოეთის პოლიტიკური ფილოსოფიის სკოლები, რომლებიც ეყრდნობიან როგორც ტრადიციულ ასევე დასავლეთიდან შეტანილ იდეებს.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ეგრეთწოდებული „მოდის დოქტრინა“, რომელიც გულისხმობს ძლიერი და მდიდარი ინდოეთის აღორძინებას. ამ პროცესში ის ცდილობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობას, მაგრამ სურს შეინარჩუნოს სტრატეგიული ავტონომია. ის ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს რეგიონის ქვეყნებთან მათ შორის ჩინეთთან, მაგრამ 2020 წელს მომხდარმა ინციდენტმა გარკვეული დამაბულობა გამოიწვია სინო-ინდოეთის ურთიერთობებში. ამის შემდეგ მოდის მთავრობამ აქცენტი გააკეთა ინდოეთის სამხედრო ძალების მოდერნიზაციაზე და განვითარებაზე. აქტიურად მონაწილეობს სამხედრო საზღვაო სწავლებებში ინდო-წყნარ ოკეანეში.

საკვანძო სიტყვები: დიდი სტრატეგია, საგარეო პოლიტიკა, სტრატეგიული კულტურა, სამხედრო მოდერნიზაცია და გეოპოლიტიკა.

GRAND STRATEGY OF INDIA

Levan Gegeshidze

Professor of Defense and Security program of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Omar Turmanidze

Head of Defiance and Security Program of Baccalaureate of
LEPL – David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia,
PhD student of Political Sciences of Caucasus International University,
orcid.org/0009-0000-3957-4472

Abstract

India is the most populous great power in the international system. In terms of Gross Domestic Product, it ranks fifth in the world, and according to existing forecasts, it is expected to soon become the third-largest economy. For the United States, India is considered a key state in efforts to contain and balance China's growing influence.

This article examines contemporary India's grand strategy and its cultural and ideological foundations. The work is essentially a review article that presents the perspectives of Indian scholars on grand strategy and strategic culture. It explores the connection between India's modern strategic culture and the religious and philosophical traditions of ancient India. The article also provides a general overview of the major schools of political philosophy in India, which draw on both traditional and Western ideas.

The second part of the paper discusses the so-called "Modi Doctrine," which envisions the revival of a strong and prosperous India. In this process, India seeks cooperation with the United States, while simultaneously aiming to preserve its strategic autonomy. In the spheres of economy and trade, India also maintains close partnerships with countries in the region, including China. However, an incident that occurred in 2020 caused a certain degree of tension in Sino-Indian relations. Following this, the Modi government placed greater emphasis on the modernization and development of India's armed forces. India is also actively participating in naval exercises across the Indo-Pacific region.

Keywords: grand strategy, foreign policy, strategic culture, military modernization, geopolitics.

შესავალი

ინდოეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიდი სახელმწიფოა საერთაშორისო პოლიტიკაში. ბოლო წლებში მისი ეკონომიკა მნიშვნელოვნად იზრდება. 2024 წელს ინდოეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 4.27 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენდა¹. იგი მე-5 ეკონომიკაა მსოფლიოში. სავარუდოდ, უხლოეს წლებში ის მესამე ადგილზე დაწინურდება. მოსახლეობის რაოდენობით უკვე გადაასწრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.² 2024 წელს მშპ-ს საშუალო ზრდა იყო 7%, რაც ოდნავ დაბალია 2023 წელთან შედარებით.³

აღმავლობის გზაზე მდგარმა ეკონომიკამ, ძლიერმა ტექნოლოგიურმა წინსვლამ და სტრატეგიულმა გეოპოლიტიკურმა პოზიციამ ხელი შეუწყო ინდოეთის მზარდ გავლენას რეგონალურ და გლობალურ დონეზე. ინდოეთის სამხედრო ბიუჯეტი 2014 წელს 50.9 მილიარდი აშშ დოლარი იყო.⁴ ხოლო 2025-2026 წლებში სამხედრო ბიუჯეტი 78.7 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება.⁵ რაც ასახავს მის მისწრაფებას თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებისკენ.

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე მოვლენების გამო მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ინდოეთის დიდი სტრატეგია, რათა დავადგინოთ პლანეტის ყველაზე დიდი ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური და სტრატეგიული ტენდენციები.

ნაშრომი არის მიმოხილვითი სტატია. იგი განიხილავს სხვადასხვა ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინდოეთის დიდ სტრატეგიას და მის გავლენას გლობალურ პოლიტიკაზე. სტატია უპასუხებს შემდეგ სამივე კითხვებს:

1. რა არის ინდოეთის სტრატეგიული კულტურა?
2. რა არის ინდოეთის დიდი სტრატეგია?

დიდი სტრატეგიის პარადიგმა გულისხმობს სახელმწიფოს ყველა ინსტრუმენტის გამოყენებას ეროვნული უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. ხშირად ეროვნული უსაფრთხოების ან ეროვნული სტრატეგია გამოიყენება დიდი სტრატეგიის სინონიმებად. რადგან დიდი სტრატეგია უსაფრთხოების საკითხებთანაა დაკავშირებული, შეიარაღებულ ძალები და მისი გამოყენება საკვანძო მნიშვნელობისაა.⁶ თუმცა დიდი სტრატეგია არ დაიყვანება ძალის გამოყენების ფუნქციამდე. სამხედრო ძალა მნიშვნელოვანი ფაქტორია მისთვის, მაგრამ არ ერთადერთი. ის სინქრონულად უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფო მართვის ისეთ ინსტრუმენტებთან, როგორიცაა დიპლომატია, პოლიტიკა, დაზვერვა და ა.შ.⁷ დიდი სტრატეგიისთვის დამახასიათებელია ამ ინსტრუმენტების ინტეგრირებული და სინქრონიზირებული გამოყენება. მისი მიზნები ხანგრძლივ ვადაზე არის გათვლილი და ნაკლებად ექვემდებარება გარემოებების ცვლილებას, მაგრამ მეორეს მხრივ ის მოქნილი უნდა იყოს გარე გამოწვევებსა და საფრთხეებზე რეაგირებისთვის.

1 International Monetary Fund. India: Gross Domestic Product (Current Prices). World Economic Outlook Data Mapper. Accessed March 17, 2025. <https://www.imf.org/external/datamapper/NGDPD@WEO/IND?zoom=IND&highlight=IND>.

2 International Monetary Fund, India: Population (Millions of People), World Economic Outlook Data Mapper, accessed March 17, 2025, <https://www.imf.org/external/datamapper/POP@WEO/IND?zoom=IND&highlight=IND>.

3 International Monetary Fund. India: Real GDP Growth Rate (Annual Percent Change). World Economic Outlook Data Mapper. Accessed March 17, 2025. https://www.imf.org/external/datamapper/NGDP_RPCH@WEO/IND?zoom=IND&highlight=IND.

4 Trading Economics. "India Military Expenditure." Trading Economics, 2023. <https://tradingeconomics.com/india/military-expenditure>. Accessed March 21, 2025.

5 Shivam Patel, "India's Defence Budget Heavily Weighted to Manpower Costs," Reuters, February 1, 2025, <https://www.reuters.com/business/aerospace-defense/india-budget-indias-defence-budget-heavily-weighted-manpower-costs-2025-02-01/>. Accessed March 21, 2025.

6 Lukas Milewski, *Evolution of Modern Grand Strategic Thought*. New York: Oxford University Press. 2016.

7 William C. Martel, *Grand Strategy in Theory and Practice, The Need for an Effective American Foreign Policy*. New York, NY 10013: Cambridge University Press. 2015.

ინდოეთის სტრატეგიული კულტურა

ცნობილი ინდოელი სტრატეგი ს. ჯაიშანკარი აღნიშნავს, რომ დასავლური ისტორიული ნარატივი ხშირად უგულვებელყოფდა ინდური საზოგადოებასა და მისი სტრატეგიული ტრადიციების მნიშვნელობას. ის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ინდური სტრატეგიული აზროვნების შესახებ სტანდარტულ დასავლურ ნაშრომებში არ არის საუბარი მაჰაბჰარატას ეპოსის შესახებ, რომელიც ძლიერად ზემოქმედებს ინდოეთის მოსახლეობის კულტურაზე, გონებასა და ღირებულებებზე.⁸

სვარნა რაჯაგოპალანი თავის შრომაში “დიდი სტრატეგიული აზროვნება რამაიანასა და მაჰაბჰარატაში”, ამტკიცებს, რომ ინდოეთის სტრატეგიულ აზროვნებას მყარად აქვს ფესვები გადგმული ცივილიზაციურ და კულტურულ ღირებულებებში, რომლებიც ასახულია ორ უნიშვნელოვანეს ძველ ინდურ ეპოსში - “რამაიანა” და “მაჰაბჰარატა”. თანამედროვე საერთაშორისო სისტემა უფრო ჰგავს მაჰაბჰარატს ეპოსში აღწერილ სისტემას, ვიდრე კლასიკურ ვესტფალიის მოდელს, დღეს სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში ერთ-ერთი აქტორია სხვა ინსტიტუციებთან ერთად⁹. ავტორის აზრით, ინდურ ეპოსში მოცემულია სამი ღირებულება: დჰარამ, ანარქიის შიში და თვითობის ფლუიდური განსაზღვრება. დჰარმა უმაღლესი კოსმოსური კანონზომიერებაა, რომელიც პოლიტიკაში მანიფესტირდება, როგორც მოვალეობის შესრულება. მაგალითად, კმატრიის (მეომართა კასტა) მოვალეობაა საზოგადოებისა და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა და ამ მიზნით ომის წარმოება. ასევე, მას აქვს პიროვნული განზომილება, რომელიც პიროვნების როლებს (მეუღლე, მამა და ა.შ) გულისხმობს. მაგრამ ინდივიდები თავად წყვეტენ რა არის „დჰარამა“ და რა „ადჰარამა“.¹⁰ ინდური პოლიტიკური ცნობიერებისთვის დჰარმა წარმოადგენს საზოგადოების ქაოსიდან დაცვის მთავარ ელემენტს.¹¹ აქ დჰარამა არის პოლიტიკური წესრიგის ფუნდამენტი და არა რელიგიური ან მორალური პრინციპი.

ინდური ეპოსის ინტერპრეტაციისას სვარნა რაჯაგოპალანი მთავარ გამოწვევად “სხვას” და “მეს” განსაზღვრას თვლის. გარესამყაროს განსაზღვრა ყოველთვის საკუთარი თავით იწყება. რამაიანასა და მაჰაბჰარატაში ეპოქები, სახეობები და დრო ერთმანეთში გადადის და მკაფიო საზღვარი არ არსებობს მეს და სხვებს შორის.¹² ამ თვალსაზრისით ინდური პოლიტიკური და სტრატეგიული აზროვნება გარკვეულწილად განსხვავდება იმ დასავლური პოლიტიკური აზრისგან, რომლისთვისაც საერთაშორისო პოლიტიკა მტრის და მეგობრის პარადიგმაა.

ჯაიშორი ვივეკანანდა თავის ნაშრომში “სტრატეგია, ლეგიტიმაცია და იმპერია: მუგალების სტრატეგიული დისკურსის ჩარჩო”, თვლის, რომ მუგალთა იმპერია ქმნიდა სახელმწიფო მოდელს, რომელიც აერთიანებდა თეოკრატიულ და ადმინისტრაციულ მართვას. სამხედრო ძალასთან ერთად მმართველობა ეყრდნობოდა კულტურულ ტოლერანტობს, რაც სტრატეგიულ დონეზე გულისხმობდა ინტეგრაციას დაპყრობის ნაცვლად¹³.

შრინათ რაგავანი ეხება ბრიტანული ლიბერალური ფილოსოფიისა და კოლონიური ინდოეთის სამხედრო ინსტიტუტს შორის ურთიერთობას. თანამედროვე ინდოეთის სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები ბრიტანეთის იმპერიის დროინდელ ტრადიციას ეყრდნობა, რომელიც დღესაც გრძელდება. კოლონიური არმია ინდოეთში არ იყო მხოლოდ სამხედრო სისტემა, არამედ მმართველობის სტრუქტურის განუყოფელი ნაწილი. იგი

8 Subrahmanyam Jaishankar, „The India Way: Strategies for an Uncertain World“ New Delhi: HarperCollins India, 2020,

9 Swarna Rajagopalan, “Grand Strategic Thought in the Ramayana and Mahabharata.” In India’s Grand Strategy: History, Theory, Cases, edited by Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa, 31–62. New Delhi: Routledge India, 2014, p33.

10 Ibid, 40

11 Ibid, 41

12 Ibid, 42

13 Jayashree Vivekanandan, “Strategy, Legitimacy and the Imperium: Framing the Mughal Strategic Discourse,” in India’s Grand Strategy: History, Theory, Cases, ed. Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa (New Delhi: Routledge India, 2014), 63–89.

ინსტრუმენტალიზებული იყო მორჩილებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა ლიბერალურ იდეოლოგიასთან.¹⁴

კანტი ბაჯპაი თავის ნაშრომში „ინდოეთის დიდი სტრატეგია, აზროვნების ექვსი სკოლა“, ამტკიცებს, რომ ინდოეთის დიდი სტრატეგია არ არის ერთი მონოლითური დოქტრინა, არამედ სხვადასხვა სკოლებისა და იდეების დებატების შედეგად ჩამოყალიბებული ჰიბრიდული მიდგომა.¹⁵ თანამედროვე ინდოეთში სამი სკოლა „ნერუიანიზმი“, „ნეოლიბერალიზმი“ და „ჰიპერ-რეალიზმი“ არის დომინანტი. მათი გავლენა და აქტიურობა განსაკუთრებით თვალში საცემია ცივი ომის შემდეგ. ამ სკოლების მიმდევრები გვხვდებიან საჯარო სამსახურში, არმიასა და სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში. ასევე ისინი აქტიურობენ მედიასა და აკადემიურ წრეებში.¹⁶ პირველი სკოლა „ნერუიანიზმი“ - უკავშირდება ჯავაჰარლალ ნერუს პოლიტიკურ ფილოსოფიას, რომელიც გულისხმობდა მშვიდობიან თანაცხოვრებას, მიუმხრობლობის პოლიტიკას და მრავალ პოლუსიან საერთაშორისო წესრიგს. ამ სკოლის მიმდევრების აზრით, ინდოეთი უნდა იყოს გლობალური სამხრეთის მორალური ლიდერი და რაც შეიძლება თავი აარიდოს დიდი სახელმწიფოებს შორის ძალაუფლების დაპირისპირებაში მონაწილეობას. ის ეყრდნობა ისეთ ფასეულობებს როგორიცაა სუვერენიტეტი, მშვიდობა და საერთაშორისო სამართალი.

მიუხედავად საერთაშორისო სისტემის ანარქიულებისა, მათ აერთიანებთ რწმენა რომ სახელმწიფოებსა და ხალხებს შეუძლიათ ურთიერთგაგების მიღწევა და მშვიდობიანი თანაცხოვრება. დიდი სახელმწიფოების ძალის პოლიტიკის დროს ომის საფრთხე რეალურია და ამ დროს სახელმწიფოებისთვის ძალის გამოყენება, როგორც უკიდურესი საშუალება გამართლებულია.¹⁷ თუმცა ნერუიანები მაინც მიიჩნევენ, რომ ანარქიის მდგომარეობის შერბილება და მეტიც, მისი დაძლევაც შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა საერთაშორისო სამართლისა და ინსტიტუტების გაძლიერება, სამხედრო თავშეკავება, მოლაპარაკებები და კომპრომისის პოლიტიკა.¹⁸

ხოლო რაც შეეხება ნეო-ლიბერალურ სკოლას, ისინი მხარს უჭერენ იმ იდეას, რომ ფართო გაგებით ეკონომიკური კეთილდღეობა ეროვნული უსაფრთხოების აუცილებელი კომპონენტია. საზოგადოება, რომელიც ეკონომიკურად სუსტია, ვერ იქნება კმაყოფილი, ხოლო უკმაყოფილება ხელს უშლის უსაფრთხოებას. ამდენად ეკონომიკური კეთილდღეობა არის საფუძველი უსაფრთხოების. ხოლო თავად კეთილდღეობა ნეო-ლიბერალების აზრით, გამომდინარეობს მხოლოდ თავისუფალი ბაზრის პოლიტიკისგან.¹⁹

ჰიპერ-რეალისტებს აქვთ საერთაშორისო ურთიერთობის პესიმისტური ხედვა. მათთვის საერთაშორისო პოლიტიკა ძალაუფლებისთვის ბრძოლის მუდმივი ციკლია. მაშინ როდესაც სხვა სკოლები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაცია შესაძლებელია კომუნიკაციის, ბაზრისა და საერთაშორისო ინსტიტუტების მეშვეობით. ჰიპერ-რეალისტური ხედვით სახელმწიფოები მუდმივად იქნებიან ჩართული ძალაუფლების ბალანსში, შეკავებასა და ომში. სახელმწიფოთა შორის კონფლიქტი და მეტოქეობა ვერ გარდაიქმნება მდგრად მშვიდობასა და მეგობრობაში (გარდა დროებითი ალიანსებისა საერთო მტრის წინააღმდეგ); ასეთი დაპირისპირებები მხოლოდ შეიძლება მართო ძალადობის მუქარით ან მისი რეალური გამოყენებით.²⁰

14 Srinath Raghavan, “Liberal Thought and Colonial Military Institutions.” In *India’s Grand Strategy: History, Theory, Cases*, edited by Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa, 90–108. New Delhi: Routledge India, 2014.

15 Kanti Bajpai, “Indian Grand Strategy: Six Schools of Thought,” in *India’s Grand Strategy: History, Theory, Cases*, ed. Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa (New Delhi: Routledge India, 2014), 113–144.

16 Ibid, 113.

17 Kanti Bajpai, “Indian Grand Strategy: Six Schools of Thought,” in *India’s Grand Strategy: History, Theory, Cases*, ed. Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa (New Delhi: Routledge India, 2014) p117

18 Ibid, 118

19 Ibid, 119

20 Ibid, 120

ზემოთ ჩამოთვლილი სამი დომინანტი სკოლის გარდა არსებობს ალტერნატიული ხედვებიც, კონკრეტულად კი მარქსისტული, ჰინდუტვა (ინდუისტური კულტურული ნაციონალიზმი) და განდიზმი. განდიზმი უფრო მოძრაობაა, ვიდრე კარგად ორგანიზებული პარტია. მაგრამ მარქსისტებისა და ჰინდუტვას უკან პოლიტიკური პარტიები დგას. ჰინდუტვას სკოლის პოლიტიკურ ბერკეტს წარმოადგენს ინდოეთის სახალხო პარტია, რომელმაც 2014 წელს საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და დღემდე ამ პარტიის ლიდერი ნარენდრა მოდია პრემიერ მინისტრი.²¹

რაჰულ საგარი ფიქრობს, რომ ჰინდუ ნაციონალისტური ხედვის თანახმად საერთაშორისო პოლიტიკაში გავლენა და პატივისცემა დამოკიდებულია სამხედრო ძალასა და ეკონომიკურ სიმდიდრეზე. ხოლო წარმატებული დიპლომატია არის ძალის შედეგი.²²

ბოლო ათი წელია ინდოეთის ხელისუფლებაში არის მემარჯვენე ნაციონალისტური პარტია, რომლის პრემიერი ნარენდრა მოდია. მისი მმართველობის დროს ინდოეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარებით ხასიათდება. მოდის მმართველობის პერიოდს დაემთხვა სი ძინ-პინის აგრესიული საერთაშორისო პოლიტიკა და ტერიტორიული დავების გააქტიურება სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. ჩინეთის აღზევებამ და რეგიონულმა კონფლიქტებმა ინდოეთის გეოპოლიტიკური როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა.

მოდის დოქტრინა

პრემიერ-მინისტრ ნარენდრა მოდის დროს, ინდოეთის დიდი სტრატეგია თავის თავში ატარებს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში უწყვეტობისა და ტრანსფორმაციის სინთეზს. მოდის მოღვაწეობა აღინიშნა მნიშვნელოვანი ინიციატივებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სტრატეგიული პარტნიორობა, სამხედრო მოდერნიზაცია, რეგიონალური დიპლომატია და ეკონომიკური პოლიტიკა. თუმცა სტრატეგიული ავტონომია კვლავაც რჩება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად ელემენტად. ინდოეთი კვლავაც ოსტატურად აპელირებს გეოპოლიტიკური ურთიერთობების რთულ სისტემაში, ისე რომ არ დაუშვას ერთ რომელიმე ძალასთან ზედმეტად დაკავშირება.²³ ნარენდრა მოდიმ გააღრმავა ურთიერთობები შეერთებულ შტატებთან, იაპონიასთან და ავსტრალიასთან, იმავდროულად შეინარჩუნა კავშირები რუსეთთან და ჩინეთთანაც.²⁴

თუმცა ჩინეთთან სასაზღვრო ზონაში ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას და მცირე შეტაკებებს შეიარაღებულ ძალებს შორის. 2020 წლის ივნისში გაღვანის ხეობაში შეტაკების დროს დაიღუპა 20 ინდოელი ჯარისკაცი.²⁵ ამ ტრაგედიამ მოდის მთავრობა აიძულა, რომ დაეწყო სამხედრო მოდერნიზაცია, რაც მოიცავს ქვეყნის სამხედრო წარმოების განვითარების ხელშეწყობასა და სტრატეგიულ პარტნიორობებთან ერთობლივ სამხედრო წვრთნებს. ჩინეთთან და პაკისტანთან არსებული დამაბულობის მართვა კვლავაც რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად, განსაკუთრებით ტერიტორიული დავებისა და მზარდი საფრთხეების ფონზე.²⁶ ინდოეთი თავდაცვის სტრატეგიიდან გადავიდა შეკავების სტრატეგიაზე, რაც გულისხმობს ჰიმალაებში საზღვრისპირა ინფრასტრუქტურის განახლებას და სწრაფი რეაგირების ძალების

21 Ibid, 129

22 Sagar, Rahul. “‘Jiski Lathi, Uski Bhains’: The Hindu Nationalist View of International Politics.” In *India’s Grand Strategy: History, Theory, Cases*, edited by Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa, 198–219. New Delhi: Routledge India, 2014.

23 Shakti Sinha Gupta, “India’s Grand Strategy: A Framework for the Future That Builds on Bharat’s Ancient Statecraft of Peace, Prosperity, and Planet,” Observer Research Foundation, Oct. 4, 2023, <https://www.orfonline.org/research/india-s-grand-strategy-a-framework-for-the-future-that-builds-on-bharat-s-ancient-statecraft-of-peace-prosperity-and-planet>. Accessed Mar 21, 2025.

24 Rajesh Basrur. “Modi’s Foreign Policy Fundamentals: A Trajectory Unchanged.” *International Affairs* 93, no. 1 (January 1, 2017): 7–26. <https://doi.org/10.1093/ia/iw006>.

25 BBC News. “Galwan Valley: China and India Clash on Freezing and Inhospitable Battlefield.” June 17, 2020. <https://www.bbc.com/news/world-asia-india-53076781>. Accessed March 21, 2025.

26 Rajesh Basrur. “Modi’s Foreign Policy Fundamentals: A Trajectory Unchanged.” *International Affairs* 93, no. 1 (January 1, 2017): 7–26. <https://doi.org/10.1093/ia/iw006>.

განთავსებას.²⁷ ინდოეთმა უარი თქვა ათწლეულების დროინდელ სტრატეგიულ მიდგომაზე, რომელიც გულისხმობდა, რომ არ დაეშვა ჩინეთის მხრიდან ტერიტორიების მიტაცება. სანაცვლოდ კი შეიმუშავა მიდგომა „შეკავება დასჯის გზით“, რაც გულისხმობს აგრესიის შემთხვევაში საპასუხო შურისგებას. ამ სტრატეგიული მიზნის რეალიზებისთვის ინდოეთმა დააჩქარა გზების, გვირაბებისა და საჰაერო ბაზების მშენებლობა, რათა საზღვრისპირა რაიონებში სწრაფად შეძლოს ძალის პროექცია.²⁸

ფაქტობრივი კონტროლის ხაზის გასწვრივ უკვე განლაგებულია 50,000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და საარტილერიო სისტემები (M777 ჰაუბიცები) შეიქმნა სამთო დანაყოფები, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში ბრძოლისთვის არიან მზად.²⁹ ეს ყველაფერი მიზნად ისახავს ჩინეთის სამხედრო უპირატესობის დაბალანსებას ტიბეტის რეგიონში.

ასევე, ინდოეთმა გააფართოვა სამხედრო-საზღვაო პარტნიორობა საფრანგეთთან და ინდონეზიასთან და აქტიურად ეწევა ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მონიტორინგს რეგიონში.³⁰ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და იაპონიასთან თანამშრომლობით ახორციელებს მალაკის სრუტიდან ინდოეთის ოკეანეში შემოსული ჩინური წყალქვეშა ნავების დაკვირვებას ხმის სათვალთვალო სისტემებით.³¹

დასკვნა

ამრიგად, ინდოეთის მდებარეობა და სიდიდე მას უნიკალურ მოთამაშედ აქცევს ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ჩინეთის შეკავების მიზნით, როგორც ზღვაზე ასევე ხმელეთზე. მართალია, იგი არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, მაგრამ პოლიტიკურად საკმაო მგრძნობიარეა, ამიტომ ის შესაძლოა ვერ გახდეს კლასიკური სამხედრო მოკავშირე დასავლური გაგებით, მაგრამ ინდოეთი უნდა ინტეგრირდეს ამერიკული შეკავების რეგიონალურ სისტემაში.³²

ინდოეთის სტრატეგიული მნიშვნელობა მხოლოდ გეოგრაფიით არ განისაზღვრება. მას აქვს ძალიან დიდი სამხედრო და ტექნოლოგიური პოტენციალიც, რომელსაც გაძლიერება სჭირდება. განსაკუთრებით დაზვერვის, თვალთვალის და დაკვირვების შესაძლებლობის მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ი ცდილობს უფრო მჭიდრო კავშირს ჩინეთის საპირწონედ, ინდოეთი ფრთხილობს, რომ ამ თანამშრომლობამ არ გამოიწვიოს მისი სუვერენიტეტისა და სტრატეგიული ავტონომიის შეზღუდვა. მათი გეოპოლიტიკა განსხვავდება ისეთ ქვეყნებთან როგორიცაა პაკისტანი და რუსეთი, რაც გარკვეულ უნდობლობას ბადებს მხარეებს შორის.³³ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინდოეთმა განაგრძო ნავთობის იმპორტი რუსეთიდან უკრაინის ომის ფონზე, მიუხედავად აშშ-ის წინააღმდეგობისა.

27 Rajesh, Basrur and S. Narayanan Kutty. “Modi’s India and Japan: Nested Strategic Partnerships.” *International Politics* 59, no. 1 (February 2022): 67–89. <https://doi.org/10.1057/s41311-021-00288-2>.

28 Chaudhry, Rajeev. “Border Infrastructure: Shrinking the Gap.” *CSC Conversations*, November 30, 2024. <https://www.csconversations.in/border-infrastructure-shrinking-the-gap/>. Accessed March 21, 2025.

29 Swarajya Staff. “China Reacts to India’s Deployment of M777 Howitzers on LAC, Says It Opposes ‘Arms Race’.” *Swarajya*, September 30, 2021. <https://swarajyamag.com/defence/china-reacts-to-indias-deployment-of-m777-howitzers-on-lac-says-it-opposes-arms-race>. Accessed March 21, 2025.

30 Christopher K. Colley, “The Emerging Great Game: Chinese, Indian and American Engagement in South Asia.” *Stimson Center*, April 8, 2024. <https://www.stimson.org/2024/emerging-great-game-china-india-america-engagement/>. Accessed March 21, 2025.

31 Pant, Harsh V., and Sohini Bose. “Andaman and Nicobar Can Lift India’s Maritime Capacity.” *Observer Research Foundation*, January 14, 2023. <https://www.orfonline.org/research/andaman-and-nicobar-can-lift-indias-maritime-capacity>. Accessed March 21, 2025.

32 Daniel Kliman, Rehman, Iskander, Kristine Lee, and Joshua Fitt. *Imbalance of Power: India’s Military Choices in an Era of Strategic Competition with China*. Center for a New American Security (CNAS), October 2020. <https://www.cnas.org/publications/reports/imbalance-of-power>. Accessed March 21, 2025.

33 Josukutty C Abraham, and Uma Purushothaman. “Limits of India–US Relations: Balancing Through Strategic Autonomy and Multi-alignment.” *Journal of Asian Security and International Affairs* 11, no. 4 (2024): 496–514.

- Abraham, Josukutty C., and Uma Purushothaman. "Limits of India–US Relations: Balancing Through Strategic Autonomy and Multi-alignment." *Journal of Asian Security and International Affairs* 11, no. 4 (2024): 496–514.
- Basrur, Rajesh, and S. Narayanan Kutty. "Modi's India and Japan: Nested Strategic Partnerships." *International Politics* 59, no. 1 (February 2022): 67–89. <https://doi.org/10.1057/s41311-021-00288-2>.
- Basrur, Rajesh. "Modi's Foreign Policy Fundamentals: A Trajectory Unchanged." *International Affairs* 93, no. 1 (January 1, 2017): 7–26. <https://doi.org/10.1093/ia/iw006>.
- Basrur, Rajesh. "Modi's Foreign Policy Fundamentals: A Trajectory Unchanged." *International Affairs* 93, no. 1 (January 1, 2017): 7–26. <https://doi.org/10.1093/ia/iw006>.
- BBC News. "Galwan Valley: China and India Clash on Freezing and Inhospitable Battlefield." June 17, 2020. <https://www.bbc.com/news/world-asia-india-53076781>. Accessed March 21, 2025.
- Chaudhry, Rajeev. "Border Infrastructure: Shrinking the Gap." *CSC Conversations*, November 30, 2024. <https://www.csconversations.in/border-infrastructure-shrinking-the-gap/>. Accessed March 21, 2025.
- Colley, Christopher K. "The Emerging Great Game: Chinese, Indian and American Engagement in South Asia." *Stimson Center*, April 8, 2024. <https://www.stimson.org/2024/emerging-great-game-china-india-america-engagement/>. Accessed March 21, 2025.
- Jayashree Vivekanandan, "Strategy, Legitimacy and the Imperium: Framing the Mughal Strategic Discourse," in *India's Grand Strategy: History, Theory, Cases*, ed. Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa (New Delhi: Routledge India, 2014), 63–89.
- Kanti Bajpai, "Indian Grand Strategy: Six Schools of Thought," in *India's Grand Strategy: History, Theory, Cases*, ed. Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa (New Delhi: Routledge India, 2014), 113–144.
- Kliman, Daniel, Iskander Rehman, Kristine Lee, and Joshua Fitt. *Imbalance of Power: India's Military Choices in an Era of Strategic Competition with China*. Center for a New American Security (CNAS), October 2020. <https://www.cnas.org/publications/reports/imbalance-of-power>. Accessed March 21, 2025.
- Martel, William C. 2015. *Grand Strategy in Theory and Practice, The Need for an Effective American Foreign*
- Milevski, Lukas. 2016. *Evolution of Modern Grand Strategic Thought*. New York: Oxford University Press.
- Pant, Harsh V., and Sohini Bose. "Andaman and Nicobar Can Lift India's Maritime Capacity." *Observer Research Foundation*, January 14, 2023. <https://www.orfonline.org/research/andaman-and-nicobar-can-lift-indias-maritime-capacity>. Accessed March 21, 2025.
- Raghavan, Srinath. "Liberal Thought and Colonial Military Institutions." In *India's Grand Strategy: History, Theory, Cases*, edited by Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa, 90–108. New Delhi: Routledge India, 2014.
- Rajagopalan, Swarna. "Grand Strategic Thought in the Ramayana and Mahabharata." In *India's Grand Strategy: History, Theory, Cases*, edited by Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa, 31–62. New Delhi: Routledge India, 2014.
- Sagar, Rahul. "'Jiski Lathi, Uski Bhains': The Hindu Nationalist View of International Politics." In *India's Grand Strategy: History, Theory, Cases*, edited by Kanti Bajpai, Saira Basit, and V. Krishnappa, 198–219. New Delhi: Routledge India, 2014.
- Shakti Sinha Gupta, "India's Grand Strategy: A Framework for the Future That Builds on Bharat's Ancient Statecraft of Peace, Prosperity, and Planet," *Observer Research Foundation*, October 4, 2023, <https://www.orfonline.org/research/india-s-grand-strategy-a-framework-for-the-future-that-builds-on-bharat-s-ancient-statecraft-of-peace-prosperity-and-planet>. Accessed March 21, 2025.
- Subrahmanyam Jaishankar, *The India Way: Strategies for an Uncertain World* (New Delhi: HarperCollins India, 2020)
- Swarajya Staff. "China Reacts to India's Deployment of M777 Howitzers on LAC, Says It Opposes 'Arms Race'." *Swarajya*, September 30, 2021. <https://swarajyamag.com/defence/china-reacts-to-indias-deployment-of-m777-howitzers-on-lac-says-it-opposes-arms-race>. Accessed March 21, 2025.
- Trading Economics. "India Military Expenditure." *Trading Economics*, 2023. <https://tradingeconomics.com/india/military-expenditure>. Accessed March 21, 2025.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარების სტრატეგიები

გიგი დუჩიძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) და მდგრადი განვითარების სტრატეგიების მნიშვნელობის გააზრება თანამედროვე ბიზნესში. განხილულია მისი გავლენა საზოგადოებასა და გარემოზე. ხაზგასმულია, რომ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) და მდგრადი განვითარება არა მხოლოდ ეთიკური, არამედ პრაქტიკული მოთხოვნაა ბიზნესისათვის, რადგან ისინი ხელს უწყობენ გრძელვადიანი წარმატების მიღწევას და კომპანიების რეპურაციის ამაღლებას, ზრდიან მომხმარებლის ლოიალობას, იწვევენ ხარჯების დაზოგვას, სტიმულს აძლევენ ინოვაციებისა და სიახლეების დანერგვას.

ნაშრომში განხილული საკითხები მოიცავს გლობალურ გამოწვევებს, როგორცაა კლიმატის ცვლილებები, რესურსების სიმცირე და სოციალური უთანასწორობა, რომლებიც კორპორაციების სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას. ყურადღება გამახვილებულია მომხმარებელთა გავლენაზე და ინვესტორთა ქცევაზე, რომლებიც სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ კორპორაციების ESG (გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით) მაჩვენებლებს. მზარდი კონკურენციის პირობებში, აღნიშნული მაჩვენებლების სტაბილურობა და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა კონკურენტული უპირატესობის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია, მისი წარმოშობის ისტორია და განვითარების ტენდენციები. ასევე ხაზგასმულია მდგრადი განვითარების მნიშვნელობა, შეფასებულია მისი განმსაზღვრელი ფაქტორები და მთავარი იდეა. გამოტანილია დასკვნა, რომ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) მოქმედებს როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორი, შესწავლილია მათ შორის კავშირი და ურთიერთგავლენა. გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, კორპორატიული პასუხისმგებლობა, საზოგადოების კეთილდღეობა, კონკურენტული უპირატესობა, ეფექტური ბიზნეს სტრატეგია.

CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT STRATEGIES

Givi Duchidze

Associate Professor of Bachelor's program in Management of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Business Administration

Abstract

The aim of the paper is to understand the importance of corporate social responsibility (CSR) and sustainable development strategies in modern business. Its impact on society and the environment is discussed. It is emphasized that corporate social responsibility (CSR) and sustainable development are not only ethical, but also practical requirements for business, as they contribute to achieving long-term success and improving the reputation of companies, increase customer loyalty, lead to cost savings, and stimulate the introduction of innovations and news.

The issues discussed in the paper include global challenges such as climate change, resource scarcity, and social inequality, which affect the formation of corporate strategies. The focus is on the influence of consumers and the behavior of investors, who are increasingly taking into account ESG (environmental, social, and governance) indicators of corporations. In conditions of growing competition, the stability of these indicators and adherence to the principles of sustainable development are prerequisites for gaining competitive advantage.

The concept of social responsibility, its history of origin and development trends are analyzed. The importance of sustainable development is also emphasized, its determining factors and the main idea are assessed. The conclusion is drawn that corporate social responsibility (CSR) acts as a factor of sustainable development, the connection and mutual influence between them are studied. Relevant conclusions are drawn.

Key words: sustainable development, corporate responsibility, social welfare, competitive advantage, effective business strategy.

შესავალი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) და მდგრადი განვითარების მნიშვნელობის ზრდა თანამედროვე ბიზნესში, უდვოდ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციაა. კომპანიებისთვის აუცილებელია, რომ (CSR) და მდგრადი განვითარება გახდეს მათი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი. ეს ხელს შეუწყობს გლობალური გამოწვევების გადაჭრას და უზრუნველყოფს კომპანიების გრძელვადიან წარმატებას.

თანამედროვე ბიზნესში მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას სწორედ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) განაპირობებს, რომელიც ეფუძნება ისეთ ფაქტორებს როგორიცაა გლობალური გამოწვევები, მომხმარებელთა ცნობადობის ზრდა, ინვესტორთა მოთხოვნები, საკანონმდებლო ცვლილებები და რეპუტაციული რისკები.

კლიმატის ცვლილებები, რესურსების სიმცირე, სოციალური უთანასწორობა და სხვა გლობალური გამოწვევები ბიზნესს აკისრებს პასუხისმგებლობას, მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ პრობლემის გადაჭრაში, რადგან საზოგადოება მოელის, რომ კორპორაციები არა მხოლოდ მოგების მიღებას უნდა ესწრაფვოდნენ, არამედ მდგრად განვითარებასაც უზრუნველყოფდნენ, ანუ კორპორაციები თავისი საქმიანობით გლობალურ გამოწვევებსაც უნდა პასუხობდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მზარდი კონკურენციის პირობებიდან გამომდინარე, მომხმარებლები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ თავიანთ გავლენას გარემოზე და სოციალურზე. ისინი უპირატესობას ანიჭებენ იმ კომპანიების საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც იცავენ ეთიკურ პრინციპებს და ზრუნავენ მდგრად განვითარებაზე. მომხმარებელთა ცნობიერების ზრდა სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს ბიზნეს გარემოზე და უზრუნველყოფს კომპანიების მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას, რაც ასევე პირდაპირ გავლენას ახდენს მათ მდგრად განვითარებაზე.

ეს გარემოება გავლენას ახდენს ინვესტორთა ქცევაზეც. ისინი სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ კორპორაციების ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) მაჩვენებლებს. მზარდი კონკურენციის პირობებში, მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა ხდება კონკურენტული უპირატესობა ინვესტიციების მოზიდვისათვის.

სამართლებრივი გარემოს გააზრება და შესაბამისი სტრატეგიის ფორმირება ბიზნესში წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია, რადგან ბევრი ქვეყანა აძლიერებს საკანონმდებლო მოთხოვნებს კომპანიების სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კუთხით. ეს გარემოება აიძულებს კომპანიებს, თავის ბიზნეს მოდელებში მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება მოახდინონ. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებები გავლენას ახდენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) და მდგრადი განვითარების მიღწევებზე.

რეპუტაციული რისკების იდენტიფიცირება და გააზრება კომპანიების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. დღეს ეფექტური კომუნიკაცია და ინფორმაციის სწრაფი მიღება-გავრცელება კორპორაციების წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია. განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში და მედიაში ინფორმაციის სწრაფი გავრცელება ზრდის რეპუტაციულ რისკებს კორპორაციებისთვის, რომლებიც არ იცავენ ეთიკურ პრინციპებს. CSR-ის ეფექტური პოლიტიკა ხელს უწყობს ორგანიზაციების რეპუტაციის დაცვას და გაუმჯობესებას.

ამდენად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) და მდგრადი განვითარების მიზნების უზრუნველყოფა, ასევე მისი გავლენა საზოგადოებასა და გარემოზე, ეს არის საკითხი, რომელიც თანამედროვე სამყაროში სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, რესურსების სიმცირე, სოციალური უთანასწორობა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) და

მდგრადი განვითარების სტრატეგიები ხდება არა მხოლოდ ეთიკური, არამედ აუცილებელი მოთხოვნა ბიზნესისთვის. თემის აქტუალობა განპირობებულია გლობალური გამოწვევებით, მომხმარებელთა მოლოდინებითა და საზოგადოების საჭიროებებით. CSR-ისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიების განხორციელება აუცილებელია არა მხოლოდ გარემოსა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის, არამედ ბიზნესის გრძელვადიანი წარმატებისთვისაც.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) და მდგრადი განვითარების სტრატეგიების მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში. გაანალიზოს მისი აქტუალობა და გავლენა საზოგადოებასა და გარემოზე.

ძირითადი ნაწილი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) გულისხმობს კომპანიების მიერ ისეთ სოციალურ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებლობის აღებას, რაც მათ ბიზნეს საქმიანობის ფარგლებს სცილდება.¹ CSR-ის ძირითადი პრინციპები მოიცავს კომპანიების ვალდებულებას გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეს პრინციპები მოიცავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების გათვალისწინებას, რათა კომპანიებმა არამხოლოდ ფინანსური მიზნები, არამედ საზოგადოებრივი კეთილდღეობაც უზრუნველყონ. CSR-ის ძირითადი პრინციპები მოიცავს:

- გარემოს დაცვის,
- სოციალური პასუხისმგებლობის,
- რეპუტაციის მართვის,
- სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებს.

კომპანიები პასუხისმგებლობას იღებენ გარემოზე მათი საქმიანობის გავლენაზე და ინვესტირებას ახდენენ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებასა და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებზე. კომპორაციების მოლოდინი არ უნდა იყოს მხოლოდ ფინანსური წარმატება, არამედ პოზიტიური გავლენა საზოგადოების განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობის, მომხმარებლების და ადგილობრივი თემების ინტერესების გათვალისწინება. კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ რეპუტაციის დაცვა და გაუმჯობესება, რათა თავიდან აიცილონ რეპუტაციული რისკები და შექმნან სანდო ურთიერთობა მომხმარებლებთან, ინვესტორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. CSR მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვას და კომპანიის ეთიკური და სამართლიანი მოქმედების პრინციპებს.

CSR-ის იდეა მრავალი წლის განმავლობაში არსებობს, თუმცა, მისი თანამედროვე ფორმა მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, როდესაც კომპანიებმა დაიწყეს პასუხისმგებლობის აღება არამხოლოდ თეორიულ დონეზე, არამედ პრაქტიკაში. პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი CSR-ის განვითარებაში იყო 1950-60-იან წლებში, როდესაც ბევრი კომპანია დაინტერესდა ეკოლოგიური და სოციალური საკითხებით.²

1970-80-იან წლებში CSR გლობალურ ტენდენციად იქცა, როდესაც კომპანიებმა დაიწყეს საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიების ინტეგრაცია. 1990-2000-იან წლებში, როდესაც სესხებისა და საინვესტიციო პროექტების მიმართ მოთხოვნები შეიცვალა, კომპანიები მუდმივად გრძნობდნენ საზოგადოებისა და ინვესტორების მოლოდინების ზრდას, ამიტომ CSR-ის სტანდარტები გაფართოვდა.

1 A. B. Carroll, Corporate Social Responsibility: Evolution of a Definitional Construct. *Business & Society*, 38(3), 268-295, 1999.

2 Ibid. Carroll, A. B. 1999.

მიუხედავადიმისა, რომ CSR დღეს პრაქტიკულად ყველა დიდ კომპანიაში ინტეგრირებულია, მისი გატარება ძირითადად დამოკიდებულია რეგულაციების განვითარებაზე, საზოგადოების მოლოდინებზე და ბუნებრივი რესურსების შემცირების საფრთხეებზე.

CSR-ის გატარებას კომპანიებისათვის ბევრი სარგებელი მოაქვს. უპირველეს ყოვლისა, ასეთი სტრატეგიები ზრდის კომპანიის რეპუტაციას და პოზიტიურ იმიჯს, რაც ხელს უწყობს მომხმარებელთა ნდობის გაზრდას და ბაზარზე კონკურენტული უპირატარესობის მიღწევას.³ როგორც მომხმარებლები, ასევე ინვესტორები უფრო მეტად ითვალისწინებენ კომპანიებს, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მიმართ.

CSR ეხმარება კომპანიებს კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში, რადგან კომპანიები, რომლებიც ეფუძნებიან CSR-ის პრინციპებს, უფრო მეტად სარგებლობენ უპირატესობებით ბაზარზე, რადგან ისინი უკეთეს ურთიერთობებს ამყარებენ მომხმარებლებთან, რაც ზრდის გაყიდვებს და ბრენდინგის ეფექტს.

კომპანიები, რომლებიც ზრდიან ESG-ს (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) მაჩვენებლებს, ხშირად უფრო ადვილად ახერხებენ ინვესტიციების მოზიდვას. CSR-ის გამოყენება მათ ეხმარებათ თავიდან აიცილონ საკანონმდებლო პრობლემები და სასამართლო დავები, რადგან კომპანიები უფრო მკაცრად იცავენ სანდოობას და ეთიკურ სტანდარტებს.

მდგრადი განვითარება გულისხმობს რესურსების, ენერგიის და ადამიანური კაპიტალის გამოყენებას ისე, რომ ჰქონდეს გრძელვადიანი გავლენა, მომავალი თაობების შესაძლებლობების შეზღუდვის გარეშე.⁴ მდგრადი განვითარების სამი ძირითადი ქვაკუთხედი: გარემოს დაცვა, სოციალური განვითარება და ეკონომიკური მდგრადობა.

მდგრადი განვითარების მიზნები ძირითადად მოიცავს:

- გარემოსდაცვითი მდგრადობის მიღწევას,
- ეკოლოგიური მდგრადობის მიღწევას,
- სოციალური თანასწორობის საკითხს.

მდგრადი განვითარება ბიზნესში რამდენიმე მიმართულებით იძენს გამოხატულებას:

- ეკოლოგიური ინოვაცია - რომლის დროსაც კომპანიები მოიპოვებენ და ქმნიან უფრო ენერგოეფექტურ და გარემოსთვის უსაფრთხო პროდუქტებს.
- რეგულაციების დაცვა - მრავალ ქვეყანაში ბიზნესები ვალდებული არიან გაითვალისწინონ გარემოსდაცვითი და სოციალური წესები.
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გაძლერება - რომლის დროსაც კომპანიები ცდილობენ პასუხისმგებლობის აღებას არა მხოლოდ გარემოს, არამედ ადგილობრივ თემებთან მიმართებაშიც.

მდგრადი განვითარების სტრატეგიების დანერგვა და წარმატებული განხორციელება ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ გამოწვევებთან.⁵ ამ გამოწვევებში შედის:

- მაღალის დანახარჯები ბიზნესის დაწყების ეტაპზე, რადგან მდგრადი განვითარების სტრატეგიების დანერგვა ხშირად საჭიროებს დამატებით ინვესტიციებს, რაც ხანდახან რთულად მისაღწევი შეიძლება იყოს მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის.
- წინააღმდეგობები ცვლილებების მიმართ, რა დროსაც ზოგიერთი კომპანია სირთულეებს აწყდება, როცა სურთ არსებული ბიზნეს მოდელების შეცვლა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის დანერგვა.
- კულტურული ბარიერები, იქმნება ორგანიზაციებში, რომლის დროსაც ორგანიზაციებში შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობა ახალი მიდგომების მიმართ, რამაც შეიძლება

3 M. E. Porter, M. R. Kramer, *Strategy & Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility*. *Harvard Business Review*, 84(12), 78-92. 2006.

4 J. Elkington, „Cannibals with Forks: The Triple Bottom Line of 21st Century Business. Capstone Publishing. 1997.

5 R. E. Freeman, „*Strategic Management: A Stakeholder Approach*.“ Boston: Pitman. 1984.

შეაფერხოს მდგრადი განვითარების სტრატეგიების განხორციელება.

CSR და მგრადი განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია, რადგან ორივე მიზნად ისახავს გრძელვადიანი კეთილდღეობის უზრუნველყოფას.⁶ CSR-ის სტრატეგიები ეხმარება კომპანიებს რომ მათ საქმიანობაში გაატარონ მდგრადი განვითარების პრინციპები და მიიღონ მონაწილეობა გარემოს, სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის გაუმჯობესებაში.

დასკვნა

კვლევამ გვიჩვენა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) და მდგრადი განვითარების სტრატეგიების არსი, მათი ურთიერთკავშირი და მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში. როგორც CSR, ისე მდგრადი განვითარება ბიზნესისთვის გრძელვადიანი წარმატების, რეპუტაციის და კონკურენტუნარიანობის აუცილებელი კომპონენტებია. კომპანიები, რომლებიც სერიოზულად განიხილავენ CSR-ის პრინციპებს, არა მხოლოდ ფინანსური მიზნების მიღწევას, არამედ საზოგადოებისა და გარემოს კეთილდღეობაზე ზრუნვასაც უზრუნველყოფენ. მდგრადი განვითარების სტრატეგიები კი, გარდა იმისა რომ გლობალურ გამოწვევებთან გამკლავებას უწყობს ხელს, ასევე უზრუნველყოფს კომპანიების მყარ პოზიციას ბაზარზე.

მდგრადი განვითარების კონცეფცია და მიზნები ბიზნესში არა მხოლოდ კონკურენტული უპირატესობის მიღწევის საშუალებად, არამედ ასევე ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების შესაბამისად მოქმედებად უნდა განიხილებოდეს. CSR-ის და მდგრადი განვითარების სტრატეგიების გააქტიურება კომპანებს შესაძლებლობას აძლევს, პოზიტიური გავლენა მოახდინონ გარემოზე და საზოგადოებაზე, რაც მათ გრძელვადიანი წარმატებისკენ უბიძგებს.

ბიზნესის როლი მდგრადი მომავლის შექმნაში უზარმაზარია. კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ მათი საქმიანობის გავლენა გარემოზე, სოციალური უფლებების და სამართლის პრინციპების დაცვაზე, ასევე მდგრადი ეკონომიკური მოდელების შექმნაზე, რომელიც მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე გამოწვევების გადაჭრას. მხოლოდ მდგრადი და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს ბიზნესის წარმატებას და დაგეხმარება მომავალი თაობების კეთილდღეობის შენარჩუნებაში.

CSR და მდგრადი განვითარება ის სტრატეგიებია, რომლებიც აუცილებელია არა მხოლოდ ბიზნესების გრძელვადიანი წარმატებისათვის, არამედ საზოგადოების და გარემოს კეთილდღეობისთვისაც.

⁶ World Commission on Environment and Development (WCED). *Our Common Future*. Oxford University Press. 1987.

ბიბლიოგრაფია

- Carroll, A. B. (1999). Corporate Social Responsibility: Evolution of a Definitional Construct. *Business & Society*, 38(3), 268-295.
- Elkington, J. (1997). *Cannibals with Forks: The Triple Bottom Line of 21st Century Business*. Capstone Publishing.
- Freeman, R. E. (1984). *Strategic Management: A Stakeholder Approach*. Boston: Pitman.
- World Commission on Environment and Development (WCED). (1987). *Our Common Future*. Oxford University Press.
- Porter, M. E., & Kramer, M. R. (2006). Strategy & Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility. *Harvard Business Review*, 84(12), 78-92.
- Kotler, P., & Lee, N. (2005). *Corporate Social Responsibility: Doing the Most Good for Your Company and Your Cause*. Wiley.
- United Nations (2015). *Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development*. United Nations.
- Savitz, A. W., & Weber, K. (2006). *The Triple Bottom Line: How Today's Best-Run Companies Are Achieving Economic, Social, and Environmental Success-and How You Can Too*. Wiley.
- Schaltegger, S., & Wagner, M. (2011). Sustainable Entrepreneurship and Sustainable Innovation. *Journal of Business Ethics*, 99(1), 1-8.
- Hopkins, M. (2003). *The Planetary Bargain: Corporate Social Responsibility Comes of Age*. Earthscan.

საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი

გიორგი ბერიძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვა და უსაფრთხოების
მიმართულების მოწვეული სპეციალისტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს სამხედრო ისტორიის და სტრატეგიის პერიოდები, ჩვენი ქვეყნის ერთგვარი „სამხედრო თავგადასავალი«, ქართული სამხედრო ფენომენის როლი საგარეო საფრთხეების წინაშე, სხვადასხვა პერიოდის სამხედრო საქმის, ტაქტიკისა და სტრატეგიის ფაქტორები.

სტრატეგიული მდებარეობიდან და გამორჩეული იდენტობისათვის ბრძოლის გამო, საქართველოს ისტორია „სამხედრო ისტორიად« იქცა.

სტრატეგია და სამხედრო ხელოვნება არ ყოფილა ყოველ ეპოქაში ერთი და იგივე, მასზე გავლენას ახდენდა, როგორც ტექნოლოგიური და მისგან გამომდინარე ტაქტიკური ცვლილებები, ასევე საშინაო ფაქტორები და დიდი საერთაშორისო სტრატეგიულ-გეოპოლიტიკური მოვლენებიც!

იცვლებოდა თავად ქართული „ჯარის« და სამხედრო საქმის სტრუქტურაც, მისი იერარქიაც და საბრძოლო სტილიც.

თუ ქარველი ხალხის სტრატეგია II ათასწლეულში მხოლოდ არსებობისათვის ბრძოლა იყო ქრისტეშობამდე III საუკუნეში ლეგენდარულმა ფარნავაზმა ერთიან „სახელმწიფო სტრატეგიას « დაუდო სათავე, ასევე იყო პერიოდი როცა ქართველ ხალხს არათუ დიდი ამბიციური სტრატეგია არ გააჩნდა, არამედ უბრალოდ „გადარჩენისათვისაც« კი უწევდათ ბრძოლა. ხოლო XIX საუკუნეში როგორც დამოუკიდებელი „საქართველოს სამხედრო ისტორია« მთლიანად იქნა ოკუპირებული.

მაგრამ საბედნიეროდ ქართველმა ხალხმა დასძლია როგორც სამხედრო, ასევე მენტალური ოკუპაცია და კვლავ აგრძელებს ათასწლეულების ისტორიის მქონე საკუთარი გამორჩეული ფენომენის მქონე „სამხედრო ისტორიას«

ჩვენი მიზანია ესაა, რომ შევქმნათ საქართველოს სამხედრო ისტორიისა და სტრატეგიის ერთგვარი „შკალა«, სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის სურათი, რაც ხელს შეუწყობს სამხედრო ხელოვნების ისტორიის, როგორც ცალკე საგნის უკეთ კვლევას და განვითარებას!

საკვანძო სიტყვები: საქართველო, სამხედრო, ტრადიცია, ტერიტორია, სტრატეგია

PERIODIZATION OF GEORGIA'S MILITARY STRATEGY

Giorgi Beridze

Invited specialist of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of History

Abstract

The paper discusses the periods of Georgia's military history and strategy, a kind of "military adventure" of our country, the role of the Georgian military phenomenon in the face of external threats, and factors of military affairs, tactics, and strategy of different periods.

Due to its strategic location and the struggle for independence, Georgia's history has become a "military history".

Strategy and military art have not been the same in every era; they have been influenced by technological and resulting tactical changes, as well as domestic factors and major international strategic-geopolitical events!

The structure of the Georgian "army" and military affairs itself, its hierarchy, and combat style were also changing.

If the strategy of the Georgian people in the 2nd millennium BC was simply a struggle for existence, in the 3rd century BC the legendary Parnavaz laid the foundation for a unified "state strategy", There was also a period when the Georgian people not only lacked a grand, ambitious strategy, but also had to fight simply for "survival." And in the 19th century, as an independent "Military History of Georgia", it was completely occupied.

But fortunately, the Georgian people overcame both military and mental occupation and continue their own unique phenomenon of "military history" with a history spanning thousands of years!

Our goal is to create a kind of "scale" of Georgian military history and strategy, a picture of the periodization of military history, which will contribute to better research and development of the history of military art as a separate subject!

Keywords: Georgia, military, tradition, territory, strategy

შესავალი

საქართველოს ისტორია, რომ „ომების ისტორიაა“ ეს ყველასათვისაა ცნობილი და მარლაც მნელია იპოვნო მეორე ისეთი ერი, ვისაც ყველა მსოფლიოს მნიშვნელობის სამხედრო მოვლენა და ეპოქის სიმძიმე, ისეთი მასშტაბებით ჰქონდეს გადატანილი,¹ როგორც ქართველებს. ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არ არსებულა თაობა რომელსაც ომის საშინელება საკუთარი თვალთ არ ჰქონოდა ნანახი

მტრულად იზოლირებული გარემო, აგრესიული სამხედრო იმპერიების მეზობლობა, განსაკუთრებული იდენიფიკაციური ეროვნული თვითმყოფადობა, უპირველესად კი ზესტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (სტრატეგიული დერეფანი) და იმპერიათა ინტერესების შეჯახების არეალი,² მუდმივ საომარ მდგომარეობას ქმნიდა.

ჩვენი ომები თითქმის მთლიანად ჩვენდაუნებური თავსმოხვეული და იძულებითი იყო, ყველა დამპყრობი თავისი გეგმებით, რელიგიით და ღირებულებებით იმდენად მიუღებელი იყო ქართველებისათვის, რომ ქვეყანა მუდმივ ბრძოლებში და აჯანყებებში „ცხოვრობდა“. მართალია უბრალო ქართველისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა VII საუკუნის „ისლამის გავრცელებისათვის“ მეზომოდ არაბს ებრძოდა თუ XXI საუკუნის რუს ოკუპანტს, მაგრამ იცვლებოდა ტაქტიკა და სამხედრო სისტემები, ბრძოლის მეთოდები და ტექნიკური საშუალებები, იარაღი და ფორთიფიკაცია, სამხედრო ტენდენციები და გეოპოლიტიკური სურათი,³ რაც სხვადასვა კონკრეტულ „წმინდა სამხედრო პერიოდებს“ მოიცავდა, აქედან გამომდინარე კი თამამად შეიძლება ითქვას „სამხედრო ისტორია“ პრაქტიკულად ცალკე დისციპლინას წარმოადგენს და მას გეგმაზიომიერ და ჩამოყალიბებულ კვლევას ნებისმიერ შემთხვევა სჭირდება პერიოდიზაციის გამართული სისტემა.

ჩვენი მოკრძალებული მცდელობაა საქართველოს ისტორია, „სამხედრო ისტორიის“ ეპოქების „ჭრილში“ დავინახოთ და შევქმნათ საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის დაახლოებითი სურათი მაინც.

ყველა დაგვეთანხმება, რომ პერიოდიზაციის ნებისმიერი კუთხით შეფასება, თუ რა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს და მიუხედავად იმისა, რომ პერიოდიზაციის პრობლემის გადაჭრის ცდა არაერთხელ დამდგარა ქართველ ისტორიკოსთა წინაშე მთელი რიგი საკითხები და კრიტერიუმები ჯერ კიდევ არაა ბოლომდე შეთანხმებული⁴. ჩვენც წინასწარ შეგუებული ვართ აზრს, რომ საკითხის მრავალწახნაგობიდან და სირთულიდან გამომდინარე მასში რა თქმა უნდა ვერანაირად ვერ ავცდებით უამრავ შეცდომასა და ხარვეზს.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციაზე მუშაობისას ჩვენს წინაშე შემდეგი პრობლემატური საკითხები წამოიჭრა;

1 - რა ადგილი უნდა დაიკავოს სამხედრო პერიოდიზაციამ საქართველოს ისტორიულ

1 ჯაბა სამუშია, საქართველოს სამხედრო ისტორია (სალექციო კურსი) გვ 9 თბ 2008.

2 თ. დუნდუა, ა. სილაგამე, - საქართველო და გარე სამყარო გვ. 19 თბ 2002.

3 გ. ანჩაბაძე, -სამხედრო ისტორია, გვ. 3 თბ 2002.

4 თუ რაოდენ პოპულარული და საკამათოა პერიოდიზაციის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში მთელი რიგი ავტორების დაახლოებითი ჩამონათვალიც კი კმარა: - ანთაძე, კალანდაძე, მეშველიანი, - ისტორიის პერიოდიზაციისათვის-მაცნე, ისტორიის სერია N 2 , თბ. 1992, თედო დუნდუა, - ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის. თბ. 2009, კალანდაძე - მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართული დიპლომატიის წელიდწლეული . ტომი N 11 თბ. 2004

მ. დუმბაძე - საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციისათვის , საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია (ავტორთა კრებული) თბ 1980.

საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია - თბ 1980.

ა ჩიქოვაძე. „ფეოდალური რეკოლუცია“ VII-IX საუკუნეების და მისი განვითარების ასპექტები. - თ. ს. უ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები ტ II თბ. 2011.

პერიოდიზაციაში და საერთოდ უნდა გამოეყოს თუ არა მას.

2 - როგორი შეფარდება უნდა ჰქონდეს საქართველოს სამხედრო პერიოდიზაციას მსოფლიოს სამხედრო ისტორიასთან.

3 - უმთავრესად კი რა კრიტერიუმები უნდა გამოვიყენოთ, საკვანძო თარიღების და სამხედრო ეპოქების შესაფასებლად.

პირველი საკითხი, იმდენად რთული გადასაწყვეტი გამოდგა, ლამის ხელი აგვადებინა მუშაობაზე, რადგან, „სამხედრო ისტორია“ სახელმწიფოს ისტორიის პერიოდიზაციას ბოლომდე იყო „მიბმული“, ვიწრო რკალში მისდევდა მას და სამხედრო ისტორიის პერიოდიზაცია ლამის ისევ ჩვეულებრივი ისტორიის პერიოდიზაციის „გამეორება“ გამოგვივიდა, ზესტრატეგიულ და მტრულ გარემოში მყოფი, პატარა ქვეყნის არსებობა მხოლოდ საკუთარ თავზე იყო დამოკიდებული, მთელი მისი სამხედრო სტრატეგიაც უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ და მხოლოდ „თვითგადარჩენაზე“ იყო დაფუძნებული, შეიძლება ვიკამათოთ, რომ საქართველოს თავისი ძლიერების პერიოდებში დიდი სამხედრო-პოლიტიკური ამბიციები გააჩნდა, მაგრამ თუ სუფთა სამხედრო-სტრატეგიული კუთხით შევხედავთ საკითხს, ეს საფრთხის რაც შეიძლება შორს გადატანა, აქტიური თავდაცვა უფრო იყო, ვიდრე ამბიციური პოლიტიკა და ვაღიაროთ, რომ საქართველოს არასოდეს უწარმოებია მსოფლიო მნიშვნელობის ომები (დიდ ომებში იძულებით მონაწილეობა ომების წარმოებაში არ უნდა ავურიოთ), არასოდეს ქმნიდა მნიშვნელოვან „სამხედრო-პოლიტიკურ ამინდს“ და მისი ისტორიის ძლევამოსილების პერიოდებიც, ძლიერ სახელმწიფოს და კავკასიის ჰეგემონი სამეფოს სტატუსებს არასოდეს გაცდილებია.⁵ პატარა და მცირე ტერიტორიების მქონე საქართველოსათვის რომელსაც გვიანი შუასაუკუნეების უმძიმესი პერიოდში კიდევ უფრო მცირე პოლიტიკურ ერთეულებათ დაიშალა, არათუ დიდი მასშტაბების ომები და სამხედრო კამპანიები, არამედ ლამის კონკრეტული ბრძოლებიც ახალ ისტორიულ ეპოქებს ქმნიდა, ამიტომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, სტრატეგია ყველაზე ნაკლებად, თითქმის არც არასოდეს შეცვლილა და როგორც უკვე ითქვა უიშვიათესი გამონაკლისის გარდა ქართული სტრატეგიის მაქსიმუმიც და მინიმუმიც თავის გადარჩენა „თვითმყოფადობის და ღირებულებების“ შენარჩუნება იყო.

შედარებისათვის თუნდაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ავიღოთ, რომელსაც თავის არსებობის მანძილზე სულ სამჯერ მოუხდა ისეთი ომის გადატანა როდესაც რუსეთის სახელმწიფოს არსებობას დაემუქრა საფრთხე. პირველად მონღოლების ეპოქაში, მეორედ ნაპოლეონთან ომის პერიოდში და მესამედ მეორე მსოფლიო ომის დროს. დანარჩენი მისი სამხედრო კამპანიები უფრო ფართო ამბიციისა იყო ვიდრე სახელმწიფოს „ყოფნა-არყოფნის პრობლემა“ ამიტომაც ჩვენი ისტორია, კვალში მიჰყვება“ სამხედრო ეპოქებს, მაგრამ საქართველოს სამხედრო ისტორია იმდენად დიდი და უნიკალური მოვლენაა, რომ მისი როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის არსებობაც მიგვაჩნია აუცილებლობად.⁶

რადგან მიგვაჩნია რომ ქართული სამხედრო ხელოვნების, სამხედრო ფორტიფიკაციის, იარაღის ევოლუციის და სამხედრო უწყების, სამხედრო ტაქტიკის შესწავლა აუცილებლად ცალკე დისციპლინის: „საქართველოს სამხედრო ისტორიის“ დონეზე უნდა მოხდეს და მას აუცილებლად სჭირდება პერიოდიზაციის გამართული სისტემა.

მეორე საკითხი, რა შეფარდება უნდა ჰქონდეს საქართველოს სამხედრო ისტორიას, მსოფლის სამხედრო ისტორიასთან, ასევე ურთულესი გადასაწყვეტი გამოდგა. დასაწყისში ავღნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში

5 ს.მარგიშვილი, შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიას თბ. 2012 . გვ27

6 საქართველოს სამხედრო ისტორია(სალექციო კურსი, თავდაცვის სამინისტროს გამოცემა) ავტორთა კრებული ნაწილი 1, 2, . თბ 2013.

პრაქტიკულად არ არსებობდა „მშვიდობიანი თაობა“, არადა საქართველო არასოდეს ყოფილა „აგრესიული იმპერია“ და მოწინავე სამხედრო სახელმწიფო, მაგრამ ასე პოპულარული ტერმინი „სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა“ მრავალ სიკეთესთან ერთად უფრო მეტი უბედური ფაქტორების მომტანი იყო, საქართველო ვერანაირად ვერ იცილებდა თავიდან მოთაბარე ხალხთა გადადგილებებს, მსოფლიო მნიშვნელობის სამხედრო მოვლენებს, ახალ სამხედრო ტენდენციებს და საომარ სიტუაციებს და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არაერთხელ ჩამორჩა სამხედრო-ტექნიკურ მიღწევებს და სიახლეებს, ყველა სამხედრო სიახლის „საკუთარი სისხლის“ ფასად გაცნობა მაინც უხდებოდა⁷ რადგან ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოები თითქმის ყოველთვის თუ არა უმეტეს შემთხვევაში მოწინავე სამხედრო იმპერიებს წარმოადგენდნენ⁸. ამ საკითხის შეჯამება მოკლედ ასე შეძლება:

ჩვენს ისტორიაზე უდიდეს გავლენას ახდენდა საერთაშორისო სამხედრო კამპანიები, ახალი სამხედრო ტენდენციები, ტექნიკური და ტაქტიკური სიახლეები, ერთი სამხედრო ეპოქა მეორეს ცვლიდა, ერთი იმპერია მეორეს, საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე, ქვის იარაღიდან დაწყებული ატომური ბომბის გარდა გამოყენებული იქნა აბსოლიტურად ყველა სახის იარაღი, რაც კი მსოფლიო სამხედრო ისტორიაში არსებობდა, ქართველები იბრძოდნენ დაუსრულებლად ხან ერთიანი ეროვნული სტრატეგიით, ხან ცალ-ცალკე(ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგაც) თუმცა თავად საქართველოს არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია მსოფლიოს სამხედრო ისტორიაზე და საქართველოს სამხედრო ისტორიაც, მსოფლიოს სამხედრო ისტორიის განუყოფელ მაგრამ ძალზედ განსხვავებულ ნაწილს წარმოადგენს.

მივადექით ჩვენი თემის ყველაზე მთავარ და საკამათო საკითხს, სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის შეფასების კრიტერიუმებს: დღეს მოწინავე ქვეყნების უმრავლესობაში „სამხედრო ისტორია“ ცალკე დისციპლინად და მეცნიერებადაა ჩამოყალიბებული, რაც შეეხება სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის კრიტერიუმებს, აქ ორი ძირითადი მიმართულებაა გამოკვეთილი:

სამხედრო თეორიტიკოსების ერთი ნაწილი სამხედრო ისტორიას წმინდა სოციოლოგიურ და პოლიტიკური ისტორიის ჩარჩოებში განიხილავს⁹(სამხედრო ისტორიას მთლიანად პოლიტიკურ ჩარჩოებში განიხილავს, სამხედრო ისტორიის კვლევების ერთერთი უდიდესი ფუძემდებელი და ალბათ ყველაზე გამოჩენილი მკვლევარი გერმანელი მეცნიერი ჰანს დელბრიუკი¹⁰) მეორე ნაწილი კი ტექნიკური განვითარების მიყოლებით¹¹. რათქმა უნდა სამხედრო ეპოქებზე ერთიგ ახდენს დიდ გავლენას და მეორეც, ორივე ეს ფაქტორი უდიდეს როლს თამაშობდა ჩვენს სამხედრო ისტორიაშიც, როგორც გერმანელი სამხედრო თეორიტიკოსი ჰანს კლაუზევიცი წერდა: „ომი და პოლოტიკა სახელმწიფოს ერთობლივი მოვლენაა“¹²

გავხედავთ და დავსვავთ კითხვას-სამხედრო ისტორიაა პოლიტიკური ისტორიის გაგრძელება თუ სამხედრო მოვლენები ქმნის ისტორიის პერიოდიზაციას ???

და პასუხსაც შეიძლება დაახლოებით ასე ჩამოყალიბდეს -პოლიტიკური სიტუაციები ქმნიდა საომარ სიტუაციებს, (ცივ ომებს -ან შეიარაღებულ დაპირისპირებებს) ტექნიკური სიახლეები კი უშუალოდ განკარგავდა საომარ ტაქტიკას და ბრძოლების წარმოების მეთოდებს.¹³

ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მასალის და იარაღის ჩვენს ხელთ არსებული

7 ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ. 1983. გვ 284.

8 პ.ზაქარაია, ქართული ციხესიმაგრეების ისტორია. თბ. 2002, გვ. 203

9 არონი რაიმონ, „მშვიდობა და ომი ერებს შორის“, თბ.2009. ანდაც იხილეთ -კლაუზევიცი კარლ -1806 წელი. თბ/ 2007

10 იხილეთ : Дельбрюк Ханс-ИСТОРИЯ ВОЕННОГО ИСКУССТВА В РАМКАХ ПОЛИТИЧЕСКОЙ ИСТОРИИ. Санк-петербург 2001.

11 оливер Хогт, ЕВОЛЮЦИЯ ОРУЖИЯЮ МОСКВА 2008.

12 იქვე, არონი რაიმონ, კარლ კლაუზევიცი.

13 მამუკა წურწუშია, საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. თბ. 2013, გვ241.

ფონდის და გალერეის, მარქსის, მერინგის, ხოკის, კლაუზევიცის, დელბრიუკის, ანთაძის, კილურაძის, გოგიტიძის, ბერმენიშვილის, კალანდაძის, გურულის, მეტრეველის, სამუშიას, დუნდუას და სხვა ისტორიკოსების თუ სამხედრო თეორიკოსების, ნაშრომების გადამუშავების შემდეგ, ვფიქრობთ საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციაზე მუშაობისას შემდეგი კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ:

1-საგარეო და საშინაო გეოპოლიტიკის მნიშვნელოვანი სამხედრო მოვლენა, რომელმაც გავლენა მოახდინა საქართველოს სამხედრო ისტორიაზე.¹⁴

2-ახალი იდეა, სტრატეგია და სამხედრო ტენდენცია.

3-ახალი მიღწევები და სამხედრო ტექნიკური სიახლეები.

ანუ მარტივად რომ ვთქვათ სამხედრო პერიოდიზაციამ შემდეგ ძირითად საკითხებს უნდა უპასუხოს :

- ვის ებრძოდნენ და რატომ იბრძოდნენ?

- რა წარმოადგენდა გარკვეული პერიოდის საქართველოს „სამხედრო უწყება“ და რა საბრძოლო საშვალეებით იარაღით და ტაქტიკით იბრძოდნენ ?

რა იყო კონკრეტული პერიოდის სამხედრო ტენდენცია და სტრატეგია ?

- სუფთა სამხედრო კუთხით რითი განსხვავდებოდა ჩვენი ქვეყნის ერთი „სამხედრო ისტორიული“ პერიოდი მეორისაგან?

ურთულეს და ხანგრძლივ კვლევას საჭიროებს იპოვო „ოქროს კვეთი“ საკვანძო თარიღები რომლებიც ერთდროულად უპასუხებს იდეოლოგიურ, ტექნიკურ და სამხედრო-გეოპოლიტიკურ მოვლენას. მაგრამ ჩვენ მაინც გავხედოთ ამ ურთულეს საკითხებთან შეჭიდება და ვთვლით რომ საქართველოს სამხედრო ისტორია შემდეგ პერიოდებად შეიძლება დაიყოს:

1 - პრე ისტორიული პერიოდი. „სამხედრო საქმე“ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივ უძველეს ტომებში” უძველესი დროიდან ქრისტეშობამდე II-ათასწლეულამდე.

მწვავედ დგას საკითხი საიდან შეიძლება დაიწყოს- საქართველოს „სამხედრო ისტორია“ ? საქართველოს ტერიტორია ხომ მსოფლიოს იმ უიშვიათეს ადგილს წარმოადგენს სადაც ადამიანს ძველი ქვის ხანიდან დაწყებული ყველა ისტორიული ეპოქა უწყვეტად გაიარა,¹⁵ რთული სათქმელია აღმოჩენილი ზედა პალეოლითური, მეზოლითური და ნეოლითური ქვის და ძვლის იარაღები განეკუთვნებოდა თუ არა „საბრძოლო“ კატეგორიას¹⁶, მაგრამ ადრე ბრინჯაოს ხანიდან „სამხედრო“ დანიშნულების იარაღები უკვე გვაქვს, თუმცა ერთია საზოგადოება და მეორეა ტომობრივი გაერთიანება, რომელიც რაიმე სახის „სამხედრო პოლიტიკურ ოპერაციებს“ აწარმოებს. ამ პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობდნენ სახელმწიფოები და შესაბამისად ვერ იარსებებდა „ოფიციალური ომები“. ამიტომ ამ სახის სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი არაუადრეს ძვ. წ. II ათასწლეულით უნდა ვიგულისხმოთ.

2 - ადრეკლასობრივი სახელმწიფოების - ანუ ქართული ეროვნული თვითშეგნების და ეროვნული ემოციის ჩამოყალიბების პერიოდი; ქრისტეშობამდე II ათასწლეული ქრისტეშობამდე IV საუკუნეები .

ესაა პერიოდი როდესაც სახელმწიფო წყობასთან მიახლოებულ ქართველ ტომებში თუ ტომთა გაერთიანებებში(თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა¹⁷“ დიაოხი, კოლხა,...) საკმაოდ მაღალ დონეზე დგას სამხედრო საქმე და იარაღის ინდუსტრია. ისინი ჩამბულები არიან მაშინდელ „გეოპოლიტიკაში“ და „ომის“ საკითხი უკვე არა პირველად

14 ჯ. სამუშია -საქართველოს სამხედრო ისტორია -თბ 2008.გვ.7

15 ოთარ ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ . 2006 გვ. 8

16 მ. ნიორაძე, ქვის იარაღები დმანისიდან-„დმანისი“(კრებული). თბ. 1998. ტ 1, გვ 140

17 ზოგიერთი მკვლევარი „თრიალეთის დიდ ყორღანების ბრწყინვალე კულტურას “ უკვე სახელმწიფოდ მიიჩნევს -მაგალითად-Куртин В.А.-АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В ТРИАЛЕТИ . თბ. 1941 , გვ. 100.

მოთხოვნას, არამედ პოლიტიკურ აუცილებლობას წარმოადგენს. ამ დროს ჩვენს სამხრეთით ყალიბდება და თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს ძველადმოსვლური სახელმწიფოები, რომლებიც ყველაფერთან ერთად მსოფლიოში პირველ ორგანიზებულ „შეიარაღებულ ძალებს“ ქმნიან¹⁸, და ქართველი ტომები ძველ აღმოსავლურ სახელმწიფოებებთან (ასურეთთან, ხეტებთან, ურარტუსთან)¹⁹ და მომთაბარეებთან (კიმირიელები, სკვითები²⁰) აწარმოებენ შეიარაღებულ ბრძოლას და ასევე მათთან უხდებათ მეტ ნაკლებათ მეზობლობა და თანაარსებობა²¹. . ბრინჯაოს ეპოქას ცვლის რკინის ხანა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სამხედრო და პოლიტიკური ევოლუციები, აღსანიშნავია, რომ ქართველი ტომები ერთერთი პირველი „პიონერები“ იყვნენ ლითონის წარმოებაში²², ყველაფერს ადასტურებს როგორც არქიტექტურა და არქეოლოგიური მასალა (გიგანტური ყორღანები, ციკლოპური სიმაგრეები, უძველესი ფორტიფიკაციური ნაგებობები, აღმოჩენილი იარაღის რაოდენობა და ხარისხი) ასევე ძველადმოსვლური(ზიბლია, ხეთური, ასურული, ურარტული²³) და ძველი ბერძნული(ჰეროდოტე²⁴, ქსენოფონტე²⁵,.) წერილობითი წყაროები.

როგორც აღნიშნული ეპოქის ზოგადი მიმოხილვიდანაც სჩანს, ქართველი ტომები ამ დროს იცნობენ და იყენებენ ყველა „სამხედრო სიახლეს“, რადგან საკუთარ სამხედრო მიღწევებთან ერთად მატზე ზეგავლენას ახდენს როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური²⁶ სამხედრო მიღწევები²⁷ წარმოადგენენ მაშინდელი „პოლიტიკური რუკის „ არცთუ ისე უმნიშვნელო ნაწილს, თუმცა ეს პერიოდი მაინც არ მიგვაჩნია , რომ საქართველოს „სამხედრო ისტორიის სათავედ“ ჩაითვალოს. რამდენიმე მიზეზის გამო, მიუხედავად ყველაფრისა ჩვენს მიზანს წარმოადგენს შევქმნათ „საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის“ დაახლოებითი სურათი , ანუ როგორც „ერთიანი სამხედრო პოლიტიკური სივრცის თუ არა „იდენტური სივრცისა“ მაინც. რისგაზნაც მიგვაჩნია რომ შორს იდგნენ მაშინდელი ქართველი ტომები(მიუხედავად იარაღის ინდუსტრიისა და სამხედრო საქმის საკმაოდ მაღალი დონისა). ამიტომ არც „თრიალეთის ცივილიზაცია “ და არც მაშინდელი ქართული ტომთა გაერთიანებები (დიაოხი, კოლხა) მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება ერთიან „ქართული იდენტობის“ მქონე ცენტრალიზებულ²⁸ „სამხედრო სახელმწიფოებად“ ჩაითვალოს.

რაც შეეხება ქრონოლოგიურ ჩარჩოებს ის შეიძლება დაიწყოს ქრისტეშობამდე 1121 წლიT, როდესაც ტიგლათფილესერის ლურსმნულ წარწერებში პირველად ფიქსირდება ქართველების სამხედრო-პოლიტიკური საკითხი და გაგრძელდეს ქრისტეშობამდე IV-III საუკუნით როდესაც ყალიბდება პირველი ოფიციალური ერთიანი ქართული სახელმწიფო: იბერიის (ქართლის) სამეფო.

3 - პირველი პერიოდი - ეროვნული სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბების ეპოქა,

18 Расел Робинсон-Досрехи народов востока. М 20066 Ст 7.

19 Меликишвили Г.-НАИРИ-УРАТУ. Т6.19546 ст.364.

20 მ. ფირცხალავა, სკვითური ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები I, თბ.1978. გვ 32-51.

21 გ. გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმნული წარწერები ქაშეკისა და აბეშალეების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ, ახალციხე 2001 , გვ23.

22 გ. კვირკველია, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ. თბ 1976.

23 გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ 1, თბ 1970, გვ228.

24 ჰეროდოტე - ისტორია , თბ. 1975, VII, გვ.79.

25 თ. მიქელაძე, ქსენოფონტის ანაბასისი, ცნობები საქართველოს შესახებ. (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით) თბ. 1967.

26 როგორც ყველასათვისაა ცნობილია აქემენიდების იმპერიის XIX -ე სატრაპიის ქართველი ტომები დარიოსისა და ქსერქსეს არმიის შემადგენლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ,ბერძენ სპარსელთა ომში(ჰეროდოტე ისტორია III, გვ. 94). და მათ საქმას ცოდნა უნდა მიეღოთ ამ პერიოდის ბერძნების სამხედრო ხელოვნებაზე. იხილეთ აგრეთვე გიორგი ბერიძე-„ 300 სპარტანელთან ქართველებსაც უბრძოლიათ“ ჟურნალი არსენალი N3 20011 წ.

27 გ.კვირკველია, ჰოპლიტური ფარები კოლხეთში, ძიებანი, N7, თბ.2001. გვ. 33-39.

28 გ. ნარიშკინიშვილი. სიახლენი თრიალეთის კულტურაში, თბ. 2009 გვ.90.

ქრისტეშობამდე IV-III ახალი წელთაღრიცხვით V საუკუნეები.

ქრისტეშობამდე IV საუკუნისათვის არსებითად მთავრდება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თვითგამორკვევის და გაერთიანების პროცესი, როდესაც მთელი რიგი საშინაო და საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შედეგად(ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური სამხედრო კამპანია და აქემენიდების იმპერიის დაცემა²⁹, დიადოხოსების ომები, საქართველოს სამოქალაქო ომი) ერთიანი ენით, ერთიანი სახელმწიფო ღირებულებებით შეიქმნა პირველი ერთიანი იდენტობის მქონე ოფიციალური ქართული სახელმწიფო იბერიის სამეფო, როდესაც ლეგენდარულმა ფარნავაზმა ყველა ქართველი ტომი ერთი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია³⁰, ჩამოყალიბდა სარდლობის ინსტიტუტი, სამხედრო იერარქიის სისტემა, დაკანონდა სასაზღვრო ზოლი, ფარნავაზმა დასძლია ტომობრივი ჩაკეტილობა და სეპარატიზმი და ყველა ბრძოლა და ომი არა ტომობრივ მოთხოვნად, არამედ ეროვნულ ღირსებად აქცია³¹. ზოგიერთმა ისტორიკოსმა საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა არათუ ფარნავაზის სამხედრო რეფორმები არამედ მისი არსებობაც, თუმცა გვერდს ვერავინ აუვლის იმ აშკარა ცვლილებებს რაც ელინისტური პერიოდის არქეოლოგიური მასალიდან სჩანს³² მთელს საქართველოში და განსაკუთრებით დედაქალაქ მცხეთის გარშემო იმდენად გლობალურ საფორტიფიკაციო ზოლს ვაწყდებით, წარმოუდგენელია მისი მფლობელი უბრალო ტომის ბელადი ყოფილიყო, საინტერესოა აღმოჩენილი ელინისტური საბრძოლო იარაღიც, რომელიც მაშინდელი მსოფლიო სამხედრო საქმისათვის „ულტრათანამედროვეს“ მიეკუთვნება³³, საქართველოში დასტურდება პროფესიონალი მეომრების არსებობა (მაგალითად ოდნავ მოგვიანებით I საუკუნის ბერძენი გეოგრაფისა და მწერლის სტრაბონის ცნობაც ამყარებს, რომელიც იბერიის ერთ-ერთ სოციალურ კლასად პროფესიონალ მეომრებს ასახელებს³⁴), აღნიშნულპერიოდშიხდებადიდისამხედროპოლიტიკურიმოვლენებისაქართველოსუხდება აღმოსავლეთ(სპარსეთი-პართის)-დასავლეთის(რომი) შეიარაღებულ დაპირისპირებებში და „ცივ ომში“ ჩართვაც, აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ ქართულმა სახელმწიფომ იბერიამ (ქართლმა) შეძლო თავიდან აეცილებინა ისეთი დიდი სამხედრო ზესახელმწიფოს სრული ანექსია როგორიც იყო რომი³⁵, ჩვენს ქვეყანაში მიუხედავად პომპეუსის საკმაოდ წარმატებული სამხედრო კამპანიისა³⁶, ქართული ტერიტორიების სრული ანექსია და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მაინც არ მომხდარა და რომთან ურთიერთობას უფრო მეტად დადებითი მოვლენა იყო ქართველებისათვის³⁷, იბერიის „ხელშეუხებლობის გასაღები“ არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სტრატეგიული ადგილმდებარეობა, „დარიალის კარის“³⁸ ფლობა ან რომისათვის ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების „სურვილი“³⁹ მივიჩნიოთ, აუცილებლად აღსანიშნავია იბერია-კოლხეთის სამხედრო პოტენციალიც ჯეროვნად იქნეს შეფასებული⁴⁰, იბერია რომ სუსტი სახელმწიფო ყოფილიყო, იგი ვერანაირად ვერ გადარჩებოდა პართიისა და რომის ზესახელმწიფოების ჭიდილში. საოცარი რომ ქართველები ამ დროს აწარმოებდნენ არა მხოლოდ თავდაცვით ასევესაკმაოდ გაბედულ და რისკიან შეტევით ბრძოლებს ტერიტორიების

29 Г.Дельбрюк -დას. ნაშრომი გვ. 404.

30 გრანი ქავთარია -ფარნავაზი, გვ 92. თბ 1999.

31 იქვე გვ 103.

32 გ.გამყრელიძე, მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. თბ. 2005 გვ.114.

33 გ. გამყრელიძე, ომი და სეიარაღება იბერია კოლხეთში, თბ.2010, გვ67.

34 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია-ცნობები საქართველოს შესახებ, თბ 1957. გვ 53.

35 კ. ფიფია, რომისა და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ურთიერთობა ახ.წ. I-II სს. თბ. 2004, გვ. 29.

36 ს. მარგიშვილი. „იბერიის ომი პომპეუსთან“, ჟურნალი მხედარი თბ. 1991.

37 ნ. ლომოური. საქართველოს საგარეო ურთიერთობების სათავეებთან, ქართული დიპლომატია 1, თბ 1994, გვ52.

38 მ. ინაძე, კასპის კარი (დარიალი დარუბანდი) ახ.წ 1-5 საუკუნეების საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში, ქართული დიპლომატია 3, თბ. გვ. 49-53.

39 დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ნ.ლომოურის რედაქციით, თბ 1966, გვ 57

40 ი. გაგოშიძე, პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი-არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის მიგბანი, თბ. 2004, გვ 118

გასაფართოებლად კი (!!!) ⁴¹.

რაც შეეხება ამ პერიოდს ვფიქრობ იგი უნდა ჩაითვალოს როგორც „საქართველოს სამხედრო ისტორიის საწყისი“ (წინა პერიოდები მხოლოდ საქართველოს სამხედრო ისტორიის წინარე პერიოდებად მიგვაჩნია) რადგან ამ დროს საბოლოოდ დასრულდა ქართული იდენტობის სრულად ჩამოყალიბების და ერთიანი ეროვნულობის შეგნების რთული გზა, მართალია ამის შემდეგ მთელი რიგ მიზეზთა გამო არაერთხელ დაირღვა ქართული სახელმწიფოს ერთობა, და უამრავჯერ ჰქონდა ადგილი შიდა სეპარატიზმს, მაგრამ ერთიანი ქართული იდენტობისა და ეროვნულობის შეგრძნება⁴² „ფარნავაზიდან“ დაწყებული დღემდე აღარასოდეს აღარ დარღვეულა.

ქრონოლოგიური საზღვრებად კი ვფიქრობთ იგი უნდა დაიწყოს, აზონის განადგურებით, ფარნავაზის ხელისუფლებაში მოსვლით, არტანის ბრძოლით, მცხეთის ტახტზე ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებით⁴³ და გაგრძელდეს ახალი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნით როდესაც საქართველოს სამხედრო ისტორიაში, სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგია მკვედრდება.

4 - მეორე პერიოდი-ადრე შუასაუკუნეების სამხედრო ისტორია V-X საუკუნეები.

IV საუკუნეში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია ხდება, ვახტანგ გორგასლის სამეფო სათავეში მოსვლის შემდეგ კი ახალი სამხედრო ეპოქა იწყება⁴⁴, საერთაშორისო პოლიტიკაში ისევ ებრძვის ერთმანეთს ორი სამხედრო იმპერია სასანიდების ირანი და ქრისტიანული ბიზანტია⁴⁵, ქართველები კი ხან ერთ იმპერიას უპირისპირდებიან ხან მეორეს ხან კი ორივეს ერთად, ხდება სამხედრო ტექნიკური, ტაქტიკური და სტრატეგიული ცვლილებები, დაიხვეწა საბრძოლო იარაღი, შეიქმნა ახალი ტიპის აბჯარი, მეომრის სხვა საჭურველი, ჯერ მომთაბარე ჰუნებმა VI საუკუნიდან კი არაბებმა ბრძოლის ველზე ცხენების როლის გაზრდით, ცხენის სხვა საჭურველით და უზანგების გამოგონებით, ახალი სტილის საკავალერიო ბრძოლებს დაუდეს სათავე⁴⁶, აქედან მოყოლებული XV საუკუნის ბოლომდე, ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამდე, ბრძოლის ველზე დომინანტი კავალერია ხდება⁴⁷, ქართველები რომლებიც ყველაზე მძლავრ სამხედრო იმპერიებთან აწარმოებდნენ ბრძოლებს თავს ვერაფრით აარიდებდნენ სამხედრო საქმის „ეკოლუციებს“ მითუმეტეს, რომ ქართლის ცხოვრებაში, გორგასლის პერიოდის ქართველი მეომრების აღწერისას, ჯუანშერის ცნობებში მაშინ არსებული ყველა სამხედრო ტექნიკური სიახლე გვხვდება⁴⁸, თუმცა ამ პერიოდის უმთავრესი განსაკუთრებულობა არა იარაღის და ტაქტიკის ცვლილებებში არამედ ქართულ სამხედრო იდეოლოგიაშია. ავტოქეფალიის გამოცხადების შემდეგ საქართველოში ახალი იდეალი, „სამხედრო ქრისტიანული იდეოლოგია“, ყალიბდება⁴⁹ ქრისტიანული იდეალები იმდენად ჩაჯდა ქართულ ფსიქიკაში, რომ სახელმწიფო და სამხედრო არსის ფუნდამენტად იქცა, მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს არ გაუღია ქრისტიანობისათვის იმდენი მსხვერპლი რამდენიც პატარა საქართველოს, როგორც ზვიად გამსახურდია აღნიშნავდა:

„ქართული ქრისტიანობა ეს მთლიანად სამხედრო ქრისტიანობაა და საქართველო ერთი მთლიანი სულიერი ორდენია წმინდა გიორგისა“ „ადრეფეოდალური ხანის აღმართის

41 გ. გამყრელიძე, ომი და შეიარაღება იბერია კოლხეთში, თბ2010, გვ 160.

42 რანაირი გალევანარულებული გმირიც არ უნდა ყოფილიყო ფარნავაზი იგი მაინც ანარეკლი უნდა იყოს რელურად არსებული ერთიანი საქართველოს პირველი მეფისა რომელმას უდიდესი როლი ითამაშა ჩვენს ისტორიაში და ფსიქოლოგიაში-იხ ქართლის ცხოვრება ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, თბ 1955 გვ 18 , „ცხოვრება ფარნავაზისა“.

43 გ. მელიქიშვილი ს.ი.წ. ტ 1, გვ 443.

44 მ. ლორთქიფანიძე, ქართლი მეორე ნახევარში, თბ 1979.. გვ 4

45 ნ. ხოფერია, ვახტანგ გორგასლის ეპოქის სამხედრო ისტორიის საკითხები, საისტორიო კრებული, თბ. 2014 გვ 61.

46 Nikolle david-Europefn medievfl tactics. The fall and rise of cavalry, 450-1260, OXSFORD 2011, 6.

47 НИКОЛЛ Д. МАК БРАЙД А.-АРММИИ МУСУЛЬМАНСКОГО ВОСТОКА VII- XI ВЕКА М. СТ 48.

48 ქართლის ცხოვრება.-გვ 248

49 ბეჟან ჯავახია, ანიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ, თბ 2005წ. გვ 49.

პერიოდი” უნდა დაიწყოს V საუკუნის ავტოქეფალიით და გაგრძელდეს X საუკუნემდე.

5 - მესამე პერიოდი-ერთიანი სამხედრო მონარქიის ეპოქა X-XV საუკუნეები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები მრავალი წინააღმდეგობით იყო სავსე(ბიზანტიის⁵⁰ და შიდა სეპარატიზმის ფაქტორი) X საუკუნიდან საბოლოოდ მთავრდება ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენება და სახელოვანი ზაგრატიონების დინასტიის ქვეყნის სათავეში მოსვლით უკვე საბოლოოდ ყალიბდება ცენტრალიზებული სახელმწიფო,-საქართველო⁵¹.

ცვლილებები ხდება საგარეო პოლიტიკაშიც, ამ დროს ხდება უდიდესი სამხედრო პოლიტიკური-რელიგიური მოვლენა - ჯვაროსნული ომები,⁵² მსოფლიო სამხედრო ისტორიაში კიდევ ერთხელ ხდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამხედრო ხელოვნებების შეჯახება⁵³, მართალი ამ დროს ქართველებს დასავლეთის სამხედრო ხელოვნებასთან არ ჰქონიათ მნიშვნელოვანი ურთიერთობა, მაგრამ დასავლეთის სამხედრო ხელოვნებამ ქართველებზე მაინც მოახდინა საკმაოდ დიდი გავლენა, რაც კარკვეულწილად ტაქტიკურ მოქმედებებში აისახა,⁵⁴ იცვლება საქართველოს სტრატეგიული სიტუაციაც ჩვენს სამხრეთით აგრესიული თურქული ეთნოსების დამკვიდრებით, მთლიანად იცვლება მცირე აზიის და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა, თურქული სახელმწიფო არა მარტო აგრესიულ მეზობლად, არამედ მძლავრ სამხედრო იმპერიად და ჩვენს დაუძინებელ მტრად იქცა, არაერთი სახელმწიფო მათი მსხვერპლი გახდა და გადაშენების პრობლემა ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს სამეფოსაც დაემუქრა, თუმცა ქვეყანამ შესძლო არათუ თურქ-სელჩუკური ტალღის აქტიურად მოგერიება, არამედ შეტევაზე გადასვლა და მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური რუკის საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოდ იქცა⁵⁵, ჩამოყალიბდა მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო, ერთიანი სამხედრო სტრუქტურით და ამბიციური სამხედრო სტრატეგიით⁵⁶, არნახულად გაიზარდა მეფის როგორც უმაღლესი მთავარსადლის კულტი და ერისთავების ინსტიტუტის როლი⁵⁷, მეორე პლანზე გადაიწია დაბალი ხარისხის სახალხო ლაშქარმა და დამკვიდრდა „სამეფო სპათა“ სისტემა სამხედრო საქმეში კიდევ უფრო დაწინაურდა არისტოკრატია და ევროპის მსგავსად სამხედრო „ელიტად“ იქცა რადგან საბრძოლო საჭურველის შეძენა და გამოყენება უკვე მხოლოდ მდიდარი არისტოკრატისათვის იყო შესაძლებელი⁵⁸

საქართველო ხდება კავკასიის დომინანტი სახელმწიფო⁵⁹ აღნიშნულ პერიოდში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მონღოლების გამოჩენაც, რომლებმაც უდიდესი

50 ქართულ ცნობიერებაში მონღოლების, სპარსელების და განსაკუთრებით კი თურქების ფონზე, „ერთმორწმუნე“ ბიზანტია მტრის ხატად არ შემორჩა, არადა ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ამ პერიოდის დასაწყისში ერთიანი საქართველოს უპირველესი მტერი ბიზანტიის იმპერია იყო, მიუხედავად ამისა და განსხვავებული სტრატეგიებისა საქართველოს სამხედრო ხელოვნებაზე ალბათ ყველაზე დიდი გავლენა მაინც ბიზანტიურმა „სკოლამ“ მოახდინა, რომელსაც X და XI საუკუნეების დასაწყისის ერთგვარი „ოქროს ხანა“ ედგა, ბიზანტიის სამხედრო ხელოვნება წარმოადგენდა აღმოსავლური და დასავლური სამხედრო ხელოვნებების ერთგვარ საინტერესო „ნაზავს“ -იხ მაგალითად: EDVARD N. LUTTWAK-THE GRAND STRATEGY OF THE BIZANTINE EMPIRE, Cambridge, Massachusetts and London 2009, ან Timothy Dawson-BYZANTINE INFANTRYMAN 900-1204, L. 2003/

51 ს. მარგიშვილი, შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში, თბ 2013, გვ 360.

52 შ. ზადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, თბ 1972, გვ 4.

53 David nikolle-Arms and armour of the crusading era, 1050-1350, London 1999, 7.

54 მ.წურწუშია, წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოსდილება. -საისტორიო კრებული(წელიწადული) თბ. 2011წ.

55 ს. მარგიშვილი, მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, თბ 2006.

56 ჯ. სამუშია, ციხე სიმაგრეების არების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში, საისტორიო ძიებანი, თბ. 2007-2008, გვ. 99.

57 ნ. ბერძენიშვილი, ნარკვევებ ტ 3, თბ. 1979, გვ 47,

58 მ. წურწუშია, შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობა და კომპლექტაცია, , საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები 1, თბ 2013 გვ. 246.

59 რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ 1990, გვ 23

უარყოფითი როლი ითამაშეს მსოფლიოს⁶⁰ და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში⁶¹, ქართველებს არაერთხელ მოუწიათ როგორც მათ წინააღმდეგ ასევე მათ მხარდამხარ ბრძოლა, მონღოლების მიერ წარმოებულ დაუსრულებელ სამხედრო კამპანიებში, მაგრამ მათ საქართველოს სამხედრო ხელოვნებაზე არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ, მიუხედავად ჯალალედინის, მონღოლური, და თემურლენგის შემოსევების კატასტროფული შედეგებისა მათ მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ დამხობა არ მომხდარა არანაირად არ შეცვლილა სამხედრო ტენდენცია, ამიტომ გავხედავთ და მონღოლების ეპოქას მაინც არ გამოვყოფთ ცალკე მოვლენად და მონღოლურ პერიოდს- „ერთიანი სამხედრო მონარქიის პერიოდში გავაერთიანებთ“ აღნიშნული ეპოქა ხასიათდება როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მომენტებით, როგორც დიდი გამარჯვებებით ასევე კატასტროფული დამარცხებებით და ლამის სახელმწიფოებრიობის სრული დაკარგვით. ერთიანი სამხედრო მონარქიის პერიოდი მოიცავს X-XV საუკუნეებს.

6 - მეოთხე პერიოდი-„თვითგადარჩენის“ ეპოქა- XV-XVIII საუკუნეები.

ჯერ ჯალალედინის, შემდეგ მონღოლთა დაპყრობების, საბოლოოდ კი თემურ ლენგის შემოსევები დამღუპველი გამოდგა საქართველოსათვის, ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო დაღმასვლა შეუქცევადი პროცესი გახდა,⁶² ბიზანტიის დაცემამ კატასტროფულად იმოქმედა სახელმწიფოზე, ქვეყანა მტრულად იზოლირებულ გარემოში უკვე საბოლოოდ მოექცა, საქართველო დაიშალა სამეფო სამთავროებად⁶³, მოისპო ერთიანი ეროვნული სამხედრო სისტემა⁶⁴ და სტრატეგია, დიდი როლი დაეკისრა სახალხო ლაშქარს⁶⁵ და ეს ხდება მაშინ როდესაც კიდევ უფრო გაძლიერდა სპარსეთ-ოსმალეთის სამხედრო იმპერიები, ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენამ მთლიანად შეცვალა ტაქტიკა და სტრატეგია, მართალია ქართველებს არანაირი მნიშვნელოვანი როლი არ შეუტანიათ სამხედრო საქმისა და ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებაში, თუმცა როგორც ითქვა სამხედრო პოლიტიკური მოვლენებიდან და მუდმივი საომარი სიტუაციებიდან გამომდინარე ტაქტიკის და საბრძოლო მოქმედებების ცვლილება მაინც მოუხდათ⁶⁶ მთლიანად იცვლება პორტიფიკაცია და სამხედრო არქიტექტურა, სამხედრო საქმეში შემოდის ციხე-სიმაგრეებს უმთავრესი მტერი „არტილერია“⁶⁷ და ციხის გალავნებსაც უპირველესად ცეცხლსასროლი იარაღისათვის და არტილერიისათვის უნდა გაეძღო. ამიტომ XV საუკუნიდან ციხეები მნიშვნელოვნად განსხვავებული სტილისა და არქიტექტურისა იგება⁶⁸ ბრძოლის ველზე დომინანტი ისევ ქვეითი ჯარი გახდა, კავალერია და ცივი იარაღი ნელნელა უთმობს ადგილს ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილ ქვეითებს⁶⁹ არტილერია თანდათან „ომის ღმერთი“ ხდება და უკეთესი შეიარაღება უკვე საბოლოოდ განკარგავს ბრძოლის მოვლენებს⁷⁰.

60 Тарбун С. Мак Брайд-АРМИЯ МОНГОЛЬСКОЙ ИМПЕРИИ. М.2009Ю

61 ი. ცინცაძე, მონღოლები და მათი დაპყრობები თბ1961, გვ 4

62 საქართველოს სამხედრო ისტორია(ავტორთა კრებული) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოცემა, თბ.2013, ნაწილი 2, გვ.47.

63 ი.ანთელავა, ერთიანი მონარქიის დაშლა და და შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა, მაცნე, ისტორიის სერია, 2, თბ1978, გვ 81.

64 გ. ანჩაბაზე, ფეოდალური საქართველოს ლაშქარი,(წიგნიდან საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, 1920 წლამდე) თბ. 2010

65 ა. კლიმიაშვილი, მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, თბ 1964 გვ 38.

66 მ. წურწუშია, „საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის საკითხისათვის, ქართველოლოგია,“ თბ.2011, N2, გვ 65.

67 Ю Шокарев, ИСТОРИЯ ОРУЖИЯ И АРТИЛЛЕРИИ М.2001Б с.ю 24.

68 პ.ზაქარაია, ქართული ციხესიმაგრეების ისტორია, თბ 2002, გვ. 202-237.

69 Ф. Меринг, ИСТОРИЯ ВОИН И ВОЕННОГО ИСКУССТВА.САНГ-ПЕТЕРБУРГ 1999 . 112.

70 ტაქტიკაში ცეცხლსასროლმა იარაღმა შეიძლება თამამად ითქვას საკმოდ გადაწონა შემართება და ფიზიკური მონაცემები, უხეშად რომ ვთქვათ, ფიზიკურად როგორი ძლიერი და შემართებულიც არ უნდა იყოს მეომარი, ცეცხლსასროლი იარაღის წინააღმდეგ მაინც ნებისმიერ შემთხვევაში „უშანსოდ“ იქნება, იმ უბრალო მიზეზების გამო , რომ ის ვერ მიაღწევს დისტანციურ ბრძოლამდე და ვერ შეძლებს თავისი ფიზიკური ძალის გამოყენებას

დაშლილი და დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი საქართველო, ისტორიაში პირველად ჩამორჩა სამხედრო განვითარებას, იარაღის წარმოებას და საბრძოლო ინტელექტს⁷¹, მთელმა XV-XVIII საუკუნეებმა ჩაიარა უამრავ შიდა კონფლიქტებში და გარეშე მტერთან ბრძოლაში, ყოფნა არყოფნის ზღვარზე მყოფი ქართველები თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდნენ მომხდურ დამპყრობლებთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს დამპყრობლების წინააღმდეგ არაერთი ფენომენალური და მნიშვნელოვანი ბრძოლა იქნა მოგებული(თუნდაც ტაშისკარი, მარტყოფი, ხრესილი..), საქართველოში იყვნენ მსოფლიოს მნიშვნელობის მქონე გენიალური სტრატეგები და სარდლები(სიმონ I, სააკაძე, სოლომონ I, ერეკლე II) მთელი ჩვენი მაშინდელი სამხედრო სტრატეგია მთლიანად „თვითგადარჩენაზე“ იყო აგებული.

ამ პერიოდის ქრონოლოგიური საზღვრები შეიძლება განისაზღვროს 1480-იანი წლებიდან (საქართველოს ერთიანი მონარქიის დაშლა, ცეცხლსასროლი იარაღის გაბატონება სამხედრო საქმეში⁷²) და გაგრძელდეს 1801 წლამდე.

7 - მეხუთე პერიოდი -საქართველო რუსეთი იმპერიაში, 1801-1917 წლები.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ყველა დიდ იმედს „ერთმორწმუნე“ რუსეთის იმპერიაზე ამყარებდა, ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოო მომსპობი სწორედ „ ჩდილოელი მეზობელი“, გამოდგა 1801 წელს ყველანაირი ნორმების დარღვევით რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის ქართული სახელმწიფო და თანდათან მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივ გუბერნიად აქცია, მოსპობილი იქნა ყველაფერი ქართული და მათ შორის რა თქმა უნდა ქართული სამხედრო ტრადიციებიც და სტრატეგიაც, ქართველები ჩაებნენ რუსეთის კოლონიურ უღელში⁷³ და ათობით გენერალი, ათასობით ოფიცერი და ათეულ ათასობით ჯარისკაცი რუსეთის ძლიერებისათვის ღვრიდნენ სისხლს⁷⁴, მიუხედავად ახალი სამხედრო სიახლეებისა, ამას საქართველოს ისტორიისათვის არანაირი დადებითი არ მოუტანია თუ არ ჩავთვლით ერთ ფაქტორს: რუსეთის იმპერიულ ბრძოლებში ჩამოყალიბდა მრავალი ქართველი ოფიცერი და გენერალი რომლებმაც მიღებული უზარმაზარი გამოცდილება 1918-1921 წლების საქართველოს რესპუბლიკას მოახმარეს. ეს პერიოდი ხასითდება ერთი პაქტორით მიუხედავად საქართველოს ისტორიის არაერთი ანექსიისა სხვადასხვა პერიოდში(სპარსეთის, არაბების, მონღოლების, ოსმალეთის..) საქართველოს ტერიტორიების ასეთი ფართო და პრაქტიკულად სრული დაპყრობა არ მომხდარა. ამიტომ ისტორიაში ყველაზე კრიტიკულად დადგა ეროვნული არსებობის საფრთხე⁷⁵, ეს პერიოდი ხასიათდება საზოგადოების(უფრო ელიტის) გაყოფით ერთი ნაწილი ცარიზის სრულ მარიონეტად იქცა და მის სამხედრო გეგმების ასრულებას შეუდგა, მეორე ნაწილი კი ერის ფართო მასებთან ერთად მუდმივ აჯანყებებს აწარმოებდა „ერთმორწმუნე ოკუპანტის“ წინააღმდეგ, (გამოსარჩევია 1804 წლის მთიანეთის, 1812-1813 წლების, 1819-1820 წლები იმერეთის აჯანყებები, და 1832 წლის შეთქმულება)⁷⁶. ალბათ მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში არავის უბრძოლია ერთროულად ერთმანეთის მხარდამხარ და ერთმანეთის წინააღმდეგ იმდენჯერ, რამდენჯერაც ქართველებსა და რუსებს..

8 - მეექვსე პერიოდი - საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლები

მიუხედავად თავისი „დროის სიმცირისა“ ესაა საქართველოს სამხედრო ისტორიის მეტად შთამბეჭდავი და საამაყო პერიოდი, დამოუკიდებლობის მიუხედავად ქართველმა ხალხმა შესძლო

71 ჯავახიშვილი ი. -მასალები.....თბ1962, გვ.284.

72 იქვე. მ. წურჭუბია. გვ 86

73 М.Гогитидзе -ГРУЗИНСКИ ГЕНЕРАЛИТЕТ (1699-1921) КИЕВЪ 2001. С.4.

იქვე გვ. 48/

74 მ. გოგიტიძე, რუსეთის იმპერიის სამეფო არმიის ქართველი გენერლები, თბ 1999. გვ.5.

75 ვ. გურული, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე) თბ2004. 93-101.

76 საქართველოს სამხედრო ისტორია,(ავტორთა კრებული სახელმძღვანელო) თბ. 2013, ნაწ 2, გვ.143-149/

და ალლო აულო ყველა სამხედრო მიღწევას, ტექნიკურ სიახლეს და ახალ სტრატეგიებს, მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს სამხედრო პოლიტიკური ცვლილებებიც საქართველო ცდილობდა ღირსეული ადგილი დაეკავებინა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე⁷⁷, ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდა პროფესიული „საქართველოს შეიარაღებული ძალები“, სამხედრო სასწავლებელი^{78, 79, 80}, ჰყავდა შესანიშნავი ოფიცრები⁸¹, დიდი გამოცდილების და სამხედრო ინტელექტის მქონე გენერლები⁸² (მაზნიაშვილი, კვინიტაძე..) მთელი რიგი ფინანსური , პოლიტიკური თუ სახელმწიფო პრობლემებისა⁸³ საკმაოდ წარმატებული ბრძოლები აწარმოა ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან და იმპერიასთან⁸⁴ და თუ მაშინ არ მოხერხდა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ამაში ყველაზე ნაკლებად „დამნაშევე“⁸⁵ საქართველოს შეიარაღებული ძალების იყო.⁸⁶

9 - მერვე პერიოდი ანუ კომუნისტური ეპოქის და ქართველები 1921-1990წლები;

სუფთა პოლიტიკური კუთხით თუ შევხედავთ ჩვენი ქვეყნისათვის ტერმინების გარდა კომუნისტური კოლონიზაცია ბევრი არაფრით განსხვავდებოდა იმპერიული რუსეთის კოლონიზაციისაგან, უბრალოდ კომუნისტები უფრო „კეთილშობილი“ მიზნებისათვის და „სამყაროს ნათელი მომავლისათვის“ მეზომოლის იდეალებით გამოდიოდნენ, ქართველები ამჯერადაც იმპერიალურ სამხედრო მანქანაში ჩაებნენ, ამ პერიოდის განსხვავება პირველი კოლონიზაციისაგან სტრატეგიული და ტექნიკური სიახლეებით კი რადიკალური იყო, ბრძოლის ველზე უკვე დომინანტი გახდა: მძიმე არტილერია, ავიაცია, სატანკო და მოტორიზირებული შენაერთები, საზღვაო არმადები, ისტორიის საკუთრება გახდა კავალერია და ცივი იარაღი, მთლიანად შეიცვალა ტაქტიკა და სტრატეგია⁸⁷ ქართველებმა მონაწილეობა ისევ მიიღეს კომუნისტური იმპერიის ყველა ბრძოლაში და საოკუპაციო დაპყრობებში, მათგან რატემა უნდა გამოსარჩევია მეორე მსოფლიო ომი და ავღანეთის ოკუპაცია. კომუნისტურ იმპერიას შეეწირა ასეულ ათასობით ჩვენი თანამემამულე, რაც პროცენტული შეფარდებით ერთ-ერთი დიდი ეროვნული გეოგონდის დანაკარგი იყო მთელს მსოფლიოში⁸⁸

10 - დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ისტორია, 1990-

1990-წელს დიდი წვალების შემდეგ კომუნისტური იმპერიის არსებობა დამთავრდა, საქართველომ დამოუკიდებლობა იმედია საბოლოოდ მოიპოვა, და დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ისტორია რომლის ბოლომდე შეფასება ვფიქრობთ, რომ ჯერ ადრე უნდა იყოს...

დასკვნა

როგორც დასაწყისში ავღნიშნეთ, ჩვენი მოკრძალებული სტატიით შევეცადეთ საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის დაახლოებითი სურათი მაინც შეგვექმნა.

77 ა. ჩაჩხიანი, დაშნაკთა ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ საქართველოს 1918-1919წლების ომი, გვ.127.

78 სამხედრო იუნკერთა სასწავლებლის შესახებ იხილეთ აგრეთვე -ალექსანდრე ჩხეიძის მოგონებები, -„სამხედრო სკოლა“ მხედარი 1991 , N1

79 გ. მაზნიაშვილი, მოგონებები , თბ 1927 ,გვ 9/

80 მათიკაშვილი, კვალიაშვილი-იუნკერები-თბ 1990. გვ 7.

81 იქვე.. გვ 11

82 დ. სილაგაძე, „პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო სამტაბო სტრუქტურა და რიცხოვნების საკითხისათვის,“ . თ.ს.უ. შრომები ტ 2, თბ 2011, გვ 385-393.

83 იქვე. ჩაჩხიანი... გვ.138

84 მ. ბახტაძე, 1921 წლის რუსეთ -საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან. თბ 2013.

85 როგორც არჩილ ჩაჩხიანი მიუთითებს -„ბრძოლებს იგებდა ჯარი თუმცა ომებს აგებდა პოლიტიკა“, ჩაჩხიანი დას, ნაშრომი გვ 464.

86 ვ. გურული. ახალი ქართული ჯარის სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან, თბ 2003 გვ 5

87 ნ. ჯანჯღავა, სამხედრო აზროვნებისა და სამხედრო გეგმების ევოლუცია ევროპაში პირველი მსოფლიო ომის წინ, თბ 2003 გვ 43

88 გურული, საქართველოს ისტორია XX საუკუნე თბ. 2003, (ქართველები მეორე მსოფლიო ომში) გვ.108 -221

რადგან თემატიკა მომავალი კვლევებისათვის შესრულებულ კვლევების გეგმის ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ ვხვდებით , რომ ის ერთგვარი თეზისებისა და ზოგადი მიმოხილვის შთაბეჭდილებას შეიძლება ტოვებდეს, ამასთან ერთად ხშირ შემთხვევაში შეგნებულად ავუარეთ გვერდი მთელ რიგ მეორეხარისხოვან ლიტერატურას. რადგან ვფიქრობთ რომ ეს სტატია ჯერჯერობით მხოლოდ საკითხის დასმაა , და მომავალში თითოეული პერიოდი სიდრმისეულ კვლევებს საჭიროებს.

წინასწარ შეგუებულნი ვართ იმ აზრს რომ მასში უამრავი ხარვეზი და შეცდომა იქნება დაშვებული, რთულია კონკრეტული სამხედრო-ისტორიული ტერმინების ჩამოყალიბება და დაზუსტება და არც ჩვენს მოკრძალებულ სტატიას ააქვს საკითხის გადაჭრის ამბიცია, მაგრამ თუნდაც იმიტომ უნდა ვცადოთ ამ ურთულეს საკითხთან შეჭიდება, რათა გათვალისწინებულ იქნას ყველა შენიშვნა, რომ მომავალ კვლევებში უფრო ნაკლები შეცდომა იქნეს დაშვებული და საბოლოოდ შევქმნათ საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის სრული და გამართული სისტემა, რომელიც გახდება ერთ-ერთი საძირკველი, ცალკე გამოყოფილი საისტორიო დისციპლინის-საქართველოს სამხედრო ისტორიის.

ბიბლიოგრაფია

- მ. ბახტაძე, 1921 წლის რუსეთ -საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან. თბ 2013.
- როგორც არჩილ ჩაჩხიანი მიუთითებს -, „ბრძოლებს იგებდა ჯარი თუმცა ომებს აგებდა პოლიტიკა“, ჩაჩხიანი დას, ნაშრომი გვ 464.
- ვ. გურული. ახალი ქართული ჯარის სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან, თბ 2003 გვ 5
- ნ. ჯანჯღავა, სამხედრო აზროვნებისა და სამხედრო გეგმების ევოლუცია ევროპაში პირველი მსოფლიო ომის წინ , თბ 2003 გვ 43;
- გურული, საქართველოს ისტორია XX საუკუნე თბ. 2003, (ქართველები მეორე მსოფლიო ომში) გვ108 -221;
- საქართველოს სამხედრო ისტორია,(ავტორთა კრებული სახელმძღვანელო) თბ. 2013, ნაწ 2, გვ.143-149/
- ა. ჩაჩხიანია, დაშნაკთა ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ საქართველოს 1918-1919წლების ომი, გვ127.
- სამხედრო იუნკერთა სასწავლებლის შესახებ იხილეთ აგრეთვე -ალექსანდრე ჩხეიძის მოგონებები, -,„სამხედრო სკოლა“ მხედარი 1991 , N1
- გ. მაზნიაშვილი, მოგონებები , თბ 1927 ,გვ 9/
- მათიკაშვილი, კვალიაშვილი-იუნკერები-თბ 1990. გვ 7.
- დ. სილაგაძე, „პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო სამტაბო სტრუქტურა და რიცხოვნების საკითხისათვის,“ . თ.ს.უ. შრომები ტ 2, თბ 2011, გვ 385-393.
- მ. გოგიტიძე, რუსეთის იმპერიის სამეფო არმიის ქართველი გენერლები, თბ 1999. გვ,5.
- ვ. გურული, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე) თბ2004. 93-101.
- მ. წურწუშია, „საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის საკითხისათვის, ქართველოლოგია,“ თბ.2011, N2, გვ 65.
- Ю Шокарев, ИСТОРИЯ ОРУЖИЯБ АРТИЛЛЕРИЯБ М.2001Б с.ю 24.
- პ.ზაქარაია, ქართული ციხესიმაგრეების ისტორია, თბ 2002, გვ. 202-237.
- Ф. Меринг, ИСТОРИЯ ВОИН И ВОЕННОГО ИСКУСТВА.САНГ-ПЕТЕРБУРГ 1999 . 112.
- ტაქტიკაში ცეცხლსასროლმა იარაღმა შეიძლება თამამად ითქვას საკმოდ გადაწონა შემართება და ფიზიკური მონაცემები, უხეშად რომ ვთქვათ, ფიზიკურად როგორი ძლიერი და შემართებულიც არ უნდა იყოს მეომარი, ცეცხლსასროლი იარაღის წინააღმდეგ მაინც ნებისმიერ შემთხვევაში „უშანსოდ“ იქნება, იმ უბრალო მიზეზების გამო , რომ ის ვერ მიაღწევს დისტანციურ ბრძოლამდე და ვერ შეძლებს თავისი ფიზიკური ძალის გამოყენებას
- ჯავახიშვილი ი, -მასალები.....თბ1962, გვ.284.

გლობალური კრიზისები და მათი გავლენა თავდაცვის პოლიტიკაზე

თეა ბიძინაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კვლევების განვითარების და
პროექტების მართვის მენეჯერი
სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,
ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

გენო მორჩილაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი
საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

ირმა ბახტურიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური რისკები, კრიზისები, კონფლიქტები და წინააღმდეგობები, სამწუხაროდ, არ მცირდება, არამედ ხშირად კიდევ უფრო მეტად გამწვავდება. ამასთან, ისინი არ გულისხმობენ მხოლოდ ეკონომიკურ ან პოლიტიკური სირთულეებს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სოციალურ და უსაფრთხოების სფეროებში არსებულ გამოწვევებს. ეს კრიზისები, რომლებიც მსოფლიოში ვითარდება, ვერ მორგებულია მხოლოდ ერთეულ რეგიონებს, არამედ გლობალურ დონეზეა, რაც ქმნის ბევრად უფრო რთულ და რთულად პროგნოზირებად გარემოს. ამ სირთულეებმა წამოაყენა ახალი კითხვები მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებასა და კაცობრიობის მომავალზე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება სოციალური პროგრესის არსებულ პროცესებს. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო ხედავდა წამოჭრილ გლობალურ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება პოლიტიკური სტაბილურობის დაცვას, საზოგადოებრივ გადატრიალებებსა და უშიშროების, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის დაცვის სტრატეგიების გადახედვას.

სტატიაში განხილულია ბოლო 30-40 წლის განმავლობაში განვითარებული გლობალური კრიზისები, რომლებიც პირდაპირ ასახავენ საზოგადოების ძირითად პრობლემებს, მათ შორის სახელმწიფოების თავდაცვით პოლიტიკაზე. გლობალური კრიზისები, რომლებიც მოიცავს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკურ და ეკოლოგიურ საკითხებს, გავლენას ახდენენ არამარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებზე, არამედ მთლიანად ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზეც. ზოგადად, ასეთი გლობალური კრიზისები განაპირობებს საზოგადოების წინააღმდეგობის მაქსიმალურ გამწვავებას, რაც პირდაპირ აფერხებს მშვიდობის დამყარების პროცესებს. როდესაც ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა დაირღვევა, ის ასხივებს გავლენას სახელმწიფოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რაც ხშირად ხელს უშლის სახელმწიფოს თავდაცვითი სტრატეგიების ოპტიმიზაციას.

გლობალური კრიზისების ეფექტი განსაკუთრებით გამოჩნდება მაშინ, როცა ეს კრიზისები ემთხვევა სახელმწიფოების ფინანსურ სირთულეებს. კერძოდ, ეკონომიკური კრიზისების დროს, როდესაც სახელმწიფოები იძულებულნი არიან შეამცირონ თავიანთი თავდაცვის ხარჯები, ეს უმეტეს შემთხვევაში იქცევა რეგიონული სტაბილურობის შეფერხების მიზეზად. თავდაცვის ხარჯების შემცირება გლობალურ დონეზე უფრო მეტად იწვევს სამხედრო ძალების შეზღუდვას, რის შედეგადაც ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლოა დაიწყოს პოლიტიკური კრიზისი და არეულობები. როდესაც თავდაცვის სფერო იშლება, ქვეყნები აღარ შეძლებენ ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფას პოტენციურ საფრთხეებთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის ხარჯების შემცირება ხშირად ეკონომიკურ კრიზისებზე რეაგირებაა, გლობალური პოლიტიკური დამაბულობა, როგორცაა უკრაინაში რუსეთის შეჭრა, ქმნის ახალ გამოწვევებს, რომელთა ფონზე თავდაცვის ხარჯების ზრდა გარდაუვალია. ამის მაგალითი იყო 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, რაც უაღრესად შეცვალა გლობალური უსაფრთხოების გარემო. ეს კონფლიქტი გამოიწვია ევროპაში თავდაცვის ხარჯების 18%-იან ზრდას, ხოლო ნატოს და დასავლელ მოკავშირეებთან ერთად, კიდევ უფრო მეტად შეინარჩუნეს რეგიონალური სტაბილურობა. ამ პროცესის შედეგად, ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემა გასაძლიერებელი გახდა, რადგან NATO-ს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებმა იმაზე მეტად გააძლიერეს თავიანთი კოლექტიური უსაფრთხოების სტრატეგიები.

როგორც ჩანს, გლობალური პოლიტიკა გადაიქცა ახალ გამოწვევად, სადაც განვითარებული ქვეყნებისთვის საჭიროა მეტი ინვესტიცია თავდაცვის სფეროში. 2023 წელს, ერთი მხრივ, ევროპაში, ხოლო მეორეს მხრივ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ხარჯები გაიზარდა, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გლობალური უსაფრთხოების საკითხები უმნიშვნელოვანესია. თუ გავითვალისწინებთ რომ მყიფე უსაფრთხოების გარემო ყველა რეგიონში გვხვდება, სახელმწიფოს თავდაცვითი სტრატეგიების გადახედვის აუცილებლობა კიდევ უფრო ნათელი ხდება.

„სამხედრო ხარჯების უპრეცედენტო ზრდა არის პირდაპირი პასუხი მშვიდობისა და უსაფრთხოების გლობალურ გაუარესებაზე“. ამით, სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ აუცილებელ ინვესტიციებს თავდაცვის სფეროში, აძლიერებენ თავიანთი სამხედრო ძალის ეფექტიანობას, რაც საბოლოოდ გლობალურ უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს. თუმცა, ყველა ახალი რისკი და გლობალური დამაბულობა კიდევ უფრო საჭიროებს ამ სფეროში უფრო ღრმა თანამშრომლობას და უსაფრთხოების სისტემების ჰარმონიზაციას.

საკვანძო სიტყვები: გლობალური კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი, გეოპოლიტიკა, კონფლიქტები, თავდაცვის ხარჯები, უსაფრთხოება.

GLOBAL CRISES AND THEIR IMPACT ON DEFENSE POLICY

Thea Bidzinashvili

Associate Professor of Georgian Technical University,
Manager, Research Development and Project Management of Scientific Research Center of
LEPL – David Agmashenebeli Georgian National Defense Academy,
Academic Doctor of Business Administration

Geno Morchiladze

Invited Associate Professor of Georgian Technical University,
Academic Doctor of Public Administration

Irma Bakhturidze

PhD student at Georgian Technical University

Abstract

At the beginning of the 21st century, political risks, crises, conflicts, and contradictions are unfortunately not diminishing but often intensifying. These challenges are not only limited to economic or political difficulties but also affect social and security aspects globally. The crises that are unfolding around the world cannot be limited to individual regions; rather, they are global, creating an increasingly complex and unpredictable environment. These difficulties raise new questions about world peace and humanity's future, directly opposing the processes of social progress. Over the past few decades, the world has witnessed global issues that relate to the maintenance of political stability, social revolutions, and the reevaluation of defense strategies for security, safety, and economic protection.

This article discusses global crises over the past 30-40 years and their direct impact on various sectors of society, particularly on state defense policies. Global crises, including military, economic, and ecological issues, not only influence political and economic structures but also the security concerns of human beings. In general, such global crises contribute to the maximum exacerbation of societal opposition, directly hindering the establishment of peace. When a state's social and political stability is disturbed, it affects decision-making at the state level, often impeding the optimization of defense strategies.

The effect of global crises becomes especially evident when they coincide with financial difficulties of states. Specifically, during economic crises, when governments are forced to reduce defense spending, this often becomes a cause of regional instability. The reduction of defense spending globally leads to the restriction of military forces, which may lead to political crises and turmoil in some countries. When the defense sector is compromised, countries may no longer be able to ensure adequate protection against potential threats.

Despite the fact that reducing defense expenditures is often a response to economic crises, global political tension, such as Russia's invasion of Ukraine, creates new challenges, making defense spending increases inevitable. An example of this was Russia's invasion of Ukraine in February 2022, which dramatically changed the global security environment. This conflict led to an 18% increase in defense spending in Europe, while NATO and its

Western allies reinforced regional stability. As a result, the Euro-Atlantic security system became stronger as NATO and EU member countries further strengthened their collective security strategies.

It seems that global politics has become a new challenge, where developed countries need to make additional investments in defense. In 2023, defense spending increased in both Europe and Asia, as well as in the Middle East, reflecting the growing importance of global security. Given that fragile security environments exist in every region, the necessity for revisiting national defense strategies is becoming even clearer.

“The unprecedented increase in military spending is a direct response to the global deterioration of peace and security.” In this context, states that make necessary investments in defense strengthen the effectiveness of their military forces, ultimately contributing to global security. However, every new risk and global tension calls for deeper cooperation in this field and the harmonization of security systems.

Keywords: Global crisis, economic crisis, geopolitics, conflicts, defense spending, security.

შესავალი

ბოლო 30-40 წლის განმავლობაში გლობალური ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ქვეყნების გლობალურ სივრცეში ინტეგრაციის აქტიური პროცესი. ჩამოყალიბდა ერთიანი ბაზრები, გაერთიანდა სტანდარტები და შემუშავდა ერთიანი პოლიტიკა ცალკეულ საკითხებზე. თუმცა, ბოლო წლებში გეოპოლიტიკური დაძაბულობის ზრდა აჩენს კითხვას, რამდენად გაგრძელდება გლობალური ინტეგრაციის პროცესები იმავე მასშტაბით მომავალში ან იქნება თუ არა საპირისპირო ტენდენციები.

ყველა კრიზისს ახასიათებს სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესება საზოგადოების ზოგიერთ ან ყველა სფეროში. იგი ვლინდება სოციალური წინააღმდეგობების უკიდურესად გამწვავებაში და მთავრდება სოციალური ურთიერთობების მთლიან სისტემაში ფუნდამენტური ცვლილებებით. ხშირად ყველაზე მასშტაბურ კრიზისებს ომები ამძიმებს და სოციალურ რევოლუციებად იქცევა.

21-ე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური რისკების მიმართულება და კრიზისები, კონფლიქტები და წინააღმდეგობები, სამწუხაროდ, კი არ მცირდება, არამედ, ზოგჯერ თავისი შედეგებით ის ხდება საშიში და არაპროგნოზირებადი, რაც რეალური შემფოთებას იწვევს ადამიანისა და კაცობრიობის მომავლის შესახებ ამ სამყაროში. როგორც ჩვენი უახლესი ისტორია აჩვენებს, საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე, თუნდაც რეგიონული და შიდასახელმწიფოებრივი პროცესები შეიძლება გახდეს ბიფურკაციის წერტილები გლობალური მასშტაბის შოკებისა და კრიზისებისთვის.

მსოფლიო კრიზისის ყველაზე დამახასიათებელი თვისება გახდა სტაბილური და სისტემატური ვარდნა, სრული და მზარდი დეგრადაცია ყველა კონტინენტზე ხალხთა სოციალური ცხოვრების ყველა ძირითად სფეროში. დედამიწის უმეტეს ქვეყნებში გლობალური კრიზისები გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა სფეროსა და მოსახლეობის ყველა ფენაზე და ხელს უწყობს ყველა სოციალური წინააღმდეგობის მაქსიმალურ გამწვავებას. პირდაპირ ეწინააღმდეგება კაცობრიობის სოციალურ პროგრესს, ხელს უწყობს მრავალ ქვეყანაში ეროვნული კატასტროფების და რევოლუციური სიტუაციების ჩამოყალიბებას. ამავდროულად, ეს იწვევს სამოქალაქო ომებს და სოციალურ რევოლუციებს სხვადასხვა რეგიონებში.¹

კრიზისისა და საერთაშორისო ურთიერთობების ხარისხს შორის ურთიერთობის პრობლემა, მეტად აქტუალურია მსოფლიოში არსებული სიტუაციებიდან გამომდინარე, რომელიც ხასიათდება დაძაბულობის მაღალი დონით და სხვადასხვა მასშტაბის კრიზისებისა და კონფლიქტების მნიშვნელოვანი რაოდენობით.

ძირითადი ნაწილი

სამხედრო პოლიტიკა არის სახელმწიფოს და ძალაუფლების სხვა სუბიექტების ზოგადი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სამხედრო ორგანიზაციის შექმნას და განვითარებას, მის მომზადებას, უნარს და მზადყოფნას გამოიყენოს შეიარაღებული ბრძოლის საშუალებები სახელმწიფოს დასაცავად და მისი სხვა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

უკიდურესი ეკონომიკური შედეგების გაურკვეველი მომავალი დილემას უქმნის პოლიტიკის შემქმნელებს, მათ შორის თავდაცვის სექტორს. ფინანსური კრიზისის დროს მიღებული უნდა იქნას ზომები სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად. პირველი დარტყმა აუცილებლად ადგება თავდაცვის ხარჯებს. ასეთ დროს ეკონომიკური პოლიტიკა ვერ აჩერებს გლობალურ ეკონომიკურ ვარდნას და სახელმწიფო ხარჯების მდგომარეობაც საკმაოდ სერიოზულია.

ეკონომიკური კრიზისების დროს ზოგიერთ ქვეყანაში თავდაცვის ხარჯები შეიძლება

1 Ю. Ермалович. Глобальный кризис: закономерности и особенности – Берегиня.777. Сова - 2010 - №1

აღმოჩნდეს მძიმე მდგომარეობაში. თავდაცვის ხარჯების შემცირება უფრო დიდ გავლენას ახდენს დასაქმებაზე რეგიონულ, ვიდრე ეროვნულ დონეზე. ამიტომ ამ სექტორში ხარჯების შემცირება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა სექტორებში.

ამავე დროს, თავდაცვის ინფლაცია ჩვეულებრივ აღემატება ინფლაციის ნორმალურ მაჩვენებელს. ამ მიზეზით, როგორც ჩანს, თავდაცვის სექტორი სხვებთან შედარებით ნაკლებად ეკონომიურია და, შესაბამისად, ალბათ უფრო იმსახურებს ბიუჯეტის შემცირებას.²

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სექტორის ლიდერებმა გაწიეს დიდი შრომა, რათა მინიმუმამდე დაეყვანათ შემცირებული ხარჯები, ბოლო გლობალური ფინანსური კრიზისის რეალური ღირებულება გახდა უსაფრთხოების შემცირება, გაზრდილი საფრთხე და სამოქალაქო არეულობის შესაძლო გაძლიერება მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, რომელთანაც ეფექტურად ბრძოლა შეუძლებელი გახდა.

ბოლო წლებში გაიზარდა გეოპოლიტიკური დაძაბულობა, რამაც შექმნა უფრო არასტაბილური გლობალური უსაფრთხოების გარემო. ძირითადი კონფლიქტები და დავები აღმოსავლეთ ევროპიდან ინდოეთის და წყნარი ოკეანისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებამდე უბიძგებს ქვეყნებს გადახედონ თავდაცვის სტრატეგიებს. ამ ცვალებადობამ გამოიწვია სამხედრო ხარჯების უპრეცედენტო ზრდა, რადგან ქვეყნები ემზადებიან პოტენციური კონფლიქტისთვის. თავდაცვისა და საჰაერო კოსმოსური სექტორები უშუალოდ გრძნობენ გავლენას იარაღზე მოთხოვნილების მატებასთან ერთად ალიანსების ცვლილებით და ეკონომიკური ტალღის ეფექტებით მთელ მსოფლიოში.

მრავალწლიანმა მზარდმა დაუცველობამ გამოიწვია მსოფლიო სამხედრო ხარჯების ზრდა. გლობალურმა თავდაცვის ხარჯებმა 2023 წელს მიაღწია 2,44 ტრილიონ აშშ დოლარს, რაც 6,8%-იანი რეალური ზრდაა წინა წელთან შედარებით. ეს არის სამხედრო ხარჯების ყველაზე მკვეთრი წლიური ნახტომი 2009 წლის შემდეგ და თანდათან კიდევ უფრო იზრდება. 2023 წელს მსოფლიოს ყველა რეგიონმა გაზარდა თავდაცვის ბიუჯეტი, განსაკუთრებით მკვეთრი ნახტომებია ევროპაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში.

ევროპა და ნატო: 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრამ დაარღვია ევროპაში ათწლეულების შედარებითი მშვიდობა, რამაც გამოიწვია კონტინენტზე ყველაზე დიდი სახმელეთო ომი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. სტრატეგიულად, მან გააძლიერა ნატო და დასავლელი მოკავშირეები - 2023 წელს გამოიწვია ევროპის თავდაცვის ხარჯების 18%-იანი ზრდა. კონფლიქტის სისასტიკემ გამოიწვია უსაფრთხოების შიში მთელს მსოფლიოში, მაგრამ დასავლეთის გაერთიანებულმა რეაქციამ ასევე გააძლიერა დემოკრატიების გადაწყვეტილება დაიცვან ცივი ომის შემდგომი წესრიგი. ნატოს ერთობლივი თავდაცვის ბიუჯეტი დაახლოებით 1,47 ტრილიონი დოლარია, რაც დღემდე ყველაზე მაღალია. მაგალითად, გერმანიამ შექმნა სპეციალური 100 მილიარდი ევროს თავდაცვის ფონდი და 2024 წელს პირველად მიაღწია ნატოს მშპ-ს 2%-იან მიზნებს. პოლონეთი ხარჯავს თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 4%-ს შეიარაღებაზე, სწრაფად იძენს ტანკებს, საჰაერო თავდაცვას და გამანადგურებელ თვითმფრინავებს. საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და სხვებმა გამოაცხადეს შესყიდვების ძირითადი პროგრამები (ახალი მოიერიშე თვითმფრინავებიდან დაწყებული საზღვაო გემებით და რაკეტებით). ევროპული სახელმწიფოები მშპ-ს 2%-ს განიხილავენ თავდაცვის ხარჯებისთვის. ეს გადაიარაღება მიზნად ისახავს ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე შეკავების გაძლიერებას და უკრაინის სამხედრო დახმარების გამო ამოწურული მარაგის შევსებას.³

ნატოს 2023 წლის სამიტზე მოკავშირეებმა ხაზი გაუსვეს რუსეთის წინააღმდეგ ერთიანობას

2 Д.Брэддон, Что дальше? Оборона, бюджеты и финансовый кризис <https://www.nato.int/docu/review/ru/articles/2009/07/06/chto-dal-she-oborona-byudyoty-i-finansovyy-krisis/index.html>

3 P. Ortega, „The Crisis and the Inevitability of Cuts in Military Spending,“ <https://centredelas.org/actualitat/the-crisis-and-the-inevitability-of-cuts-in-military-spending/?lang=en>

და ჩინეთის გამოწვევებსაც კი პირველად შეხვდნენ. ნატოს ყველა წევრმა პირობა დადო, რომ გააფართოვებს თავდაცვის ინდუსტრიულ ბაზებს და გაზრდის შიდა იარაღის წარმოებას, რაც მიუთითებს კოლექტიური უსაფრთხოების გრძელვადიან ვალდებულებაზე. აშშ-ის ლიდერებმა ასევე ხაზი გაუსვეს ალიანსების მნიშვნელობას მოწინააღმდეგეების შეკავებაზე; ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების დახმარებამ მოკავშირეებისთვის რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია, როგორც ამ სტრატეგიის ნაწილი. თუმცა, კვლავ რჩება კითხვები მომავალთან დაკავშირებით - მაგალითად, აშშ-ს პოლიტიკურმა ძვრებმა (როგორიცაა „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ მიდგომის პოტენციური დაბრუნება) შეიძლება გამოსცადოს ნატოს ერთიანობა. ამავდროულად, ნატო, სავარაუდოდ, უფრო ძლიერი და ერთიანია, ვიდრე ეს იყო ათწლეულების განმავლობაში, და იწყებს ევროპაში შეკავებისა და თავდაცვის ახალ ეპოქას.

აზია-წყნარი ოკეანე: აზიაში სამხედრო ბიუჯეტები იზრდება ჩრდილოეთ კორეის სარაკეტო გამოცდების ფონზე, განსაკუთრებით ჩინეთის სამხედრო გაფართოების გამო. ჩინეთი ახლა არის მსოფლიოში მეორე ყველაზე დიდი თავდაცვითი მხარჯველი - 2023 წელს 296 მილიარდი დოლარით; მისი სამხედრო ბიუჯეტი ბოლო 29 წლის მანძილზე იზარდება. პეკინის სწრაფმა საზღვაო გაძლიერებამ და მიღწევებმა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჰიპერბერითი რაკეტები, აიძულა მეზობელი ქვეყნები სწრაფი რეაგირებისთვის. იაპონიამ დაამტკიცა საეტაპო თავდაცვის სტრატეგია, რომელიც დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში გააორმაგებს მის ხარჯებს; მან 2023 წლის დანახარჯები 11%-ით გაზარდა 50 მილიარდ დოლარამდე. ანალოგიურად, ტაივანმა გაზარდა თავდაცვის ხარჯები 11%-ით 16,6 მილიარდ დოლარამდე და ინვესტიცია ჩადო ასიმეტრიულ შესაძლებლობებში, როგორიცაა ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები და თვითმფრინავები. ინდოეთი სტაბილურად ზრდიდა თავდაცვის ბიუჯეტს (დაახლოებით 72 მილიარდი აშშ დოლარი 2023 წელს) ძალების მოდერნიზებისთვის ჩინეთისა და პაკისტანის საფრთხეების წინააღმდეგ. ავსტრალია იწყებს AUKUS-ის გეგმას, შეიძინოს ატომური წყალქვეშა ნავები და შორ მანძილზე დარტყმის იარაღი.

ახლო აღმოსავლეთი და სხვა: ახლო აღმოსავლეთი კვლავ არამდგრადია, დიდი ხნის დავებს ემატება ახალი პრობლემები. 2023 წელს ჰამასის მოულოდნელმა თავდასხმამ და ისრაელ-ღაზას მხარდმა ომმა ხაზი გაუსვა რეგიონის არასტაბილურობას. უსაფრთხოების დილემები ასევე ზრდის სამხედრო ინვესტიციებს რეგიონში. 2023 წელს რეგიონის სამხედრო ხარჯები 9%-ით გაიზარდა და დაახლოებით 200 მილიარდ დოლარს მიაღწია. მთავარი მამოძრავებელი იყო ირანის აგრესიული პოზიცია და ომის გაჩაღება ღაზაში. ისრაელის თავდაცვის ხარჯები 2023 წელს 24%-ით გაიზარდა და 27,5 მილიარდ დოლარს მიაღწია. საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები ასევე ზრდიან ხარჯებს იარაღზე. სხვა რეგიონებში შესამჩნევი ტენდენციები მოიცავს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკას, სადაც ორგანიზებული დანაშაულის წინაშე მყოფი მთავრობები მიმართავენ თავიანთ სამხედროებს - მაგ., მექსიკის თავდაცვის ბიუჯეტი 55%-ით გაიზარდა 2014 წლის შემდეგ, რადგან ის აგზავნის ძალებს შიდა უსაფრთხოებისთვის. აფრიკის მასშტაბით, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი უფრო მცირეა, იზრდება მოთხოვნა კონტრტერორისტულ აღჭურვილობასა და ტრენინგზე. ამრიგად, მსოფლიოს პრაქტიკულად არც ერთი ნაწილი არ არის თავისუფალი მილიტარიზაციის ტენდენციით, რადგან ერები იარაღდებიან არსებული საფრთხეების ფონზე.

თავდაცვის ხარჯების ზრდამ გააძლიერა თავდაცვითი კონტრაქტორების და იარაღის მწარმოებლების ქონება. ცივი ომის შემდგომი წლების კონსოლიდაციის შემდეგ, გლობალური თავდაცვის ინდუსტრიული ბაზა ახლა ცდილობს აწარმოოს საკმარისი აღჭურვილობა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ბევრი წამყვანი ფირმა აფიქსირებს რეკორდულ შეკვეთებს. მაგალითად, ამერიკულ გიგანტებს, როგორიცაა RTX (Raytheon Technologies) და Lockheed Martin, აქვთ თანხა \$150-200 მილიარდ დოლარზე მეტი, რაც წარმოადგენს წლების წარმოებას.

ბოინგიც კი - რომელსაც ბოლო დროს პრობლემები შეექმნა კომერციული თვითმფრინავების განყოფილებაში - ამაცობს 529 მილიარდი დოლარის მთლიან შემოსავალზე, რაც ექვსჯერ აღემატება მის წლიურ შემოსავალს. ეს მასიური შეკვეთები მოიცავდა არა მხოლოდ იარაღს დასავლელისამხედროებისთვის, არამედ ექსპორტსაც მთელი მსოფლიოში.

შედეგად, გლობალურმა თავდაცვის სექტორმა დაინახა ძლიერი ფინანსური მაჩვენებლები: თავდაცვის საფონდო ინდექსებმა აჯობა ფართო ბაზარს. უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, 2022 წლის დასაწყისში, თავდაცვის მარაგები გაიზარდა საშუალოდ დაახლოებით 48%-ით (იხილეთ SPADE Defense Index-ით). საბირჟო ვაჭრობაზე ფოკუსირებულ ფონდებში აქტივები გაიზარდა 268%-ით, ოთხჯერ გაიზარდა ორი წლის განმავლობაში. ეს ასახავს ინვესტორებს, რომლებიც უყურებენ თავდაცვის/აერონავტიკის ინდუსტრიას, როგორც ზრდის სფეროს უსაფრთხოების გაზრდილი საჭიროებების ფონზე. მსხვილმა კონტრაქტორებმა, როგორიცაა Lockheed Martin, Northrop Grumman, BAE Systems, Thales და სხვები, გაზარდეს აქციების ფასი და მოგება, რაც გამოწვეულია მთავრობის სტაბილური შეკვეთებით.

თუმცა თავდაცვითი ხარჯების სწრაფ ზრდას მოყვა პრობლემები თავდაცვისა და საჰაერო კოსმოსური მიწოდების ჯაჭვებში COVID-19 პანდემიის დროს და ამჟამად ახალი ზეწოლის წინაშე დგას მოთხოვნის ზრდის გამო. ბევრი მწარმოებელი ებრძვის ნაწილების დეფიციტს, ნედლეულის ხარჯების ზრდას და გამოცდილი მუშაკების დეფიციტს. Boeing-ის აღმასრულებელმა 2024 წელს აღნიშნა, რომ ამ გამოწვევების გამო მიმწოდებლის დროული მიწოდების ტარიფები რჩება სასურველ დონეზე ქვემოთ.

გარდაამისა, დასავლეთის მთავრობები წუხან უცხოელ მომწოდებლებზე დამოკიდებულების გამო, მაგალითად, აშშ-ს თავდაცვის მიწოდების ჯაჭვები დიდი ხანი დამოკიდებული იყო ჩინეთიდან წარმოებულ იშვიათ ლითონებსა და ელექტრონიკაზე. მიმდინარეობს ნაბიჯები კრიტიკული თავდაცვითი მასალების წარმოების მოწყობისთვის. დაუცველობის შესამცირებლად, აშშ-ს საზღვაო ფლოტმა და არმიამ მნიშვნელოვნად შეამცირეს ჩინელი მომწოდებლების რაოდენობა თავიანთი ტექნიკური მიწოდების ჯაჭვებში 40%-დან 17%-მდე შესაბამისად.

ევროპა ასევე იწყებს ინიციატივებს იარაღის წარმოების გასაძლიერებლად. ევროკავშირმა 2023 წელს შექმნა ახალი ფონდი საბრძოლო მასალის წარმოების გასაძლიერებლად მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ მისი მარაგები არასაკმარისი იყო ხანგრძლივი კონფლიქტისთვის. თავდაცვის კომპანიები დიდ ინვესტიციებს ახორციელებენ ქარხნის შესაძლებლობების გაფართოებასა და დაქირავებაში, მაგრამ ინდუსტრიის ლიდერები აფრთხილებენ, რომ შესაძლოა წლები დასჭირდეს მიწოდების ჯაჭვების სრულად აღდგენასა და მოდერნიზაციას ახალი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ეს არის კრიტიკული გამოწვევა: წარმოების ამჟამინდელმა შეზღუდვებმა შეიძლება შეაფერხოს გამომუშავების გაზრდის შესაძლებლობა, თუ სხვა დიდი კონფლიქტი იფეთქებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური წინააღმდეგობები (ინფლაცია, მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები) ქმნის მენეჯმენტის გამოწვევებს, საერთო ფისკალური გარემო - რომელიც ხასიათდება თავდაცვის ბიუჯეტის მზარდი და მხარდამჭერი მთავრობის პოლიტიკით - კვლავ ხელსაყრელია. გლობალური თავდაცვის ხარჯების ზრდა კვლავ გაგრძელდება და გაიზრდება, რაც შეინარჩუნებს მოთხოვნილებას სამხედრო თვითმფრინავებზე, გემებზე, ჯავშანტექნიკაზე და მოწინავე ტექნოლოგიებზე.

სამხედრო ხარჯები წარმოქმნის სახელმწიფო ვალს და ინფლაციას და ანელებს მსოფლიო ეკონომიკურ ზრდას, რადგან ტექნოლოგია გარდაიქმნება იარაღად და არა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით განვითარებად ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ მცირე რესურსები.

გამდიერებული თავდაცვის საჭიროებების გათვალისწინებით, ბევრი მთავრობა

ასტიმულირებს შიდა ინდუსტრიის ზრდას, რაც წარმოადგენს ინვესტიციის შესაძლებლობებს.

მთავრობები ზოგადად მხარს უჭერენ თავდაცვის სექტორს ახლა, მაგრამ ფისკალური რეალობა აყალიბებს გრძელვადიან პერსპექტივას. მაღალი ინფლაცია და საპროცენტო განაკვეთები ნიშნავს, რომ მთავრობებს უფრო მაღალი შესყიდვების და ვალების მომსახურების ხარჯები ემუქრებათ.

დასკვნა

გლობალური კრიზისები დიდ ცვლილებებს იწვევს თავდაცვის პოლიტიკაში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. ფინანსური კრიზისის დროს ზოგიერთი ქვეყნის თავდაცვის ხარჯები შეიძლება აღმოჩნდეს მძიმე მდგომარეობაში და მათი მთავრობები იღებენ სათანადო ზომებს სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად. პირველი დარტყმა აუცილებლად იღებს თავდაცვის ხარჯები. ასეთ დროს სახელმწიფო ხარჯების მდგომარეობაც საკმაოდ სერიოზულია. ამ სექტორში ხარჯების შემცირება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა სექტორებში.

ბოლო გლობალური ფინანსური კრიზისის რეალური ღირებულება გახდა უსაფრთხოების შემცირება, გაზრდილი საფრთხე და სამოქალაქო არეულობის შესაძლო გაძლიერება მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, რომელთაზეც ეფექტურად ბრძოლა შეუძლებელი გახდა.

2022 წლის თებერვალში რუსეთის შეჭრამ უკრაინის ტერიტორიაზე გამოიწვია გეოპოლიტიკური დაძაბულობა, რასაც მოყვა სამხედრო ხარჯების უპრეცედენტო ზრდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით ევროპაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, რადგან ქვეყნები ემზადებიან პოტენციური კონფლიქტისთვის. სამხედრო ხარჯების უპრეცედენტო ზრდა პირდაპირი პასუხია მშვიდობისა და უსაფრთხოების გლობალურ გაუარესებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონფლიქტები და დაძაბულობა უბიძგებს ქვეყნებს მეტი ინვესტიცია განახორციელონ თავდაცვაში.

ბიბლიოგრაფია

Cervera R. C. Impact of the economic crisis on defence policies a comparative study file:///C:/Users/Asus/Downloads/Dialnet-ImpactoDeLaCrisisEconomicaEnLasPoliticasyDeDefensaE-4098274_2.pdf

Ortega P. The Crisis and the Inevitability of Cuts in Military Spending.

<https://centredelas.org/actualitat/the-crisis-and-the-inevitability-of-cuts-in-military-spending/?lang=en>

Бррадон Д. Что дальше? Оборона, бюджеты и финансовый кризис <https://www.nato.int/docu/review/ru/articles/2009/07/06/chto-dal-she-oborona-byudyoyety-i-finansovyj-krizis/index.html>

Ермалавичюс Ю. Глобальный кризис: закономерности и особенности – Берегиня.777. Сова - 2010 - №1



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE
ACADEMY OF GEORGIA



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL – DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
ტელეფონი: +995 577 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
თირაქი: 55

ISBN-978-9941-8-6033-1